

## ფრანგული ზღაპრები

### წინასიტყვაობა

ხალხური ზღაპრების ჩაწერა, მეცნიერული შესწავლა-დამუშავება, ცალკე კრებულე-ბად გამოცემა ევროპის ქვეყნებში მოგვიანებით დაიწყო. ამ მხრივ გამონაკლისს არც ფრანგული ზღაპრების შესწავლა-დამუშავება შეადგენს. ფრანგული ზღაპრების შეგროვებას ზოგიერთ ქვეყანაზე (ნორვეგია, რუსეთი, გერმანია) მოგვიანებით შეუდგნენ, კერძოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. მართალია, ფოლკლორული მასალების შეგროვების ცდებს საფრანგეთში გაცილებით ადრე ვხვდებით (XIX საუკუნის დასაწყისში, იმ დროს, როცა ევროპაში ფოლკლორისადმი ინტერესი იღვიძებდა), შემონახულია საფრანგეთის სამინისტროებისა და დეპარტამენტების დადგენილებები და ცირკულარები ადგილობრივი ლეგენდების, სიმღერების და სხვა ხალხური მასალების ჩაწერის თაობაზე, მაგრამ ამ ცდებს არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

უნდა ითქვას, რომ ფრანგულ ზეპირსიტყვიერებას პირველად მწერლებმა მიაქციეს ყურადღება და არა მეცნიერებმა. ისინი არათუ იყენებდნენ ცალკეულ ზღაპრულ სიუჟეტებს თავიანთ ნაწარმოებებში, არამედ გვევლინებოდნენ მათ შემკრებ-შემგროვებლებად. XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში ემილ სუვესტრი იწყებს ბრეტანული ზღაპრებისა და ლეგენდების ჩაწერას, მათ გადამუშავებას და გამოცემას. ამავე პერიოდში ჟორჟ სანდი აგროვებს ზღაპრებს ბერიში, ხოლო ჟერარ დე ნერვალი — ვალუას პროვინციაში. სწორედ ამ მწერლების მიერ გადამუშავებულ ფრანგულ ხალხურ ზღაპრებს გაეცნენ პირველად ევროპელები, მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთში არ არსებობდა ხალხური ზღაპრების არც ერთი გამოცემა. ორმოცდაათიანი წლებიდან მწერლების კვალდაკვალ ფოლკლორის რამდენიმე მოყვარულმა დაიწყო ფრანგული ზღაპრებისა და ლეგენდების შეგროვება და ჩაწერა. გამოქვეყნდა ფუკესა და კორდიეს კრებულები, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ არც მათ მუშაობას ჰქონია სისტემატური ხასიათი და მეცნიერული პრეტენზია.

მხოლოდ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ქვეყნდება ფრანგი მეცნიერ-ფოლკლორისტების მიერ საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით შორეულ პროვინციებში ჩაწერილი ზღაპრები, რომლებიც მაღალ მეცნიერულ დონეზე დგანან.

ფრანგული საზღაპრო ეპოსი მდიდარია თემატურად, მრავალფეროვანია ჟანრობრივად, სრულყოფილია სიუჟეტურად, მაგრამ კონკრეტულად მაინც რა იდეები, რა თემები და მოტივებია ნიშანდობლივი ამ ზღაპრებისათვის?

ფრანგულ ზღაპრებში ტრიალებს ფრანგი ხალხისათვის დამახასიათებელი უაღრესად დემოკრატიული სული, ჩვენ ვიტყვით, მათთვის ნიშანდობლივია რევოლუციური პათოსი და მგზნებარება.

კეთილი საქმისათვის თავდადება, განსაცდელში მყოფი ადამიანისათვის თავგანწირვა, გაჭირვებულისათვის ხელის გამართვა და ყოველივე ამ უანგარო საქმისათვის მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ჯილდოს ასკევად დამსახურება კლასიკური ფოლკლორის მუდმივი და ამასთანავე უსაყვარლესი თემაა. ამ თემას ყველა ხალხი თავისებურად ამუშავებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავის ეროვნულ ქურაში აწრთობს. უაღრესად ორიგინალური, თვითმყოფი, თავისთავადია ეს თემა და ამ თემიდან გამომდინარე ცალკეული მოტივები ფრანგული საზღაპრო ეპოსისთვისაც. ფრანგულ ზღაპრებში კეთილი ადამიანები იმიტომ კი არ ჩადიან სიკეთეს, რომ ამას პირადი სარგებლობის, გამორჩენის მიზნით აკეთებენ, ხოლო საზღაურად რაიმე ჯილდოს მოითხოვენ ან მოელიან. საკითხის ასე გადაწყვეტა მეტისმეტად სწორხაზოვანი, მეტისმეტად პრაქ-

ტიკული იქნებოდა, ყოველგვარი იდეალიზებული საგან, რომანტიკულად ამაღლებული საგან და ცლილი. მწვანე კაცის უმცროსი ქალი (გასკონური ზღაპარი «ხელმწიფე-ყორანი») იმიტომ კი არ თანხმდება ცოლად გაყვეს ყორანს, რომ რაიმე სიკეთეს ელის, არა, უნდა საბრალო მამას გამოექომაგოს, იქნებ ყორანმა შეიბრალოს იგი და ამოგდებული თვალები ისევ დაუბრუნოს. ყორანი კი მოჯადოებული მშვენიერი ხელმწიფე გამოდგა და მწვანე კაცის უმცროსი ქალი უბედნიერესი დედოფალი გახდა.

იგივე თემა დამუშავებული ქვემოთრეტანულ ზღაპარში «სიმე-გომბეშო».

ამ თემას და მისგან გამომდინარე მოტივებს ვხვდებით აგრეთვე ლოტარინგიულ ზღაპარში «თეთრი მგელი», ნორმანდიულ ზღაპარში «ჩიტბატონა», პიკარდიულ ზღაპარში «მია ბედშავას და ძაღლ უპოვარას ზღაპარი» და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფრანგულ ზღაპრულ ეპოსში სიკეთე მხოლოდ სიკეთისათვის კეთდება. არავითარი ანგარება, წინასწარ გამიზნული სარგებლის მიღების ცდა არ უნდა ახლდეს ამ რომანტიკულ გრძნობას, და თუკი ეს წმინდა გრძნობა რაიმე მინარევმა აამღვრია, ხალხის განაჩენი უღმობელია. ამ თვალსაზრისით მეტად პოეტურია ქვემოთრეტანული ზღაპარი «ორი კუზიანი კაცი და გნომები». კუზიან ნონიკს გნომებმა იმიტომ მოაშორეს კუზი, რომ მან გნომების სიმღერას ორი ახალი სტრიქონი მიუმატა, რომლებიც კაცუნებს ძალიან მოეწონათ. ისმება კითხვა, რატომ გამოუვიდა ნონიკს ეს სტრიქონები კარგი? იმიტომ, რომ მას მხოლოდ კეთილი სურვილი ამოდრავებდა — უფრო სრულყოფილი, უფრო სასიამოვნო გაეხადა გნომების სიმღერა და მისი მოქმედება არავითარ ქვენარე გრძნობას არ უკავშირდებოდა, ხოლო გაბიკი წინასწარი გამორჩენის მიზნით მივიდა გნომებთან და ლექსიც უშნო და ულაზათო გამოუვიდა. ამიტომ მოექცნენ მას ასე შეუბრალებლად გნომები და სამაგალითოდ დასაჯეს — ნონიკის კუზიც გაბიკს აჰკიდეს.

კლასიკური ფოლკლორის უსაყვარლესი და უპოპულარესი თემა, აგრეთვე, ბოროტთან კეთილის ბრძოლის და მისი ძლევის მარადიული თემა. ფრანგულ ზღაპრებშიც ჟღერს ბოროტზე კეთილის გამარჯვების ყოვლისმძლე იდეა. სიკეთე უნდა დღეგრძელობდეს, ბოროტება დაისაჯოს — ეს ფრანგული ხალხური ეპოსის უცილობელი და უმკაცრესი კანონია. ადამიანი, რომელიც ბოროტებით, ფლიდობით, მატყუარობით, სიხარბით, ძალადობით ცდილობს პრივილეგიური მდგომარეობის მოპოვებას საზოგადოებაში, ან უკიდურეს შემთხვევაში, თავისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, უნდა დაიღუპოს. ამ მხრივ სამაგალითოა ლოტარინგიული ზღაპარი «ორი ბებერი ჯარისკაცი». ჯარიდან

კლასიკურ ზღაპარს თავისი შეუცვლელი კანონი აქვს — იმარჯვებს ის, ვინც მოხერხებულია და საზრიანი, წინდახედულია და მარჯვე. ესენი უმთავრესად დაბალი წრიდან გამოსული ადამიანები არიან: მოჯამაგირეები, მიწის მუშები, ხელოსნები, ჯარისკაცები... ასეა მსოფლიოს ყველა ზღაპარში, ასეა ფრანგულ ზღაპრებშიც. ფრანგული ზღაპრული ეპოსის უსახელო გმირი, უმეტეს შემთხვევაში, იმარჯვებს არა იმიტომ, რომ იგი, უბრალოდ, ბედის ნებიერია, იღბლიანია, სრულიადაც არა! იგი იმარჯვებს, რადგან მას გამჭრიახი გონება და ნათელი ჭკუა აქვს. ჩვენი მოსაზრების ნათქვამის დასასაბუთებლად კრებულში შეტანილი რამდენიმე ზღაპარი გამოდგებოდა: «გონიერი ჯარისკაცი», «ყანი და პიერი» (ლოტარინგიული), «კატის, მამლისა და ნამგლის ზღაპარი» (პიკარდიული), «როგორ გააბრიყვეს ეშმაკი» (ზემოთრეტანული), «მწყემსი და ხელმწიფის ქალი» (ქვემოთრეტანული), «მოხერხებული მენახირის ზღაპარი» (პუატუს ზღაპარი) და სხვ.

ფრანგული ზღაპრები ხოტბას ასხამს ადამიანის სიმტკიცეს, შეუდრეკელობას, ურყევ ნებისყოფას, გამბედაობას, სიმამაცეს. შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში ბევრი გასაჭირი შეხვდეს, მაგრამ ვისაც მტკიცე ხასიათი აქვს, ყველა დაბრკოლებას გადალახავს და საბოლოოდ გაიმარჯვებს. მტკიცე ნებისყოფის ზეიმი შესანიშნავადაა ნაჩვენები ქვე-

მობრეტანულ ზღაპრებში «სეფექალი ტროიოლი», «ცხრა ძმა ბატკნისა და მათი დის ზღაპარი», გასკონურ ზღაპარში «ხელმწიფე ყორანი» და სხვ.

ალეგორიული ხასიათის ლიმუზენურ «მამლის ზღაპარში» განზოგადებულია მშრომელი ფრანგი ხალხის უკომპრომისო ბრძოლა ფეოდალთა წინააღმდეგ, რომელიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და დროდადრო დიდი აფეთქებებით გამოირჩეოდა. ბებერი მამალი ფრანგი ხალხის ინტერესების გამომხატველია, რომელიც უპირისპირდება ყოვლად უსინდისო, ხარბ და მატყუარა ბატონ დ'არგლანს. ფრანგულ ცხოველთა ეპოსში, ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებში კიდევ ბევრი თემა, მოტივი, ელემენტი გვხვდება. ამ ზღაპრებში ასახულია ფრანგი ხალხის ბუნება, მისი ხასიათი, მშრომელი ფრანგი კაცის ოპტიმისტური სული, მისი მიდრეკილება ხუმრობისადმი, იუმორისადმი, სიცოცხლის სიყვარულისადმი.

წინამდებარე კრებული — «ფრანგული ზღაპრები» ეყრდნობა 1959 წელის რუსულ გამოცემას, რომელსაც საფუძვლად დაედო ცნობილი ფრანგი ფოლკლორისტების საყოველთაოდ აღიარებული კრებულები. წიგნის შედგენისას ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ, რაც შეიძლება სრულად წარმოდგენილიყო ფრანგული საზღაპრო ტრადიცია როგორც ჟანრის, ისე გავრცელების მხრივ. მასალის დალაგებისას გათვალისწინებულია ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპი, საფრანგეთის ისტორიულ პროვინციათა გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა, მათი განლაგება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

## ლოტარინგიული ზღაპრები

### ფ ი რ ო ზ ე ტ ი

იყო ვაჟი, სახელად ფიროზეტი. ვაჟს ერთი ქალი უყვარდა. ქალს იუღია ერქვა. ფიროზეტის დედა ბოროტი ფერია იყო. მას არ უნდოდა ფიროზეტს ცოლად იუღია შეერთო, ამიტომ გადაწყვიტა, მისთვის ერთი ბებერი, კოჭლი ქალი გაერიგებინა.

ერთხელ ბოროტმა ფერიამ იუღიას უთხრა:

— წირვაზე მივდივარ, სანამ დავბრუნდები, ამ ცხრილით ჭიდან წყალი ამოხაპეო.

საბრალო ქალი ძალიან დაღონდა. დაიწყო ჭიდან წყლის ამოხაპვა, მაგრამ წყალს ცხრილში რა გააჩერებს! უცებ ქალთან ფიროზეტი გაჩნდა.

— იუღია, აქ რას აკეთებო?

— დედაშენმა ამ ცხრილით ჭის ამოხაპვა მიბრძანაო.

ფიროზეტმა გვიმს ჯოხი შეახო და ჭა მაშინვე ამოშრა.

შინ რომ დაბრუნდა, ბოროტმა ფერიამ ქალს უთხრა:

— ეჰე, იუღია, ჩანს, ჩემმა ფიროზეტმა გიშველაო.

— ო, არა, ქალბატონო. იგი თვალითაც არ მინახავს. შენი ფიროზეტია თუ ვიღაც ფიროზეტანი, სულაც არ მჭირდებაო!

არ კი შეიმჩნია, რომ ვაჟი უყვარდა.

მეორედ ბოროტმა ფერიამ იუღიას უთხრა:

— წადი, ეს წერილი ჩემს დას წაუღე. ჩემი და ეფინკურში ცხოვრობს. ფეხის ქირად რამეს გაჩუქებსო.

გზაში იუღია ფიროზეტს შეხვდა. ვაჟმა ქალს ჰკითხა:

— იუღია, სად მიდიხარო?

— დეიდაშენს წერილი უნდა წავუღო. ეფინკურში ცხოვრობსო.

— ყურადღებით მომისმინე, — უთხრა ფიროზეტმა. — დეიდაჩემთან სახლში რომ შეხვალ, თავდაყირა მიყუდებულ ცოცხს დაინახავ. შენ შეაბრუნე და სწორად დადევ. დეიდაჩემი ლენტებით სავსე ზარდახმას გაჩვენებს და გეტყვის, სარტყლად ყველაზე

ლამაზი ამოირჩიეო. ამოირჩიე ლენტი. მაგრამ ფთხილად იყავი, წელზე არ შემოირტყა. მინდორში რომ გამოხვალ, ბუჩქს შემოახვიე და დაინახავ, რაც მოხდებაო.

ფიროზეტის დეიდასთან რომ მივიდა, ქალმა ცოცხი შეაბრუნა, მერე დიასახლისს უთხრა:

— ქალბატონო, ეს წერილი შენმა დამ გამოგიგზავნაო.

ბოროტი ფერიის დამ წერილი წაიკითხა და იულიას ჰკითხა:

— ფეხის ქირად რა მოგცე? აი, ლენტებით სავსე ზარდახმა, ყველაზე ლამაზი ლენტი ამოარჩიე და სარტყლად იხმარე, დაინახავ, როგორ მოგიხდებაო.

იულიამ ლენტი გამოართვა და უკან გამობრუნდა. ჟერბოს რომ მიუახლოვდა, ლენტი პირველ ბუჩქს შემოახვია. ბუჩქს მაშინვე ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა.

შინ რომ დაბრუნდა, ბოროტმა ფერიამ უთხრა:

— ეჰე, იულია, შენ ჩემმა ფიროზეტმა დაგარიგაო!

— არა, ქალბატონო, თვალთ არ მინახავს. შენი ფიროზეტია თუ ვიღაც ფიროზეტანი, სულაც არ მჭირდებაო!

არ კი შეიმჩნია, რომ ვაჟი უყვარდა.

ერთხელ ბოროტმა ფერიამ იულია ბებერ კოჭლ ქალს ფეხებთან მიუწვინა და ორივე ფეხის თითებით სანთლები დააჭერინა. თვითონ კი სხვენში დაწვა. გვიან ღამით ბოროტმა ფერიამ ფიროზეტს დაუძახა:

— ჩემო კარგო ფიროზეტ, მოჯადოების დრო არ მოვიდაო?

— არა, დედი, ცოტა ხანს დაიცადეო.

ცოტა ხნის მერე ფიროზეტმა კოჭლ ქალს ჰკითხა:

— ამ საბრალო ქალის ადგილზე ხომ არ დაწვებო?

ბოროტმა ფერიამ ფიროზეტს მეორედ დაუძახა:

— ჩემო კარგო ფიროზეტ, მოჯადოების დრო არ მოვიდაო?

— არა, დედი, ცოტა ხანს დაიცადეო.

ცოტა ხნის მერე ფიროზეტმა კოჭლ ქალს ჰკითხა:

— ამ საბრალო ქალის ადგილზე ხომ არ დაწვებო?

ბოროტმა ფერიამ ფიროზეტს მესამედ დაუძახა:

— ჩემო კარგო ფიროზეტ, მოჯადოების დრო არ მოვიდაო?

ფიროზეტმაც მესამედ ჰკითხა ბებერ კოჭლ ქალს:

— ამ საბრალო ქალის ადგილზე ხომ არ დაწვებო?

უნდოდა თუ არ უნდოდა, კოჭლმა ქალმა იულიას ადგილი გაუცვალა და სანთლები ფეხის თითებში თვითონ ჩაიდგა. ფიროზეტმა მაშინვე შესძახა:

— ჰო, დედი, ჰო, მოჯადოების დრო მოვიდაო.

— მინდა, ვისაც ორივე ფეხის თითებით სანთლები უჭირავს, იხვად იქცეს და საუზმეზე შევჭამოთო, — თქვა ბოროტმა ფერიამ.

იმავე წამს კოჭლი ქალი იხვად იქცა, საწოლიდან წამოხტა და ოთახში აჯაბაჯა სიარული დაიწყო.

ბოროტმა ფერიამ დაინახა, რომ მოატყუეს და ბრაზისაგან გასკდა.

## გონიერი ჯარისკაცი

იყო ერთი ჯარისკაცი. ჯარი რომ მოათავა, შინ გამოსწია. გზაში ერთ ციხეს ჩაუარა. წყურვილისაგან იხრჩობოდა და კარზე დააკაკუნა. კარი ლომმა გაუღო, — ძველ დროში ბატონებს ლომები ჰყავდათ მოსამსახურებად. ციხის პატრონი და მისი ცოლი შინ არ იყვნენ. ჯარისკაცმა ლომს სთხოვა, ერთი ჭიქა წყალი დამალეინეო.

— წყალი რა საკადრისია, მოდი, ღვინო დავლიოთო, — მიუგო ლომმა.

ჯარისკაცმა ბევრი არ ახვეწინა. დასხდნენ და რამდენიმე ბოთლი გამოცალეს. ბოლოს ლომმა უთხრა:

— ჯარისკაცო, მოდი, ბანქო ვითამაშოთ. მე ვიცი, ჯარისკაცები უსაქმურობის დროს ბანქოს თამაშობენო.

— ძალიან კარგო.

შვიდი-რვა ხელი ითამაშეს. ლომი სულ აგებდა და აგებდა. ბოლოს გაცოფდა. ლომმა ბანქო განგებ ძირს დაყარა და ჯარისკაცს სთხოვა, აკრიფეო. მაგრამ ჯარისკაცი მიუხვდა: ლომს უნდა დავიხარო, რომ მაშინვე დამაცხრესო. ამიტომ არც განძრეულა, ლომს ისე უთხრა:

— შენ რა, მოსამსახურე ხომ არ გგონივარ. ბანქოს თავადაც კარგად აკრიფო. მაგრამ, როგორც ვხედავ, ჩემზე გული მოგდის. ჯობს, სხვა რამე ვითამაშოთ. აბა, ბლოკი, ჭოჭონაკი, თოკი და ფიცარი მომიტანეო.

ლომმა მიუტანა. ჯარისკაცმა საქანელა გააკეთა და შიგ პირველი ჩახტა.

ორ-სამჯერ გაქანდ-გამოქანდა თუ არა, ლომმა ყვირილი მორთო:

— აბა, ჯარისკაცო, ჩამოხტი, ჩამოხტი, ახლა ჩემი ჯერიაო.

— დამაცა, დამაცა. შენც მოესწრებიო! — მიუგო ჯარისკაცმა.

ბოლოს ჯარისკაცი საქანელადან ჩამოხტა, ლომს ასვლაში მიეშველა და უთხრა:

— ლომო, შენ ამ თამაშის არაფერი გაგეგება. მეშინია, არ ჩამოვარდე და კისერი არ მოიტეხო, ტორებით მიგაბამო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. ჯარისკაცმა ლომი საქანელას მიაბა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გააქანავა.

— ოჰ, ჯარისკაცო, ჯარისკაცო, ჩამომსვი, მეტი აღარ მინდაო, — შეეხვეწა ლომი.

— ჩამოგვამ, როცა თქვენს მხარეში მეორედ გამოვივლიო, — მიუგო ჯარისკაცმა და ციხიდან გავიდა.

ლომი ისე აღრიალდა, მისი ხმა სამ ლიეზე\* (\* ლიე — სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი. უდრის, დაახლოებით, 4,5 ლმ-ს.) ისმოდა. ციხის პატრონმა და მისმა ცოლმა, ტყეში რომ სეირნობდნენ, ღრიალი გაიგონეს და შინ გამოიქცნენ. კარგა ხნის ძებნის მერე, ლომი ჰაერში იპოვეს გამოკიდებული.

— ლომო, მანდ რა გინდაო?

— ნუ მკითხავთ! ვილაც ცინგლიანმა ჯარისკაცმა აქ დამსვაო.

— თუკი გიშველით, იმ ჯარისკაცს რას უზამო?

— გამოვუდგები და, თუ დავეწევი, შევჭამო.

ჯარისკაცი კი მიდიოდა თავისი გზით. გზაში მგელი შეხვდა. მგელი შეშას აპობდა.

— მგელო, შეშის დაპობა ასე ვის გაუგონია. ცული მე მომეცი, შენ კი ნაპობში თათი ჩაყავი, ვითომ სოლიაო.

როგორც კი მგელმა ნაპობში თათი ჩაყო, ჯარისკაცმა მორიდან ცული ამოაძრო და მგელს თათი შიგ ჩაუტოვა.

— ჯარისკაცო, ჯარისკაცო, თათი ამომადებინეო!

— კარგი, ამოგადებინებ, როცა თქვენს მხარეში მეორედ გამოვივლიო.

მგლის განწირულ ყმუილზე იმ ლომმა მოირბინა, ჯარისკაცს რომ მისდევდა.

— მგელო, რა დაგმართნიაო?

— ნუ მკითხავ, ვილაც ცინგლიანმა ჯარისკაცმა თათი ამ ნაპობში ჩამიტოვაო.

— თუკი გიშველი, იმ ჯარისკაცს რას უზამო?

— შენთან ერთად გამოვუდგები და, თუ დავიჭერ, შევჭამო.

ლომმა მგელს ნაპობიდან თათი ამოადებინა და ორივენი ჯარისკაცს გამოუდგნენ.

ჯარისკაცი კი მიდიოდა თავისი გზით. გზაში მელა შეხვდა. მელას თავი აეწია და ერთ მაღალ ხეს შეჰყურებდა.

— ეი, მელავ, მანდ რას შეჰყურებო?

— აგერ, ალუბლები ასხია და იმას შევყურებო.

— თუ გინდა, ხეზე ასვლაში გიშველიო.

ჯარისკაცმა წამახული ჯოხი აიღო, მელას გაუყარა, მერე მთელი ძალით მოიქნია და მელა ხეზე ააგდო. ჯოხი ტოტებში გაიხირა და მელა ზედ ისე აქანავდა, იფიქრებდით, შამფურზე ტრიალებსო.

— ოჰ, ჯარისკაცო, ჯარისკაცო, ჩამომსვიო, — შეეხვეწა მელა.

— ჩამოგვამ, როცა თქვენს მხარეში მეორედ ჩამოვივლიო, მაგ დროისათვის ალუბალიც დამწიფდებაო, — მიუგო ჯარისკაცმა.

მელა საცოდავად ხაოდა. მის ხავილზე ლომმა და მგელმა მიირბინეს.

— მელა, მანდ რა გინდაო?

— ნუ მკითხავთ! ვილაც ცინგლიანმა ჯარისკაცმა ასე გამამასხარავაო.

— თუკი გიშველით, იმ ჯარისკაცს რას უზამო?

— თქვენთან ერთად გამოვუდგები და, თუ დავიჭერ, შევჭამო.

ჯარისკაცი კი მიდიოდა თავისი გზით. გზაში ყმაწვილი ქალი შეხვდა.

— ქალო, სამი მძვინვარე მხეცი მომდევს და შეგვჭამენ. დამიჯერე, მოდი, საქანელა ჩამოვაბათო!

ქალი დაეთანხმა. როცა ლომმა მოირბინა, ორივენი ისე ქანაობდნენ, ლამის ზეცაში ასულიყვნენ.

— ოჰო, ისევ იმ სეირს მიპირებს! უნდა გავიქცეო! — შესძახა ლომმა.

ჯარისკაცმა ცოტა შეიცადა და ახლა შემის ჩეხვა დაიწყო. მგელი მოვარდა თუ არა, შეჰყვირა:

— ოჰ, ისევ იმ სეირს მიპირებსო! — და მოკურცხლა.

მელასაც იგივე დაემართა.

ჯარისკაცმა ქალი მშობლებს მიჰგვარა. ქალის დედ-მამას ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, ჩვენი შვილი საშინელ ხიფათს გადარჩენიაო. არ იცოდნენ ჯარისკაცისთვის მადლობა როგორ გადაეხადათ და შვილი ცოლად გაატანეს.

## ქანი და პიერი

იყო ერთი ღარიბი ქალი. ჰყავდა ორი ვაჟი — ქანი და პიერი.

პიერი ხედავდა, რომ დედას ძალიან უჭირდა და ერთ გლეხს დღიურ მუშად დაუდგა.

— ჯამაგირი რამდენი მოგცეო? — ჰკითხა გლეხმა.

— ასი ეკიუ მომეციო, — მიუგო პიერმა.

— მოგცემ, ოღონდ ერთი პირობით: ვინც ჩვენ შორის პირველი გაბრაზდება, ან იჩხუბებს, მეორემ მიბეგვოსო.

— მე, ბატონო, არასდროს ვბრაზდებიო.

მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ პიერი გაბრაზდა და ბატონს წაეჩხუბა. ბატონმა კარგა გვარიანად მიბეგვა და გაისტუმრა. პიერი შინ დაბრუნდა და თავის ძმას ქანს ყველაფერი უამბო. ქანმა ძმას სთხოვა, იმ გლეხის სახლი მაჩვენეო და წავიდა, რომ ახლა თვითონ დასდგომოდა მოჯამაგირედ. მაგრამ პიერის ძმა რომ იყო, არ გაუმხილა.

— ჯამაგირი რამდენი მოგცეო?

— ასი ეკიუ მომეციო.

— მოგცემ, ოღონდ ერთი პირობით: ვინც ჩვენ შორის პირველი გაბრაზდება ან იჩხუბებს, მეორემ მიბეგვოსო.

— მე, ბატონო, არასდროს ვბრაზდებიო.

მეორე დღეს ბატონმა ქანს უბრძანა, ბაზარში ხორბალი წაიღე და გაყიდეო. ქანმა ცხენები საზიდრიანად გაყიდა და ფული ძმას მიუტანა.

შინ რომ დაბრუნდა, ბატონმა ჰკითხა:

— საზიდარი და ცხენები რა იქნაო?

— გზაში ერთი კაცი შემხვდა და იმას მივყიდეო.

— ფული რა უყავიო?

— შენ რომ მიბეგვე, იმას მივეციო.

— შენ რა, ჩემი დაქცევა ხომ არ გინდაო?

— ბატონო, ხომ არ გაბრაზდიო?

— შენც ერთი, ასეთ წვრილმანებზე როგორ გავბრაზდებიო!

— ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა, ვინც გაბრაზდება, მიბეგვა არ ასცდებაო.

— გაბრაზება არც მიფიქრიაო!

მესამე დღეს გლეხმა თავის ცოლს უთხრა:

— ჟანს ყველაზე დიდი მუხის მოსაჭრელად გავგზავნი ტყეში, ხის მოთრევას ვერ შეძლებს, ამაზე გავლანძღავ და გაბრაზდებაო.

ჟანმა საზიდარში ოთხი ცხენი შეაბა და ტყეში წავიდა. წინანდებურად ცხენები საზიდრიანად გაყიდა და უკან დაბრუნდა.

— ეს რა ამბავია, — ჰკითხა ბატონმა. — საზიდარი რა იქნაო?

— საზიდარი ტალახში ჩაეფლო და იქ დავტოვეო.

— მაშ, შენ ჩვენი დაქცევა გინდაო? — იყვირა გლეხმა.

— მთლად გინდა გაგვაჩანაგო! — უფრო ხმამაღლა იყვირა გლეხის ქალმა.

— ბატონო, ხომ არ გაბრაზდიო!

— შენც ერთი, აბა, ასეთ წვრილმანებზე როგორ გავბრაზდებიო!

— ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა, ვინც გაბრაზდება, მიბეგვა არ ასცდებაო.

— გაბრაზება არც მიფიქრიაო!

ერთხელ ჟანი კალოზე პურს ლეწავდა. გლეხი და მისი ცოლი სასაუზმოდ წავიდნენ, ხოლო ჟანი არ წაიყვანეს. ჟანმა არ შეიმჩნია. მერე ადგა, ბაზარში წავიდა, გალენილი ხორბალი გაყიდა, დუქანში ლაზათიანად დანაყრდა და შინ დაბრუნდა.

— ჟან, ხორბალი სად არისო?

— თქვენ სასაუზმოდ არ წამიყვანეთ, ხორბალი გავყიდე და იმ ფულით ლაზათიანად დავნაყრდიო.

— შენ მთლად გაგვაჩანაგებ, ჟან, მთლად გაგვაჩანაგებო!

— ბატონო, ხომ არ გაბრაზდიო?

— შენც ერთი, ასეთ წვრილმანებზე როგორ გავბრაზდებიო.

— ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა, ვინც გაბრაზდება, მიბეგვა არ ასცდებაო.

— გაბრაზება არც მიფიქრიაო!

ცოლმა ქმარს ურჩია:

— მიდი, გოჭების სამწყესავად გააგდე. იქ კაციჭამია შეჭამს და თავს დავალწევთო.

ჟანმა გოჭები გაირეკა და სამწყესურში წავიდა. იქვე, ახლოს, კაციჭამიას სახლი იდგა და ჟანი სახლში შევიდა. ჟანს ხელში ბელურა ეჭირა.

— ალბათ ისე მაღლა ვერასოდეს აფრინდები, ეს ჩიტუნა რომ დაფრინავსო, — უთხრა კაციჭამიას ჟანმა.

— ვერა, ვერ ავფრინდებიო, — მიუგო კაციჭამიამ.

— მშიაო, — თქვა ჟანმა.

— მეც მშიაო, — მიუგო კაციჭამიამ. — რა კერძი მოვხარშოთო?

— მოდი, ფაფა გავაკეთოთო.

ფაფა რომ გამზადდა, სუფრას მიუსხდნენ. ჟანს მუცელთან წინასწარ დიდი ჯიბე ჰქონდა მიკერებული და, სანამ კაციჭამია თქლაფათქლუფით ჭამდა, ფაფას უჩუმრად ჯიბეში ისხამდა. ჯიბე რომ აევსო, ჟანმა ჯიბეს ძირი გაუჭრა და ფაფა იატაკზე გადმოღვარა, მერე ისევ შეუდგა ჭამას.

— ერთი შეხე, — თქვა კაციჭამიამ, — მეც მინდა მასე განვთავისუფლდე! მოდი მუცელი მეც გამიჭერო!

ჟანმა ბევრი არ ახვეწინა: დანის ერთი დასმით კაციჭამიას მუცელი გაუფატრა და სული გააფრთხობინა.

მერე ჟანი გოჭებთან დაბრუნდა, ყველას კუდი დააჭრა, გოჭები გაყიდა, კუდები მახლობელ ჭაობში ჩაარჭო და ბატონთან დაბრუნდა.

— გოჭები რა იქნაო? — ჰკითხა ბატონმა.

— ჭაობში ჩაიფლნენო.

— რას ამბობ, ახლავე უნდა ამოვიყვანოთო!

— ჭაობში შესვლა არ შეიძლებაო.

ბატონი მაინც წავიდა, ვნახავ რა ამბავიაო. სტაცა ხელი ერთ კუდს, იფიქრა გოჭს ამოვიყვანო, მაგრამ ხელში მარტო კუდი შერჩა. გლეხმა თავი ვერ შეიმაგრა და ტალახში მოადინა ტყაპანი.

— შენ მთლად გაგვაჩანაგებ, ჟან, მთლად გაგვაჩანაგებო!

— ბატონო, ხომ არ გაბრაზდიო?

— შენც ერთი, ასეთ წვრილმანებზე როგორ გავბრაზდებიო.

— ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა, ვინც გაბრაზდება, მიბეგვა არ ასცდებაო.

— გაბრაზება არც მიფიქრიაო!

ცოლმა ქმარს უთხრა:

— ჟანი ბატების სამწყესურში უნდა გავგზავნოთო.

ჟანმა ბატები გაირეკა და სამწყესურში წავიდა. ორი-სამი ბატი გაყიდა და შინ დაბრუნდა.

— ჟან, რამდენიმე ბატი აკლიაო, — უთხრა ბატონმა.

— ჩემი ბრალი არ არის, რომელიღაც ნადირმა მომტაცაო.

— შენ მთლად გაგვაჩანაგებ, ჟან, მთლად გაგვაჩანაგებო!

— ბატონო, ხომ არ გაბრაზდიო?

— შენც ერთი, ასეთ წვრილმანებზე როგორ გავბრაზდებიო.

— ჩვენი პირობა ხომ არ დაგავიწყდა, ვინც გაბრაზდება, მიბეგვა არ ასცდებაო.

— გაბრაზება არც მიფიქრიაო!

— ეშმაკის მოციქულია ჩვენი მსახური, — უთხრა მეორე დღეს ცოლმა ქმარს, — გაგვაჩანაგებს. წავალ, ბუჩქებს ამოვეფარები და ვნახავ, ბატებს რას უშვრებაო.

ჟანმა ცოლის სიტყვებს ყური მოჰკრა. სანამ სამწყესურში წავიდოდა, ბატონს უთხრა:

— შენს თოფს წავიღებ. თუ ის ნადირი ისევ გამოჩნდება, მოვკლავო.

როგორც კი ბუჩქებში დამალული ქალი დაინახა, ჟანმა თოფი გადმოიღო, ესროლა და მოკლა.

— ბატონო, ბატები დაითვალე, ერთიც არ აკლია. ის ნადირი მოვკალიო. — უთხრა გლეხს.

— ოჰ, შე არამზადავ, ეს რა გიქნია, ჩემი ცოლი მოგიკლავსო!

— ვერაფერს გეტყვი. ასეა თუ ისე, დიდი ნადირი კი მოვკალი. შენ კი, მგონი, მართლაც ბრაზდებიო!

— როგორ თუ არ გავბრაზდებო!

მაშინ ჟანმა თავის ბატონი მიბეგვა და შინ წავიდა, მეც სახლში გამოვწიე.

### ხელმწიფის ვაჟი და ცხენი ბაიარი

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ვაჟი. ერთხელ ხელმწიფემ ვაჟს უთხრა:

— შვილო, ერთი-ორი კვირით უნდა წავიდე, კოშკის ყველა გასაღებს გიტოვებ, მაგრამ, აი, ამ ოთახში შესვლას გიკრძალავო.

— კარგი, მამი, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.



როგორც კი მამა წავიდა, ხელმწიფის ვაჟმა იმ ოთახში შეირბინა და მშვენიერი ოქროს აუზი დაინახა. ხელმწიფის ვაჟმა აუზში თითი დაისველა. თითი მაშინვე ოქროს ვარაყით დაეფარა. ხელმწიფის ვაჟი შეეცადა ვარაყი მოეცილებინა, ბევრიც ფხიკა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სხვა რომ ვერა მოახერხა რა, თითი ჩვრით შეიხვია.

ხელმწიფე იმავე საღამოს დაბრუნდა შინ.

— შვილო, იმ ოთახში ხომ არ შესულხარო?

— არა, მამი, არ შევსულვარო.

— თითზე რა მოგივიდაო?

— არაფერიო.

— შვილო, შენს თავს რაღაც ამბავიაო!

— მსახურებს პურს ვუჭრიდი და ხელი გავიჭერიო.

— აბა, მაჩვენეო.

სხვა რა გზა ჰქონდა. ხელმწიფის ვაჟი მამის ნებას დაჰყვა.

— საკუთარ შვილს თუ არ ვენდე, სხვას ვილას ვენდოო, — თავისთვის თქვა მამამ, მერე ვაჟს მიუბრუნდა:

— ორი კვირით ისევ მივდივარ. აი ყველა გასაღები, მაგრამ იმ ოთახში არ შეხვიდე, მე რომ ავიკრძალო.

— კარგი, მამი, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

მაგრამ როგორც კი მამა წავიდა, ხელმწიფის ვაჟმა ოქროს შადრევანთან მიირბინა და თავი და ტანი დაისველა. იმავე წამს ტანსაცმელი და თმა ოქროს ვარაყით დაეფარა. მერე ხელმწიფის ვაჟი თავლაში შევიდა. თავლაში ორი ცხენი ება — მორო და ბაიარი.

— მორო, შენი ერთი კამარა რამდენ ლიეს უდრისო? — ჰკითხა ხელმწიფის ვაჟმა მოროს.

— თვრამეტს უდრისო.

— შენი, ბაიარ, შენი რამდენსლა უდრისო.

— თხუთმეტს, მაგრამ მე მოროზე გონიერი ვარ. არ ინანებ, მე თუ წამიყვანო.

ხელმწიფის ვაჟი ბაიარს მოახტა და გაქუსლა.

ხელმწიფე შინ იმავე საღამოს დაბრუნდა. ვაჟი ვერსად რომ ვერ იპოვა, თავლას მიაშურა.

— ბაიარი სადღააო? — ჰკითხა მოროს.

— ბაიარი შენს ვაჟთან ერთად გაიქცაო.

ხელმწიფე მოროს მოახტა და შვილს დაედევნა.

კარგა ხნის სირბილის მერე ბაიარმა ხელმწიფის ვაჟს უთხრა:

— ოჰ, ხელმწიფის ვაჟო, დავილუპეთ, მოროს სუნთქვა მესმის. აჰა, ღრუბელი, და, რაც შეიძლება, შორს გადააგდეო.

ხელმწიფის ვაჟმა გადააგდო ღრუბელი. მაშინვე იმ ადგილას, სადაც ღრუბელი დაეცა, გაუვალი ტყე აიყარა. ხელმწიფე შეერია ამ ტყეს და გავიდა.

— ოჰ, ხელმწიფის ვაჟო, დავილუპეთ, — შესძახა ბაიარმა, — მოროს სუნთქვა მესმის. აჰა, სამურველი და რაც შეიძლება, შორს გადააგდეო.

ხელმწიფის ვაჟმა გადააგდო სამურველი და მაშინვე ხელმწიფესა და მათ შუა უკიდევანო მდინარე გაიკლაკნა. ხელმწიფემ მდინარეში შეცურა და გავიდა.

— ოჰ, ხელმწიფის ვაჟო, დავილუპეთ, — შესძახა ბაიარმა, — მოროს სუნთქვა მესმის. აჰა, ქვა და რაც შეიძლება შორს გადააგდეო.

ხელმწიფის ვაჟმა გადააგდო ქვა და მაშინვე სამართებლებით მოფენილი თვალუწვდენელი მთა აიშართა. ხელმწიფეს უნდოდა მთა გადაევიდა, მაგრამ მორომ სამართებლებზე ფეხები დაისერა. შუამდე ძლივს მიაღწიეს და ისევ უკან გაბრუნდნენ.

ხელმწიფის ვაჟმა და ბაიარმა ცოტა რომ გაიარეს, ერთი მოჯამაგირე შემოხვდათ. ბიჭს მოჯამაგირეობის ვადა გათავებოდა და შინ ბრუნდებოდა.

— მეგობარო, გინდა ტანსაცმელი გავცვალოთო? — ჰკითხა ხელმწიფის ვაჟმა.

— ეჰ, ბატონო, რატომ დამცინიო?

მაგრამ ხელმწიფის ვაჟი არ დასცინოდა. მან მოჯამაგირის ტანსაცმელი ჩაიცვა, მერე ხარის ბუმტი იყიდა და თავზე ჩამოიფხატა.

ასე მორთულ-მოკაზმული იმ ქვეყნის ხელმწიფის ციხე-კოშკს მიადგა და იკითხა, მზარეული ხომ არ გინდათო. უთხრეს, გვინდაო. რახან ხარის ბუმტს არასოდეს იშორებდა, — თმა არ გამომიჩნდესო, — ციხე-კოშკში ყველა ქეციანს ეძახდა.

ხელმწიფეს სამი ქალი ჰყავდა. სამივეს გათხოვებას უპირებდა. ხელმწიფის ასულებს თავიანთი რჩეულებისთვის ოქროს ვაშლი უნდა ესროლათ. მეფის კარის ყველა დიდებული დაწალიკებული ეახლა ასულებს. უფროსმა დებმა ვაშლები ისროლეს: — ერთმა კუზიანს ესროლა, მეორემ — კოჭლს. ქეციანი დიდებულებში გაერია და უმცროსმა მეფის ასულმა თავისი ვაშლი მას ესროლა: ქალი ხედავდა ხოლმე, მზარეული მალულად ოქროს თმას რომ ივარცხნიდა და იცოდა, ვინც იყო.

ხელმწიფე თავისი ასულების არჩევანმა ძალიან განარისხა.

— ქეციანი, კუზიანი, კოჭლი, კარგი სიძეებია მე და ჩემმა ღმერთმა! — შესძახა ხელმწიფემ.

გაიარა ცოტა ხანმა და ხელმწიფე ავად გახდა. თუ რამე მოარჩენდა, მხოლოდ უნგრელი დედოფლის სამი დოქი წყალი მოარჩენდა. კოჭლი და კუზიანი სიძეები წყლის საშოვნელად წავიდნენ; ხელმწიფის ვაჟმა ცოლს უთხრა:

— წადი, მამაშენს ჰკითხე, წყლის საშოვნელად წასვლის ნებას თუ დამრთავსო.

— გამარჯობა, ძვირფასო მამი.

— გაგიმარჯოს, ქეციანის ქალბატონო.

— ქეციანი სიძე გეკითხება, წყლის საშოვნელად წასვლის ნებას თუ დამრთავო.

— როგორც ენებოს. ჯაგლაგი ცხენი წაიყვანოს და წავიდეს, უკან ნულარ დაბრუნდებო.

ხელმწიფის ასული თავის ქმართან დაბრუნდა.

— მამაშენმა რა თქვაო?

— თქვა, ჯაგლაგი ცხენი წაიყვანოს და წავიდესო, — მაგრამ ის კი დაუმალა, უკან ნულარ დაბრუნდებო, რომ უთხრა.

ხელმწიფის ვაჟი ჯაგლაგ ცხენზე შეჯდა და იმ ტყეში წავიდა, სადაც ბაიარი დატოვა. ბაიარის მახლობლად უნგრელი დედოფლის სამი დოქი წყალი იპოვა. ხელმწიფის ვაჟმა დოქები აიღო და ისევ ჯაგლაგ ცხენზე შეჯდა. დუქანს რომ ჩაუარა, ორივე ქვისლი იქ დახვდა. ქვისლები ღვინოს სვამდნენ და იცინოდნენ.

— ეს რა ამბავია! — უთხრა მან. — განა, წყლის მოსატანად არ წახვედითო?

— მეტი საქმე არა გვაქვს. შენ რა, წყალი ხომ არ გიშოვიაო?

— ვიშოვეო.

— მაშ, მოდი, ეგ სამივე დოქი მოგვყიდეო.

— ისე მოგვცემთ, თუკი უკანალზე ას-ას სადგისს მაჩხვლეტინებთო.

— თანახმა ვართო.

კოჭლმა და კუზიანმა სიძეებმა ხელმწიფეს უნგრელი დედოფლის სამი დოქი წყალი მოუტანეს.

— ჩემი ქეციანი სიძე ხომ არ შეგხვედრიათო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— არ შეგხვედრია. დიდო ხელმწიფევ, — მიუგეს მათ.

— კარგი ვინმე ბრძანდება ჩვენი ქეციანი სიძე, წუნი არ დაედებო!

გავიდა ცოტა ხანი და ომი ატყდა. ხელმწიფის ვაჟმა ცოლს უთხრა:

— წადი, მამაშენს ჰკითხე, ლაშქრად წასვლის ნებას თუ დამრთავსო. — გამარჯობა, ძვირფასო მამი.

— გაგიმარჯოს, ქეციანის ქალბატონო.

— ქეციანი სიძე გეკითხება, ლაშქრად წასვლის ნებას თუ დამრთავო.

— როგორც ენებოს! ჯაგლაგი ცხენი წაიყვანოს და წავიდეს, უკან ნულარ დაბრუნდებაო.

ხელმწიფის ასული თავის ქმართან დაბრუნდა.

— მამაშენმა რა თქვაო?

— თქვა, ჯაგლაგი ცხენი წაიყვანოს და წავიდესო, — მაგრამ ის კი დაუძალა, უკან ნულარ დაბრუნდებაო, რომ უთხრა.

ხელმწიფის ვაჟი ჯაგლაგ ცხენზე შეჯდა და ტყეში წავიდა. იქ თავისი ოქროსვარაყიანი ტანსაცმელი ჩაიცვა, შეჯდა ბაიარზე და მტერს ეკვეთა. სულ მალე ყველა დაამარცხა. ხელმწიფის ვაჟი თავისი მამის ჯარს ებრძოდა.

კოჭლი და კუზიანი სიძეები, ბრძოლას შორიდან რომ უყურებდნენ, ხელმწიფესთან გაიქცნენ და მოახსენეს:

— ოჰ, დიდებულო ხელმწიფევ, ნეტა ის გმირთა გმირი გენახა ომი რომ მოიგო!

— სამწუხაროა, რომ ჩემი უმცროსი ასული გათხოვილია, თორემ სიხარულით ცოლად გავატანდი. ჩემი ქეციანი სიძე ხომ არ შეგხვედრიათო?

— არ შეგხვედრია, დიდო ხელმწიფევ!

— კარგი ვინმე ბრძანდება ჩვენი ქეციანი სიძე, წუნი არ დაედებაო!

ისევ დაიწყო ომი. ხელმწიფის ვაჟმა ცოლი მამამისთან გაგზავნა და ლაშქრად წასვლის ნებართვა ითხოვა. მერე ჯაგლაგი ცხენით ტყემდე მივიდა, იქ ოქროთი მოვარაყებული ტანსაცმელი ჩაიცვა, შეჯდა ბაიარზე და უწინდელზე დამშვენებული, ბრძოლაში ჩაება. ხელმწიფის ვაჟმა ბრძოლა მოიგო, კოჭლი და კუზიანი სიძეები კი შორიდან უცქეროდნენ და ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ:

— რა ლამაზია! რა მამაციაო!

— ოჰ, დიდებულო, ხელმწიფევ, ნეტა ის გმირთა გმირი გენახა, ომი რომ მოიგო!

— სამწუხაროა, რომ ჩემი უმცროსი ასული გათხოვილია, თორემ სიხარულით ცოლად გავატანდი. ჩემი ქეციანი სიძე ხომ არ შეგხვედრიათო?

— არ შეგხვედრია, დიდო ხელმწიფევ!

— კარგი ვინმე ბრძანდება ჩვენი ქეციანი სიძე, წუნი არ დაედებაო!

საჭირო იყო კიდევ ორი დოქი უნგრელი დედოფლის წყალი, რომ ხელმწიფე მთლად მორჩენილიყო. ხელმწიფის ვაჟმა ცოლი მამამისთან გაგზავნა და წყლის მოსატანად წასვლის ნებართვა ითხოვა. მერე ჯაგლაგი ცხენით ტყეში წავიდა. ბაიარის მახლობლად ორი დოქი წყალი იპოვა, დოქები აიღო და უკან გამობრუნდა. დუქანს რომ ჩაუარა, ორივე ქვისლი დაინახა. ქვისლები ღვინოს სვამდნენ და იცინოდნენ.

— ეს რა ამბავია! განა წყლის მოსატანად არ წამოხვედითო? — ჰკითხა ხელმწიფის ვაჟმა.

— მეტი საქმე არა გვაქვს. შენ, რა, წყალი ხომ არ გიმოვიაო?

— ვიშოვე, ორი დოქი მიმაქვსო.

— მოდი, ეგ ორივე დოქი მოგვყიდეო.

— ისე მოგართმევთ, თუკი ოქროს ვაშლებს მომცემთო.

— ამაზე როგორ გაწყენინებთ, ინებეო!

ხელმწიფის ვაჟმა ოქროს ვაშლები აიღო, ქვისლებმა კი — წყლით სავსე დოქებს სტაცეს ხელი.

— ჩემი ქეციანი სიძე ხომ არ შეგხვედრიათო? — ჰკითხა ხელმწიფემ, ქვისლები შინ რომ დაბრუნდნენ.

— არ შეგხვედრია, დიდო ხელმწიფევ, — მიუგეს სიძეებმა.

— კარგი ვინმე ბრძანდება ჩვენი ქეციანი სიძე, წუნი არ დაედებაო!

გავიდა რამდენიმე ხანი და ქვეყანას ისევ შემოესია მტერი. ხელმწიფის ვაჟი წინანდებურად ჯაგლაგი ცხენით ტყეში წავიდა. იქ ოქროთი მოვარაყებული ტანსაცმელი ჩაიცვა, უწინდელზე დამშვენებული ბაიარზე შეჯდა და გაქუსლა. ხელმწიფის ვაჟმა ისევ

მოიგო ომი. როცა უკან გამოაჭენა ცხენი, ხელმწიფემ, ამჯერად ბრძოლას რომ ესწრებოდა, მხედარს ბარძაყში ისარი სტყორცნა, მერე მის კვალს ამით მივაგნებო.

ტყეში რომ დაბრუნდნენ, ბაიარმა თავის პატრონს უთხრა:

— მეც შენსავით ხელმწიფის შვილი ვარ. აქამდე მოჯადოებული ვიყავი და სხვა ხელმწიფის შვილისთვის ხუთი დავალება უნდა შემესრულებინა. თუ გასურს, თან გამომყევი. მინდა, ჩემი სამფლობელო დავიბრუნო.

ხელმწიფის ვაჟმა გაყოლა არ ისურვა, შეჯდა თავის ჯაგლაგ ცხენზე და ციხე-კოშკში დაბრუნდა.

ხელმწიფემ ბრძანა, ყველგან გამოაცხადეთ, იმ ჭაბუკს უხვად დავაჯილდოვებ, ვინც ომი მოიგო. ბევრი ბედისმადიებული მოაწყდა ხელმწიფის ციხე-კოშკს, თან წინასწარ ბარძაყში ისარს ირჭობდნენ, მაგრამ აბა ვინ არ მიხვდებოდა, რომ ეს ხელმწიფის ისარი არ იყო.

ამასობაში ხელმწიფის ვაჟი შინ დაბრუნდა და ცოლმა ექიმთან კაცი აფრინა, ისარი ამოუღოსო. ხელმწიფემ დაინახა, სიძესთან ექიმი რომ შევიდა. რახან ექიმს შეაგვიანდა, ხელმწიფე თვითონ ეახლა სიძეს. შევიდა თუ არა, თავისი ისარი იცნო. ეს რა ამბავიაო, გაუკვირდა ხელმწიფეს. მაშინ ხელმწიფის ვაჟმა უთხრა:

— ყველაფერი მე გავაკეთე. ჯერ ჩემი ცხენის მახლობლად, ტყეში უნგრელი დედოფლის სამი დოქი წყალი ვიპოვე. დოქები ჩემს ქვისლებს მივეცი, სამაგიეროდ, უკანალზე ას-ასი სადგისი ვუჩხვლიტე. მერე ორი დოქის სანაცვლოდ ოქროს ვაშლები გამოვართვიო.

მაშინ მეფემ კოჭლ და კუზიან სიძეებს უხმო.

— აბა, თქვენი ოქროს ვაშლები სადააო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— არ გვაქვსო.

ორივეს პანღური ამოჰკრეს და ციხე-კოშკიდან გააგდეს.

ხელმწიფის ვაჟის მამასთან მშვიდობა ჩამოაგდეს და დაიწყეს ბედნიერი და საამური ცხოვრება.

## ორი ბებერი ჯარისკაცი

იყო ორი ჯარისკაცი, ორივეს სამოცისთვის გადაეხიჯა. ჯარიდან რომ დაითხოვეს, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. გზაში ბჭობა გამართეს: თავი როგორ ვირჩინოთ, ამ ხნოვანებაში ხელობას ვეღარაფერს ვისწავლით. მოწყალეებასაც არავინ გაიმეტებს, ხელის გამოღება კიდევ შეგიძლიათო და არაფერს მოგვამავებენ.

მაშინ ერთმა ჯარისკაცმა თქვა:

— წილი ვყაროთ, ვისაც შეხვდება, თვალეები დაითხაროს და სამათხოვროდ ერთად ვიაროთო.

მეორე ჯარისკაცს ეს აზრი მოეწონა და დაყაბულდა.

წილი იმას შეხვდა, ვისაც ეს აზრი დაეხდა. ერთმა მეგობარმა მეორეს თვალეები დათხარა და მისი გამძლოლობა იკისრა. ასე ხელეგაწვდილი დადიოდნენ ისინი კარდაკარ. ხალხი მოწყალეებას უხვად იმეტებდა, მაგრამ ბრძმას, აბა, რა სარფა ჰქონდა? რაც კი რამ ნუგბარი იყო, გამძლოლი თვითონ მიირთმევდა, ბრძმას კი ძვლებსა და ხმელ პურს უყრიდა.

— ვაი, ჩემს თავს, — ოხრავდა უბედური. — ის არ მეყოფა, რომ ბრძმა ვარ, ასე რატომ მჩაგრავო?

— თუკი წუწუნს თავს არ დაანებებ, შენზე ხელს ავიღებო.

მაგრამ საბრალო ბრძმამ ჩივილი ვერ მოიშალა და ბოლოს გამძლოლმა იგი ტყეში დატოვა.

ბრძმა დიდხანს დაეხეტებოდა ტყეში, ბოლოს ერთ ხესთან შედგა...

«რა მეშველება, — ფიქრობდა იგი, — მალე დაღამდება და მხეცები დამგლეჯენო».

თავი რომ გადაერჩინა, ხეზე აფოფხდა.

შუა ღამემ რომ მოატანა, ხესთან ოთხი ნადირი მოვიდა: მელა, ტახი, მგელი და შველი.

— მე რაღაც ვიცი, მაგრამ არავის ვეტყვიო, — თქვა მელამ.

— რაღაც მეც ვიციო, — თქვა მგელმა.

— მეც ვიციო, — თქვა შველმა.

— შენ რა უნდა იცოდე, რქებიც კი ერთი ციცქნა გაქვსო, — შეუტია ტახმა.

— ეჰე! ეს პაწია თავიცა და რქებიც ჭკუითა მაქვს გატენილიო, — მიუგო შველმა.

— მაშ, ვინ რა იცის, გვითხრასო, — თქვა ტახმა.

— შორიახლოს მდინარე მიედინება, — დაიწყო მელამ. — ის მდინარე ბრმის წამალია. ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ ცალ თვალში ჩინი წამრთმევია, მაგრამ იმ წყლით ამომიბანია და მაშინვე სინათლე დამბრუნებია.

— იმ მდინარის ამბავი მეც გამიგონია, — თქვა მგელმა, — მაგრამ მე შენზე მეტი ვიცი: ხელმწიფის ასული ძალიან ავადაა, ვინც მოარჩენს, ცოლად გაატანენ. საკმარისია ხელმწიფის ასულმა იმ მდინარის წყალი დალიოს და მორჩებაო.

შველმა კი თქვა:

— ქალაქ ლიონს სასმელი წყალი არ ჰყოფნის. თხუთმეტი ათას ფრანკს\* (\* ფრანკი საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსენბურგისა და მონაკოს ფულის ერთეული.) ჰპირდებიან იმას, ვინც ხალხს ამ გაჭირვებისაგან იხსნის. თავისუფლების ხესთან მიწას ბარი რომ დაჰკრან, წყარო ამოხეთქავს და წყალი ყველას ულეველი ექნებაო.

— მე არაფერი ვიციო, — თქვა ტახმა და ნადირნი დაიშალნენ.

— ოჰ, ნეტა ის მდინარე მაპოვნინაო, — ინატრა ბრმამ.

იგი ხიდან ჩამოძვრა და ხელის ცეცებით გზას გაუდგა.

ბოლოს მდინარეს მიადგა. თვალეები წყლით ამოიბანა თუ არა, თვალის ჩინი დაუბრუნდა.

მაშინ ჯარისკაცი ლიონის მერთან გაიქცა და უთხრა, თუკი წყალი უმრეტად გინდა მოედინებოდეს, უბრძანე, თავისუფლების ხესთან მიწას ბარი დაჰკრანო. მართლაც, დაჰკრეს თუ არა ბარი, იხუვლა წყალმა, სვი, რამდენიც გენებოს! ჯარისკაცს დანაპირები თხუთმეტი ათასი ფრანკი მისცეს და გაისტუმრეს. ჯარისკაცი ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა:

— დიდო ხელმწიფე, გავიგე, რომ შენი ასული ძალიან ავადაა. მისი მოსარჩენი წამალი ვიციო, — და ჯარისკაცმა ყველაფერი უამბო.

ხელმწიფემ მაშინვე მსახურები გაგზავნა მდინარეზე. ხელმწიფის ასულს ამ წყალს ასმევდნენ, ამ წყალში აბანავებდნენ და ავადმყოფი გამოკეთდა.

ხელმწიფემ ჯარისკაცს უთხრა:

— მართალია, ხანში ხარ შესული, მაგრამ ქალს მაინც მოგათხოვებ, თუ ფული გირჩევნია, ფულს მოგართმევო.

ჯარისკაცს ხელმწიფის ასულის ქმრობა ერჩია: იცოდა, რომ ხელმწიფე თავის ქალს ფულსაც მისცემდა და მზითვსაც. მაშინვე ქორწილი გადაიხადეს.

ერთხელ თავის ბაღში რომ სეირნობდა, ჯარისკაცმა ჩამომონძილი ხელგაშვერილი გლახა დაინახა. ჯარისკაცმა მაშინვე იცნო ძველი მეგობარი. იგი გლახას მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ადრე კარდაკარ ორნი არ დადიოდით? შენი დოსტი სად არისო?

— მოკვდაო, — მიუგო გლახამ.

— მართალი მითხარი და არ ინანებ, იმ კაცს რა დაემართაო?

— ტყეში დავტოვეო.

— რატომ დავტოვეო?

— მუდამ წუწუნებდა, თუმცა რაც ნუგზარი იყო, მას ვაძლევდი. რახან კბილები არ ჰქონდა, პურის გულს იმას ვთავაზობდი, მე ქერქებს ვღრღნიდი, ხორცს იმას ვაჭმევდი, მე ძვლებს ვხრავდიო.

— სიცრუეა. ეგრე არა და, პირუკუ კი იქცეოდი. შენს ამხანაგს ახლა თუ იცნობდიო?

— ვერ გეტყვიო.

— აბა იცოდე! ის ამხანაგი მე ვარო.

— შენ ხომ ხელმწიფე ხარო.

— ცხადია, მაგრამ შენი ყოფილი ამხანაგიც ვარ. შემოდი, ყველაფერს გიამბობო.

როცა ბრმის თავგადასავალი მოისმინა, გლახამ უთხრა:

— კარგი იყო, მეც მეცადა ბედი! იმ ხესთან მიმიყვანე, იქნებ ნადირნი ისევ მოვიდნენო.

— სიამოვნებით, — უპასუხა ყოფილმა ამხანაგმა, — ბოროტს კეთილად გადაგიბდიო.

მათლაც, წაიყვანა ტყეში და გლახა მაშინვე ხეზე აფოფხდა. შუალამემ რომ მოატანა, ოთხმა ნადირმა ისევ ერთად მოიყარა თავი. მელამ თქვა:

— ჩვენი იმდამინდელი ნათქვამი გამჟღავნდა: ხელმწიფის ქალი მორჩა, ხოლო ქალაქ ლიონში წყალი უღეველია. ჩვენი საიდუმლო გარეთ ვინ გაიტანაო?

— მე არ გამიტანიაო, — თქვა მგელმა.

— არც მეო, — თქვა შველმა.

— დარწმუნებული ვარ, ტახტი გაიტანდა, — განაგრძობდა მელა. — მას სათქმელი არაფერი ჰქონდა და ჩვენი ნალაპარაკები სადღაც წამოროშაო.

— ტყუილიაო, — წამოიძახა ტახმა.

— გვიფრთხილდი, სამივენი გაგისწორდებითო.

— თქვენი არ მეშინია, — თქვა ტახმა და ეშვები გამოაჩინა. — აბა გაბედეთ და ხელი მახლეთო!

უცებ მაღლა აიხედეს და ხეზე გლახა დაინახეს.

— ოჰო, ვიღაც კაცი ყურს გვიგდებსო!

მაშინვე ხეს ეცნენ, ძირი გამოუთხარეს, წააქციეს და გლახა ნაკუწებად აქციეს.

### ს ი მ ა რ თ ლ ი ს მ თ ქ მ ე ლ ი ჩ ი ტ ი

იყო მეფე, ჰყავდა ცოლი. მეფე საომრად წავიდა და თვეში გადამდგარი ცოლი შინ დატოვა.

მეფის დედას რძალი არ უყვარდა და სულ იმის ცდაში იყო, რაიმე ევნო. მეფის არყოფნაში დედოფალს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა. ბებერმა დედოფალმა მაშინვე ვაჟთან წერილი აფრინა, შენს ცოლს ლეკვი და კნუტი ეყოლაო. მეფემ მოიწერა, ორივე კიდობანში ჩასვით და ზღვაში გადაყარეთო. ასეც მოიქცნენ — ორივე ბავშვი კიდობანში ჩასვეს და ტალღებს გაატანეს.

იმ მხარეში ერთი ვაჭარი მოგზაურობდა ცოლთან ერთად და ტალღებზე მოქანავე კიდობანი დაინახა.

— ოჰ, რა ლამაზი კიდობანია! — შესძახა ვაჭრის ცოლმა. — ნეტა შიგ რა დევს? ალბათ რამე ძვირფასი ნივთიაო.

ვაჭარმა კიდობანი წყლიდან ამოათრია და ცოლს მისცა. თავდაპირველად ქალი ვერც კი ბედავდა კიდობნისთვის ხელის ხლებას. ბოლოს, კიდობანს თავი ახადა და შიგ ულამაზესი ქალ-ვაჟი დაინახა. ვაჭარმა და მისმა ცოლმა შეიფარეს ბავშვები და თავიანთ ორ შვილთან ერთად დაუწყეს აღზრდა. ყოველ დილით ბიჭის სასთუმალქვეშ ორმოცდაათ ეკიუს პოულობდნენ, ხოლო გოგონას გულზე — მოციმციმე ოქროს ვარსკვლავს.

ერთხელ, სკოლაში, ბიჭმა ვაჭრის შვილს უთხრა:

— ძმაო, ჰურის წამოღება დამავიწყდა და ცოტა მომიტეხეო.

— მე შენი ძმა არა ვარ, შენ ნაშვილები ხარ, კიდობანში გიპოვეს, ზღვაში გადაგდებული. არავინ იცის საიდან მოხვედიო.

საბრალო ბიჭი მწარედ დალონდა.

— რახან შენი ძმა არა ვარ, მამაჩემის საძებნელად წავალო.

ბიჭმა თავისი გადაწყვეტილება დედობილსა და მამობილს გაუმჟღავნა. მათ ბიჭი ძალიან უყვარდათ, ვინ იცის, იქნებ იმ ორმოცდაათ ეკიუს გამოისობით, და გაშვება არ უნდოდათ. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, ვერა და ვერ დაიყოლიეს ბიჭი. ბიჭმა დას ხელი ჩაჰკიდა და უთხრა:

— წამოდი, დაო, მამის საძებნელად წავიდეთო.

ორივენი გზას გაუდგნენ.

იარეს, იარეს და, მალე დიდ კომპს წააწყდნენ. შევიდნენ და იკითხეს, ჭურჭლის მრეცხავი და უმცროსი მეჯინიბე ხომ არ გქირდებათო. ამ კომპის პატრონი თურმე ბავშვების მამა არ იყო?! ბებერმა დედოფალმა ბავშვები ვერ იცნო, მაგრამ ეჭვმა გაკენწლა. მან და-ძმას ალმაცერად შეხედა და თქვა:

— აბა, რა მსახურები ესენი იქნებიან! გარეთ გაუძახეთო!

ბავშვები მაინც დატოვეს სასახლეში. ისინი თავიანთ საქმეს ცუდად როდი უძღვე-ბოდნენ, მაგრამ ბებერი დედოფალი თავისას არ იშლიდა:

— ეს ბავშვები არაფრად ვარგანან, უნდა გავყაროთო.

ერთხელ ბებერმა დედოფალმა მეფეს უთხრა:

— ბიჭს დაუკვებნია, მოცეკვავე წყალს ავაჩენო.

მეფემ მაშინვე ბიჭს უხმო.

— ყური მიგდეთო, — უთხრა, — უნდა მოგელაპარაკოო.

— რა გნებავთო?

— დაგიკვებნია, მოცეკვავე წყალს ავაჩენო.

— მე დამიკვებნია? ასეთ წყალს როგორ ავაჩენ, არც კი ვიცი, სად არისო.

— დაგიკვებნია, თუ არ დაგიკვებნია, ეს სულ ერთია, თუ ხვალ შუადღისვის მოცეკ-ვავე წყალს არ მოიტან, ცოცხლად დაგწვავო.

— რაც მოსახდენია უნდა მოხდესო, — თქვა ბიჭმა და გზას გაუდგა.

გზაში კეთილი ფერია შეხვდა.

— მეფის შვილო, სად მიდიხარო?

— მეფის შვილი კი არა, არ ვიცი, ვინა ვარ. ბებერი დედოფალი იმის ცდაშია, რო-გორმე ბოლო მომიღოს. მოცეკვავე წყლის შოვნა მომთხოვა, მე კი არ ვიცი, ეს რა წყალი-აო.

— რომ გიშველო, რას მომცემო?

— ორმოცდაათი ეკიუ \* (\* ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული).

მაქვს და სიხარულით მოგცემო.

— ძალიან კარგი! შეხვალ მწვანე ჭალაში და ორნაირ წყალს ნახავ; ერთი წყალი ცეკ-ვავს, მეორე — არა. შენ შუშაში მოცეკვავე წყალი ჩაასხი და იქაურობას სწრაფად გაეცა-ლეო.

ბიჭმა მოცეკვავე წყალი იპოვა და მეფეს მოუტანა.

— ეს წყალი მართლა ცეკვავსო? — ჰკითხა მეფემ.

— დავინახე, რომ ცეკვავდა, მაგრამ არ ვიცი, ახლაც იცეკვებს თუ არაო.

— თუკი ცეკვავდა, ახლაც იცეკვებს. ჯერჯერობით კი შეინახონო.

მეორე დღეს ბებერმა დედოფალმა მეფეს უთხრა:

— ბიჭს დაუკვებნია, მომღერალ ვარდს ავაჩენო.

მეფემ ბიჭს უხმო და უთხრა:

— დაგიკვებნია, მომღერალ ვარდს ავაჩენო.

— მე დამიკვებნია? ასეთ ვარდს როგორ ავაჩენ, როცა არც კი ვიცი, რა ვარდიაო.

— დაგიკვებნია, თუ არ დაგიკვებნია, ეს სულ ერთია, თუ ხვალ შუადღისათვის არ მოიტან, ცოცხლად დაგწვავო.

ბიჭი გზას გაუდგა და ისევ იმ კეთილ ფერიას შეხვდა.

— მეფის შვილო, სად მიდიხარო?

— მეფის შვილი კი არა, არ ვიცი, ვინა ვარ. მეფეს სურს მომღერალი ვარდი მივუტანო, მაგრამ არ ვიცი, სად ვიპოვო..

— რომ გიშველო, რას მომცემო?

— რაც პირველად მოგეცი, — ორმოცდაათ ეკიუსო.

— ძალიან კარგი. შეხვალ ჩინებულ ბაღში: იქ დაინახავ ორნაირ ვარდს, ერთი მღერის, მეორე — არა. მომღერალი ვარდები სწრაფად დაკრიფე და მაშინვე უკან გამობრუნდი. გზაში არ დაახანო.

ბიჭმა ყველაფერი ისე გაკეთა, როგორც ფერიამ ურჩია და მეფეს ვარდი მიუტანა.

— ეს ვარდი არ მღერისო, — თქვა ბებერმა დედოფალმა.

— მღერის თუ არა, მერე ვნახავო! — მიუგო მეფემ.

ცოტა ხნის მერე ბებერმა დედოფალმა მეფეს უთხრა:

— გოგოს დაუკვებნია, სიმართლის მთქმელ ჩიტს ავაჩენო.

მეფემ მაშინვე გოგოს უხმო და უთხრა:

— დაგიკვებნია, სიმართლის მთქმელ ჩიტს ავაჩენო.

— არა, მეფეო, არაფერი მითქვამს. ასეთი ჩიტის პოვნა როგორ შემძლიაო?

— დაგიკვებნია, თუ არ დაგიკვებნია, ეს სულ ერთია, თუ ხვალ შუადღისთვის არ მომგვრი, ცოცხლად დაგწვავო.

სხვა რა ჩარა იყო, გოგონა გზას გაუდგა. კეთილი ფერია გოგონასაც შეხვდა.

— მეფის ქალო, სად მიდიხარო?

— მეფის ქალი კი არა, ერთი საწყალი ჭურჭლის მრეცხავი ვარ. ბებერ დედოფალს ჩვენი დალუპვა უნდა, სიმართლის მთქმელი ჩიტის მოსაყვანად გამგზავნა, მაგრამ არ ვიცი, სად ვიპოვო.

— რომ გიშველო, რას მომცემო?

— ოქროს ვარსკლავს. თუ გეცოტავება, ორ ვარსკლავს მოგცემო.

— ძალიან კარგი! ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგებ: შუალამით მწვანე ჭალაში წახვალ, იქ აუარება ჩიტს დაინახავ. ყველა დაიწყებს ძახილს:

— ის ჩიტი მე ვარ, მე ვარო! მხოლოდ ერთი იტყვის, — მე არ ვარო! — შენ ის ჩიტი დაიჭირე და, რაც შეიძლება, სწრაფად წამოდი, თორემ მარილის სვეტად გადაიქცევიო.

გოგონა ჭალაში რომ შევიდა, ყველა ჩიტი ერთბაშად აჟიჟივდა: — ის ჩიტი მე ვარ, მე ვარო!

მხოლოდ ერთმა თქვა:

— მე არ ვარო!

მაგრამ გოგონას ფერიას რჩევა დაავიწყდა და მარილის სვეტად გადაიქცა.

ძმა ელოდა დას ციხე-კოშკში, მაგრამ რა დაინახა, არ ბრუნდებოდა, მის სამებნელად წავიდა. იგი ისევ შეხვდა კეთილ ფერიას.

— მეფის შვილო, სად მიდიხარო?

— მეფის შვილი კი არა, მეც არ ვიცი, ვინა ვარ. ჩემი და სიმართლის მთქმელი ჩიტის მოსაყვანად წავიდა და არ დაბრუნებულაო.

— შენს დას ჩიტთან ერთად იპოვი. — უთხრა ფერიამ. — რომ გიშველო, რას მომცემო?

— როგორც ყოველთვის, ორმოცდაათ ეკიუს მოგცემო.

— მაშ მისმინე: შუალამით მწვანე ჭალაში წახვალ. მაგრამ შენს დასავით არ მოიქეცე: მან ჩემს რჩევას ყური არ ათხოვა და მარილის სვეტად გადაიქცა. შენ აუარება ჩიტს დაინახავ. ყველა დაიწყებს ძახილს: — ის ჩიტი მე ვარ, მე ვარო! მაგრამ შენ ის დაიჭირე,



რომელიც იტყვის: — მე არ ვარო! ჩიტმა დას თავზე ნისკარტი შეახოს და გაცოცხლდება.

ბიჭმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ფერიამ ურჩია: მან ჩიტი აიყვანა და ნისკარტი დას თავზე მიადებინა. და მაშინვე გაცოცხლდა და ორივენი კომპში დაბრუნდნენ. სიმართლის მთქმელი ჩიტი გალიაში ჩასვეს, ხოლო მოცეკვავე წყალი და მომღერალი ვარდი მაგიდაზე დააწყვეს.

ამ საკვირველების სანახავად ყველა მხრიდან ხალხი მოაწყდა.

მეფემ თქვა:

— ნადიმი უნდა გავაჩალოთ და ყველა მოყვარე მოვიწვიოთ. მაშინ ვნახავთ, ბავშვებმა ჩემი ბრძანება სწორად შეასრულეს თუ არაო.

მეფის მოპატიჟებაზე ყველა დიდებული მობრძანდა. ბებერი დედოფალი ბუზლუნებდა:

— წყალი, ვარდი და სიმართლის მთქმელი ჩიტი — ვითომ დიდი საკვირველებააო!

— ცოტა მოითმინე და ვნახავთ, რაც არისო.

ნადიმის დროს წყალმა ცეკვა დაიწყო, ვარდი ამღერდა, მაგრამ ჩიტი კრინტს არ ძრავდა.

— აბა, ერთი შენი ოსტატობაც გვიჩვენეო, — უთხრა მეფემ.

— მე თუ ავლაპარაკდი, ზოგიერთ მოლხინეს შერცხვებაო.

— ჯავრი ნუ გაქვს, თქვიო.

— ხომ მართალია, ერთხელ, ომში რომ იყავ, დედაშენმა მოგწერა, დედოფალს ლეკვი და კნუტი შეეძინაო? ხომ მართალია, რომ ბრძანე, ორივე წყალში გადააგდეთო.

ჩიტმა დაინახა, მეფე გაჯავრებას აპირებსო, და განაგრძო:

— რასაც ვამბობ სიმართლეა, სრული სიმართლე! ის ლეკვი და კნუტი, აი, ეს ქალ-ვაჟია, თქვენი შვილებიო.

მეფემ რომ გაიგო, დედაჩემს მოვუტყუვებივარო, სასტიკად განრისხდა. ბრძანა, ბებერი დედოფალი ადუღებულ ზეთში ჩაეგდოთ. ამის მერე ბედნიერად ცხოვრობდა და სიმართლის მთქმელი ჩიტის წყალობით ყველა საქმეში იმარჯვებდა.

## ინგლისის ხელმწიფე და მისი ნათლული

იყო ინგლისის ხელმწიფე. ძალიან უყვარდა ნადირობა. მის სამფლობელოში ნადირი დაილია და ხელმწიფე საფრანგეთში წავიდა სანადიროდ. საფრანგეთში კი ნადირი აუარებელი იყო.

ხელმწიფემ ერთხელ ხის ტოტზე უცხო ჩიტი დაინახა და დასაჭერად მიეპარა. ის იყო, ხელი უნდა წაეტანა, რომ ჩიტმა შეიფრთხილა, ხიდან ხეზე გადაფრინდა და სასტუმროს ბაღში ვაშლის ხეზე შემოჯდა. ხელმწიფეს უნდოდა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩიტი დაეჭირა და ბაღში შესდია, მაგრამ ამაოდ, ჩიტი ისევ გაუსხლტა ხელიდან და გაფრინდა.

ხელმწიფემ ბევრი იარა, ბევრი მთა და ბარი გადაიარა და ერთ სოფელში შემოაღამდა. გადაწყვიტა, ღამე იქ გაეთია და ერთი ქოხის კარზე მიაკაკუნა. ღარიბმა გლეხმა სტუმარი გულგაშლილად მიიღო და, როგორც შეეძლო, გაუმასპინძლდა. მასპინძელმა სტუმარს უთხრა, ჩემს დედაკაცს ახლახან ბიჭი შეეძინა, მაგრამ ღარიბები ვართ და ნათლია არა გვყავსო. ცოლ-ქმარმა სთხოვა ხელმწიფეს, ბიჭი მოგვინათლეო. ხელმწიფე დათანხმდა და ბიჭს ეყენი დაარქვა. წასვლის წინ კი ქისიდან ბეჭდიანი ქაღალდი ამოიღო, მშობლებს გადასცა და უთხრა, თქვენს შვილს ჩვიდმეტი წელი რომ შეუსრულდება, ეს ქაღალდი მიეცითო.

ექვსი წლის რომ გახდა, ბიჭმა მამას უთხრა:

— მამი, ერთ ნათლიაზე, ხშირად რომ მელაპარაკები (ბიჭს ქალიც ჰყავდა ნათლია), მეორეზე რატომ არაფერს მეტყვიო.

— ჩემო შვილო, მეორე ნათლია დიდი კაცია, ინგლისის ხელმწიფე. მან ბეჭდიანი ქალადი დაგიტოვა, თან დაიბარა, ჩვიდმეტი წლის რომ გახდებოდა, მიეცაო.

ბიჭი სკოლაში წავიდა. სკოლაში ბიჭის სწავლის ქირა მოდიოდა, მაგრამ ვისგან იყო გამოგზავნილი, არავინ იცოდა.

აჰა, ეჟენს ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. იგი დილაადრიან ადგა, მამასთან მივიდა და უთხრა:

— ნათლიასთან უნდა წავიდეთ.

მამამ ვაჟს ოცდათექვსმეტი ლიარი\* (\* ლიარი — ძველებური ფრანგული სპილენძის ფული.) მისცა და ცხენი გამოუყვანა. ვაჟი გამოეთხოვა დედ-მამას და, სანამ შორეულ გზას დაადგებოდა, მეორე ნათლიასთან გაიარა. ამ ნათლიამ ჯოდოქრობა იცოდა და ბიჭი ასე დაარია:

— შვილო, გზად მიმავალს კოჭლი ან კუზიანი თუ შემოგხვდა, ზურგი შეაქციეო.

ვაჟი შეპირდა, ისე ვიზამ, როგორც დამარიგეო, და გზას გაუდგა. გასცდა სოფელს თუ არა, წინ კოჭლი კაცი შემოეყარა. ვაჟმა ცხენი შეაბრუნა. მეორე დღეს კუზიანი შემოეყარა. ვაჟმა ისევ შეაბრუნა ცხენი.

ხვალ შეიძლება ბედი მეწიოსო, — გაიფიქრა ვაჟმა.

მესამე დღეს ვაჟს სკოლის ამხანაგი კუზიანი ადოლფი შეხვდა.

ახლა კი ცხენს აღარ შევაბრუნებო, — გაიფიქრა ეჟენმა.

— საით გაგიწევიაო? — ჰკითხა კუზიანმა.

— ნათლიასთან, ინგლისის ხელმწიფესთან მივდივარო.

— მეც წამოვალო.

— ძალიან კარგიო.

ერთად განაგრძეს გზა. რომ შემოაღამდათ, სასტუმროში შევიდნენ. ეჟენმა მეჯინიბე გააფრთხილა, სასტუმროდან დილის ოთხ საათზე უნდა გავიდეთ. კუზიანმა კი ცოტა შეიცადა და მერე უთხრა, ცხენი სამი საათისთვის შეკაზმეო. როგორც კი სამმა დარეკა, ცხენს მოახტა და გაქუსლა.

ეჟენმა რომ გაიღვიძა და ცხენი ვერ ნახა, ძალიან გაუკვირდა.

— ცხენი სად არისო? — ჰკითხა მსახურს.

— შენმა ამხანაგმა ცხენი სამი საათისთვის შემაკაზმვინა და ერთი საათია, რაც წავიდაო.

ეჟენი მაშინვე დაედევნა კუზიანს და ტყეში, ჯვართან ახლოს დაეწია. კუზიანი შეჩერდა და ეჟენს დაემუქრა:

— თუ თავი არ მოგძულეხარ, ამ ჯვარზე დაიფიცე, რომ არავის ეტყვი, ხელმწიფის ნათლული ვარო.

ეჟენმა დაიფიცა. ამხანაგებმა განაგრძეს გზა და ინგლისის ხელმწიფის სასახლეში მივიდნენ.

ხელმწიფემ კუზიანი ნათლულად მიიღო და გულში ჩაიკრა. მის თანამგზავრსაც მისიყვარულა.

— ეს ჭაბუკი ვინ არისო? — ჰკითხა კუზიანს.

— ჩემი სკოლის ამხანაგია და თან წამოვიყვანეო.

— კარგი გიქნია, შვილო, — უთხრა ხელმწიფემ. — აღთქმა მქონდა დადებული, ჩემი ასული შენთვის მომეთხოვეხარ. მაგრამ ქალი მომტაცეს და პირობას ვერ ვასრულებ. აგერ, თერთმეტი წელიწადია, ჩემი ბრძანებით ყველგან დაემეხენ, ზღვაშიც და ხმელეთზეც, მაგრამ ვერსად პოულობენო.

ორივე ვაჟი სასახლეში დააბინავეს. ეჟენს ყველა ადოლფს ეძახდა. მეფის კარის დიდებულებმა — ქალებმაც და კაცებმაც — ეჟენი თავისი სიკობტავისა და გონიერების წყალობით შეიყვარეს, კუზიანი კი შეიძულეს. მარტო ხელმწიფე ეპყრობოდა კუზიანს

ალერსით, რადგან ნათლულად მიაჩნდა, მაგრამ არც მის ამხანაგს აკლებდა ტკბილ სიტყვებს, რაც კუზიანს აბოროტებდა.

ერთხელ კუზიანი ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა:

— ნათლია, ადოლფი იკვებნის, გოლიათს ჯორს წავართმევო.

ხელმწიფემ ადოლფს უხმო.

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი — გოლიათს ჯორს წავართმევო.

— მე, დიდო ხელმწიფევ? აბა, ამას როგორ დავიკვებნიდი, როცა არც კი ვიცი, ის ჯორი სად ვეძებო?!  
— სულ ერთია! თუ არ მოგიყვანია, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო.

ადოლფმა ჩაილაგა საგზალი და დაღონებული გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ დედაბერს შეხვდა. დედაბერმა პური სთხოვა.

— თუ გინდა, სულ მიირთვი, ჭამის თავი მაინც არა მაქვსო.

— ვიცი, რატომაც ხარ დაღონებული: ხელმწიფეს გოლიათის ჯორი უნდა მიჰგვარო. ის გოლიათი ზღვის გაღმა ცხოვრობს. შინ ერთი შაშვი ჰყავს და ისეთი ყოფით გალობს, მისი ხმა ზღვის გამოღმა ნაპირზე ისმის. როგორც კი მის გალობას გაიგონებ, მხოლოდ მაშინ გადაცურე ზღვა. გახსოვდეს, არამც და არამც ზღვა ადრე არ გადაცურო. გოლიათს რომ დაინახავ, გაბედულად ელაპარაკეო.

ვაჟი მალე მივიდა ზღვის ნაპირზე, მაგრამ შაშვის გალობა არ ისმოდა. ვაჟი დაელოდა. შაშვის გალობა რომ გაისმა, ზღვა გადაცურა. გოლიათმა მაშინვე მოირბინა და ჰკითხა:

— აქ რა გინდაო?

— ჯორი მინდაო.

— ჯორი რად გინდაო?

— რა შენი საქმეა, ახლავე მომეციო.

— მოგცემ, მაგრამ იმ პირობით, რომ როდისმე უკან დამიბრუნებო.

ადოლფმა ჯორი წამოიყვანა და უკან გამოსწია. ჯორმა ერთ წამში ასი მილი\* (მილი «— გზის სიგრძის საზომი ერთეული. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია (მაგ. ინგლისში უდრის 1,53 კმ.-ს).) გაირბინა და თვალის დახამხამებაში სასახლეში გაჩნდა.

ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა, ადოლფი ცოცხალი რომ დაინახა და აღთქმა მისცა, მეტს აღარ გაწყენინებო. მაგრამ კუზიანმა მგალობელი შაშვის ამბავი რომ გაიგო, ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა:

— ნათლია, ადოლფი იკვებნის, გოლიათს მგალობელ შაშვსაც წავართმევო.

ხელმწიფემ ადოლფს უხმო.

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი, გოლიათს მგალობელ შაშვსაც წავართმევო.

— მე, დიდო ხელმწიფევ? აბა, ამას როგორ დავიკვებნიდი, როცა არც კი ვიცი, ის შაშვი როგორ დავიჭიროო?!  
— სულ ერთია! თუ არ მოგიყვანია, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო.

ადოლფი ისევ წავიდა ზღვის ნაპირზე. როგორც კი გაიგონა შაშვის გალობა, ზღვა გადაცურა.

— აქ რა გინდაო?

— შაშვი მინდაო.

— შაშვი რად გინდაო?

— რა შენი საქმეა, ახლავე მომეციო.

— მოგცემ, მაგრამ იმ პირობით, რომ როდისმე უკან დამიბრუნებო.

ადოლფი სასახლეში რომ დაბრუნდა და სეფექალებმა შაშვის გალობა მოისმინეს, აღტაცებულები დარჩნენ. ხელმწიფემ ადოლფს აღთქმა მისცა, მეტს აღარ გაწყენინებო.

ცოტა ხნის შემდეგ, კუზიანმა ხელმწიფეს უთხრა:

— გოლიათს ისეთი ფარანი აქვს, ას ლიეზე ანათებს. ადოლფი იკვებნის, წავალ და იმ ფარანსაც წავართმევო.

ხელმწიფემ ადოლფს უხმო:

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი, გოლიათს ფარანს წავართმევო.

— მე, დიდო ხელმწიფევ? აბა, ამას როგორ მოვახერხებო.

— სულ ერთია! თუ ფარანი არ მოგიტანია, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო.

ადოლფი გზას გაუდგა და მალე ზღვის ნაპირს მიადგა. ახლა იქით ნაპირზე შაშვი აღარ გალობდა და ადოლფმა არ იცოდა, ზღვა როდის გადაეცურა. მაგრამ ბოლოს გაბედა, გაღმა ნაპირზე გავიდა და გოლიათთან მივიდა.

— აქ რა გინდაო?

— ფარანი მინდაო.

— რად გინდაო?

— რა შენი საქმეა, ახლავე მომეციო.

— მოგცემ, მაგრამ იმ პირობით, რომ როდისმე უკან დამიბრუნებო.

ვაჟმა გოლიათს მადლობა გადაუხადა და უკან გამოსწია.

ხელმწიფის სასახლეს რომ მიუახლოვდა, ვაჟი ღამეს დაელოდა, ანთებული ფარანი მაღლა ასწია და გზა ისე განაგრძო.

გახარებულმა ხელმწიფემ ერთხელ კიდევ აღუთქვა ადოლფს, მეტს აღარ გაწყენინებო.

ცოტა ხანს ადოლფი მოსვენებული იყო, მაგრამ მალე კუზიანმა ისევ უთხრა ხელმწიფეს:

— ადოლფი იკვებნის, ხელმწიფის ასულის ადგილსამყოფელი ვიცი და შემოდღია სასახლეში მოვიყვანო.

ხელმწიფემ ადოლფს უხმო.

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი, — ხელმწიფის ასულის ადგილსამყოფელი ვიცი და შემოდღია სასახლეში მოვიყვანო.

— მე ვიკვებნიდი, დიდო ხელმწიფევ? თქვენი ბრძანებით ხომ ყველგან ეძებდნენ, ზღვაშიც, ხმელეთზეც, და ვერსად იპოვეს. აბა, როგორ გინდათ, რომ მე, უთვისტომო გადამთიელმა, ეს საქმე გავაკეთო.

— სულ ერთია! თუ არ მოგიყვანია, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო.

დაღონებული ადოლფი გზას გაუდგა. გზაში ისევ ის დედაბერი შემოხვდა. დედაბერმა უთხრა:

— ხელმწიფეს სურს ასული მოუძებნო? ისევ გოლიათთან წადიო.

ადოლფმა ზღვა გადაცურა, გოლიათთან მივიდა და ჰკითხა, ხელმწიფის ასული სად არის, ხომ არ იციო?

— ვიციო, — მიუგო გოლიათმა, — ვერცხლისფეხება დედოფლის კომპშია, მაგრამ ბევრი ჯაფა დაგადგება, სანამ გამოიხსნი. თავდაპირველად ხელმწიფეს სთხოვე, ის ჯორი, შაშვი და ფარანი დამიბრუნოს. მერე სამასი ტუაზი\* (\* ტუაზი «— ძველებური ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული. იყენებდნენ ზომის მეტრული სისტემის შემოღებამდე.) სიგრძის, ამდენივე სიგანისა და ასორმოდგაათი ტუაზი სიმაღლის ხომალდი ააგე. ხომალდში ოთახი გამართე, ხოლო ოთახში დგიმი დადგი. მთავარია, ხომალდი ისე აიგოს, შიგ არც რკინა ერიოს, არც სპილენძიო.

ადოლფმა გოლიათის ნათქვამი ხელმწიფეს მოახსენა, მაშინვე ხელოსნებს უხმეს და დაავალეს: სამასი ტუაზი სიგრძის, ამდენივე სიგანის და ასორმოდგაათი ტუაზი სიმაღლის ხომალდი ააგეთ, ამ ხომალდში ოთახი გამართეთ, ოთახში დგიმი დადგიო. და, რაც მთავარია, არც რკინა, არც სპილენძი არ იხმაროთო.

ხომალდი ორ დღე-ღამეში ააგეს. კუზიანმა ერთ-ერთი ხელოსანი მოისყიდა და რკინის სამაგრი დაატანებინა.

ადოლფი ჩაჯდა ხომალდში და გოლიათთან მივიდა. გოლიათმა უთხრა:

— ხომალდს რკინის სამაგრი ურევიაო.

— არაო, — მიუგო ადოლფმა, — რკინა არ უხმარიათო.

— აი, აქ რკინაა. ხომალდი ხელმწიფეს მიუყვანე და უთხარი, ხელოსანს უხმე-თქო. ხელოსანმა ჩაქუჩი და სატეხი მოიტანოს და ნახავთ, რომ მართალი ვარო.

როგორც კი ოსტატმა სატეხი ნაჩვენებ ადგილს მიადო და ჩაქუჩი დაჰკრა, სატეხი გატყდა. რკინის სამაგრი მაშინვე მოხსნეს და ადოლფი ისევ გოლიათთან გაემგზავრა. გოლიათს ახლა აღარაფერი ჰქონდა სამიზეზო.

— ახლა ამ ხომალდში სამასი პური, სამასი გირვანქა საქონლის ხორცი, სამასი ტომარა ფეტვი, სამასი გირვანქა სელი უნდა ჩაალაგოთ და სამასი ქალწული ჩასვათო.

ხელმწიფემ ბრძანა, ლონდონში და მის გარეუბნებში სამასი ქალწული დაძებნეთო. როცა სამასი ქალწული გამოიხსნეს, ჩასხეს ხომალდში, დატვირთეს პურით, ხორცით, სხვადასხვა საქონლით და ხომალდი ზღვაში გავიდა. ადოლფი გოლიათთან რომ მივიდა, გოლიათმა ხომალდს უბიძგა და შუა ზღვაში გაიყვანა. ადოლფი საჭესთან იდგა, გემბანის ქვემოთ სამასი ქალწული ართავდა, ხოლო გოლიათი ქსოვდა.

უცებ შორს შავზე შავი მთა გამოჩნდა.

— ოჰო, მივედითო, — თქვა ადოლფმა.

— არა, ეს თევზების სამფლობელოა. თევზებს უთხარი, საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარ-თქო, თორემ არ გაგიშვებენო.

— აქ რატომ მოხვედით? — ჰკითხეს თევზებმა.

— საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარო, — მიუგო ადოლფმა.

— რა ჩვენი საქმეა, რომ ხელმწიფის შვილი ხარ, არ გაგიშვებთო.

მაშინ ადოლფმა პურის ფხვნა და წყალში ყრა დაიწყო. თევზები პურს დაესივნენ. ამასობაში ხომალდი თევზებს გასცდა.

მაგრამ აკვნის ერთი გადარწევაც არ ჰქონდათ გავლილი, რომ თევზთა ხელმწიფემ თავის ქვეშევრდომებს უთხრა:

— უზრდელად მოვიქეცით, ხელმწიფის შვილს მადლობაც რომ არ გადავუხადეთ. დაეწიეთ და მოაბრუნეთო!

თევზებმა ხომალდი უკან მოიყვანეს და თევზთა ხელმწიფემ ვაჟს უთხრა:

— გაძლევ ჩემს ფხას, თუ გაგიჭირდეს, მე და ჩემი ხალხი შენთან გავჩნდებით და გიშველითო.

— თევზთა ხელმწიფემ რა მოგცაო? — ჰკითხა გოლიათმა ვაჟს.

— თავისი ფხა მომცა. ნეტავი რად მინდაო?

— შეინახე, გამოგადგებაო.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, უწინდელზე შავი მთა გამოჩნდა.

— ხომ არ მოვედითო? — იკითხა ადოლფმა.

— არა, ეს ჭიანჭველების სამფლობელოაო, — მიუგო გოლიათმა.

ჭიანჭველებს ზურგზე სალაშქრო ხალთები წამოეკიდებინათ, იარაღი აესხათ და სამხედრო ვარჯიშს შესდგომოდნენ.

— აქ რატომ მოხვედითო? — ერთხმად ჰკითხეს ჭიანჭველებმა.

— საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარო...

— რა ჩვენი საქმეა, რომ ხელმწიფის შვილი ხარ, არ გაგიშვებთო.

მაშინ ადოლფმა ჭიანჭველებს ერთი მუქა ფეტვი გადაუყარა. ჭიანჭველები ფეტვს დაესივნენ. ამასობაში ხომალდი ჭიანჭველებს გასცდა.

— უზრდელად მოვიქეცით, ხელმწიფის შვილს მადლობაც არ გადავუხადეთ, დაეწიეთ და მოაბრუნეთო, — თქვა ცოტა ხნის მერე ჭიანჭველების ხელმწიფემ.

ადოლფი რომ მოაბრუნეს, ჭიანჭველების ხელმწიფემ უთხრა:

— ხელმწიფის შვილო, აგერ, უკვე შვიდი წელია, შიმშილისაგან სულს ვღაფავთ, შენ კი ამ გასაჭირისაგან კარგა ხნით დაგვიხსენი. აჰა, გაძლევ ჩემს ერთ ფეხს, თუ გაგიჭირდეს, მე და ჩემი ხალხი შენთან გავჩნდებით და გიშველითო.

— ჭიანჭველების ხელმწიფემ რა მოგცაო? — ჰკითხა გოლიათმა ვაჟს.

— თავისი ერთი ფეხი მომცა. ნეტავი რად მინდაო?

— შეინახე, გამოგადგებაო.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, მესამე უფრო შავი და მაღალი მთა გამოჩნდა.

— ალბათ უკვე მივედითო! — თქვა ადოლფმა.

— არა, ეს ვირთხების სამფლობელოაო.

— აქ რატომ მოხვედით? — ჰკითხეს ვირთხებმა.

— საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარო.

— რა ჩვენი საქმეა, რომ ხელმწიფის შვილი ხარ, არ გაგიშვებთო.

ადოლფმა ვირთხებს პური გადაუგდო და ხომალდმა გაცურა.

— უზრდელად მოვიქეცით, ხელმწიფის შვილს მადლობაც არ გადავუხადეთ. დაეწიეთ და მოაბრუნეთო, — ბრძანა ვირთხების ხელმწიფემ.

ვაჟი რომ მოაბრუნეს, ვირთხების ხელმწიფემ უთხრა:

— დიდი მადლობელი ვართ, გასაჭირისაგან რომ გვიხსენი. აჰა, ჩემი ულვაშის ღერს გაძლევ, თუ გაგიჭირდეს, მე და ჩემი ხალხი შენთან გავჩნდებით და გიშველითო.

— ვირთხების ხელმწიფემ რა მოგცაო? — ჰკითხა გოლიათმა ვაჟს.

— თავისი ულვაშის ღერი მომცა. ნეტავი რად მინდაო?

— შეინახე, გამოგადგებაო.

ხომალდმა გზა განაგრძო და მალე მეოთხე, უფრო მაღალ მთას მიადგა.

— ხომ არ მოვედითო? — იკითხა ვაჟმა.

— არა, ეს ყორნების სამფლობელოაო, — მიუგო გოლიათმა.

— აქ რატომ მოხვედით? — ჰკითხეს ყორნებმა.

— საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარო.

— რა ჩვენი საქმეა, რომ ხელმწიფის შვილი ხარ, არ გაგიშვებთო.

ადოლფმა მათ ხორცი გადაუგდო და ყორნებმა ხომალდი გაუშვეს.

— უზრდელად მოვიქეცით, ხელმწიფის შვილს მადლობაც არ გადავუხადეთ, დაეწიეთ და მოაბრუნეთო! — თქვა ცოტა ხნის მერე ყორნების ხელმწიფემ.

ვაჟი ყორნების ხელმწიფეს მიჰგვარეს, მან კი უთხრა:

— შენი სიკეთის სანაცვლოდ, გაძლევ ჩემს ფრთას, თუ გაგიჭირდეს, მე და ჩემი ხალხი შენთან გავჩნდებით და გიშველითო.

— ყორნების ხელმწიფემ რა მოგცაო? — ჰკითხა გოლიათმა ვაჟს.

— თავისი ფრთა მომცა, ნეტავი რად მინდაო?

— შეინახე, გამოგადგებაო. ცოტა ხანმა რომ გაიარა, ადოლფმა უწინდელზე მაღალი და შავი მთა დაინახა.

— ალბათ ახლა კი ნამდვილად მოვედითო.

— არა, ეს გოლიათების სამფლობელოაო.

— აქ რატომ მოხვედით? — იყვირეს გოლიათებმა.

— საფრანგეთის ხელმწიფის შვილი ვარ და შორ ქვეყნებში სამოგზაუროდ მივდივარო.

— რა ჩვენი საქმეა, რომ ხელმწიფის შვილი ხარ, არ გაგიშვებთო.

ადოლფმა პურები დიდ-დიდ ნატეხებად დაამტვრია და გოლიათებს გადაუყარა. გოლიათები ეცნენ ნატეხებს და ყლაპვა დაუწყეს. ამასობაში ხომალდი გოლიათებს გასცდა.

— უზრდელად მოვიქეცით, ხელმწიფის შვილს მადლობაც არ გადავუხადეთ, — დაეწიეთ და მოაბრუნეთო, — თქვა გოლიათების ხელმწიფემ.

ვაჟი რომ დაბრუნდა, გოლიათების ხელმწიფემ უთხრა:

— მადლობელი ვარ, გვიშველე, თორემ ერთმანეთს დავჭამდით. ახლა წვერიდან ერთ ღერს გამოვიძრობ და მოგცემ. თუ გაგიჭირდეს, მე და ჩემი ხალხი შენთან გავჩნდებით და გიშველითო.

თუ ვინმე მიშველის, ესენი მიშველიან, დიდებიც არიან და ღონიერებიცო, — გაიფიქრა ადოლფმა.

— გოლიათების ხელმწიფემ რა მოგცაო? — ჰკითხა გოლიათმა ვაჟს.

— წვერიდან ერთი ღერი გამოიძრო და მომცა. რა ვუყოო?

— შეინახე, გამოგადგებაო.

— ახლა, — განაგრძო გოლიათმა, — ვერცხლისფეხება დედოფლის სახელმწიფოში მივალთ. შენ პირდაპირ კომპისკენ წახვალ. კომპის კარს ინგლისის ხელმწიფის ასული დარაჯობს, იგი ვერცხლისფეხება დედოფალმა ლომად აქცია. ლომი თვალეზიდან, ნესტოებიდან და პირიდან ცეცხლს აფრქვევს, მაგრამ ნუ შეგეშინდება, გაგიშვებს. კომპში ოცდათექვსეტი ოთახია. ჯერ მარცხენა ოთახში შედი, მერე — მარჯვენაში და ყველა ოთახი ასე გაიარეო.

ვერცხლისფეხება დედოფლის ქვეყანაში რომ მივიდნენ, ადოლფი კომპისკენ გაემართა. როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, ლომმა არა თუ შემოუტია, ხელის ლოკვაც კი დაუწყო, — იგრძნო, რომ მხსნელი მოვიდა.

ვაჟმა ყველა ოთახი ისე მოიარა, როგორც გოლიათმა ურჩია და ბოლოს იმ ოთახში შევიდა, სადაც ვერცხლისფეხება დედოფალი იჯდა.

— აქ რატომ მოხვედიო? — ჰკითხა ვაჟს ბებერმა დედოფალმა.

— ინგლისის ხელმწიფის ასული უნდა წავიყვანოო.

— ასეთი თავხედობისათვის ღირსი ხარ, დაგსაჯო და შენც ნადირად გაქციო. იცოდე, ხელმწიფის ასულის დახსნას ბევი ჯაფა სჭირდება. თავდაპირველად, სამასი ქალწულის დართული, სამასი გირვანქა სელი მომიტანეო.

ადოლფმა მიუტანა სამასი გირვანქა სელი და მიუყვანა სამასი ქალწული, ამ სელს რომ ართავდნენ.

— ძალიან კარგი, — უთხრა დედოფალმა. — ახლა იმ მაღალ მთას თუ ხედავ? ის მიწასთან უნდა გაასწორო, იმ ადგილზე ყვავილებითა და ხეებით დამშვენებული ბაღნარი გააშენო, ხოლო ხეები მსხვილი, მწიფე ნაყოფით დახუნძლო. ეს ყველაფერი ორ დღე-ღამეში უნდა გააკეთოო.

ადოლფი რჩევისთვის გოლიათთან წავიდა. მან კი საშველად ყველა გოლიათს, ჭიანჭველას, ვირთხას და ყორანს უხმო. გოლიათებმა თვალის დახამხამებაში მთა მიწასთან გაასწორეს, ხოლო ნანგრევები ზღვაში გადაყარეს. ვირთხებმა და ჭიანჭველებმა მიწა გააფხვიერეს, ყორნები შორეულ ქვეყნებში გაფრინდნენ და იქაური ბაღებიდან ყვავილები და ხეები მოიტანეს. დათქმულ ვადაზე ადრე ყველაფერი მზად იყო. ადოლფი ბებერ დედოფალთან მივიდა და უთხრა, წამოდი, ბავი ნახეო. დედოფალმა საშარო ვერაფერი ნახა და ადოლფს უთხრა:

— ახლა სიცოცხლისა და სიკვდილის წყლები უნდა მომიტანოო.

ადოლფი ისევ გოლიათთან წავიდა, მაგრამ გოლიათი ბებერი დედოფალივით სწავლული არ იყო და რაიმე რჩევის მიცემა არ შეეძლო.

— იქნებ ყორნებმა რამე გვირჩიონო, — თქვა გოლიათმა.

დაკრეს ნალარა. ყორნები მოფრინდნენ, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. უცებ მოაგონდათ, რომ შეკრებაზე ორი ბებერი მეომარი — ლა შიკი და ლა რამე — არ გამოცხადდა. მაშინვე მათთან კაცი აფრინეს. ლა რამე მთვრალი მივიდა და თქვა: არ ვიცი, სად არის ეგ სიცოცხლისა და სიკვდილის წყლები, არც მინდა, ვიცოდეო. ამიტომ იგი ციხეში ჩასვეს.

ცოტა ხნის მერე მოვიდა ლა შიკი. იგი უარესად იყო მთვრალი. ჰკითხეს, სიცოცხლისა და სიკვდილის წყლები სად არისო? ლა შიკმა უპასუხა: — ვიცი სადაც არის, მაგრამ ჯერ ჩემი მეგობარი გამოუშვითო. ადოლფმა ბრძანა, გამოეშვათ ლა რამე, მერე მის მე-

გობარს ხუთასი ფრანკი მისცა, ჩემი სადღეგრძელო დალიეო. ლა შიკმა ადოლფი ერთ სარდაფში ჩაიყვანა, რომლის ერთ მხარეს სიცოცხლის წყალი გამოდიოდა, მეორე მხარეს — სიკვდილისა.

ლა შიკმა ადოლფს უთხრა, ბებერი დედოფალი მტრედებს გამოგზავნის, რომ წყლის წასაღები შუშები დაამტვრიონ, — ამიტომ სარდაფის კართან გუშაგები დააყენეო.

მართლაც, მტრედები მოფრინდნენ, მაგრამ ყორნები უფრო ძლიერები იყვნენ და იქაურობას არ გააკარეს.

გოლიათმა ვაჟს უთხრა:

— თავდაპირველად ბებერ დედოფალს სიცოცხლის წყალი მიეცი და სთხოვე, ხელმწიფის ასულს ადამიანის სახე დაუბრუნეო, მერე სიკვდილის წყალი სახეში შეასხი და დედაბერი მოკვდეო.

ადოლფი რომ მივიდა, დედოფალმა ჰკითხა:

— სიცოცხლისა და სიკვდილის წყლები თუ მოიტანეო?

— მოვიტანე, აგერ სიცოცხლის წყალიო.

— ძალიან კარგი. სიკვდილის წყალი სადღააო?

— ჯერ ხელმწიფის ასულს ადამიანის სახე დაუბრუნე და სიკვდილის წყალს მერე მოგცემო.

დედოფალი ისე მოიქცა, როგორც ვაჟს სურდა, და ლომი მშვენიერ ასულად გადაიქცა. იგი ადოლფს ყელზე მოეხვია და დახსნისათვის მადლობა უთხრა. — ახლა სიკვდილის წყალი მომეციო, — უთხრა ბებერმა დედოფალმა.

ადოლფმა დედოფალს სიკვდილის წყალი სახეში შეასხა და იგი უსულოდ დაეცა.

მერე ვაჟი ხელმწიფის ასულთან ერთად ინგლისში გამოემგზავრა და ხელმწიფესთან მაცნე აფრინა, მოვდივართ და დაგვხვდითო.

მეფის კარზე სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სეფე ქალები გამოეგებნენ ხელმწიფის ასულს, რომ მისალმებოდნენ: ხელმწიფის ასულმა ყველა გადაკოცნა. კუზიანი სეფექალებში გაერია, ხელმწიფის ასულთან მივიდა და უნდა ეკოცნა, მაგრამ ხელმწიფის ასულმა უთხრა:

— მომშორდი, რა გონჯი ხარო!

იმავე სადამოს ვახშამზე ხელმწიფემ თავის ასულს უთხრა:

— შვილო, ჩემს ნათლულს შევპირდი შენს თავს. ვფიქრობ, სიტყვას არ გამატეხინებო.

— ძვირფასო მამი, ერთი კვირის ვადა მომეცი, ჯერ კარგად ვილოცებო. — სთხოვა შვილმა.

ხელმწიფე დაეთანხმა.

ერთმა კვირამ რომ გაიარა, ხელმწიფის ასულმა მამას უთხრა, ვერცხლისფეხებიანი დედოფლის ბეჭედი ზღვაში ჩამივარდა და ჯერ ის უნდა ამოვიღოთო.

კუზიანი შურისაგან, მეფის ასული ადოლფს ამჯობინებსო, ხელმწიფესთან მივიდა და უთხრა:

— ნათლია, ადოლფი იკვებნის, ხელმწიფის ასულის ბეჭედს ზღვის ფსკერიდან მე ამოვიღებო.

ხელმწიფემ მაშინვე ადოლფს უხმო.

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი, ხელმწიფის ასულის ბეჭედს ზღვის ფსკერიდან ამოვიღებო.

— არა, დიდო ხელმწიფევ, ბეჭდის ამოღება სად შემიძლიაო.

— სულ ერთია! თუ ბეჭედი არ ამოგიღია, კოცონზე ცოცხლად დაგწავო.

ადოლფი სასახლიდან დაღვრემილი გამოვიდა, გოლიათთან წავიდა და ყველაფერი უამბო.

— შენს დახმარებაზე ხელი უნდა ამელო, მაგრამ არ მინდა, განსაცდელის ჟამს მიგატოვო. ახლავე თევზებს ვუხმობო.



დაკრეს ნაღარას. თევზებმა მოცურეს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა.

უცებ მოაგონდათ, რომ შეკრებაზე ორი ბებერი მეომარი — ლა შიკი და ლა რამე არ გამოცხადდა. მაშინვე მათთან კაცი აფრინეს. ლა რამე მთვრალი იყო. მან თქვა ბეჭედი სად არის არ ვიცით და არც მინდა ვიცოდეთ. იგი ციხეში ჩასვეს. ცოტა ხნის მერე მოვიდა ლა შიკი. იგი უარესად იყო მთვრალი. მან თქვა, ბეჭედი ხალთაში მაქვს, მაგრამ ჯერ ჩემი მეგობარი გამოუშვითო. ლა რამე რომ გამოუშვეს, ლა შიკმა ვაჟს ბეჭედი მისცა. ადოლფმა მას ასი ფრანკი აჩუქა, ჩემი სადღეგრძელო დალიეო, და თვითონ ხელმწიფესთან გაიქცა.

— მე ვფიქრობ, შვილო, კმაყოფილი უნდა იყო. ხვალ ჯვარს დაგწერთ, — უთხრა ხელმწიფემ თავის ასულს.

— ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, — მიუგო ხელმწიფის ასულმა. — თავდაპირველად მინდა, ვერცხლისფეხება დედოფლის კომპი აქ გადმოიტანონო.

ხელმწიფემ მაშინვე ბრძანა საძირკველი ჩაეყარათ, ხოლო კუზიანმა, უფრო მეტი შურის თვალთ რომ უყურებდა ადოლფს, ხელმწიფეს უთხრა:

— ნათლია, ადოლფი იკვებნის, ვიცი, ვერცხლისფეხება დედოფლის კომპი როგორ გადმოიტანონ, ისე, რომ არსად გაიზაროსო.

ხელმწიფემ ადოლფს უხმო.

— ეჟენმა მითხრა, თურმე იკვებნი, ვერცხლისფეხება დედოფლის კომპს ისე გადმოვიტან, არსად არ გაიზაროსო.

— არა, დიდო ხელმწიფევ, არ დამიკვებნია, ამის გაკეთება, აბა, როგორ შემიძლიაო?

— სულ ერთია! თუ ამას არ გააკეთებ, კოცონზე ცოცხლად დაგწვავო.

ძალიან დანადვლიანებული ადოლფი ისევ გოლიათთან წავიდა.

— თავდაპირველად ხელმწიფეს სთხოვე, დიდი ხომალდი ამიგე-თქო.

როცა ხომალდი მზად იყო, ადოლფი ჩაჯდა და გოლიათთან ერთად გზას გაუდგა. მან უხმო ყველა გოლიათს, ყველა ჭიანჭველას და ყველა ვირთხას. ჭიანჭველებმა და ვირთხებმა კომპს საძირკველი გამოუთხარეს, ოთხმა გოლიათმა კი ასწია და ხომალდზე გადაიტანა. შემდეგ სათითაოდ ყველა თევზს დაუძახეს, რომ ხომალდს ქვემოდან ამოსდგომოდნენ.

როცა ადოლფი დაბრუნდა, მეფის კარზე ყველა სიხარულს მიეცა. კომპი იმ საძირკველზე დადგეს, ხელმწიფის სასახლის პირდაპირ რომ იყო ჩაყრილი.

— ახლა იმედი მაქვს, რომ ეჟენს ცოლად გაჰყვებიო, — უთხრა ხელმწიფემ თავის ასულს.

— მამი, ცოტა მადროვე, ჯერ არ გადამიწყვეტია, როგორ მოვიქცეო.

ხელმწიფის ასული არ მალავდა, რომ კუზიანის ყურება ზიზღს ჰგვრიდა, რაც კუზიანს ადოლფისადმი მეტი შურით აღვსებდა. ერთხელ მან ადოლფს უთხრა:

— წავიდეთ ირმის ჭალაში, ვინადიროთო.

— ძალიან კარგიო, — მიუგო ადოლფმა.

როცა ისინი ჭალაში შევიდნენ, კუზიანმა ადოლფს ზურგში ტყვია დაახალა და მოკლა, მერე ორმო ამოთხარა და დამარხა.

ხელმწიფემ ადოლფი რომ ვერ დაინახა, კუზიანს ჰკითხა, რა იქნაო.

— არაფერი ვიცი, — მიუგო კუზიანმა, — სამოგზაუროდ თუ წავიდა, ალბათ სიამტკბილობით ცხოვრება მოსწყინდაო.

ხელმწიფის ასული სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ მამამისს არაფერი აგრძნობინა, მხოლოდ სთხოვა, ირმის ჭალაში სანადიროდ წასვლის ნება მომეცეო.

ხელმწიფეს შეეშინდა, რაიმე უბედურებას არ გადაეყაროსო, და გადაწყვიტა ორმოცი ეგერი\* (\* ეგერი — დაქირავებული პროფესიონალი მონადირე, რომელიც ემსახურება მოყვარულ მონადირეებს და თვალყურს ადევნებს ნადირობის კანონების დაცვის.) გაეყოლებინა, მაგრამ ხელმწიფის ასულმა სთხოვა, მარტო გამიშვიო.

ქალაში რომ შევიდნენ, ყორნები დაინახა. ყორნები ერთ ორმოს თავს დასტრიალებდნენ. ხელმწიფის ასული ორმოს მიუახლოვდა და რა დაინახა ყორნებისაგან ნახევრად გაკორტნილი საბრალო ადოლფი, ქალმა ტირილი და ვიშვიში დაიწყო. ბოლოს გაახსენდა, რომ თან სიცოცხლის წყლით სავსე შუშა ჰქონდა და ეს წყალი გვამს ასხურა. ვაჟი გაცოცხლდა და საღსალამათი ზეზე წამოდგა. ეს ამბავი სიკვდილის მესამე დღეს მოხდა.

ხელმწიფის ასული ადოლფთან ერთად სასახლეში დაბრუნდა. მან ვაჟი ერთ-ერთ ოთახში დამალა და ხელმწიფესთან წავიდა.

— მამი, ადოლფი რომ გენახა, გაგიხარდებოდაო? — ჰკითხა ხელმწიფეს.

— ჩემო შვილო, აბა რას ამბობ, ადოლფი ქვეყნის დასალიერში წავიდა და ასე მალე ვერ დაბრუნდებაო.

— კარგი. უბრძანეთ სასახლის ყველა კარი დაკეტონ. კარებზე გუშაგები დააყენეთ და გამომყევითო.

როცა ხელმწიფე თავისი ასულის პალატში შევიდა, ქალმა მამას ცოცხალი ვაჟი გამოუყვანა.

— დიდო ხელმწიფევ, ჩემი ნამდვილი სახელი ექენია და არა ადოლფი, მე შენი ნათლული ვარო! — უთხრა ვაჟმა.

მერე უბიდან სიგელი ამოიღო, ხელმწიფემ ექენის დედ-მამას რომ დაუტოვა და გაუწოდა.

— ეს ქალაღი თუ გეცნობაო? — ჰკითხა მან.

ხელმწიფემ ყველაფერი რომ შეიტყო, ბრძანა კუზიანი კოცონზე დაეწვათ. ექენი ხელმწიფის ასულზე დაქორწინდა.

მე ხელმწიფის ასულის კართან გუშაგად ვიდექი. მომწყინდა იქ დგომა და აქეთ გამოვწიე.

## თეთრი მგელი

იყო ერთი კაცი. ჰყავდა სამი ქალი. ერთხელ შვილებს უთხრა, სამოგზაუროდ მივდივარო.

— რას მომიტანო? — ჰკითხა უფროსმა ქალმა.

— რა გინდა რომ მოგიტანო?

— ლამაზი კაბა მომიტანეო.

— შენ რა მოგიტანო? — ჰკითხა მამამ შუათანა ქალს.

— მეც კაბა მომიტანეო.

— შენ, ჩემო შვილო, შენ რა მოგიტანო? — ჰკითხა ბოლოლას, რომელიც სხვებზე მეტად უყვარდა.

— არაფერი მინდაო, — მიუგო ბოლოლამ.

— როგორ თუ არაფერი გინდაო?

— არაფერი, მამაჩემო, არაფერი მინდაო.

— შენს დებს შევპირდი, საჩუქრებს ჩამოგიტანთ-მეთქი და არ მინდა, არმადანის გარეშე დამრჩე.

— მამ, მოლაპარაკე ვარდი მქონდესო.

— მოლაპარაკე ვარდი? — შესძახა მამამ. — მერედა, სად ვიშოვო?

— მამი, მე მხოლოდ მოლაპარაკე ვარდი მინდა, უმისოდ არ დაბრუნდებო.

მამა გზას გაუდგა. მან ადვილად იშოვა ლამაზი კაბები უფროსი ქალებისთვის, მაგრამ ვისაც არა ჰკითხა, მოლაპარაკე ვარდის ამბავი, ყველამ ხუმრობაში ჩამოართვა, ასეთი ვარდი ვის გაუგონიაო.

— ასეთი ვარდი რომ არ ყოფილიყო, ჩემი ქალი არ მთხოვდაო, — ამბობდა მამა.

ერთხელ მშვენიერი კომპი დაინახა, საიდანაც რაღაც ხმაური მოისმოდა. კაცმა მიაყურა და ადამიანის ხმები გაარჩია. კომპში მღეროდნენ და ლაპარაკობდნენ. მან კომპს რამდენიმეჯერ შემოუარა. ბოლოს ჭიშკარი იპოვა და ეზოში შევიდა. შუაგულ ეზოში ვარდის ბუჩქი ჰყვავდა. სწორედ ამ ვარდების ხმა შემოესმა თურმე ქალების მამას. ვარდები ლაპარაკობდნენ და მღეროდნენ. როგორც იქნა, მოლაპარაკე ვარდი ვიპოვე, — გაიფიქრა და მაშინვე ერთი ცალი მოწყვიტა. მოწყვიტა თუ არა, თეთრი მგელი მოვიდა და იყვირა:

— ჩემს კომპში შემოსვლის და ვარდების კრეფის უფლება ვინ მოგცა. ვინც აქ შემოვა, უნდა მოკვდეს და სიკვდილი არც შენ აგცდებო!

— გამიშვი და მოლაპარაკე ვარდს დაგიბრუნებო, — სთხოვა საწყალმა კაცმა.

— ვერ გაგიშვებ, უნდა მოკვდეო.

— უბედური ვარ, უბედური! ჩემმა ქალმა მთხოვა მოლაპარაკე ვარდი მიმეტანა და ახლა, როცა ვიპოვე, უნდა მოკვდეო?!

— ყური მიგდე, — უთხრა თეთრმა მგელმა, — შეგიწყალებ და ვარდსაც გაგატან, მაგრამ ერთი პირობით: შინ ვინც პირველი შეგხვდება, იმას მომიყვანო.

საწყალი კაცი შეჰპირდა, შენს თხოვნას შევასრულებო, და უკან გამობრუნდა. შინ მოვიდა თუ არა, პირველად თავისი ბოლოლა ქალი დაინახა.

— ეჰ, ჩემო შვილო, რა უბედურ ფეხზე წავედიო!

— რა იყო, მოლაპარაკე ვარდი ვერ იპოვეო? — ჰკითხა ქალმა.

— ვიპოვე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ვარდი თეთრი მგლის კომპის ეზოში მოვწყვიტე და მგელი სიკვდილით მემუქრებო.

— არა, ეგ არ მინდა, შენს სიკვდილს ჩემი სიკვდილი მირჩევნიაო.

ქალმა ეს სიტყვები იმდენჯერ გაიმეორა, რომ ბოლოს მამამ უთხრა:

— თუ ასეა, ჩემო შვილო, გეტყვი იმას, რის თქმასაც არ ვაპირებდი: თეთრ მგელს შევპირდი, ვინც შინ პირველი შემხვდება, იმას მოვიყვან-მეთქი, და მგელმაც გამომიშვაო.

— მამი, მზად ვარ გზას გავუდგეთო.

და, აი, მამა და შვილი თეთრი მგლის კომპში წავიდნენ. იარეს, იარეს და ერთ საღამოს კომპს მიადგნენ. თეთრი მგელი მაშინვე მოვიდა. ქალის მამამ უთხრა:

— აი, პირველად ეს შემხვდა, შინ რომ დავბრუნდი. ჩემი ქალია, მოლაპარაკე ვარდის მოტანა სწორედ ამან მთხოვაო.

— მე თქვენ არას გავნებთ, — უთხრა მათ თეთრმა მგელმა, — მაგრამ უნდა აღმითქვათ, რასაც აქ ნახავთ და გაიგონებთ, არავის ეტყვიო. ეს კომპი ფერიებისაა. ყველანი, ვინც აქ ვცხოვრობთ, მოჯადოებულნი ვართ. მე მისჯილი მაქვს დღისით თეთრ მგლად გადავიქცე. თუ საიდუმლოების შენახვას შეძლებთ, სასიკეთოდ თქვენვე მოგიბრუნდებათო.

მამა-შვილი შევიდა ოთახში, სადაც მდიდრული სუფრა იყო გაშლილი. ისინი სუფრას შემოუსხდნენ და მადიანად შეექცნენ. მალე, სულ რომ ჩამოხნებოდა, ოთახში მშვენიერი ვაჟბატონი შემოვიდა. ეს ის ჭაბუკი იყო, თავდაპირველად თეთრ მგლად რომ გამოეცხადათ.

— ხომ ხედავთ, ამ მაგიდაზე რაც წერია: — კრინტი არ დასძრათო!

მამა და შვილი ისევ შეჰპირდნენ, საიდუმლოებას შევინახავთო.

ქალი ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც მალე ისევ ის ლამაზი ბატონი შევიდა. ქალს მალიან შეეშინდა და ყვირილი მორთო. ბატონმა იგი დაამშვიდა და უთხრა, თუ ჩემს რჩევას დაუჯერებ, ცოლად შეგიერთავ, დედოფალი გახდები და ეს კომპი შენი იქნებაო.

მეორე დღით იგი ისევ თეთრ მგლად გადაიქცა. მისი საცოდავი ყმუილი რომ გაიგონა, საბრალო ქალი ატირდა.

ქალის მამამ კიდევ ერთი ღამე გაათია კოშკში და შინ წავიდა. ქალი კოშკში დარჩა და სულ მალე იქაურობას შეეჩვია. რასაც კი მოისურვებდა, ყველაფერი ჰქონდა. ყოველდღიურად მის სმენას მუსიკა ატკბობდა. არაფერს იმურებდნენ, რომ გაერთოთ. შინ კი დედა და დები ძალიან წუხდნენ.

— ჩემი შვილი სად არის? ჩვენი და სად არისო? — სულ ერთთავად კითხულობდნენ.

შინ რომ დაბრუნდა, ქალის მამას ჯერ არაფრის თქმა არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს ვერ გაუძლო მათ ყვედრებას და უთხრა, ქალი სადაც დატოვა. ერთი ასული მაშინვე ბოლოლა დასთან წავიდა და დაუწყო გამოკითხვა, აქ რა გინდაო. ბოლოლა დიდხანს არ ძრავდა კრინტს, მაგრამ და არ მოეშვა და მანაც საიდუმლოება გაუმჟღავნა.

მაშინვე კართან საზარელი ყმული გაისმა. შეშინებული ქალი ზეზე წამოიჭრა, მიიღრინა თუ არა კარის ზღურბლთან, თეთრი მგელი მის ფეხებთან უსულოდ დაეცა. ქალი მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ გვიანი იყო და დარჩენილი სიცოცხლე ქალმა მწუხარებაში გაატარა.

## თხები და მგელი

სამი თხა ბაზრობაზე წავიდა. მხიარულ გუნებაზე იყვნენ. მთელი გზა ხტოდნენ, იცინოდნენ და მღეროდნენ. ბებერმა მგელმა შორიდანვე დაინახა ისინი, ერთ დიდ ბუჩქს ამოეფარა და დაელოდა.

— შესდექით! — გასძახა მან, როცა თხები მიუახლოვდნენ.

— ბებერო მგელო, რა გინდაო?

— გიშერავ, უნდა შეგჭამო!

— არა, არ შემჭამო, ნაცარა შეჭამეო!

— ნაცარავ, უნდა შეგჭამო!

— არა, არ შემჭამო, წაბლა შეჭამეო!

— წაბლავ, უნდა შეგჭამო!

— არა, არ შეგჭამო. ჩვენ ბაზრობაზე მივდივართ, იქ თაფლაკვერი იყიდება, ბევრს ვიყიდით და გაჭმევთო!

— ძალიან კარგი. აბა, წადით! ოღონდ, მშია და იჩქარეთ. იცოდეთ, თუ თაფლაკვერი არ მოგიტანიათ, სამივეს — გიშერას, ნაცარას და წაბლას — შეგჭამთო.

— კარგი, მგელო, კარგი, მოგიტანთ. აბა, ნახვამდისო.

თხებმა გზა განაგრძეს და ქალაქში ჩავიდნენ. ისინი მაშინვე ბაზრობაზე გაიქცნენ, იყიდეს კამფეტები, თაფლაკვერები და იქაურობას მხოლოდ მაშინ გაეცალნენ, როცა ქისაში ერთი სუც\* (\*სუ — საფრანგეთის ძველებური სპილენძის ფული.) აღარ დარჩათ.

სამწუხაროდ, მთელი გზა პირი აღარ გააჩერეს, რაც კი კამფეტები და თაფლაკვერები ჰქონდათ, სულ შეჭამეს და მგელთან ხელცარიელნი დაბრუნდნენ.

— ჩემი თაფლაკვერები სადღააო? — იკითხა მგელმა.

— ნულა გაგვასხენებ, მოგვექონდა და გზაში დაგვეკარგაო.

— გიშერავ, უნდა შეგჭამო!

— არა, არ შემჭამო, ნაცარა შეჭამეო!

— ნაცარავ, უნდა შეგჭამო!

— არა, არ შემჭამო, წაბლა შეჭამეო!

— წაბლავ, უნდა შეგჭამო!

— სანამ შეგვჭამ, ტყიდან თხილი მოგვიტანეო!

— ახლავე გავიქცევი. მოვბრუნდები თუ არა, სამივეს შეგჭამთო.

სანამ მგელი მობრუნდებოდა, გიშერამ, ნაცარამ და წაბლამ საჩქაროდ სახლი ააგეს, ბუხარში ცეცხლი გააჩაღეს და მგელს ლოდინი დაუწყეს.

«კაკ-კუკ!» — დააკაკუნა მგელმა.

— საკვამურიდან ჩამოდი, მგელო, გასაღები დაგვეკარგაო!

მგელი სახურავზე ავიდა, საკვამურში ჩაძვრა, ცეცხლში ჩავარდა და დაიწვა. აბა, წარმოიდგინეთ, რა ბედნიერნი იყვნენ თხები, მშობლებთან მშვიდობით რომ დაბრუნდნენ!

## მ გ ე ლ ი   დ ა   მ ე ლ ა

ერთ ღარიბ გლეხს სამი თხა ჰყავდა. ზაფხულში და შემოდგომაზე მინდორში ან ტყის პირას გარეკავდა, სადაც თხები რის ვაი-ვაგლახით პოულობდნენ საზრდოს. ზამთარი რომ დადგა, გლეხმა ორი თხა გაყიდა. შინ ყველაზე პატარა დაიტოვა და ბალის მესერზე გამოაბა. ყოველდღიურად გლეხი თხას ცოტ-ცოტა პურს უზიდავდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო.

თხას ერთი სული ჰქონდა, აეწყვიტა და ტყეში გაქცეულიყო, სადაც მწვანე ნაძვებს ხედავდა და ფიქრობდა, ალბათ ზედ რძიანი, ლორთქო ბალახი იზრდებაო. ჰოდა, თხამ გადაწყვიტა: როგორც კი შეძლება მომეცემა, გავიქცევიო. ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, თხამ თოკი გაწყვიტა და მესერს გადაახტა. დაიწყო თავისუფლად ნავარდი და ნაადრევ ყინვებს გადარჩენილი ბალახის წიწვნა.

მისდა ჭირად, იგი ნათლიმამა მელამ დაინახა და მგელთან გაიქცა.

— ძია მატის თხა გამოჰქცევია, გინდა შეჭამო?

— როგორ არ მინდა! ორი დღეა პირში ხემსი არ ჩამსვლია. სად არის, მზად ვარო.

— ხორცს ხომ გამიყოფო?

— ჰო, ჰო, ცხადია, გაგიყოფო.

ნათლიმამა მელა და ნათლიმამა მგელი ეცნენ თხას და ყელი გამოჰლადრეს.

— აბა, ახლავე შევჭამოთო, — თქვა მგელმა.

— არა, შენთან წავიდეთ და მოვხარშოთ, წვნიანი გაცილებით გემრიელი იქნებაო.

— ნათლიმამ, მართალს ამბობო.

მგელმა და მელამ თხა მგლის სახლში წაიღეს. კერაში ცეცხლი გააჩაღეს. ნათლიმამა მგელმა ჭიდან წყალი მოიტანა, ქვაბში ჩაასხა და ძია მატის თხის ხარშვა დაიწყო. წყალი ადუღდა და ქაფის მოხდის დრო დადგა.

— ნათლიმამ, ქაფქირი აიღე და ქაფი მოხადეო, — უთხრა მელას მგელმა.

— შენ თვითონ მოხადე, რაღაც კარგად ვერ ვხედავო.

მგელმა ქაფქირი აიღო და ქაფის მოხდა დაიწყო. მაშინ ნათლიმამა მელამ ნათლიმამა მგელს კუდში ხელი სტაცა და მდულარეში ჩააგდო. მელამ იფიქრა, მგელი ალბათ გაიფუფქაო და კმაყოფილი შინ წავიდა. მაგრამ ნურას უკაცრავად, მგელი ქვაბიდან ამობობლდა და ერთ კვირაში ისევ ჯანზე მოვიდა.

დამაცა, შე ცბიერო მელავ, ხელში ჩამივარდები და სეირს გაჩვენებო, — გაიფიქრა მგელმა.

ამის გაფიქრება და მელას გამოჩენა ერთი იყო.

— შეჩერდი, მელაკუდავ! ქვაბში რომ ჩამაგდე, სამაგიეროდ უნდა შეგჭამო.

— რად უნდა შემჭამო? მე არ მშოიდა და ქვაბში იმიტომ ჩაგაგდე, წვნიანი მარტო ამან მიირთვას-მეთქი.

— თუ ასეა, მაპატიე, მოდი, ხელი დაჰკარო!

— სიამოვნებით! ერთგულება რომ დაგიმტკიცო, ერთ ამბავს გეტყვი: აქვე, ახლოს, მეორე თხა მოვს, მატის თხაზე ბევრად მუქანი. მალე გავიქცეთ, დავიჭიროთ და მოვხარშოთო.

— ძალიან კარგი! მაგრამ მდულარეში ისევ ხომ არ ჩამაგდებო?

— შენს თავს ვფიცავ, არ ჩაგაგდებო!

დაიჭირეს თხა და დაუწყეს ხარშვა. ნათლიმამა მგელმა ისევ მდულარეში ამოჰყო თავი და ისევ ამობობლდა ქვაბიდან.

ორი კვირის მერე მგელი მელას შეხვდა.

— ნათლიმამა მელავ, ახლა ვეღარ გადაამირჩებიო.

— რატომ, ძმაო მგელო?

— იმიტომ, რომ ქვაბში ჩამაგდეო.

— იცი რა, ჩემს სწეულ ცოლზე ვფიქრობდი და პირობა დამავიწყდაო.

— თუ არ სტყუი, მაშინ, მოდი, შევრიგდეთო.

— ძალიან კარგი, მით უმეტეს, აქვე, ახლოს, ჩინებული თხა დაბრძანდებო.

მესამე თხაც მოიტაცეს და ხარშვა დაუწყეს. მგელი ისევ ქვაბში ჩავარდა.

მაგრამ ამის მერე მელა მგელს რომ შეხვდა, ძალიან შეშინდა. მელას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ნათლიმამა მგელმა დაიჭირა და შეჭმა დაუპირა.

— ასე იყოს, შემჭამე, ნათლიმამა მგელო, მაგრამ მინდოდა სიკვდილის წინ წირვაზე წავსულიყავიო.

— წირვაზე რას იზამო?

— ღმერთს შევევედრები, სამოთხეში შემიშვასო.

— კეთილი, ამაზე უარს არც მე ვიტყვიო.

მგელი და მელა სოფლის ეკლესიაში შევიდნენ.

— ოჰ, ნათლიმამა მგელო, მნათე აქ არ არის, რომ ზარები დარეკოს და ჩემი მონანიება ყველას ამცნოს. იქნებ შენ დარეკო.

— მზადა ვარ, მაგრამ თოკის ჩამოწევა არ ვიციო.

— არაფერია, თოკს კუდზე გამოგაბამ და ზევით-ქვევით იხტუნავებო.

მელამ მგელს კუდზე თოკი გამოაბა, ზარები კარგა მაგრა გააქან-გამოაქანა და გაიქცა. ზარებზე კუდმიბმული უბედური მგელი თხუთმეტი ფუტის\* (\* ფუტი «— სიგრძის ინგლისური საზომი, უდრის 30,5 სმ.-ს.) სიმაღლეზე ხან ზევით აიჭრებოდა, ხან ძირს ენარცხებოდა და მიწაზე ცხვირპირს იმტვრევდა. ასე ქანაობდა ხუთიოდე წუთი.

ზარები რომ გაჩერდა, მგელმა თოკი გადალრღნა და მელას გამოუდგა. ბუჩქებში მიუსწრო.

— აი თურმე სად ბრძანდები, ნათლიმამა მელავ! ახლა კი შეგჭამო!

— არ შეგიძლია ცოტა მოითმინო? შინ მივიდოდით, ანდერძს დავეწერდი და ცოლ-შვილს უკანასკნელად გადავკოცნიდიო.

— კეთილი. ოღონდ იჩქარეო.

წავიდნენ მელას სახლში.

— არ შემოხვიდე, ნათლიმამა მგელო, ჩემი ცოლი სიკვდილის პირზეა და, რომ დაგინახოს, შიშისაგან სულს განუტევებსო.

— კარგი, ზღურბლზე დაგელოდებიო.

ნათლიმამა მელამ კარს ურდული გაუყარა და იფიქრა, ხსნილი ვარო, მაგრამ მგელი სახურავზე აძვრა და საკვამლე მილში აგურების ჩაყრა დაიწყო.

— მაღლობელი ვარ, ჩემო მეგობარო, ამ აგურებით ბაღს ყორეს შემოვავლებო.

მგელმა მდინარიდან წყალი მოზიდა და საკვამლე მილში ჩასხმა დაიწყო.

— მაღლობელი ვარ, ჩემო მეგობარო, თავ-პირის მტვრევით მოვრბოდი და წყურვილი მახრჩობსო!

მაშინ მგელმა მელას სახლის დაწვა განიზრახა და მილში მუგუზლები ჩაყარა. მელა კი ყვიროდა და ყვიროდა:

— მაღლობელი ვარ, ჩემო მეგობარო, ოჰ-ჰო-ჰო! როგორ მცივა, სახლში კი შეშა არა გვაქვს. შენც ჩამოდი და გათბიო.

ნათლიმამა მგელი მილში ჩაძვრა. ცბიერმა მელამ ცეცხლში ჩააგდო, მერე შამფურზე შეწვა და შეჭამა.

## ბ უ რ გ უ ნ დ ი უ ლ ი ზ ღ ა პ ა რ ი

### პ ა ტ ა რ ა ა ნ ე ტ ა

იყო ერთი პატარა ქალი. თხუთმეტი წლის რომ შესრულდა, დედა მოუკვდა, მამამ წლისთავზე ერთი ქვრივი შეირთო. ქვრივს სამი ქალი ჰყავდა. ქვრივის შვილები ზარმაცები იყვნენ და არაფერს აკეთებდნენ, საბრალო ანეტა კი მთელი დღე მინდორში ცხვრებს მწყემსავდა. საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, მოცლა არა ჰქონდა — მთელი დღის ნახმარ ჭურჭელს რეცხავდა. თვითონ ანეტას თეფშს არასოდეს უდგამდნენ. სამწყემსურშიც პურის პატარა ნატებს ატანდა ხოლმე დედინაცვალი და, აბა, რა გასაკვირია, რომ საბრალო პატარა ქალს შიმშილით კუჭი ასწვოდა.

ერთხელ, თავისი ღარიბული სადილი რომ მოათავა და ზედ წყაროს წყალი დააყოლა, პატარა ქალი თავისმა მწარე ხვედრმა ჩააფიქრა.

«რა კარგი იყო, დედა ცოცხალი რომ მყავდა. დედა მუდამ იმას ცდილობდა, არც სიცივე მეგრძნო, არც შიმშილი. დედას ვუყვარდი და სულ მეფერებოდა!»

დედა რომ გაახსენდა, მწყემსი გოგო ატირდა. უცებ აიხედა და აცრემლებული თვალებით მშვენიერი ქალი არ დაინახა?! ეს ქალი ფერია იყო თურმე.

— რატომ ტირი, პატარა ქალო? — ჰკითხა ფერიამ.

— ოჰ, ქალბატონო, დედა გამახსენდაო.

— ვიცი, ვიცი, დედა მოგიკვდა და ახლა უბედური ხარ, მაგრამ მოითმინე, მზუნველობას არ მოგაკლებ და ტანჯვას შეგიმსუბუქებ. ჯერ, აი, ეს ჯოხი გამომართვი: როცა მოგმივდეს, შენს შავ ცხვარს ოდნავ შეახეო.

მფარველი ფერია ისე უცებ გაქრა, რომ პატარა ქალმა მადლობის თქმაც ვერ მოასწრო. მწყემსს მოუნდა, რაც შეიძლება მალე გამოეცადა ჯოხის ძალა. მან ჯოხი შავ ცხვარს შეახო და იმავე წამს ნაირ-ნაირი საჭმელებით სავსე სუფრა გაიშალა. პატარა ქალმა სუფრას მოუღებინა, მას თავისი ერთგული ძაღლიც არ დავიწყებია, ბეჯითად რომ შველოდა ცხვრის მწყემსვაში. ასე გძელდებოდა ყოველდღიურად: საკმარისი იყო, პატარა ქალს მოსურვებოდა და თვალის დახამხამებაში ისეთი კერძები გაჩნდებოდა, ხელმწიფესაც კი არ მოელანდებოდა. ასე რომ, გამხდარი და სუსტი ქალი ძალ-ღონითა და ფერ-ხორციტ გაივსო. დედინაცვალი, უწინდებურად რომ აშიმშილებდა პატარა ქალს, გაოცებას იყო, ასე რა ასუქებსო, თან ეჭვმაც გაკენწლა.

— მარი, — უთხრა ერთხელ თავის უფროს ქალს, — ჩვენს მწყემსს მინდორში წაყვი, კარგად ნახე რას ჭამს და ყველაფერი მიაძმე. ოღონდ არ შეიმჩნიო, განგებ რომ გაყვი, თავი ისე დაიჭირე, ვერაფერს მიხვდესო.

მარი წაჰყვა ანეტას. იქ სულ სხვაგვარად მოექცა ნახევარდას, ვიდრე შინ: ტირიფის წკნელებისაგან კალათა მოუწნა და მინდვრის ყვავილებისაგან თაიგული შეუკრა. მაგრამ ქვრივის შვილი სიარულს ჩვეული არ იყო, მალე დაიღალა და დასასვენებლად ბალახებზე დაჯდა.

— ჩემ გვერდით დაჯექი და თავი კალთაში ჩამიდევ, თმას დაგვარცხნიო, — უთხრა ანეტამ ნახევარდას.

მწყემსი გუმანით გრძნობდა, რომ გოგო სათვალთვალოდ გამოაყოლეს, ამიტომ თმას უვარცხნიდა და თან ხმამაღლა უმღეროდა: ჩემო დაო, დაიკო, ერთი თვალი დახუჭე, ჩემო დაო, დაიკო, ეს მეორეც დახუჭე! ჩემო დაო, დაიკო, ერთი თვალი დახუჭე, ჩემო დაო, დაიკო, ეს მეორეც დახუჭე! ასე უმღეროდა და უმღეროდა, სანამ მარის ძილქუში არ დააწვა. მწყემსმა დრო იხელთა და კარგა ლაზათიანად დანაყრდა. მარის არაფერი დაუნახავს.

— აბა, მარი, მითხარი, რა საჭმელია, ანეტას ასე რომ რგებსო? — ჰკითხა დედინაცვალმა თავის ქალს შინ რომ დაბრუნდა.

— გარწმუნებთ, დედი, ხმელა პური ჭამა და წყაროს წყალი დააყოლაო.

— წადი, დაიძინე, უქნარავ, შენი და უკეთ გაიგებს ყველაფერს. ფანშეტა, ყური მიგდე, რა უნდა გითხრა: ხვალ რიჟრაჟზე ადგები და ანეტას მინდორში გაჰყვები. ნახე, რას აკეთებს, რას ჭამს და ყველაფერი მიაძმეო.

— კარგი, დედი, ყველაფერზე თვალი მეჭირებაო.

მაგრამ ფანშეტასაც იგივე დაემართა, რაც მის დას: დაიძინა და ვერაფერი დაინახა. დედამ ისიც გალანძღა.

— ვფიცავ დამბადებელს, ამ ძილისგუდებს დაემინათ. ამჯერად კი ვერავინ გამასულელებს. ლიზეტა, ჩემო ქურციკო, მოდი შენს დედიკოსთან, ხვალ ანეტას მინდორში წაყვები. თუ დაიღლები, დაიძინე, დახუჭე ერთი თვალი, თუგინდ ორივე, ოღონდ, ეს თვალი, კეფაში რომ ჩაგისვამ, არ დახუჭო. ცუდი დღე დაგადგება, თუკი ჩემს დავალებას არ შეასრულებო!

ლიზეტა დედას შეჰპირდა, შეუმჩნეველს არაფერს დავტოვებო. სირბილით რომ დაიღალა, ლიზეტამ ანეტას კალთაში ჩაუდო თავი. ანეტამ წინანდებურად სიმღერა დაიწყო: ჩემო დაო, დაიკო, ერთი თვალი დახუჭე, ჩემო დაო, დაიკო, ეს მეორეც დახუჭე! მაგრამ მან არ იცოდა, რომ ლიზეტას მესამე თვალზე ჰქონდა. ლიზეტამ მესამე თვალზე დაინახა, როგორ გაშალა ანეტამ ნაირ-ნაირი საჭმელებით სავსე სუფრა, და ყველაფერი სასწრაფოდ დედას ჩაუკენჭა.

— ოჰ, დედი, სულ არ არის გასაკვირი, ჩვენი მწყემსი ასე რომ სუქდება. იგი ჩვენზე უკეთ ცხოვრობს. რა საჭმელ-სასმელი გინდა, შავი ცხვარი რომ არ აძლევდესო!

დედინაცვალმა რომ გაიგო, გერი ასეთ ბედში ჩავარდნილაო, შურით კინაღამ გასკდა და გადაწყვიტა, ამ ამბავს ბოლო უნდა მოვუღლო. იგი ლოგინში ჩაწვა და თავი მოიავადმყოფა.

— კვკვები, მაგრამ ვიცი, რაც მომარჩენსო, — უთხრა ცოლმა ქმარს.

— მითხარი, და ყველაფერს გავაჩენო, — შეჰპირდა ქმარი.

— ჩემი წამალი შავი ცხვრის ხორციაო.

— სულ ეს არის? ეგ ადვილი საქმეა! შავი ცხვარი იქნება თუ თეთრი, სულ ერთია. ახლავე დავკლავო.

ანეტას მათი საუბარი ესმოდა. სანამ მამა დიდ დანას ლესავდა, ეზოში გაიპარა და ფარეხში შევარდა.

— ჩემო შავო ყოჩო, ჩქარა გავიქცეთ, დაკვლას გიპირებენო!

— ნუ გეშინია! არა უშავს რა, დამკლან. იცოდე, ურჩობა არ დაუწყო. ასეა საჭირო. შენ მხოლოდ ერთი რამ ჰქენი: ჩემი ღვიძლი წაიღე და ბაღში დაფალიო.

ანეტამ ბევრი იტირა და ივაგლახა, მაგრამ აბა, რა შეეძლო, ბოლოს შეურიგდა თავის ხვედრს. დაკლეს ცხვარი. დედინაცვალმა და მისმა ქალებმა მოილხინეს. დედინაცვალი ისეთ ამბავში იყო, თითქოს ავად არცა ყოფილა. უხაროდა, ჩემს უთქმელ გერს გული მოვუკალიო, და ნიშნის მოგებით პატიჟებდა შავი ცხვრის ხორცზე, მაგრამ კარგი ნაჭერი ენანებოდა და ღვიძლი გადაუგდო:

— აჰა, აიღე და იკმარეო!

ანეტასაც ეს უნდოდა. იგი ისე მოიქცა, როგორც ცხვარმა ურჩია. იმ ადგილას, სადაც ანეტამ ღვიძლი დაფლა, ხე ამოვიდა. და ისეთი მაღალი გაიზარდა, ისეთი მაღალი, რომ, რაც არ უნდა გრძელი კიბე მიედგათ, ტოტებს ვერ სწვდებოდნენ, თან ისეთი გლუვი ტანი ჰქონდა, ნახევრამდეც ვერავინ ადიოდა. ყველას თვალს სტაცებდა მისი უგემრიელესი ნაყოფი, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ შორიდან ეცქირათ. მარტო ანეტას შეეძლო მათი მოკრეფა, რადგან ტოტები ძირს მისთვის იზნიქებოდნენ და არა სხვებისთვის.

სწორედ ამ დროს ამ მხარეში ხელმწიფის ვაჟმა ჩამოიარა და ეს მშვენიერი ხე დაინახა: ხელმწიფის ვაჟს თვალში მოუვიდა ნაყოფი, და ნერწყვი მოადგა, მაგრამ მოკრეფა ვერავინ შეძლო. ხელმწიფის ვაჟს ისე უნდოდა გემო გაესინჯა, რომ აღთქმა დადო, ვინც ამ ნაყოფს მომიწყვეტს, მის ასულს ვითხოვო. ყველა ქალის დედ-მამამ მოისურვა ბედი ეცადა, მათი ასულებიც ცდილობდნენ ნაყოფს მისწვდომოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად! ვერავინ ახერხებდა.



ანეტას დედინაცვალს, პატივმოყვრული ზრახვები რომ ასულდგმულებდა, თავი ყველაზე ეშმაკ დედაკაცად მიაჩნდა. მან ძალიან გრძელი კიბე გააკეთებინა და ხეს მიადგა, მაგრამ კიბე ტოტებს ვერ მისწვდა. დედინაცვალი ბოლო საფეხურზე შედგა, ფეხის წვერებზე აიწია, რომ მის თავზე გადმოკიდებულ ნაყოფს მისწვდენოდა, მაგრამ გადაყირავდა, მიწას გულალმა დაენარცხა და სული განუტევა. ამრიგად, მან და მისმა ყველა ბოროტებამ თქვენი ჭირი წაიღო.

ამ ამბავმა ყველა პატივმოყვარეს განზრახვაზე ხელი ააღებინა — ახლა არავინ ცდილობდა ან კიბეებზე აფორთხებულყო, ან ხეზე აცოცებულყო. მაგრამ ხელმწიფის ვაჟს ისე კლავდა წადილი, რომ ეშინოდათ, არ დასწეულდესო. მაშინ ანეტამ შეიბრალა ხელმწიფის ვაჟი. როგორც კი ანეტა ხეს მიუახლოვდა, ტოტებმა ძირს დაშვება იწყეს. მანამ ეშვებოდნენ, სანამ ისე დაბლა არ დაიხარნენ, რომ ანეტას შეძლებოდა ნაყოფს მისწვდენოდა. ანეტამ კალათა ნაყოფით აავსო და ხელმწიფის ვაჟს მიართვა. ადვილი მისახვედრია, რა ჯილდო ერგო ანეტას ამ ძვირფასი საჩუქრისათვის: იგი ხელმწიფის ვაჟის ცოლი გახდა და სიკვდილამდე ბედნიერად და საამურად ცხოვრობდა.

## პიკარდიული ზღაპრები

### კატის, მამლისა და ნამგლის ზღაპარი

ერთი ღარიბი მეწისქვილე მოკვდა და თავის სამ ვაჟს მემკვიდრეობით მხოლოდ კატა, მამალი და ნამგალი დაუტოვა.

წისქვილი და ვირილაო? — იკითხავთ თქვენ.

წისქვილი სოფლის მეპატრონეს ეკუთვნოდა, ხოლო ვირმა მეწისქვილემდე ერთი კვირით ადრე თქვენი ჭირი წაიღო.

— ახლა რა ვქნათო? — კითხულობდნენ სასაფლაოდან დაბრუნებული ძმები.

— რა ვქნათო, რა ვქნათო? — ნაღვლიანად იმეორებდნენ ისინი.

— ბედმა გვიმუხთლა, — თქვა უფროსმა ძმამ. — მართალია, მამას ცოტა რამ დარჩა, მაგრამ, მოდით, მამის ქონება გავიყოთ და ბედის საძებნელად წავიდეთ. შევთანხმდეთ, თუ გსურთ, ზუსტად ერთი წლის და ერთი დღის მერე ერთმანეთს ამ ადგილას შევხვდეთო.

— ასე ვქნათო, — მიუგეს უმცროსმა ძმებმა. — შენ უფროსი ხარ და ქონებაც შენ გაყავიო.

— კარგი. აჰა, ჩვენი სახლიც. ჟან, შენ მამალი წაიყვანე, ჟაკ, შენ ნამგალი წაიღე, მე კი კატა მინეს დავიტოვებო.

ჟანმა მამალს უხმო, ჟაკმა ნამგალი აიღო, ხოლო მეწისქვილის უფროსმა ვაჟმა პიერმა კატას დაუძახა და გზას გაუდგინა.

ძმები გზაჯვარედინზე მივიდნენ, აქ ერთმანეთი გადაკოცნეს და თავ-თავიანთი გზით წავიდნენ, პიერი — კატიანად, ჟანი — მამლიანად, ჟაკი — ნამგლიანად.

პიერმა იარა, იარა და ხელმწიფის კოშკს მიადგა. სწორედ ამ დროს კეტებით შეიარაღებული ხელმწიფის ორი ათასი მსახური თავგებს ეომებოდა. თავგებს ქვეყანა გაეჩანაგებინათ. თურმე, აგერ, წელიწადნახევარი იყო ამ ქვეყანაში თავგებს ებრძოდნენ და ჯერჯერობით მხოლოდ ოთხი მოეკლათ. პიერი გაკვირვებული უცქეროდა ამ სანახაობას. უცებ კოკშის სარდაფიდან ერთი მსუქანი თავგი გამოვარდა და პირდაპირ მისკენ გამოქანდა; თავგს ორმოცდაათამდე კაცი დაედევნა. პიერს სიცილი წასკდა, როცა ხედავდა მოსაკლავად როგორ მისდევდნენ თავგს. თავგი, თითქოს განგებ, ფეხებში ებლანდებოდა თავის გამძვინვარებულ მდეურებს და აშმაგებდა. მონადირეები ცდილობდნენ თავგისთვის ჯოხი დაეკრათ, მაგრამ იმას კი ვერ ახვედრებდნენ და ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევდნენ. ამის შემყურე პიერი ხარხარებდა და ხარხარებდა. მსახურები ჯავრობდნენ. ერთმა მსახურმა უთხრა:

— უცხოელო, შენ რომ ჩვენს ადგილზე იყო, ასე არ გაიცინებდიო!

— რატომ გგონიაო?

— რატომ? განა ვერა ხედავ, რა ძნელი დასაჭერია ეს მხეცები? ამათი სინსილა კი გაწყდაო!

— მე კი ამ თავგს სულ ადვილად დავიჭერ. აბა, მიყურეთო!

ეს რომ თქვა, პიერმა კატა მინე გაუშვა. კატა ერთი ნახტომით დაეწია თავგს, დაიჭირა და თავის პატრონს მიუყვანა.

— ო, ღმერთო! რა ჰქვია ამ საოცარ ცხოველს? — ერთხმად შესძახეს გაკვირვებისაგან პირდაღებულმა მეფის მსახურებმა.

— ამ ცხოველს კატა ჰქვია. მისთვის ძალიან იოლია თქვენს სახელმწიფოში თავგის სინსილა გაწყვიტოსო.

— კატა? კატა ადამიანებს ხომ არ ჭამსო?

— ადამიანებს არა, მაგრამ ვირთხებსა და თავგებს სიამოვნებით მიირთმევსო.

— თუ ასეა, ხელმწიფესთან წამოგყვევი. ხელმწიფეს დიდი სურვილი ექნება შეხედოს შენს... შენს... რა ჰქვიაო?

— კატა.

— შენს კატას და ბევრ ფულსაც მოგცემს. ოღონდ გახსოვდეს, ხელმწიფე ძალიან მდიდარია და ძვირი დაუფასეო.

პიერი მსახურებს გაჰყვა სასახლეში. მივიდნენ ხელმწიფესთან.

— მითხრეს, აი, ეგ ცხოველი, ხელში რომ გიჭირავს, ერთ წამში ყველანაირ თავგს ჭამს და თავისუფლად მისი გაშვება ჩემი ქვეშევრდომებისთვის საშიში სულაც არ არის. მართალიაო?

— მართალია, თუ გასურს, ახლავე დაგიმტკიცებო.

ექვსიოდე თავგი იქვე ოთახში დარბოდა. პიერმა კატა გაუშვა, რომელსაც პირველი თავგის შესანსვლის მერე მადა გახსნოდა. იშტაზე მოსულმა მინემ იმდენი იხტუნავა აქეთ-იქით, სანამ ყველთავგს მუსრი არ გაავლო.

ხელმწიფე გაოგნებული იდგა.

— რამდენად მომყიდო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— კატას არ ვყიდი. ასეთი ცხოველი ქვეყანაზე მეორე არ არის და თავიდან ვერ მოვიცილებო.

— ეს ცხოველი ისე მინდა, მზად ვარ, ნახევარი სახელმწიფო დაგიტმოო!

— გაყიდვა არ შემიძლია. მაგრამ ერთი გამოსავალი არის: შენი ქალი მომათხოვე და ყველაფერი კარგად იქნება — მინე არც მე დამცილდება და შენი საკუთრებაც გახდებაო.

ხელმწიფე სიხარულით დათანხმდა და პიერი იმავე დღეს დაქორწინდა ხელმწიფის ასულზე.

მეწისქვილის მეორე ვაჟი ჟანიც მივიდა ხელმწიფის კოშკში. მაგრამ სხვა ქვეყანაში. ჟანმა თავშესაფარი ითხოვა. საღამოს დაინახა, რომ კოშკიდან შავრა ცხენშებმული ვეება ეტლი გამოვიდა, და ძალიან გაუკვირდა. ეტლი აღმოსავლეთ მხარეს გაქანდა. ჟანმა ერთ კარისკაცს ჰკითხა:

— ის ეტლი სად წავიდაო?

— ნუთუ არ იცი? დღის მოსაყვანად წავიდა. თუ არ მოიყვანეს, დღე ისე არ დაბრუნდება. განა თქვენს ქვეყანაში მუდმივად ღამეაო?

— არა, რას ამბობ ახსნა-განმარტებისათვის მადლობელი ვარო.

ჟანი დაელოდა მეორე დღის გათენებას. მან მაშინ გაახილა თვალი, სასახლის საათზე ექვსმა რომ დარეკა. ზაფხული იყო და ჟანს ძალიან გაუკვირდა, რომ ისევ ბნელოდა. დარეკა შვიდმა საათმა, რვამ. არა და არ თენდებოდა. ბოლოს, ცხრა საათზე მოისმა თვლების შორი გრიალი. ეტლი, წუხელ რომ წავიდა, უკან დაბრუნდა და დღე მოიყვანა.

— ნუთუ ამ ქვეყანაში მამლები არა ჰყავთ? ვნახოთ ხვალ რა მოხდებაო. — თავის-  
თვის ჩაილაპარაკა ჟანმა, მაგრამ კარისკაცებისთვის არაფერი უთქვამს. რომ დაღამდა,  
ოთახში მამალი გამოუშვა და დაიწყო ლოდინი.

ღამის სამი საათისთვის მამალმა გაიღვიძა, ფრთები აიქნია და თავისი მხიარული  
«ყიყლიყო» დასჭექა, თანაც განა ერთხელ!

მაშინვე ირიჟრაჟა. უნდა გენახათ რა ალიაქოთი ატყდა კოშკში. თავდაპირველად  
ეგონათ, ეტლი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდაო, მაგრამ მაშინვე დარწმუნდნენ, რომ  
შეცდნენ. დაუწყეს კარისკაცებს გამოკითხვა. ერთ-ერთმა მსახურმა თქვა, მანამ, სანამ  
გათენდებოდა, უცხოელის ოთახში რაღაც ფრინველმა «ყიყლიყო» შემოსძახაო. ხელ-  
მწიფემ ბრძანა, ჟანი მომიყვანეთო.

— დღე შენ მოიყვანეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, მე, უფრო სწორად, ამ ფრინველმა, ხელში რომ მიჭირავსო.

— ამ ფრინველს რა ჰქვიაო?

— მამალი. საკმარისია, «ყიყლიყო» დაიძახოს და დღეც მაშინვე მოვაო.

— ეს მშვენიერი ფრინველი სად იცისო?

— მეორე ასეთი ფრინველი არსადაა. ჩემმა ნათლია ფერიამ მაჩუქაო.

— ოღონდ მამალი მომიყიდე და, რასაც დააფასებ, მოგცემ, თუგინდ ნახევარ სახელ-  
მწიფოს დაგიტომობო.

— ჩემი მამალი არც ვერცხლზე იყიდება და არც ოქროზე, არც არასოდეს მოვიშორებ  
თავიდან. თუკი ძალიან მოგწონს, შენი ქალი მომათხოვე და მამალს მოგცემ. იგი ყო-  
ველდღე გაათენებს და არც მე დამშორდებაო.

— თანახმა ვარ, თანახმაო! — მხიარულად შესძახა ასეთი სარფიანი გარიგებით კმა-  
ყოფილმა ხელმწიფემ.

იმავე დღეს ჟანი ხელმწიფის ქალზე დაქორწინდა.

ამ დროს ჟაკი თავისი გზით მიდიოდა და ფიქრობდა, ძმებმა ყველაზე მეტად მე გა-  
მაბრიყვესო და რამდენჯერმე ნამგლის გადაგდება დააპირა. საბედნიეროდ, ნამგალი  
არ გადააგდო და ისევ თავის გზას განაგრძობდა.

როგორც პიერი და ჟანი, ისიც უცხო ქვეყანაში მივიდა და ხელმწიფის სასახლეს მი-  
ადგა. სასახლის ირგვლივ პურის ყანები იყო გადამლილი და უამრავი ხალხი ჯოხებით  
მკიდა. თითქმის მთელი მოსავალი იკარგებოდა, ხალხი კი მუშაობით წელს იწყვეტდა.  
ჟაკი გაოცებული შეჰყურებდა მათ და თვალებს არ უჯერებდა. ბოლოს გლეხებთან მი-  
ვიდა, ნამგალი დაანახვა და ერთი მოსმით კაი გვარიანი ხელეური მოჭრა.

— ეს რა ნივთიაო? — შესძახეს მომკვლელებმა. — წავიდეთ ხელმწიფეს ვუთხრათო.

გლეხები მეფესთან გაიქცნენ და უამბეს, რა ქნა უცხოელმა მათ თვალწინ. ხელმწი-  
ფეს მოუწია სასწაული საკუთარი თვალთა ეხილა და კარისკაცებთან ერთად მინდორ-  
ში წავიდა, რათა მეწისქვილის ვაჟს მოლაპარაკებოდა.

ხელმწიფის თხოვნით ვაჟმა რამდენიმე ხელეური მოჭრა.

— ეგ ნამგალი მომიყიდეო, — სთხოვა ხელმწიფემ.

— მოყიდვით არ მოგყიდი, მაგრამ ერთი პირობით მოგცემო.

— რა პირობითაო?

— შენი ქალი მომათხოვეო.

— თანახმა ვარ, თანახმა ვარო!

იმავე საღამოს ჟაკი ხელმწიფის ქალზე დაქორწინდა.

და აი, ზუსტად ერთი წლის და ერთი დღის მერე სამივე ძმა — პიერი, ჟანი და ჟაკი  
— დაბრუნდნენ წისქვილში და ერთმანეთს უამბეს რა მდიდრულად და საამურად  
ცხოვრობდნენ კატის, მამლისა და ნამგლის წყალობით, ღარიბი მეწისქვილისგან მემ-  
კვიდრეობით რომ ერგოთ.

ულრან ტყეში ცხოვრობდა ღარიბი ტყისმჭრელი. ზაფხულში ახლომახლო სოფლებს ხეების მოჭრაში შეელოდა და თავი იოლად გაჰქონდა. სამაგიეროდ, ზამთარში ძალიან უჭირდა. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ფიჩხს აგროვებდა და მეზობელ სოფლებში ჩალის ფასად ჰყიდდა.

ხშირად, ძალიან ხშირად საბრალო ტყისმჭრელს სახლში პურის ნატეხიც არ ჰქონდა და ოჯახი შიმშილისგან სულს ღაფავდა. ოჯახში კი ბევრნი იყვნენ: ცოლი, ორი ვაჟი – თორმეტი და ცამეტი წლისა, ერთი ასული, სახელად მარი, და ძალი. ძალს კურტიონ-კურტიიეტი სუივონ-სუივეტი ერქვა. ასეთი გრძელი სახელი ძალს იქვე ახლოს მოსახლე ერთმა კუდიანმა ბებერმა შეარქვა. საოცარია! მას მერე, რაც ტყისმჭრელის სახლს ბებერი ესტუმრა, ძალი ალაპარაკდა, სწორედ ისე, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ. ძალი ხშირად ჩაერეოდა ხოლმე ოჯახის წევრების საუბარში.

და აჰა, შუაგულ ზამთარში, როცა ხეებს თვე-ნახევრის თოვლი ედო, ტყისმჭრელის ქოხში მთლად ულუკმაპუროდ დარჩნენ. ტყისმჭრელმა გლეხებს სთხოვა, პური მასე-ხეთო. მაგრამ ყოველგვარი თხოვნა ფუჭი გამოდგა. ტყისმჭრელი ხედავდა, რომ მასა და მის ცოლ-შვილს შიმშილით სიკვდილი არ ასცდებოდა.

სადამოს, ბავშვებმა რომ დაიძინეს, ხოლო კურტიონ-კურტიიეტი სუივონ-სუივეტი ღუმელთან თვლემდა, ტყისმჭრელმა ცოლს უთხრა:

— საბრალო კატრინა, დილას აქეთია პირში ხემსი არ ჩაგვსვლია და ალბათ ლუკმა პურს ვერსად ვიშოვი. უბედური ბავშვები ჩვენ თვალწინ შიმშილით დაიხოცებიან, მე კი ძალა არ შემწევს მათ ტანჯვას ვუცქირო. მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი და ერთი რამ მოვიფიქრე: ხვალ დილაადრიან, ჩვენი შვილები ვითომ ფიჩხის მოსატანად ტყეში წავიყვანოთ, შუაგულ ტყეში შევიტყუოთ და იქ დავტოვოთ. ბავშვები, ცხადია, დაიხოცებიან, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავინახავთ. შენ რას იტყვი, თანახმა ხარო?

— ძალიან მიჭირს, პიერ, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვსო.

— მაშ, გადაწყვეტილია. აბა, ხვალინდელ დღეს დავუცადოთ, ახლა კი დავიძინოთო.

პიერი და კატრინა დასაძინებლად დაწვნენ, მაგრამ კურტიონ-კურტიიეტი სუივონ-სუივეტს მათი ლაპარაკიდან ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია.

როგორც კი ცოლ-ქმარმა დაიძინა, ძალი მივიდა ბავშვების საწოლთან, გააღვიძა ისინი და ყველაფერი უამბო. საცოდავები ცრემლად დაიღვარნენ.

— დამშვიდდით, მშობლები არ გააღვიძოთ, თორემ ყველაფერი დაილუპება. აი, რა უნდა ვქნათ: კარადაში ტომარაა, ტომარაში რამდენიმე ცერცვი კიდევ გდია. რომელიმე თქვენგანმა ჩუმად ამოკრიფოს ცერცვი და ხვალ შეუმჩნეველად გზაზე დაყაროს. ამ ცერცვით შინ მომავალ გზას ადვილად გამოვავანებთო.

ბავშვები შეჰპირდნენ გონიერ ძალს, ყველაფერს ისე გააკეთებთ, როგორც გვირჩიო, და ისევ დაიძინეს. დილით ტყისმჭრელმა ბავშვები გააღვიძა.

— ადექით, შვილებო, ერთი ღერი შეშა არსად გვიგდია, ტყეში უნდა წავიდეთო.

ბავშვები ადგნენ და მშობლებს ტყეში გაჰყვნენ, მაგრამ დროდადრო გზაზე ცერცვს ჰყრიდნენ, რათა კვალი არ დაეკარგათ. სადამო ხანს პიერი და კატრინა გაუჩინარდნენ, შვილები კი შუაგულ ტყეში დატოვეს. ბავშვები ატირდნენ.

— ნუ ტირით, — უთხრა ძალმა, — ტყეში მხოლოდ ერთი ღამე მოგვიწევს დარჩენა. ხვალ დილით აუცილებლად ვიპოვი თქვენი მშობლების ქოხს. ახლა კი ხავსზე დაწე-ქით და დაიძინეთ, მე გიდარაჯებთო.

ბავშვები დაწვნენ ხავსზე, ხოლო კურტიონ-კურტიიეტი სუივონ-სუივეტი ისე ფხიზლად დარაჯობდა, რომ ვერც მგელმა და ვერც მელამ მძინარე ბავშვებთან მიკარება ვერ გაბედეს. როგორც კი ინათა, ბავშვებმა გაიღვიძეს და თავიანთ ერთგულ დარაჯს მხურვალე მადლობა გადაუხადეს.

— ახლა კი, — უთხრა კურტიონ-კურტიიეტმა, — გამომყევით და გზას არ აცდეთო.

ძალღმა ძალიან იოღად მიაგნო ტყისმჭრელის სახლისკენ მიმავალ გზას. ისინი შინ შუადღეს დაბრუნდნენ. სწორედ სადილობის დრო იყო. თურმე პიერის მოვალე გლეს ვალი დაებრუნებინა და კატრინას წვნიანი გაეკეთებინა.

— ჩვენი საბრალო შვილები! — ტირილით ამბობდა იგი. — შინ რომ ყოფილიყვნენ, როგორ გაიხარებდნენ ასეთი გემრიელი წვნიანის ჭამითო.

— ჰო, ჩვენი საბრალო შვილები! ჩვენი საბრალო კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტი! ტყეში არ უნდა დაგვეტოვებინა. ალბათ მგლებმა შეჭამესო, — ეუბნებოდა ტყისმჭრელი და ისიც ტიროდა:

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ! — გაისმა ამ დროს. — დედი, მამი! ტყიდან დავბრუნდით. ძალიან გვშია და რამე გვაჭამეთო!

ო, როგორ გაუხარდათ პიერსა და კატრინას!

საუბედუროდ, ფული მალე გაუთავდათ. ხოლო ზამთარი უფრო და უფრო მძვინვარებდა.

პიერმა ისევ გადაწყვიტა, ტყეში დაეტოვებინა ბავშვები, მაგრამ გონიერმა ძალღმა კვლავ შეიტყო ეს ამბავი და თავისი პატარა მეგობრები გააფრთხილა.

დილით ცოლ-ქმარმა შვილები ფიჩხის მოსატანად ტყეში წაიყვანა.

რახან სახლში არაფერი იყო, უფროსი ვაჟი გზადაგზა ჩუმად ხაჭოს ყრიდა.

სადამოს პიერი და მისი ცოლი გაუჩინარდნენ. ბავშვები ღია ცის ქვეშ დაწვნენ და დაიძინეს, კურტიონ-კურტიეტი კი დარაჯად დადგა.

მთელი ღამე წვიმდა. წვიმამ ხაჭო გადარეცხა და მეორე დღეს კურტიონ-კურტიეტი ვერ შეძლო ტყისმჭრელის ქობისკენ გზის გაგნება.

— რა ვქნათ, რა ვქნათო? — ტირილით იმეორებდნენ საბრალო ბავშვები.

— უნდა შევეცადოთ ტყიდან გავიდეოთ, — უპასუხებდა ძალღი.

მართლაც, დაადგნენ გზას. იარეს, იარეს, სადაცაა, ტყე დამთავრდებაო, ფიქრობდნენ, მაგრამ სინამდვილეში ტყე უფრო ღრმად იტყუებდა და იტყუებდა. მოსალამოვდა, ისინი კი წინანდებურად ისევ ტყეში დაეხეტებოდნენ.

— ასე სანამ ვიაროთ, — უთხრა ბავშვებს ძალღმა, — ჟან, ადი ამ მაღალ ნამძვზე, რაც შეიძლება მაღლა მოექეცი და გაიხედ-გამოიხედე, სადმე შუქი ხომ არა ჩანსო.

ჟანი ხეზე ავიდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— ახლა შენი რიგია, პიერ, — თქვა კურტიონ-კურტიეტი.

მაგრამ ვერც პიერმა დაინახა ვერაფერი.

— მარი, ახლა შენ დაზვერე მიდამო!

გოგო ნამძვის კენწეროზე მოექცა.

— რას ხედავო? — ასძახა ძალღმა.

— მარჯვნივ დიდ, გაყინულ ჭაობს ვხედავო.

— მარცხნივ რას ხედავო?

— გაყინულ გუბურასაო.

— პირდაპირო?

— დიდ კომკს, ყველა სარკმელში შუქი ანთიაო.

— ძალიან კარგი! მარი, ახლა ჩამოდიო.

გოგო ჩამოვიდა. კურტიონ-კურტიეტი წინ გაიქცა, ძალღს ბავშვები მიჰყვნენ და ერთ საათში კომკს მიადგნენ.

— კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

— ვინა ხართო? — იკითხა ბებერმა და კარი გააღო.

— ბავშვები ვართ. ტყეში გზა დაგვებნა და ღამე გაგვათევიწიეო.

— განა არ იცით, რომ ეს ეშმაკის კომკია და, ვინც აქ მოვა, ეშმაკი შეჭამსო.

— არას დავეძებთ! გათომილები და მშივრები ვართო.

— რახან ასეა, შემოდიოთ.

ბებერს ძაღლის შეშვება არ უნდოდა, მაგრამ პატარა მარი იმდენს ეხვეწა და ემუდარა, რომ ბოლოს ისიც შეუშვა.

ბავშვები სიამოვნებით შეეცნენ ეშმაკის ცოლის მოტანილ გემრიელ ვახშამს. მერე ბებერმა ბავშვებს აჩვენა, რომელ საწოლში დაწოლილიყვნენ, მაგრამ სანამ დაწვებოდნენ, აიძულა, ჩაღის სამკაულები გაეკეთებინათ.

კურტიონ-კურტიეტი საწოლის ქვეშ დაიმალა.

ამავე ოთახში ეძინა ეშმაკის სამ ქალს, მაგრამ მათ ოქროს ჩინებული სამკაულები ეკეთათ.

მალე ეშმაკი მოვიდა და ცოლს უთხრა:

— ადამიანის სუნი მცემსო.

— ადამიანის სუნი კი არა, კატამ კნუტები დაყარაო.

— სტყუი! ადამიანის სუნი მცემსო.

და ეშმაკმა ძებნა დაიწყო. ბოლოს იპოვა ბავშვები, რომლებიც თავს იმძინარებდნენ.

— ძალიან კარგი! ახლავე ღუმელს გავახურებ და ნაკვერჩხლებზე შევბრაწავ. დილით ჩინებული საუზმე მიქნებაო.

ბებერი დასადინებლად დაწვა, ეშმაკმა კი ღუმელი გაახურა.

კურტიონ-კურტიეტი დროს უქმად როდი კარგავდა. მან ბავშვებს უთხრა, — ჩაღის სამკაულები მოიხსენით და ეშმაკის ქალებს გაუკეთეთო, — ბავშვები ასეც მოიქცნენ.

ღუმელი რომ გახურდა, ეშმაკი ოთახში დაბრუნდა და იმ საწოლთან მივიდა, სადაც ბავშვებს ეძინათ. მან პატარა მარის კისერზე ხელი მოუფათურა და ხელში ოქროს სამკაული მოხვდა.

— სულ გამოვთაყვანდი! — დაიღრინა ეშმაკმა. — კინაღამ საკუთარი შვილები შევწვი! ეტყობა, საწოლები ამერიაო.

ახლა ეშმაკი თავისი შვილების საწოლს მიადგა. როგორც კი ხელში ჩაღის სამკაულები მოჰყვა, სამივე ბავშვი ამოიღლია და შესაწვავად წაიყვანა.

— ჩვენ ხომ შენი შვილები ვართო, — ყვიროდნენ ისინი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ.

— ხმა, კრინტი! თქვენა გგონიათ, მტერ-მოყვარეს ვერ ვარჩევო? — უყვირა ეშმაკმა და სამივე ღუმელში შეყარა, თვითონ კი დასადინებლად დაწვა.

როცა კურტიონ-კურტიეტს ეშმაკის ხვრინვა შემოესმა, ბავშვები გააღვიძა, უთხრა, კოშკში რაც კი ოქროა, წამოიღეთ და წამოდიეთო. ბავშვებმა ბევრი არ ალაპარაკეს.

— ახლა ყური მიგდეთ. სამივე ზურგზე შემაჯექით და ამ ბილწ ეშმაკს მალე გავეცალოთ. ოღონდ მაგრად დასხედით, არ გადმოცვივდეთო.

თავდაპირველად ძაღლს გოგო შეაჯდა. მერე — ორივე ბიჭი. კურტიონ-კურტიეტი ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა.

დიდხანს გარბოდა და, აჰა, გათენდა კიდეც.

ეშმაკმა გაიღვიძა, უნდოდა შვილებისთვის ეკოცნა და დაინახა რა უბედურებაც დაეტრიალებინა. დაიწყო უშვერი გინება, დაიქაღნა, იმ ბავშვებს სამაგიეროს გადაუუხდო. ადგა, ქარივით მალი კუ შეკაზმა და გაქცეულებს გამოუდგა. ცოტა ხნის მერე შორს ბავშვები დაინახა.

— ვერსად გამექცევინ, დამაცადონ, სეირს ვაჩვენებო, — დაიღმუვლა ეშმაკმა.

კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტმა უკან მოიხედა და ეშმაკი რომ დაინახა, არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა:

— ბავშვები მრეცხავებად იქნენ, მე — დიდ მდინარედო.

მაშინვე მინდორში ვეება მდინარე გაიკლაკნა, ხოლო მის ნაპირს სამი მრეცხავი ჩამოჯდა. ის იყო, ეშმაკმაც მოირბინა.

— აქეთ კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტსა და ბავშვებს არ გაუვლიათო?

— აქედან დაიკარგე, ბილწო ეშმაკო! ჩვენი მასხრად აგდებისათვის ჭკუას გასწავ-  
ლიო!

ეშმაკი სხვა მხარეს გაიქცა, ხოლო ძაღლმა და ბავშვებმა უფრო სწრაფად განაგრძეს  
გზა.

ეშმაკმა ვერავინ რომ ვერ იპოვა, მიხვდა, ძაღლი და ბავშვები მდინარედ და მრეცხა-  
ვებად გადაქცეულანო და კუ ისევ იმ მხარეს მიაბრუნა.

ბევრი ირბინა თუ ცოტა, სამყურათი გადაბიბინებული მინდორი, ცხვრის ფარა,  
მწყემსი და ძაღლი დაინახა.

— მწყემსო, აქეთ კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტსა და ბავშვებს ხომ არ გაუ-  
ვლიათო?

— კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტი? შენ რა, დამცინი? დამაცა, სამაგელო  
ეშმაკო, ამ ჯოხით ჭკუას გასწავლიო!

«მარცხნივ გავიქცევი, ალბათ ამ გზით წავიდნენო», — გაიფიქრა ეშმაკმა.

ეშმაკი თვალს მიეფარა თუ არა, ძაღლმა ბავშვებს უთხრა, აბა, ზურგზე შემასხედი-  
თო, და გაიქცა. მაგრამ ეშმაკი ისევ მობრუნდა.

— კუზე შემჯდარი ეშმაკი ისევ მოგვდევს. ახლა მე იალაღად გადავიქცევი. ჟანი და  
პიერი — ძროხებად, პატარა მარი კი მენახირედო.

ამასობაში გაავებულ-გაცოფებული ეშმაკიც მოვარდა.

— ეჰეი, მენახირევ. აქეთ კურტიონ-კურტიეტი სუივონ-სუივეტსა და ბავშვებს არ  
გაუვლიათო?

— უჰ, შე არამზადა ეშმაკო, რატომ კითხულობო?

— უნდა შევჭამო, ხომ არ გინახავსო?

— როგორ არა, როგორ არა! ახლახან მდინარე გადაცურესო.

— მენახირევ, მაღლობელი ვარო, — უთხრა ეშმაკმა და მდინარისკენ გაიქცა, მაგრამ  
კუს გაღმა ნაპირზე გადაცურვა არ უნდოდა.

— არა უშავს რა, მდინარეს რამენაირად გადავცურავო, — თქვა ეშმაკმა. გაიხედა და  
მინდორში გაფენილი ტილო დაინახა. გლეხებს შესაფეთქად გამოეტანათ. ტილო წყალ-  
ში ჩააგდო და ზედ ხიდივით დააპირა გასვლა, მაგრამ ტილო გაიხა და ეშმაკი დაიბ-  
რჩო.

— ახლა კი თქვენს დედ-მამასთან დავბრუნდეთო, — უთხრა ბავშვებს გონიერმა  
ძაღლმა და, მართლაც, თვალის დახამხამებაში ბავშვები შინ მიიყვანა.

ტყისმჭრელი და მისი ცოლი შიმშილით იხოცებოდნენ. ცოლ-ქმარიც ზურგზე შეაჯ-  
და კურტიონ-კურტიეტს და ყველანი ეშმაკის კომპში წავიდნენ. მათ დანახვაზე ეშმა-  
კის ცოლი ისე გაქრა, თითქოს მიწამ პირი უყო.

ტყისმჭრელმა პიერმა და მისმა ცოლ-შვილმა დაიწყეს ეშმაკის კომპში ბედნიერად  
ცხოვრება.

## ეშმაკის კომპი

იყო ერთი ღარიბი გლეხი. ავად თუ კარგად, სამი შვილი გამოზარდა, სამივე ვაჟი.

უფროსს რიშარი ერქვა, საშუალოს — პიერი, ხოლო უმცროსს — ჟანი. სამივე მამაცი  
ჭაბუკი იყო, მაგრამ უსიხარულოდ ატარებდნენ წუთისოფელს თავიანთ კარმიდამოში.  
ერთხელ რიშარი მივიდა მამასთან და უთხრა:

— მამი, დროა რამე ხელობას მოვკიდო ხელი. ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე: ჩემ-  
თვის ყველაზე სახეირო ხელობა მეომრობაა. გამიშვი, ჯარისკაცად უნდა ჩავეწერო.

— რიშარ, მე მუდამ ვიმედოვნებდი, რომ გლეხის ხვედრით კმაყოფილი იქნებოდი,  
მაგრამ, რახან სალდათობა უფრო უპრიანია შენთვის, მეტი რა ჩარაა, არ გაკავებ. აქ შენი  
ძმები დარჩებიან და მეოხებას გამიწევენ. აჰა, ათი ეკიუ, გზაში გამოგადგება. მშვიდო-

ბით იარე, ღმერთი იყოს შენი მფარველი! ოღონდ გახსოვდეს ჩემი რჩევა — მუდამ პატიოსნად იცხოვრეო!

რიშარმა ათი ეკიუ ჯიბეში გულმოდგინედ შეინახა, მამა და ძმები გადაკოცნა და წავიდა.

გავიდა სამი თვე. პიერი ძალიან შეშფოთებული იყო, ძმისგან არაფერი ცნობა რომ არ მოდიოდა. ბოლოს გადაწყვიტა, ძმა მოენახა და თვითონაც ჯარისკაცად ჩაწერილიყო.

მივიდა მამასთან და სთხოვა, მეც გამიშვიო.

— ღმერთო ჩემო, შენც წასვლა გინდა? მე კი მეგონა, ოჯახში ჩემ მაგივრობას გასწევდი! მაშ, მე და ჟანს გვტოვებ? კარგად დაფიქრდი და მერე გადაწყვიტეო.

— მამი, მე, კარგა ხანია, ვიფიქრე და გადავწყვიტე, ძალიან მინდა ჯარისკაცის ხელობა გამოვცადოო.

— კარგი, მეტი რა ჩარაა, უარს არ გეტყვი. წადი და ღმერთი იყოს შენი მფარველიო!

მამამ პიერს ახალთახალი ათი სუ\* (\* სუ – საფრანგეთის ძველებური ხურდა ფული). ჩაუჩხრიალა და პიერი წავიდა.

სამი თვე რომ გავიდა, უმცროსი ვაჟი, ჟანი, მამასთან მივიდა და სთხოვა, მეც ჯარში გამიშვიო.

— ო, ეს ნამეტანია! მაშ შენც ძმებივით თავგზა აგებნა? განა არ იცი, რა ხანია, სოფლიდან წავიდნენ და მათი ასავალ-დასავალი არავინ უწყის. შინ დარჩი და მიწა ჩიჩქნეო.

— მამი, ამაზე ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ცდუნება დიდია. მინდა, ჯარისკაცური ხვედრი გამოვცადო და რიშარისა და პიერის კვალს მივავნოო.

— არც შენ გაწყენინებ. ათი ლიარი კიდევ დამრჩა, წაილე და წადიო.

ჟანმა მამა გადაკოცნა და წავიდა.

იარა, იარა და ქალაქს მიადგა, მერე პოლკშიც მივიდა. წარმოიდგინეთ, როგორ გაუკვირდათ და გაუხარდათ რიშარს და პიერს, ძმა რომ დაინახეს!

გავიდა წელიწად-ნახევარი. ერთხელ რიშარმა ზომაზე მეტი დალია და თავისი მეთაური შეურაცხყო. სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

რიშარი ძმებთან მივიდა და უთხრა:

— ახლახან სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს და ორ საათში ჩამომახრჩობენ. ნება დამრთეს თქვენთან გამოსამშვიდობებლად მოვსულიყავი. ქალაქიდან საიდუმლო გასასვლელი ვიცი, მომყევით, გავიპაროთ, დრო საკმარისი გვაქვსო.

— კარგი, გავიქცეთო, — გადაწყვიტეს ძმებმა.

ძმებმა ხმლები წამოკრიფეს, ქალაქიდან გავიდნენ და უგზოუკვლოდ გაქრნენ. ორი დღე შეუსვენებლად მიდიოდნენ, სანამ ერთ გზაჯვარედინს არ მიადგნენ. გზა სამად იყოფოდა. ძმებმა არ იცოდნენ, რომელ გზას დადგომოდნენ. მაშინ რიშარმა, როგორც უფროსმა, თქვა:

— წავიდეთ სხვადასხვა გზით. ვინც პირველი იპოვის თავშესაფარს, დანარჩენებს სტვენით გააგებინოს. ახლა კი ჩვენ-ჩვენს გზას დავადგეთო.

ძმები გაიყარნენ და სამი სხვადასხვა გზით წავიდნენ. ჟანმა პირველმა დაინახა ვაკეზე წამოსკუპებული წისქვილი. მან, პირობისამებრ, ხმამაღლა დაუსტვინა და, როცა ძმები მოვიდნენ, მეწისქვილის კარზე მიაკაკუნა.

— ვინ არისო? — იკითხა ვიღაცის ხმამ შიგნიდან.

— სამი ღარიბი ძმა ვართ, გზა აგვებნა. საჭმელი და ღამის გასათევი გვინდაო.

— საჭმელი? სხვა არაფერი გინდათ! აქედან დაიკარგეთო!

— გზა არ ვიცი. უცხო ტომისა ვართო.

— მერედა, მე რას დავეძებ. პირდაპირ იარეთ. ეშმაკის კომკს ჩაუვლით და ქალაქში მიხვალთ. ოღონდ, ღმერთმა დაგიფაროთ და, კომკში არ შეხვიდეთ. ვინც გაბედავს და შიგ შევა, ეშმაკი ყველას კლავსო.



— აბა, მეწისქვილე, კარგად იყავიო, — უთხრეს ძმებმა და ეშმაკის კომპისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მალე მივიდნენ კიდეც. კარი თავისთავად გაიღო. ერთ მდიდრულად მორთულ ოთახში, თითქოს განგებ, სამი კაცისთვის სუფრა იყო გაშლილი.

«უკეთეს ვერც ინატრებ», — გაიფიქრეს ძმებმა და ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელით სავსე მაგიდას მიუსხდნენ. ადვილად მიხვდებით, რა მადიანად შეექცნენ. სმა-ჭამას რომ მორჩნენ, გადაწყვიტეს, დაწოლილიყვნენ.

შევიდნენ დასაძინებელ ოთახში, სადაც მხოლოდ ორი საწოლი იდგა. რიშარი და პიერი დაწვნენ, ხოლო ჟანმა კარი ურდულით დაკეტა და ძმებს დარაჯად დაუდგა.

შუალამემ რომ მოატანა, ისეთი გრუხუნი ატყდა, კომპმა რყევა დაიწყო — ეშმაკი მოვიდა. მას იმედი ჰქონდა, მძინარე ძმებს მოულოდნელად თავზე წავადგებო და შეეცადა კარი გაეღო.

— ჰეი, — შესძახა დარაჯმა, — ჩემი ნებართვის გარეშე აქ შემოსვლა არ შეიძლებაო!

— გეუბნები, შემომიშვი-მეთქი, — უთხრა ეშმაკმა.

— არა, არ შემოგიშვებო.

— კარს თუ გამიღებ, ჯადოსნურ სუფრას გაჩუქებ, როცა არ უნდა უთხრა, გაიშლება და იმდენი საჭმელი გექნება, რამდენიც მოგესურვებო.

— თანახმა ვარ, ოღონდ დაიფიცე, რომ მე და ჩემს ძმებს ხელს არ გვახლებო.

— ვფიცავო! — დაიღრინა ეშმაკმა.

ჯარისკაცმა კარი გააღო და ავი სული ოთახში შევიდა, სადაც რიშარსა და პიერს ეძინა. მერე რამდენიმე მალაყს გადავიდა და საკვამლე მილიდან გაფრინდა.

მეორე ღამეს, სანამ ძმებს ეძინათ, პიერი დარაჯობდა.

შუალამე რომ დადგა, ეშმაკი ისევ მოადგა ურდულგაყრილ კარს.

— კარი გამიღეო, — დაიძახა ეშმაკმა.

— თუ გაგიღებ, რას მომცემო?

— ჯოხს გაჩუქებო.

— ჯოხი რად მინდაო?

— იმდენ ოქროს გაგიჩენს, რამდენსაც მოისურვებო.

— თანახმა ვარ, ოღონდ დაიფიცე, რომ მე და ჩემს ძმებს ხელს არ გვახლებო.

— ვფიცავო!

პიერმა კარი გააღო. ეშმაკმა წინანდებურად იხტუნა ოთახში და გაქრა.

მესამე ღამეს რიშარი უნდა დამდგარიყო დარაჯად.

შუალამემ რომ მოატანა, ეშმაკი მოვიდა, კარზე დააკაკუნა და ითხოვა, ოთახში შემომიშვითო. რიშარმა უარი უთხრა.

მაგრამ ეშმაკს ძალიან უნდოდა შესვლა.

— უკანასკნელად შემომიშვი და ისეთ მოსასხამს მოგცემ, რომ უჩინმაჩინად გაქცევს და თვალის დახამხამებაში ქვეყანას მოგატარებსო.

— დაიფიცე, რომ მე და ჩემს ძმებს არას გვავნებო.

— ვფიცავო.

ეშმაკი ოთახში შევიდა. მისცა რიშარს სუფრა, ჯოხი და მოსასხამი. ხტუნვით გული იჯერა და ისევ საკვამლე მილიდან გაფრინდა.

მეოთხე დღეს რიშარი, პიერი და ჟანი კომპიდან წავიდნენ და ეშმაკის საჩუქრები თან წაიღეს.

ტყემდე არც კი იყვნენ მისულები, რომ მოისმა საზარელი ტკაცუნის, მიწა იძრა და მათ თვალწინ ეშმაკის კომპი დაინგრა.

ცოტა ხნის მერე რიშარმა ძმებს უთხრა, მოდიო, ჯოხი, მოსასხამი და სუფრა გამოვცადოთ, ეშმაკმა ხომ არ მოგვატყუაო.

მან სუფრა აიღო, ბალახზე გაშალა და უთხრა:

— სუფრავ, საჭმელი მოგვართვიო.

იმწამსვე სუფრა ნაირ-ნაირი საჭმელით აივსო. ძმები ლაზათიანად რომ დანაყრდნენ, ჟანმა ჯოხი აიღო.

— ჯოხო, ჯიბეები ოქროთი გაგვივსეო.

სამივეს ჯიბეები ფულით ისე გამოეტენა, ბიჯი ვერ წადგეს და იძულებულნი გაბდნენ, ნაწილი გადაეყარათ.

ბოლოს სამივე მოსასხამში გაეხვია და თქვეს:

— მოსასხამო, საფრანგეთი გადაგვატარე და პარიზში ჩაგვაფრინეო.

თვალის დახამხამებაში პარიზში გაჩნდნენ. ძმები სასტუმროში შევიდნენ, კარგად დანაყრდნენ და მერე ქალაქში გავიდნენ.

ყველა ქუჩაში ისმოდა ბუკ-ნაღარის ხმა: საფრანგეთის მეფის ოფიცრები აცხადებდნენ, ვინც ერთ საათში ახლახან ჩამოსული ხუთასი უცხოელი ელჩისთვის მდიდრულ სუფრას გაშლის, მეფე თავის ასულს და ნახევარ სახელმწიფოს მისცემსო.

— სწორედ რომ საჩვენო საქმეა, — თქვა რიშარმა, — სუფრას წამოვიღებ და მეფეს ვეახლებიო.

რიშარი სასტუმროში დაბრუნდა, ეშმაკის სუფრა აიღო და მეფის სასახლეში გაიქცა. მცველებს შეშვება არ უნდოდათ, მაგრამ რიშარმა უთხრა, მეფეს უნდა მოველაპარაკოო, და მასთან მიიყვანეს.

— რატომ მოსულხარო? — ჰკითხა მეფემ.

— შენი ოფიცრების ნათქვამს ყური მოვკარი. სუფრას მე გავშლი. ოღონდ, თავდაპირველად, ერთხელ კიდევ პირობა მომეცი, რომ შენს ასულს ცოლად შემერთავ და ნახევარ სახელმწიფოს მიბოძებო.

— პირობას გაძლევ, მაგრამ როგორ გაშლიო?

— ეს ჩემი საქმეა. მიჩვენე, ლხინი სად იქნებაო.

ხელმწიფემ რიშარი სანადიმო დარბაზში შეიყვანა. რიშარი შიგ ჩაიკეტა.

მან სუფრა ამოიღო, მაგიდაზე გაფინა და უთხრა:

— სუფრავ, ახლავე ხუთასი კაცის სამყოფი ხორაგით აივსეო.

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ სუფრა საჭმელ-სასმელით აივსო. მეფეს ძალიან გაუკვირდა და ჯარისკაცს უთხრა:

— შენ შენი სიტყვა შეასრულე, ახლა მე უნდა შევასრულო ჩემი დაპირება. ახლავე ჩემს ასულს ვუხმობ. ქორწილი ხვალ გავმართოთ, ინგლისის მეფის ელჩები რომ წავლენო.

მეფის ასული მოვიდა და რიშარი წაიყვანა. კიბეზე რომ ადიოდნენ, მეფის ასულმა გამოკითხვა დაუწყო, ასე უცებ სუფრა როგორ გაშალეო:

— ადვილი საქმეა. ჯადოსნური სუფრა მაქვს, როცა მოვისურვებ, გაიშლებაო, — უთხრა რიშარმა და სუფრა აჩვენა.

მეფის ასულმა მაშინვე ხელი სტაცა სუფრას და წართმევა დაუპირა, მაგრამ რიშარმა არ დანება. მაშინ მეფის ასულმა ყვირილი ატეხა:

— მიშველეთ, მიშველეთ, მკლავენო!

მოცვივდნენ გუშაგები, რიშარი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

რახან რიშარი არ დაბრუნდა, ძმებმა იფიქრეს, ალბათ მოკვდაო.

კარგა ხანმა გაიარა. მეფის ოფიცრებმა ისევ გამოაცხადეს პარიზის ქუჩებში, ვინც მეფის ვაჟს პრუსიის ხელმწიფის ტყვეობიდან გამოისყიდის, ჩვენი მბრძანებელი იმას თავის ასულსა და ნახევარ სახელმწიფოს მისცემსო.

ჟანმა აიღო ჯადოსნური ჯოხი და მეფის სასახლეში წავიდა. იგი ვეება დარბაზში შეიყვანეს, სადაც აუარება ტომარა ეყარა. ეს ტომრები გამოსასყიდი ოქროთი უნდა აეგსოთ.

ჟანმა თავისი ჯოხი ამოიღო და უთხრა:

— ჯოხო, ყველა ტომარა ლუიდორითა\* (\* ლუიდორი — ძველებური ფრანგული ოქროს ფული. იწონიდა 6-7 გრ. წმინდა ოქროს. მოჭრეს ლუდოვიკო XIII-ის დროს, ამის

გამო ეწოდა მისი სახელი. იხმარებოდა 1795 წლამდე.) და პისტოლით\* (\* პისტოლი — თავდაპირველად ძველებური ესპანური ოქროს ფული. XVII საუკუნიდან იხმარებოდა საფრანგეთში. მისი მოჭრა შეწყდა XVIII საუკუნის ბოლოს.) აავსეო.

ჯოხმა, როგორც ყოველთვის, თხოვნა შეასრულა.

მეფემ ჟანი თავის ასულთან მიიყვანა და უთხრა, ხვალვე შეგიძლია ცოლად შეერთო.

მეფის ასულმა ჟანსაც რიშარივით გაუბა საუბარი:

— წამომყევი, ჩვენს პალატებს გაჩვენებ. ნახავ, რა კმაყოფილი დარჩებიო.

— ძალიან კარგიო, — მიუგო ჟანმა, არაფერი აინუნშიც რომ არ მოსდიოდა.

მერე მეფის ასულს ჯადოსნური ჯოხის ნახვა მოუნდა. ჟანმა ვერც კი მოასწრო ჯოხის ჩვენება, რომ მეფის ასულმა იგი ხელიდან გამოსტაცა.

— ჯოხი მომეცი, თორემ ფანჯრიდან გისვრიო, — იყვირა ჟანმა.

— მიშველეთ, მიშველეთ, გუშაგებო! — გააბა კივილი მეფის ასულმა.

სანამ ჯარისკაცი გონს მოვიდოდა, დაიჭირეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და ციხეში ჩააგდეს, სადაც რიშარი იყო დამწყვდეული.

პიერი მარტო დარჩა. ქალაქში მესამედ გამოაცხადეს: ვინც მეფეს თვალის დახამბამებაში საფრანგეთიდან შორს, სხვა მეფესთან წაიყვანს, თავის ასულს და ნახევარ სახელმწიფოს მისცემსო.

პიერი დარწმუნდა, ძმები აღარ ბრუნდებიანო, და მეფის სასახლეში წავიდა, მაგრამ გადაწყვიტა, ფხიზლად ყოფილიყო.

მან ჯერ ყურადღებით დაზვერა სასახლის გარშემო მიდამო და მხოლოდ მერე მიადგა ჭიშკარს. იგი მეფესთან მიიყვანეს.

პიერმა მეფეს მოსასხამი მოახურა, თვითონაც შიგ გაეხვია და თქვა:

— მოსასხამო, იმ მეფესთან წაგვიყვანე, თორმეტი ცეცხლის რაში რომ ჰყავსო.

იმწამსვე ორივე მეფის სასახლეში გაჩნდა.

მეფემ მცირე ხანს დაჰყო მასპინძელთან, მასთან საუბრით გული იჯერა და მერე შინ დაბრუნება მოისურვა. პიერმა მეფეს ხელი ჩაჰკიდა, მოსასხამი შემოახვია და იმავე საღამოს მასთან ერთად პარიზში დაბრუნდა.

— მაშ, შენს ასულს ცოლად გამატანო? — ჰკითხა ბოლოს პიერმა.

— ახლავე აქ გაჩნდება. ერთ საათში შეგიძლია ცოლად დაისვა. მე ქორწილის თადარიგს დავიჭერ, შენ კი ჩემს ასულთან ერთად სასახლე დაათვალიერეო.

მოვიდა მეფის ასული და პიერი წაიყვანა. გავიდნენ თუ არა, მაშინვე მოსასხამს სტაცა ხელი.

პიერმა მოსასხამის წართმევა რომ დააპირა, მეფის ასულმა გუშაგებს უხმო. მაგრამ პიერმა იშვირა ფეხი, ფანჯრიდან გადახტა და ფარდულში დაიმალა.

მთელი დღე ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს.

კარგად რომ მოსალამოვდა, პიერი თავშესაფრიდან გამოვიდა და მეფის ბაღში შეიპარა. ერთ ხეზე მშვენიერი მსხლები დაინახა, ხეზე ავიდა და კრეფა დაუწყო. პიერმა შეამჩნია, რომ ხეს ორი ჯიშის მსხალი ესხა. — დიდი და პატარა, მან დიდებიც დაკრიფა და პატარებიც, უბე აივსო და ძირს ჩამოვიდა.

პიერმა დიდი მსხალი ჩაკბიჩა და როგორ გაოცდა, როცა ცხვირი ექვსი ფუტით დაუგრძელდა! ახლა რამდენიმე პატარა მსხალი შეჭამა და ცხვირი ისევ დაუმოკლდა. იფიქრა, მსხლები გამომადგებო და ბალიდან გამოვიდა.

მეორე დღეს სასახლეში ერთი სეფექალის ქორწილს იხდიდნენ. ეს რომ პიერმა გაიგო, ისე გამოეწყო, ვერავის ეცნო და სასახლეში წავიდა, თან დიდრონი მსხლები წაიღო. მსხლები სუფრაზე დაალაგეს. სტუმრებს ხილი ძალიან მოეწონათ და სულ მალე ყველა შესანსლეს. მაშინვე ყველას ცხვირი ექვსი ფუტით დაუგრძელდა.

რადგან მეფის ასულმა ორი მსხალი შეჭამა, ცხვირი ორი ტუაზით დაუგრძელდა.

მაშინვე ექიმებთან კაცი აფრინეს. წანაზარდი უნდა მოიჭრასო, თქვა ექიმმა. ერთ დედაბერს მოაჭრეს კიდევაც ცხვირი, მაგრამ დედაბერი მოკვდა და ამის მერე ცხვირის მოჭრას ვერავინ ბედავდა.

მაშინ პიერი მოვიდა და მეფეს უთხრა, შენს ასულს მოვარჩენ, თუკი ორივე ძმას გაათავისუფლებს და ჯადოსნურ სუფრას, ჯოხსა და მოსასხამს დაგვიბრუნებო.

ამასთანავე მოსთხოვა, შენი ასული ცოლად გამატანე და ნახევარი სახელმწიფო მომეციო. მეფე სიხარულით დათანხმდა.

პიერმა მეფის ასულსა და სტუმრებს პატარა მსხლები შეაჭამა და ყველა მოარჩინა. იმავე დღეს მეფის ასული ცოლად შეირთო და მას მერე ცხოვრობდა ბედნიერად თავის მამასთან, ძმებთან და შვილებთან ერთად, რომლებიც მოგვიანებით შეეძინა.

ხოლო ეშმაკის ჯოხი, მოსასხამი და სუფრა რა იქნა, არ ვიცი. მათ ასავალ-დასავალს თუ როდისმე გავიგებ, გეტყვით.

## ძია ბედშავასა და ძალღ უპოვარას ზღაპარი

უძველეს დროში ორი გზის გასაყარზე ცხოვრობდა ღარიბი მჭედელი. იგი გამვლელების ცხენებს, ჯორებს და ვირებს ჭედავდა, ამით რამდენიმე სუს შოულობდა და დღიურ ლუკმაზე ძლივს გამოდიოდა.

მჭედელი ისეთი გაჭირვებული იყო, რომ ძია ბედშავას ეძახდნენ. მის ძალღს კი, მჭედლის ყოველ ტანჯვა-ვაებას რომ იზიარებდა, უპოვარა შეარქვეს. როგორც ყველა უბედურს სჩვევია, სიამტკბილობით ცხოვრობდნენ და ყველგან ერთად დადიოდნენ: ან უპოვარა მისდევდა ძია ბედშავას, ან ძია ბედშავა მიჰყვებოდა უპოვარას.

ასე ცხოვრობდნენ მანამ, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, დილაადრიან, კარზე უფალმა ღმერთმა და წმინდა პეტრემ არ მოაკაკუნეს. უპოვარა აყეფდა, ძია ბედშავამ გაიღვიძა და უდროოდ დროს მოსულ სტუმრებს ბუზღუნით გაუღო კარი.

წმინდა პეტრემ თქვა:

— ძია ბედშავა, ჩემს ბატონს ვირი უნდა დაუჭედო. ამ საქმეს დიდხანს მოუნდებო?

— დილაადრიან კი მოხვედით, ბატონებო, მაგრამ არა უშავს რა. მართალია, ღარიბები ჩანხართ, მაგრამ პატიოსანი ხალხი უნდა იყვეთ და სიხარულით მოგემსახურებით. საქმეს მალე მოვრჩებო.

ძია ბედშავამ ცეცხლი გააღვივა, შიგ ნახშირი ჩაყარა და სულ რაღაც ნახევარ საათში ვირი დაჭედა.

— აჰა, მზად არის, ჩემო ბატონებო.

— ძალიან კარგი, — უთხრა უფალმა ღმერთმა, — რამდენი მოგცეო?

— არ გეწყინოთ, მაგრამ ხომ გითხარით, იერით მათხოვრებს გავხართ-მეთქი, ამიტომ არაფერს გამოგართმევთო.

— არაფერს? ეს ძალიან ცოტაა.

— არა-მეთქი, მარტო თქვენს ლოცვა-კურთხევას მივიღებო.

— თუ ასეა, სხვაფრივ დაგაჯილდოვებ. მე უფალი ღმერთი ვარ, ჩემი მსახური კი წმინდა პეტრეა. სამ სურვილს შეგისრულებ. მითხარი, რას ინატრებო.

ძია ბედშავამ ჯერ კეფა მოიქეჯა, მერე — ყური, უფალ ღმერთს რა ვთხოვო.

— სთხოვე, სამოთხეში ადგილი გიბოძოსო, — უჩურჩულა წმინდა პეტრემ.

— დამაცა... დამაცა... აი, რა მინდა: ვინც ამ სავარძელში ჩაჯდება, ჩემი ნებართვის გარეშე ვერ ადგესო.

— ადვილი თხოვნაა, თანახმა ვარ. მეორე სურვილი რა გაქვსო?

— ადვილი სთხოვე სამოთხეში, — უჩურჩულა წმინდა პეტრემ.

ძია ბედშავამ ისევ კეფა და ყური მოიქეჯა.

— მეორე სურვილი ასეთია: ვინც ამ ხეზე ავა, ჩემი ნებართვის გარეშე ვეღარ ჩამოვიდესო.

— ესეც ადვილი თხოვნაა. თანახმა ვარ. ბოლო სურვილი რა გაქვსო?

— სამოთხე არ დაგავიწყდეს, ყეყეჩო! — შესძახა სამოთხის წმინდა მეკარემ.

მაგრამ მჭედელს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო:

— ჩემი ბოლო სურვილი ასეთია: ვინც ამ ქისაში ჩავა, მინდა ჩემი ნებართვის გარეშე ვერ გამოვიდესო.

— ბედნიერებისათვის მცირედიც გყოფნის. ყველა თხოვნას შეგისრულებ. ჩემი საჩუქარი გონივრულად გამოიყენე და მშვიდობით იყავიო.

— მშვიდობით ბრძანდებოდე, უფალო ღმერთო.

— დაიცა თუ არ ინანო, შე რეგვენო, შენა! — წაიბუზღუნა წმინდა პეტრემ.

უფალი ღმერთი შეჯდა ვირზე, წმინდა პეტრემ აღვირი აკრიფა და გზას გაუდგინა.

იმ დღიდან, თითქოს განგებ, მგზავრები გზაჯვარედინზე აღარ გამოჩენილან და მიაბედშავამ იგრძნო, რომ მასა და მის გაძვალტყავებულ ძალს უპოვარას შიმშილით სიკვდილი ელოდათ.

ემშაკმა ეს ამბავი შეიტყო და ერთ დღეს მჭედელს კარზე მიუკაკუნა.

— მია ბედშავა, ვიცი, რომ სამი დღე პირში ხემსი არ ჩაგსვლია და ფულით გატენილი ქისა შენთვის მისწრება იქნებოდა. შემძლია ათი ათასი ეკიუ შემოგთავაზო, მაგრამ ერთი პირობითო.

— რომ ამ ფულზე სული მოგყიდო, არა?

— მართალია. თუ ათ წელიწადში ვალს ვერ გაისტუმრებ, სულს მომცემო.

— მეტი რა ჩარაა, ასე იყოს. ფული სად არისო?

— აგერაა. მაშ, დაიფიცეო.

— ვფიცავ, — მიუგო მია ბედშავამ და თავში რაღაც აზრმა გაჰკრა.

მეტისმეტად კმაყოფილმა ემშაკმა ჯიბიდან ათი ათასი ეკიუ ამოიღო და მჭედელს მისცა.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა ემშაკმა და წავიდა.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა მია ბედშავამაც.

ათი წელი განცხრომით ცხოვრობდა მია ბედშავა, სასმელ-საჭმელი თავსაყრელი ჰქონდა, მეგობრებს გულუხვად უმანსპინძლდებოდა. მოკლედ, დუქანში უფრო ხშირად დადიოდა, ვიდრე ეკლესიაში. უპოვარას ასე ყუათიანად არასოდეს ექამა.

ზუსტად ათი წლის მერე ორი გზის გასაყარზე ემშაკი გამოჩნდა, რათა მია ბედშავა ჯოჯოხეთში წაეყვანა. ავი სულის გასაკვირად, მჭედელი მეტისმეტად მხიარულ გუნებაზე იყო და სამჭედლოს ირგვლივ ხტუნვა-ხტუნვით დარბოდა. უკან უპოვარა დასდევდა და ცოფიანივით ყეფდა.

— ეს რა ამბავია, მია ბედშავა, რა მხიარულ გუნებაზე ხარო?

— რატომაც არ უნდა ვიყო მხიარულ გუნებაზეო?

— მაშ, შეგიძლია ათი ათასი ეკიუ გადამიხადლო?

— ათი ათასი ეკიუ? შენ რა, მასხარად მიგდებ, ბატონო ემშაკო? ათი ათასი კი არა, ასი ეკიუც არ მომემევება. მაგრამ, რახან მომაკითხე, მზადა ვარ, თუნდაც ჯოჯოხეთში გამოგყვე. აგერ, სავარძელში მოისვენე და ახლავე ჩავიცვამო.

ემშაკი სავარძელში ჩაჯდა. წუთიც არ გასულიყო, მჭედელმა რომ უთხრა:

— აბა, ბატონო ემშაკო, მზად ვარ და წავიდეთო.

— ემშაკმა ადგომა დააპირა, მაგრამ ვერ ადგა. როგორ არ ეცადა, რა ღონე არ იხმარა, ვერაფერს გახდა.

მია ბედშავამ რკინის მომსხო ჯოხი აუჩქარებლად აიღო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სდრუზა და სდრუზა საბრალო ემშაკს თავზე, მხრებზე და ზურგზე. ემშაკი ისე ღმუოდა, ყვიროდა და იგინებოდა. რომ სახლი ზანზარებდა.

ბოლოს, რა დარწმუნდა, დაწყევლილ სავარძელს თავს ვერ დავაღწევო, ავმა სულმა მჭედელს მუდარა დაუწყო, გამიშვიო.

— მერე, ვალიდან გამათავისუფლებ, თამასუქს დახევო?

— კი, კი, ოღონდ გამიშვიო!

— აბა, დაიფიცეო.

— ვფიცავო!

— მაშ, შეგიძლია ადგეო.

— დალურჯებულ-დალილავებული ეშმაკი ღრიალ-ღრიალით ბუხრის მილიდან გავარდა.

ერთი წელი რომ გავიდა, ეშმაკმა შეიტყო, მჭედელს ფული ისევ შემოლევიაო. ისევ მივიდა და წინანდელი გარიგებით ოცი ათასი ეკიუ მისცა, თან მტკიცედ გადაწყვიტა, ვალის გადახდის დრო რომ მოვა, სავარძელში არ ჩავჯდებიო.

ძია ბედშავა ძველებურად განცხრომას მიეცა და ზუსტად ათი წლის მერე კარზე მომდგარი ეშმაკი და ეშმაკის შვილები დაინახა.

— აბა, ძია ბედშავა, წამოსასვლელად მზად თუ ხარო?

— სხვა რა ჩარაა, მზად ვარ, წავიდეთ! ოღონდ კინაღამ არ დამავიწყდა?! ამ ხეს ბევრი კაკალი ასხია, მინდა ჯოჯოხეთში თან წავიღოო.

— დარდი ნუ გაქვს, — უთხრა ავმა სულმა, — კაკალს ჩვენ დაგიბერტყავთ, ასე უფრო მალე იქნებაო.

თვალის დახამხამებაში ეშმაკი და ეშმაკის შვილები ხეზე აცვივდნენ. კაკალი დაბერტყეს და ჩამოსვლა დააპირეს, მაგრამ საქმეში ხარ?! ძია ბედშავამ სამჭედლოში შეირბინა, წვეტიანი რკინის ჯოხი გამოიტანა და ისე დაუწყო ეშმაკსა და მის შვილებს ჩხვლეტა, რომ მათი ყვირილი მკვდარსაც კი გამოაღვიძებდა.

— შეგვიბრალე, შეგვიბრალეო!

ძია ბედშავა კი ჩხვლეტდა და ჩხვლეტდა.

შეგვიბრალე და ვალზე უარს ვამბობ, ნება მოგვეცი, ჯოჯოხეთში დავბრუნდეთ და არასოდეს შეგაწუხებსო.

— აბა, დაიფიცეო.

— ვფიცავო!

ძია ბედშავამ ეშმაკი და ეშმაკის შვილები გაუშვა.

ერთი წელი არც კი გასულიყო, რომ ეშმაკი ისევ დაბრუნდა და მჭედელს წინანდელი გარიგებით ოცდაათი ათასი ეკიუ შესთავაზა. ეშმაკზე არანაკლებ კმაყოფილმა მჭედელმა ფული გამოართვა. ეშმაკი კი იმიტომ იყო კმაყოფილი, რომ ფიქრობდა, მჭედელი ახლა ვერსად წამივაო.

ათი წლის მერე მჭედელს ეშმაკი ესტუმრა. ძია ბედშავა კარის დირეზე იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და ეშმაკს ელოდებოდა. ავი სული რომ დაინახა, სიცილი დაიწყო.

— გამარჯობა, ძია ბედშავა. ასე რამ გაგაცინა, ან ეს ქისა რაღააო?

— გაგიმარჯოს, ეშმაკო! იმიტომ ვიცინი, რომ ერთი ყბედი ბერიკაცი გამახსენდა. იმ ბერიკაცმა ამას წინათ მითხრა, ეშმაკს შეუძლია ისე დაპატარავდეს, ქისაში ჩაეტოსო.

— რა დიდი საქმეა! ქისა გახსენი და დაინახავო.

ეშმაკი მაშინვე დაპატარავდა. მჭედელმა ხელი სტაცა და ქისაში ჩასვა.

— ხომ ხედავ, — უთხრა ეშმაკმა, — თუ მოვინდომებ, შემიძლია ასე დავპატარავდეო.

— ძალიან კარგი. ქისიდან გამოსვლა თუ შეგიძლიაო?

ეშმაკი შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო. მაშინ კი მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ გაება მჭედლის მახეში.

— აბა, ახლა, ბატონო ეშმაკო, ვაი შენი ტყავის ბრალი! ჭკუას გასწავლიო!

— მჭედელმა ქისა გრდემლზე დადო და სეტყვასავით დასცხო ურო საბრალო ეშმაკს. ეშმაკი დამთხვეულივით ყვიროდა და ღმუოდა.

— შემიბრალე, შემიბრალე, ვფიცავ, არასოდეს აღარ მოვალ! ყველა ძვალი დამემტვრა! გამიშვი, გამიშვიო!

ძია ბედშავა დაიღალა და ეშმაკს ნება მისცა, ქისიდან გამოსულიყო. ამის მერე მჭედელს ეშმაკი თვალით აღარ უნახავს.

მჭედელი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. იმავე დღეს მოკვდა მისი ძაღლიც და, აი, ძია ბედშავა და უპოვარა ხელიხელჩაკიდებულნი დაადგნენ სამოთხის გზას.

მივიდნენ ლამაზ სასახლეში. ძია ბედშავა მიხვდა, რომ ეს სამოთხე იყო და დააკაკუნა.

— ვინ არის? — იკითხა ვიღაცამ, მერე კარი გამოაღო და წმინდა პეტრეს თავი გამოჩნდა.

— აა, ბედშავა, შენ ბრძანდები? აბა, მოწყდი აქაურობას. ჩემს რჩევას ყური არ უგდე და სამოთხე არ ითხოვე, ახლა შენს თავს დააბრალო.

ძია ბედშავამ ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა, მაგრამ სულ ტყუილად, წმინდა პეტრემ კარი მიუხურა.

— წავიდეთ, უპოვარა, იქნებ იმ აგურის სახლში უფრო გაგვიღიმოს ბედმა, აგერ რომ ჩანსო.

უპოვარა წინ გაიქცა, ძია ბედშავა უკან გაჰყვა.

მიადგნენ სალხინებლის კარს.

კაკ-კუკ! კაკ-კუკ!

კარი ანგელოზმა გააღო.

— ვინა ხარო?

— ძია ბედშავა ვარ, თავშესაფარი მომეციო.

— სამოთხეში იყავიო?

— ახლა იქიდან მოვდივარ, წმინდა პეტრემ არ შემიშვაო.

— ცოტა ხანს დაიცადე, დავთარში ვნახავ შენი სახელი თუ წერიაო.

ანგელოზმა ფურცლა, ფურცლა დავთარი, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— საბრალო ძია ბედშავა, ჯოჯოხეთში წასვლა მოგიწევს. ამ გზას გაჰყევი, მარცხნივ პირველი შესახვევიაო.

კარი დაიხურა და ძია ბედშავა უხალისოდ გაჰყვა ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზას.

კარი თვით ეშმაკმა გაუღო. ძია ბედშავა იცნო თუ არა, იყვირა:

— ისევ შენა ხარ? აქედან დამეკარგე! კიდეც რაღაც სეირს იზამ, მე კი შენი ოინები სულაც არ მეპიტნავენა. გზა მშვიდობისაო.

სამოთხიდან, სალხინებლიდან და ჯოჯოხეთიდან განდევნილი ძია ბედშავა დედამიწაზე დაბრუნდა და დღემდე აქ ცხოვრობს.

ბევრს შეხვედრია ძია ბედშავა და მისი ძაღლი უპოვარა და ბევრსაც შეხვდება.

## გლეხი ტოლომე და ეშმაკი

ვარლუასა და კონტეს შუა, მონ-ფაიის ახლოს ცხოვრობდა ერთი გლეხი თავისი ოჯახით. გლეხს ტოლომე ერქვა. თავდაპირველად ტოლომეს საქმე გამართული ჰქონდა ფერმაში, მაგრამ მალე მამა მოუკვდა და ამ დღიდან საბრალო გლეხს ჭირზე ჭირი გამოება. მოუსავლიანობას მოუსავლიანობა მოსდევდა, საქონელს ერთურთზე უარესი მოარული ჭირი დაერია, ბატონის წუწურაქობას ზღვარი არ ჰქონდა, ცოლ-შვილი სულ ზერა-ქვერად ჰყავდა და ბოლოს ტოლომე მთლად გამათხოვრდა. რა ქვისთვის ეხლია თავი? დილიდან საღამომდე წელეზზე ფეხს იდგამდა, ტყავში ძვრებოდა, მაგრამ ცხოვრებას უკეთესობა არ ემჩნეოდა.

და ბოლოს, ერთ საღამოს უკანასკნელი ცხენი მოუკვდა, ფერმას ცეცხლი გაუჩნდა და ყველა გომური და ბედელი დაეწვა. მარტო საქათმე, ძაღლის ხუხულა და სახლის ერთი კუთხე გადაურჩა. აბა, ამაზე უარესი რაღა დაემართებოდა. ტოლომე მთლად გატიალდა.

მეორე დილით ტოლომე დამწვარი ტყის პირას დაეხეტებოდა. დარდისაგან ისე იყო გამწარებული, რომ უნებლიეთ შესძახა:

— ო, ეშმაკმა მაინც მიშველოსო!

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ საიდანღაც რამდენიმე დუიმის\* (\* დუიმი — ჰოლანდიური სიგრძის საზომი. უმეტესად ხმარობდნენ ანგლო-საქსონურ ქვეყნებში. უდრის 2,54 სმ-ს. იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.) სიმაღლის კაცუნა გამოტყვრა, ტოლომეს ზედ შეახტა და გაკვირვებისაგან გაქვავებული გლეხის მხარზე ხტუნაობა დაიწყო.

ტოლომე მაშინვე მიხვდა, რომ ეს მხიარული, ცოცხალი, მკვირცხლი კაცუნა პატარა ეშმაკი იყო და მისი ნახვით კმაყოფილი დარჩა. ეშმაკს ოქროსფოჩიანი ლამაზი მწვანე კამზოლი\* (\* კამზოლი — მამაკაცის ძველებური ფრანგული სამოსი, მუხლებამდე სიგრძის, ზოგჯერ უსახელოებო. XVIII საუკუნის ბოლოდან იმდენად დამოკლდა, რომ ჟილეტის მაგივრად ხმარობდნენ.) ეცვა და ფარშავანგისფრთიანი ქუდი ეხურა.

— ტოლომე, ტოლომე, როგორც ვხედავ, უხეიროდაა შენი საქმე! შენს ყანებში მარტო სარეველა ბალახი ხარობს, საქონელი დაგელუპა, ცოლი ავადაა, ფერმა თითქმის მთლიანად დაგეწვა! უკვე აღარ იცი, რომელ წმინდანს ევედრო და მე მიხმე. ეგრე იყოს, აჰა, მეც აქა ვარ. მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ, რით გემსახუროო?

ტოლომემ უთხრა, რაც სჭირდებოდა.

— ძალიან კარგი, ძია ტოლომე. თუკი გინდა, გექნება მშვენიერი ფერმა, ხორბლით სავსე ბელლები, სათივეები და ფარდულები, ბევრი ცხენი და ხარ-ძროხა, ცოლ-შვილი გამოჯანსაღდებაო.

— თუკი მინდაო?! რასაკვირველია, მინდა!

— რაც გითხარი, ამ ღამითვე გექნება, სწორედ მაშინ, შენს ქობში მამალი რომ დაიცივლებს. სამაგიეროდ, მე პატიოსნად შევასრულებ ჩემს დაპირებას...

— მაშინ რაო?

— მაშინ უფროსი ვაჟის სულს მომცემო.

— უფროსი ვაჟის სულსო?

— ჰო, მის სულსო.

— ალბათ ხუმრობო.

— რა მეხუმრება. გინდა დამთანხმდი, გინდა — არა. არაფერს მომცემ, არაფერს მიიღებ, აი, ჩემი კანონი. მაძლევე — გაძლევეო!

ტოლომე ჩაფიქრდა. მან იცოდა, რომ ეშმაკისთვის ვაჟის სულის მიყიდვა საშინელება იყო, მაგრამ წარმოიდგინა, როგორ მოითქვამდა სულს ახალ ფერმაში და დათანხმდა.

— ეგრე იყოს! — უთხრა მან ავ სულს, — თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით, როგორც კი მამალი იცივლებს, ყველაფერი მზად უნდა მქონდეს. თუ ვერ მოასწრებ, ფერმა მე დამრჩება, შენ კი ვერაფერს მიიღებო.

— ძალიან კარგი, მოიტა ხელი. ახლა კი ხელი მოაწერეო.

ავმა სულმა ჯიბიდან დაგრაგნილი ვეება ეტრატი ამოიღო, რომელშიც ათობით ასეთი ეშმაკი ჩაეტეოდა. მან ეტრატი გაშალა, მერე ჯიბიდან წამახული ბატის ფრთა, მაგიდა და დანა ამოიღო. დანით გლეხს ხელი გაუსერა, გამოჟონილ სისხლში ფრთა დაასველა და ტოლომეს მიაწოდა, რომ საზარელი ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერა. ტოლომემ უამრავი სხვა სახელის გვერდით თავისი სახელიც დაწერა.

მერე კაცუნა მალაყს გადავიდა, ეტრატი, დანა, ფრთა და მაგიდა ჯიბეში ჩაიწყო და მხიარული შემახილებით ბუჩქებში გაუჩინარდა.

— ხა-ხა-ხა! დიკ-და-დონს კარგი დღე დაუდგაო!

ტოლომე დაბინდებამე ტყეში დაეხეტებოდა.

შინ რომ დაბრუნდა, უამრავი პატარა ეშმაკი დაინახა. ეშმაკუნები დაათრევდნენ ქვებს, კირს, სილას, ანგრევდნენ ძველ კედლებს, თხრიდნენ მიწას, ჭედავდნენ, თლიდ-



ნენ; ყოველივე ამას წარმოუდგენელი სისწრაფითა და ჯოჯოხეთური ხმაურით აკეთებდნენ, ხოლო სხვა ემმაკები მათ ფარანს უნათებდნენ.

ტოლომეს ცოლ-შვილი უცებ გამოჯანმრთელდა. მათ ძალიან უკვირდათ ეს ალიაქოთი და ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, ტოლომემ საიდან მოიყვანა ფერმის ეს მშენებლები.

ქმარმა ცოლს უამბო ემმაკთან შეხვედრის ამბავი და რჩევა სთხოვა.

— უბედურო, ეგ რა გიქნია! საკუთარი შვილი ემმაკს როგორ მიჰყიდე, შე მართლაც ტარტაროზო!

— იმედი მქონდა, რომ ემმაკის მოტყუებაში მიშველიდი და პირში ჩალაგამოვლებულს დავტოვებდითო.

ტოლომეს ცოლი ჩაფიქრდა.

— შენ ამბობ, როგორც კი მამალი იყივლებს, ემმაკებმა სამუშაო უნდა დაამთავრონო, არა? ძალიან კარგი. ტყუილად კი არ გადაუწყვეტია უფალ ღმერთს, ქალი გველს ემეგობროსო. ფერმასაც შევინარჩუნებ და ვაჟსაც ვიხსნიო.

ემმაკუნებმა განკარგულება მიიღეს, ხუთი საათისთვის, სანამ ირიჟრაჟებს და მამლები გაიღვიძებენ, სამუშაოს მორჩითო. ტოლომეს ცოლმა სწორედ ახლა გადაწყვიტა ემარჯვა.

ოთხმა საათმა რომ მოატანა, ჩუმად ადგა და საქათმეში წავიდა. სამუშაო თითქმის დამთავრებული იყო, გლეხის ქალმა საქათმის კარი გააღო და მამალი გააღვიძა. მამალმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიცივლა — ყიციყო, ყიციყო!

ასე გააბრიყვეს ემმაკი დიკ-და-დონი. მან დაუმთავრებელი გალავანი, რამდენიმე ქვა რომ აკლდა, მიატოვა და თავის თანაშემწეებთანად სადღაც გადაიკარგა. ძველი ფერმის ადგილზე, ახალი ჩინებული ფერმა წამოიჭიმა. ბელლები და სათივეები ხორბლისა და თივის სიმძიმეს ვერ უძლებდნენ, თავლასა და გომურში ღონიერი ცხენები და ნაპატივები ხარ-ძროხა ება, ხოლო კარადაში ოქროთი სავსე დიდი ტომარა იდო.

ამ დღიდან გლეხმა ტოლომემ დაიწყო ბედნიერი და საამური ცხოვრება, ხოლო გაბრიყვებულ დიკ-და-დონს მის ახლომახლო ერთხელაც არ გაუჭაჭანებია.

## ნორმანდიული ზღაპარი

### ჩიტბატონა

ძველად დედამიწაზე ცეცხლი არ იყო და არ იცოდნენ, როგორ ეშოვათ. გადაწყვიტეს, თვით ღმერთთან მისულიყვნენ და ცეცხლი ეთხოვათ. მაგრამ ღმერთის სამკვიდრებელი ხომ ძალიან შორსაა. აბა, ვინ მისწვდებოდა მის საუფლოს? უხმეს დიდ ფრინველებს. ფრინველებმა უარი თქვეს, პატარა ჩიტუნებმაც თავი გააქნიეს, ტოროლამაც კი შორს დაიჭირა. ჩიტბატონა მათ საუბარს ყურს უგდებდა და თქვა:

— რახან არავის გინდათ, მე გავფრინდებიო!

— ასე პატარა ხარ და, აბა, როგორ გაფრინდები, ფრთებიც პაწია გაქვს, დაიღლები და მოკვდებიო.

— მე ჩემსას ვცდი. გზაში თუ მოვკვდი, რა გაეწყობაო!

ჩიტბატონა გაფრინდა. ისე სწრაფად იფრინა, ღმერთის სამკვიდრებლამდე სულ მალე მიაღწია. ღმერთს ძალიან გაუკვირდა ჩიტბატონას დანახვა, მან იგი მუხლზე დაისვა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ცეცხლი მიეცა თუ არა.

— დაიწვები, სანამ დედამიწაზე დაბრუნდებიო, — უთხრა ღმერთმა, მაგრამ ჩიტბატონა არ მოეშვა.

— რახან არ იმლი, მეტი რა ჯანია, მოგცემ, რასაც მთხოვ, — უთხრა ღმერთმა, — ოღონდ არ აჩქარდე და სწრაფად არ იფრინო. თუ სწრაფად იფრენ, ბუმბული დაგეწვებაო.

ჩიტბატონა შეჰპირდა, ფრთხილად ვიქნებო. აფრთხილდა და დედამიწისკენ მხიარულად გამოფრინდა. სანამ შორს იყო, ღმერთის დარიგება ახსოვდა და ნელა მოფრინავდა, მაგრამ დედამიწას რომ მოუახლოვდა და დაინახა, როგორ ელოდებოდნენ, აჩქარდა... მოხდა ის, რასაც ღმერთი უწინასწარმეტყველებდა. ცეცხლი კი ჩამოიტანა და ხალხს დაურიგა, მაგრამ საბრალო ჩიტბატონას ბუმბული სულ შემოეწვა.

მაშინ ჩიტები გარს შემოეხვივნენ. თითოეულმა თითო ბუმბული ამოიძრო, რათა ჩიტბატონასათვის რაიმე სამოსი შეეკერათ. აი, ამის მერეა ჩიტბატონა ჭრელი ბუმბულით შემოსილი. მარტო ავმა ბუმ არ მისცა ბუმბული. მაშინ ყველა ჩიტი მიესია ბუს, რათა ასეთი უგულობისათვის ჭკუა ესწავლებინათ. მეტი რა გზა ჰქონდა, დაიმალა ბუ. აი, რატომაა, რომ იგი მარტო ღამლამობით გამოდის, ხოლო თუკი დღე გამოჩნდება, ყველა ჩიტი გუნდად მიესევა და ისევ ფულუროში შეაგდებს.

## ზემობრეტანული ზღაპრები

### ცერცვი

იყო ერთი ბერიკაცი. ისეთი ღარიბი იყო, ისეთი, ერთი ცერცვის მეტი არაფერი ებადა. ბერიკაცმა ცერცვი ბოსტანში დათესა და ყოველდღე ნახულობდა, თუ იზრდებო.

— ჩქარა გაიზარდე, რომ სამოთხეში მივიდე და პური ვიშოვო.

— ამ ღამით ოცი ფუტით გავიზრდებიო, — მიუგო ცერცვმა.

ირიჟრაჟა თუ არა, ბერიკაცი ადგა და ბოსტანში გაიქცა, რომ ცერცვი ენახა.

— ოჰ, როგორ გაზრდილხარო! — შესძახა მან.

— ამ ღამით უფრო მეტად გავიზრდებიო, — მიუგო ცერცვმა.

— იჩქარე, ძალიან მინდა ცის ჭიშკარს მივალწიო, იქნებ პური მომცენო.

მეორე დღით ბერიკაცი ისევ წავიდა ბოსტანში, შეხედა ცერცვს და შესძახა:

— ჩემს მათხოვრობას მალე ბოლო მოეღება! ამ ღამით კარგა გვარიანად გაზრდილხარ და ცას მალე მისწვდები. აბა ჰე, იჩქარე, მაგრამ საქმე წინ რომ წავაგდოთ, დღეც უნდა გაიზარდო.

— არა, — მიუგო ცერცვმა, — მე მხოლოდ ღამლამობით შემიძლია გავიზარდო. ორი ღამეც და ცამდე ავალო.

ბერიკაცს წმინდა პეტრეზე ბევრი სმენოდა და ერთი სული ჰქონდა მალე ენახა.

— ამზობენ, წმინდა პეტრე გულკეთილიაო. სამოთხის გასაღები მას აბარია! თუ შეცამდე მივალწიე, ვთხოვ, ჭიშკარი გამიღოს, ან პური მომცესო, — ამზობდა ბერიკაცი.

მესამე დღით ცერცვი ისე გაზრდილიყო, რომ წვერი არ უჩანდა.

— მე მგონი, — უკვე საკმარისიაო, — უთხრა ბერიკაცმა.

— ჯერ არა, მიუგო ცერცვმა, — ერთი დღე-ღამეც მოითმინეო.

გათენდა თუ არა, ბერიკაცი ბოსტანში გაიქცა და ცერცვს უთხრა:

— აბა, ახლა კი ასვლის დროა. ჩემო კარგო, შეიძლება შენს ტოტებს ჩავეჭიდო?

— ჰო, შეიძლება, — მიუგო ცერცვმა — თუ გინდა, ადიო.

ბერიკაცი მუხის სიმსხო ცერცვის ღეროს ჩაებლაუჭა და დაიწყო ზედ აზობლება.

ავიდა, ავიდა და ბოლოს, სამოთხის ჭიშკარს მიადგა. კართან დარბაისელი კაცი დაინახა.

ბერიკაცს აზრადაც არ მოსვლია, ვის ელაპარაკებოდა, ისე ჰკითხა:

— ბატონო, სამოთხის ჭიშკარი ეს არისო?

— მე შენი ბატონი არა ვარო, — მკვახედ უთხრა წმინდა პეტრემ.

— ბოდიშს ვიხდი, შენი წყენინება არ მინდოდა, მაშ, ვინა ხარო?

— წმინდა პეტრე ვარო.

— ნუთუ მართლა?! მაშ, სამოთხის გასაღები შენა გაქვსო?

— ჰო, მე მაქვს, შიგ შესვლა ხომ არ გინდაო?

— არა! შენთან მარტო პურის სათხოვნელად მოვედიო.

— ნუთუ დედამიწაზე პური არ არის, რომ ძებნა ცაში დაგიწყიაო?

— პური როგორ არ არის, მაგრამ ნატეხსაც არავინ იმეტებს. ხალხი ადრე უფრო მოწყალე იყო. ვიფიქრე, იქნებ ცოტაოდენი აქ მაინც ვიშოვო-მეთქი.

— აქ როგორ ამოხვედი, ასე მაღლა ვინ ამოგიყვანაო? — ჰკითხა წმინდა პეტრემ.

— ბოსტანში ცერცვი დავთესე და იმას ამოვყვეო.

— დასწყევლოს ეშმაკმა, — ღრენით თქვა წმინდა პეტრემ. — თუ ისეთი სასწაულმოქმედი ხარ, რომ შეგიძლია ცერცვი ზეცაში ამოიყვანო, პურსაც ადვილად იშოვიო.

— ოჰ, ვერა, ვერ ვიშოვი. არავინ მამღლევს. ღვთის გულისათვის შემინწყალე, ცოტა პური მომეციო.

— ყური მიგდე, — უთხრა წმინდა პეტრემ, — აი სახედარი. თუ ფული დაგჭირდა, ზურგზე ხელი გადაუსვი და უთხარი: — ეკიუ ჩამოყარე, ეკიუ ჩამოყარე-თქო.

ბერიკაცმა წმინდა პეტრეს მაღლობა გადაუხადა, სახედარზე შეჯდა და ცერცვს ძირს ჩამოჰყვა. მთელი გზა სახედარს ზურგზე ხელს უსვამდა და ეუბნებოდა: ეკიუ ჩამოყარე, ეკიუ ჩამოყარეო.

მიწას ფეხი რომ დაადგა, ცერცვის გვერდით ეკიუს გორა დაინახა. ბერიკაცმა ფული წამოხვეტა და ხელების ფშვნეტით თქვა:

— ახლა კი გავმდიდრდიო.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ცოლთან შინ დამჯდარიყო, დუქანში გაიქცა, ვირი ბაგაზე დააბა და მდიდრული ვახშამი შეუკვთა.

მედუქნემ უთხრა, ასეთ ღარიბ-ღატაკს ამდენი ფულის ხარჯვა არ შეგფერისო.

— არაფერია, — მიუგო ბერიკაცმა და ჯიბეზე ხელი დაიკრა. — ჩემი სახედარი იმდენ ფულს იტყრის, ხარჯვა სულაც არ მენადვლება. ოღონდ ამისთვის სახედარს ზურგზე ხელი უნდა გადავუსვა და ვუთხრა, ეკიუ ჩამოყარე-მეთქი.

სანამ ბერიკაცი ღრეობდა, მედუქნემ სახედარი შეუცვალა. ტყუილად უსვამდა ბერიკაცი სახედარს ახლა ზურგზე ხელს, ტყუილად იჭაჭებოდა, ეკიუ ჩამოყარეო, — ფული არსად ჩანდა.

ბერიკაცი, თავი სიკვდილამდე მდიდარი რომ ეგონა, უწინდებურად ისევ გაღარიბდა. ჯერ ძალიან დაღონდა, მერე თავში ერთი აზრი მოუვიდა:

«წავალ ბოსტანში, ცერცვს ვნახავ, იქნებ სამოთხეში ისევ ავიდეო».

მივიდა. ხედავს, რომ ცერცვის წვერი ცაში იკარგება. ბერიკაცმა სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყო. მერე ღეროზე აბობლდა და წმინდა პეტრეს მიადგა. — წმინდა პეტრევ, გამარჯობაო.

— გაგიმარჯოს, ბერიკაცო. ისევ მოხვედიო?

— ჰო, შენი ნაჩუქარი სახედარი მომპარესო, — უთხრა გლეხმა.

— იმიტომ, რომ დუქანში წახვედი! სახედარი შინ რომ დაგეტოვებინა, არავინ მოგპარავდაო.

— ღვთის გულისათვის შემინწყალე, რამე მაჩუქეო.

მაგრამ წმინდა პეტრე უგუნებოდ იყო, არაფრის ჩუქება არ უნდოდა და ეუბნებოდა, დუქნებში ბევრს დაწანწალებო.

— შემინწყალე, წმინდა პეტრევ, — არ ეშვებოდა ბერიკაცი, — უარი არ მითხრა! შენზე ამბობენ, ძალიან გულკეთილია და მოციქულთა შორის ყველაზე ხათრიანიაო. შემინწყალეო!

წმინდა პეტრეს ასეთმა გამაბეზრებელმა თხოვნამ მოთმინება დაუკარგა და ბერიკაცს უთხრა:

— პირფერობა მეჯავრება, მაგრამ რომ ჩამომეხსნა, ერთ რამეს კიდევ მოგცემ. აი, ეს სუფრა. ჭამა რომ მოგიინდება, მაგიდაზე გაშალე და უთხარი, სუფრავ, პურ-ღვინო მონართვი-თქო და ყველაფერი გექნება. სუფრა ხორაგით აივსება. ოღონდ, იცოდე, დუქანში შესვლა არ გაბედოო.

— აბა, რას ამბობ! როგორ შემიძლია პირობა მოგცე, იქ არ შევალ-მეთქი.

დედამიწაზე რომ დაბრუნდა, ბერიკაცმა ცოლს უთხრა:

— მაგიდას ეს სუფრა გადააფარე და იმდენი საჭმელ-სასმელი გექნება, რამდენიც გინდაო.

გადააფარეს მაგიდას სუფრა და როგორც კი ბერიკაცმა უთხრა, სუფრავ, პურ-ღვინო მომართვიო, მაგიდა ხორაგით აივსო.

ცოლ-ქმარმა მუცელი რომ ამოიყორა, სიხარულით ცას ეწია.

— აი, ისევ განცხრომით ვცხოვრობთ, — უთხრა ცოლმა. — თუკი ჩვენს საიდუმლოს არავის ეტყვი, სულ ასე ვიქნებით, მაგრამ პირში ალიკაპს ვინ ამოგდებს, რომ ისევ არ იყბედო და არ იბაქიბუქო.

— ერთი დამანახა ის ქურდბაცაცა, ჩემი სუფრის აწაპნას ვინც მოახერხებს და მერე ნახავსო, — უთხრა ბერიკაცმა.

მაგრამ დუქანში სიარულსა და ხალხში მუსაიფს ასე ადვილად რა გადააჩვევდა. წავიდა ერთხელ სასტუმროში, დაჯდა და ადგომას ვეღარ მიხვდა. მედუქნის ცოლმა უთხრა:

— შე გახრეკილო, აქ ყიალს ის არ გირჩევნია, იმუშაო და ლუკმა-პური იშოვო?

— მეტი საქმე არა მაქვს, ლუკმა-პურისთვის ვიმუშაო! — შესძახა მან. — მართალია, სახედარი მომპარეს, მაგრამ სამაგიეროდ, სუფრა მაქვს. საკმარისია, ვუთხრა: სუფრავ, პურ-ღვინო მომართვი-მეთქი და ჩიტის რძეც არ დამაკლდებაო.

— სახედარი ხომ მოვპარე, სუფრაც უნდა ავაცალოო, — თქვა თავისთვის მედუქნემ და წმინდა პეტრეს ნაჩუქარი სუფრა სხვა სუფრით შეუცვალა.

დანაღვლიანდა ბერიკაცი, დარდისაგან დანა პირს არ უხსნიდა. ბოლოს გაიფიქრა: თუ ცერცვი წინანდებურად მაღალია, სამოთხეში ისევ ავალ. ალბათ წმინდა პეტრეს თავი მოვაბეზრე, მაგრამ ბედს ერთხელ კიდევ ვცდიო.

მესამედ ავიდა ზეცაში.

— წმინდა პეტრევ, გამარჯობაო.

— ისევ მოხვედიო?

— მეტა რა ჩარაა, გამქურდესო.

— იმიტომ, რომ დუქანში ბრძანდებოდი. აკი გაგაფრთხილეო!

— მართალია, მაგრამ ხომ გეუბნებოდი, პირობას ვერ მოგცემ-მეთქი.

— კომბალის გარდა ვერაფერს მოგცემო.

— კომბალი რად მინდა? ძაღლებს ცხვირ-პირში ვურტყა, მოწყალების სათხოვნელად კარდაკარ რომ ვივლიო?

— რა, თქვენს მხარეში ძაღლებს ცხვირ-პირში სცემენო? — ჰკითხა წმინდა პეტრემ.

— რაღა თქმა უნდა. მათხოვარი კალოს რომ მიადგება, ყველა ფერმის ძაღლი ყეფითა და ღრენით შემოესევა. ჰოდა, დაღებულ ლაშებში კომბალს ურტყამენ, რომ გარეკონო.

— ამ კომბლის მეტი არაფერი მაქვს. წაილე და აქედან დამეკარგეო!

— კი მაგრამ, კომბალი რაში გამომადგებაო?

— უბრძანე, შენი ვალი შეასრულე-თქო.

ბერიკაცი შინ რომ დაბრუნდა, იფიქრა, მოდი, ვნახავ, ამ კომბალს რა შეუძლიაო, და უთხრა:

— შენი ვალი შეასრულეო:

კომბალმა ბერიკაცისა და მისი ცოლის ზურგზე ისეთი ბუქნა გააჩაღა, არ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ღრიალებდნენ. ბოლოს ბერიკაცი მიხვდა, დაეყვირა: — კომბალო, დადექო! — და კომბალი გაჩერდა.

ამ კომბალს ყველგან თან ვატარებ, — გაიფიქრა ბერიკაცმა, — თუ ჩემი სახედრისა და სუფრის ქურდი შემხვდა, ღდინს გავაგდებინებო.

წავიდა დუქანში. მედუქნემ და მისმა ცოლმა გამასხარავება დაუწყეს, ასე რომ გაგქურდეს, დოყლაპია ხარო.

ბერიკაცს კარგა ხანია მედუქნესა და მის ცოლზე გუმანი ჰქონდა და კომბალს უთხრა:

— კომბალო, შენი ვალი შეასრულო, მანამ უბაგუნე ქურდებს, სანამ ნაქურდალს არ დამიბრუნებენო!

კომბალი ბერიკაცს ხელიდან გაუსხლტა, ჰაერში გაიღვია და ისეთი ძალით უცხუნა და უცხუნა მედუქნესა და მის ცოლს, რომ ორივეს ტანი აულილავდათ. დაუწყეს ბერიკაცს მუდარა, შეგვიბრალე და ვფიცავთ, ყველაფერს დაგიბრუნებთო.

— კომბალო, დადექო. — უთხრა ბერიკაცმა კომბალს.

მერე სუფრა ამოიღლია, სახედარზე შეჯდა და შინ დაბრუნდა.

ახლა ბერიკაცს სახედარიც ჰყავს, სუფრაც აქვს და კომბალიც.

## ვ ა დ უ ა ი ე

იყო ერთი კაცი. კაცს ვადუაიე ერქვა. ჰქონდა ხორბლის ერთი მარცვალი. ვადუაიე მივიდა ერთ დედაკაცთან და უთხრა:

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ჰურის მარცვალი შემინახეო.

— შეგინახავ. ემანდ დადევი, მერე ჩემს მარცვალთან ერთად ბელელში წავიღებო.

მეორე დღეს ვადუაიე ამ კეთილ დედაკაცს ისევ მიადგა.

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ჰურის მარცვალი კარგად თუ შემინახეო?

— ოჰ, საბრალო ვადუაიე! უბედურება დამატყდა თავს: შენი მარცვალი ქათამმა აკენკაო.

— სასამართლოში გიჩივლებ, დედი, იცოდე. სასამართლოში გიჩივლებო!

— არა, ნუ მიჩივლებ, ჯობს ქათამი წაიყვანო. იცოდე, არ იზარალებ, კარგი კრუხიაო. ვადუაიემ გამოიყვანა საქათმიდან ქათამი და მეორე გლეხის ქალთან წავიდა.

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ქათამს ხომ ვერ შემინახავო.

— რატომაც არა, დამიტოვე. საქათმეში დავამწყვდევე და საკუთარივით მოვუვლიო. მაგრამ დახეთ უბედურებას, ძროხამ წიხლი ჰკრა და ქათამი მოკლა.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, ქათმის პატრონი მოვიდა.

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ქათამი კარგად თუ შემინახეო?

— ოჰ, საბრალო მეზობელო! ამ დილით ჩემმა ძროხამ წიხლი ჰკრა და მოკლაო.

— სასამართლოში გიჩივლებ, დედი, იცოდე, სასამართლოში გიჩივლებო.

— რაღა სასამართლოში მიჩივლებ, ჩემი ძროხა წაიყვანეო.

ვადუაიემ წაიყვანა ჩინებული მეწველი ძროხა, ფესანგი, პეწიანი. მიიყვანა მესამე გლეხის ქალთან და ეუბნება:

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ძროხას ხომ ვერ შემინახავო?

— რატომაც არა, შეგინახავ. აგე, ახლოს მიაბი. მერე ჩემს ძროხებთან ერთად ბაგაზე დავაბამო.

რომ მოსალამოვდა, მოახლე გოგომ აიღო ჯორკო და საწველეელი და ძროხების მოსაწველად წავიდა, მაგრამ ვადუაიეს ძროხამ ახლოს არ გაიკარა, წიხლს ისროდა. მოახ-

ლე გოგოს წიხლი ჰკრა და საწველელი გადააბრუნა. გოგო გაჯავრდა, ძროხას ჯორკო დასთხლიმა და სული გააფრთხობინა.

მეორე დღეს ვადუაიე მოვიდა.

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ძროხა კარგად თუ შემინახეო.

— ოჰ, საბრალო ვადუაიე! წუხელის მოახლე გოგოს შენი ძროხის მოწველა უნდოდა, მაგრამ ისე გააჯავრა, რომ ჯორკო დაჰკრა და სული გააფრთხობინა.

— სასამართლოში გიჩივლებ, დედი, იცოდე, სასამართლოში გიჩივლებო!

— ამას როგორ მიზამ, მეზობელო! ჯობს მოახლე გოგო წაიყვანო.

ვადუაიემ გოგო ტომარაში ჩასვა და სხვა ქალთან წაიყვანა. ის ქალი მოახლე გოგოს ნათლია იყო, მაგრამ ვადუაიემ ეს არ იცოდა.

— გამარჯობა, დედი.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ამ ტომარას ცოტა ხანს ვერ შემინახავო?

— კარის უკან დადევ, ხელს არავინ ახლებსო.

ვადუაიე წავიდა. ცოტა ხანმა რომ გაიარა, დედაბერმა იფიქრა, ჩემი მოახლე ალბათ სადმე ახლოსააო, და დაიძახა:

— ჟანეტა, მათლაფა წვნთანს ხომ არ შეჭამო?

მოახლეს არ გაუგონია, მაგრამ მის მაგივრად ტომარაში მჯდარმა გოგომ უპასუხა:

— მე შევჭამო.

დედაბერმა კითხვა ორჯერ გაიმეორა, ორჯერვე ერთი და იგივე ხმა მოესმა ტომრიდან. მან ტომარაში ჩაიხედა და თავისი ნათლული არ დაინახა?!

ნათლული ტომრიდან ამოიყვანა, ხოლო მის ნაცვლად შიგ დიდი ნაგაზი ჩასვა.

მოვიდა ვადუაიე.

— გამარჯობა, დედი, — უთხრა დედაბერს.

— გაგიმარჯოს, ვადუაიე.

— ტომარა კარგად თუ შემინახეო.

— როგორ არა, აგერაა, თუ გინდა, წაიღეო.

დარწმუნებული, ტომარაში მოახლე გოგო ზისო, ვადუაიემ ტომარა ზურგზე მოიკიდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, ტომარას პირი მოხსნა და თქვა:

— გოგოვ, აბა, მაკოცეო!

— ჰამ, ჰამ, — დაიყეფა ძაღლმა.

ვადუაიეს ისე შეეშინდა, რომ ტომარა დააგდო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

## შაშვი და მელა

ძველად ერთმა შაშვმა ბუდე გაიკეთა, ბარტყები გამოჩეკა და, რაც სჭირდებოდათ, ყველაფერი ასწავლა. ის იყო, უნდა დაეფრინა, რომ მელა მიეპარა და ყველა ერთად წააცუნცულა.

შაშვი ბუდეში რომ ბრუნდებოდა, დაინახა, როგორ ახრამუნებდა მელა მის ბარტყებს.

— როგორ დამლუპა და დამაქცია წყეულმა მელამ! — თქვა შაშვმა. — მაგრამ ფერმის ძაღლს კარგა ხანია მასზე თვალი უჭირავს, მივალ, ვთხოვ, მის ოხტში ამომიყვანოსო.

შაშვმა ძაღლი დაინახა და უთხრა:

— მელამ ბარტყები შემეჭამა და სამაგიერო მიუზღეო.

— სიამოვნებით, მაგრამ როგორ ვქნაო?

— ფეხები გაჭიმე და თავი მოიმკვდარუნე. მე მელას შევატყობინებ და მის თვალწინ კორტნას დაგიწყებ, შენ კი არ გაინძრე. რომ მოგიახლოვდება, გაგუდეო.

ძალი დაეთანხმა. შაშვი მელასთან მიფრინდა და უთხრა:

— ნათლიმამ, როგორც ჩანს, არაფერი გაგიგია. ფერმის ძალს ფეხები გაუფშეკია და მინდორში გდია. ნამდვილად შენი ჭირი წაუღია. ახლახან ვკორტნიდი და არც განძრეულაო.

მელა რომ მივიდა, შაშვმა მის თვალწინ ძალს კორტნა დაუწყო, მაგრამ ძალი არ განძრეულა.

— აჰა, — შესძახა მელამ. — როგორც იქნა, თავი დავაღწიე მაგ ვერანას. მაგრამ, სანამ შევჭამდე, ერთი შარდით გავლუმპავო.

ის იყო, მელამ ფეხი ასწია, რომ ძალი ეცა და სული გააფრთხოვინა.

შაშვმა ძალს უთხრა:

— მელაზე ჯავრი ამომაცრევიანე, ჰოდა, შრომა უნდა დაგიფასო და კარგად გაგიმასპინძლდე. აგე, გლეხის ქალი მოდის, კალოზე ჯერი მიაქვს. დამაცადე, რას ვიზამო.

შაშვმა ბილიკზე ხტუნვა დაიწყო, ფეხს ისე მიათრევდა, ვითომ დაშავებული ჰქონდა. გლეხის ქალი დასაჭერად დაედევნა. შაშვმა ფეხს აუჩქარა.

— რა ლამაზი შაშვია! — შესძახა გლეხის ქალმა. — შორს ვერ წავა. დავიჭერ და ჩემს პატარა ჟანას მივგვრი. მერედა, ჩიტები როგორ უყვარსო.

გლეხის ქალმა ბოხჩა ძირს დადგა და შაშვს ისევ გამოუდგა. შაშვი დედაკაცს შორს იტყუებდა. ამასობაში ძალმა მეკალოეების ჯერი შეჭამა.

გლეხის ქალი უკან რომ მობრუნდა, გზაზე არაფერი დახვდა:

— რაღა ვქნა, — თქვა დაღვრემილ-დაფიქრებულმა დედაკაცმა, — ბოხჩა მოიპარესო.

გლეხებს ძალიან რომ არ ეჩხუბათ, გადაწყვიტა ტკბილი სიტყვით მოეთაფლა.

— ოჰ, ჩემო კარგებო, — უთხრა ქალმა, — ნუ დამემდურებით, ჯერი რომ ვერ მოგიტანეთ. შაშვს დავედევნე, მინდოდა დამეჭირა და ამასობაში ბოხჩა ვილაცამ მომპარაო.

— რას ჩმახავ! — შეუძახეს მეკალოეებმა. — სამუშაოს მივატოვებთ და წავალთო.

— ბებერი თითლიბაზია, — დაუმატეს სხვებმა, — არა გრცხვენია, ქალი დაბერებულხარ და ტყუილებს ჩმახავ! ერთი ეს ფიწალი უნდა ჩაგცხოს კაცმა მაგ კინკრიხოშიო!

— შეხეთ, — დაიყვირა გლეხის ქალმა. — აი, ის ჩიტი იყო, კალოზე რომ დაჯდა! აგე, ახლა მხარზე დამაჯდაო!

ერთმა გლეხმა შაშვს კეტი მოუქნია, მაგრამ ჩიტის ნაცვლად დედაკაცს ისე სდრუზა, რომ დედაკაცი კალოზე გაიშხლართა!

## დანგობერის ასული

იყო ერთი ხელმწიფე, სახელად დანგობერი. ჰყავდა ოქროსთმიანი ასული. მეფის ასული ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველა კუთხიდან მოდიოდნენ მისი ხელის სათხოვნელად, მაგრამ ქალი საქმროებს უარით ისტუმრებდა. ბევრი მათგანი, მისი გულის მოგებას რომ ვერ ახერხებდა, თავს იკლავდა.

ერთ-ერთი საქმრო ჯადოქარი გამოდგა. მან ხელმწიფის ასული მორიელად გადააქცია და ცასა და ზღვას შორის ოქროს ჯაჭვზე დაკიდებულ თავის კოშკში წაიყვანა. ეს კოშკი ჩრდილოეთ პოლუსიდან ასი მილით იყო დაშორებული. კედლები ვერცხლის ექვსფრანკიანებით ჰქონდა ნაგები, ხოლო კუთხეები — ბაღაჯლო ოქროთი. კოშკის კარი საიმედოდ იყო დაცული.

ხელმწიფე დანგობერს შვილი თავს ერჩივნა და ძალიან აწუხებდა მისი დაკარგვა. ერთ დღეს ხელმწიფემ ბრძანა, ყველგან გამოაცხადეთ: ვინც ჩემი ასულის დახსნას შეძლებს, ქალს ცოლად გავატან და გვირგვინს ვუბოძებო.

მისი განკარგულებით საუკეთესო ხუროებმა ააგეს ხომალდი. ხომალდს მოჯადოებულ კოშკში უნდა წაეყვანა გულოვანი ვაჟები, ხელმწიფის ასულის განთავისუფლებას რომ შეეცდებოდნენ. ყველა კუთხიდან მოაწყდა სხვადასხვა ხელობისა და წოდების

უამრავი ხალხი. აქ იყვნენ მეზღვაურები და მხვინელ-მთესველები, უფლისწულები, მენახშირეები, გენერალი და ასე გასინჯეთ, ერთი მეძველმანეც კი.

ხომალდი ზღვაში რომ უნდა გასულიყო, ხელმწიფემ ბედის მაძიებლებს უთხრა:

— კომპს ოთხი კარი აქვს და ოთხივე უნდა გაიაროთ, რომ მორიელად ქცეული ხელმწიფის ასულთან მიხვიდეთ. პირველი კარი რკინისაა და მას ფრთიანი გველი იცავს, მეორეს მძვინვარე ლომი ყარაულობს, მესამე კარს შვიდთავიანი ურჩხული უდგას გუშაგად, ხოლო მეოთხე კარს დღე და ღამე გოლიათი დარაჯობს. ახლა თქვენთვის ნათელია, რა ძნელ საქმეზე გიკვილიათ ხელი და, თუკი გინდათ, მშვიდობიანად დაასრულოთ ეს საქმე, დაუფიქრებლად არ იმოქმედოთ.

ხომალდი ზღვაში გავიდა და ფათერაკის მაძიებლები თან წაიყვანა. გზაში მოგზაურები მეტისმეტად გალალდნენ, რადგან ყველაფერი თავსაყრელი ჰქონდათ. ხომალდზე სამი რკინის ვერცხლინიჩბებიანი ნავი იყო. ამ ნავით ის ვაჟები წავიდოდნენ კომპში, ხელმწიფის ასულს რომ დაიხსნიდნენ.

დარი იდგა, ქროდა ზურგის ქარი. მოგზაურები მიცურავდნენ და მიცურავდნენ, მაგრამ ჰაერში დაკიდებულ კომპს ვერსად ხედავდნენ. ბოლოს, ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწიეს, კაპიტანი ნაპირზე გადავიდა. მან ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან გაიგო, რომ შორს წასულიყვნენ. მაშინ კაპიტანმა ხომალდი შემოაბრუნა და ძებნა განაგრძო.

გავიდა სამი დღე. მენახშირემ, სხვებთან ერთად ყურადღებით რომ გასცქეროდა არემარეს, კაპიტანს უხმო:

— კაპიტანო, ნეტავი, აგერ, იქ, ასე თვალისმომჭრელად რა ბრწყინავს? როგორ ფიქრობ, ის კომპია, ჩვენ რომ დავეძებთ, თუ ღრუბელი ქათქათებსო?

მეზღვაურები ქანდარაზე აცვივდნენ, ხოლო კაპიტანმა ჭოგრიტი მოიძარჯვა, შიგ იხედა და ცასა და ზღვას შორის ოქროს ჯაჭვზე დაკიდებული კომპი დაინახა. ხომალდი კომპისაკენ გაემართა და ერთ საათში ზარბაზნის გასროლის მანძილზე გაჩერდა. წყალში ვერცხლის ნიჩბებიანი რკინის ერთი ნავი ჩაუშვეს. რამდენიმე კაცი ნავში ჩაჯდა და მოელვარე კომპისკენ გაემართა. თავდაპირველად რკინის კარი ვერც ერთმა ვერ დაინახა. ბოლოს მენახშირემ შეამჩნია იგი და ზედ პირველი აბობლდა, სურდა ბედი ეცადა.

მან ფრთიან გველს მოჰკრა თვალი, ფარვანასავით კომპს რომ დასტრიალებდა. ფათერაკის მაძიებლებმა გველს თევზი და ხორცი გადაუყარეს, რათა საჭმელზე მიეტყუებინათ და მოეკლათ, მაგრამ გველმა შეძლეულ ლუკმას ზედაც არ შეხედა და მეტი გულისყურით დაიწყო კარის დაცვა.

მეორე დღეს კასრში არაყი ჩაასხეს, შიგ პური ჩაალბეს და გველს დაუდგეს. გველმა კასრი ამოცალა. მესამე დღეს მეორე კასრი მოიტანეს. ორი დღე სვამდა გველი არაყს. გალექებული გველი კიდევ უფრო გაავდა და ალბათ ყველა მეზღვაურს შეახრამუნებდა, რომ მათ რკინის ბადისთვის არ შეეფარებინათ თავი. ბოლოს, გველმა დაიძინა და მენახშირემ ორი მეზღვაურის დახმარებით შუბით მოკლა.

პირველი კარი თავისუფალი იყო.

მეორე კარს გამძვინვარებული ლომი იცავდა. ლომი პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. ლომსაც დაუწყეს არაყში დამბალი ხორცის ნაჭრების გადაყრა. იგი ხარბად სანსლავდა ნაჭრებს, მაგრამ რაც უფრო მეტს ჭამდა, მით უფრო ავდებოდა. პირველ დღეს ამოდ ცდილობდნენ ფათერაკის მაძიებლები, მიჰკარებოდნენ ლომს. მეორე დღეს ნავში ჩახდნენ კაპიტანი, ორი მეზღვაური, უფლისწული და მემონძე. მათ ლომს არაყში დამბალი ხარი და ცხვარი მიუთრიეს. ლომმა ყველაფერი შექანქლა და ბოლოს დაიძინა. გულოვანმა ვაჟებმა რკინის ბადე ფარად იფარეს და ლომი მძიმედ დაჭრეს, მოკვლით კი ვერ მოკლეს. მთლად გაცოფებული, ტკივილისაგან მზრდღვინავი ლომი ხუთი დღე კარს არ მოშორებია. ლომის ღრიალში ისმოდა სირინოზის\* (\* სირინოზი ბერძნულ მითოლოგიაში: ზღვის ნიმფა, რომელსაც სხეულის ზემო ნაწილი ადამიანისა ჰქონდა, ქვედა — ფრინველისა ან თევზისა. სირინოზები თავიანთი ჯადოსნური ხმით ხიბლავ-



დნენ მეზღვაურებს, იტყუებდნენ სახიფათო ადგილებში და ღუპავდნენ. გადატანითი მნიშვნელობით სირინოზს (სირენას) უწოდებენ ლამაზ ქალს, ხოლო მის ხმას — სირინოზის ხმას.) სიმღერა, კომპიდან ნიავს რომ მოჰქონდა.

მეხუთე დღეს კაპიტანმა ლომი შუბით მოკლა.

მაშინ ისინი მესამე კარს მიადგნენ. კარს შვიდთავიანი ურჩხული იცავდა. ურჩხული ბნელ გამოქვაბულში იმალებოდა, მაგრამ როცა გარეთ გამოდიოდა, თავისი საზარელი გარეგნობით ისეთ შიშის ზარს სცემდა ხალხს, რომ ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ბოლოს ფათერაკის მაძიებლებმა ძალა მოიკრიბეს, რკინის ბადე ფარად იფარეს, და კარი შელევწეს. ურჩხულმა საზარელი სივილი მორთო, მაგრამ ერთმა მეზღვაურმა მკერდში მახვილი ჩასცა, ხოლო მენახშირემ ცულით ერთი თავი მოკვეთა.

იმ დღეს ურჩხულს სამი თავი მოაჭრეს. იგი თავის გამოქვაბულში შეიმალა. გულოვანი ვაჟები სიბნელეში, აბა, რას დააკლებდნენ და ხომალდზე დაბრუნდნენ.

მეორე დღეს ისინი ისევ კომპში დაბრუნდნენ. როგორც კი ურჩხული გამოჩნდა, კაპიტანმა ორი თავი მოაჭრა.

— ახლა ურჩხულს ორი თავიღა დარჩა, — თქვა მენახშირემ. — რახან პირველი თავი მე მოკვვეთე, ბოლოსაც მე მოვაჭრიო.

— არა, ურჩხული მე უნდა მოვკლაო, — მიუგო კაპიტანმა.

მან მხეცს კიდევ ერთი თავი წააცალა და თანამგზავრებს უბრძანა, რკინის ბადე მომაცილებთ და ურჩხული გამოუშვითო. კაპიტანს სხვის დაუხმარებლად უნდოდა ურჩხულის მოკვლა. მაგრამ კაპიტანი მიუახლოვდა თუ არა, ურჩხული ეცა და შუაზე გაგლიჯა. ფათერაკის მაძიებლებმა ისევ იფარეს რკინის ბადე, ეკვეთნენ მხეცს და როგორც იქნა, მისი უკანასკნელი თავიც ძირს გაგორდა. ამის მერე კაპიტნის სიკვდილით დამწუხრებული ფათერაკის მაძიებლები ხომალდზე დაბრუნდნენ.

დარჩა მხოლოდ მეოთხე კარი. კარს გოლიათი იცავდა. მეძველმანემ თანამგზავრებს უთხრა:

— ისე გააკეთეთ, როგორც გეტყვით და ხელი არ შემიშალოთ, გოლიათის მოკვლაში მე გიმველითო.

მეძველმანის რჩევით იგი თანამგზავრებმა ძონძებით სავსე ტომარაში ჩასვეს და ტომარა მოდარაჯე გოლიათს ფეხებთან დაუგდეს. გოლიათს ეგონა ტომარაში მარტო ჩვრებიანო, ზედაც არ შეუხედავს და თავდაცვისათვის მოემზადა. მომხდურებს ცუდი დღე დაადგათ, გაავებულმა გოლიათმა ყველა მიყარ-მოყარა. როცა გოლიათმა ფათერაკის მაძიებლებს რკინის ბადის წართმევა დაუპირა, მეძველმანემ ტომარა დანით ჩაჭრა და გოლიათი დამბაჩით მოკლა.

მერე მეძველმანე მარდად ამოხტა ტომრიდან, მეოთხე კარი გააღო, დერეფნები გაიარა და შევიდა ოთახში, სადაც მაგიდაზე ვეება მორიელი იწვა. მეძველმანემ მორიელს ხელი შეახო თუ არა, იგი კოჭებამდე ოქროსთმიან მზეთუნახავად გადაიქცა.

სირინოზი იქვე იყო და ისეთი მომაჯადოებელი ხმით მღეროდა, რომ ყველა აღტაცებით უსმენდა. ხელმწიფის ასული სირინოზთან ერთად ნავში ჩაუჯდა თავის მხსნელებს და ხომალდისკენ გასწია. ხომალდის მეთაურობა კაპიტნის თანაშემწემ იღო თავს. ცასა და ზღვას შორის დაკიდებული კომპი მსხვილი თოკებით ხომალდის კიჩოს გამოაბეს და ხომალდმა ნელა გაცურა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ, სადაც ფათერაკის მაძიებლებს მოუთმენლად ელოდა ხელმწიფე დანგობერი. ხელმწიფე დანგობერი სიხარულით ცას ეწია, ჯადოახსნილი ასული რომ დაინახა. როცა ხელმწიფეს ყველაფერი უამბეს, მან თავის ქალს უთხრა:

— შენი ხელი მეძველმანემ დაიმსახურა. მე, რა თქმა უნდა სასიძოდ უფლისწული მერჩია, მაგრამ სამართლიანობა ითხოვს, სიტყვა არ გავტეხოო.

მეძველმანეს ძალიან ეამა ხელმწიფის სიძე რომ გახდა. ხელმწიფის ასულსაც მოეწონა საქმრო. გადაიხადეს დიდი ქორწილი. ქორწილზე მოიწვიეს ყველა, ისიც, ვინც ხომალდით იმოგზაურა.

ხელმწიფემ მეძველმანეს გვირგვინი და თავისი სამფლობელო უბოძა. ახალი მეფის კომპში სირინოზზე უკეთესი არაფერი იყო. ის სირინოზი ალბათ ახლაც იმ კომპშია და გალობს.

### როგორ გააბრიყვეს ეშმაკი

ერთხელ ლიუციფერი\* (\* ლიუციფერი (ლათინ.) — ქრისტიანულ მითოლოგიაში სატანა. ჯოჯოხეთის მბრძანებელი. ბოროტების ღვთაება.) ჯოჯოხეთიდან გამოვიდა და გასარიგებლად ხელოსნები ჩამოიარა.

თავდაპირველად მეწისქვილეს მიადგა. მეწისქვილეს მეტსახელად პიერ მუზმუზელას ეძახდნენ. მას ქარის წისქვილი ჰქონდა გამართული. ეშმაკი გაურიგდა მეწისქვილეს, — ყოველდღიურად ათას კოდს დაუფქვავდა, მაგრამ თუ ისეთი დღე გამოერეოდა, რომ მეწისქვილე ვერ აუვიდოდა საქმეს, ეშმაკს უფლება ჰქონდა, წლის ბოლოს ჯოჯოხეთში წაეყვანა. თავის მხრივ ეშმაკი თავს მოვალედ თვლიდა, წისქვილი არ გამტყდარიყო და მის ფრთებს ქარი არ მოკლებოდა.

პირობა რომ შეკრეს, ეშმაკმა იფიქრა, დღეში ათასი კოდი არ მეყოფაო და პიერ ბენტერასთან წავიდა. პიერ ბენტერას წყლის წისქვილი ჰქონდა.

მეწისქვილეები საქმეს შეუდგნენ. რამდენიმე დღე საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე ეშმაკმა პიერ მუზმუზელას საყვედურებით აავსო — შენი ფქვილი წყლის წისქვილის ფქვილზე ცუდიაო.

— ჩემი რა ბრალია, — მიუგო მეწისქვილემ. — პიერ ბენტერას ჩემზე მეტი წესრიგი აქვსო წისქვილში.

ამის მერე ლიუციფერი ხაბაზს გაურიგდა. ხაბაზს ორივე წისქვილიდან უნდა წაეღო ფქვილი და პური გამოეცხო. ხაბაზს ვეება ფურნე ჰქონდა, ას ფუტამდე სიგრძე-სიგანისა. მას ფურნეში მხოლოდ პური უნდა გამოეცხო, სხვა საქმეებისათვის ლიუციფერმა ხაბაზს თანაშემწეებად თავისი ეშმაკუნები გაუგზავნა.

ამის მერე ეშმაკი ხარაზთან შევიდა და უთხრა, ყოველდღიურად ასი წყვილი ფეხსაცმელი შემეკერეო.

— რას ამბობ? დღეში ამდენს როგორ მოვასწრებო? — უთხრა ხარაზმა.

— მე გიშველი და კარგადაცა გადაგიხდი. რამდენი მოგცეო?

— მაშინ ათი ათასი ფრანკი მომეციო.

— ასე იყოს, — უთხრა ეშმაკმა, — მაგრამ თუ კარგად არ იმუშავე, ერთი წლის მერე ჯოჯოხეთში წაგიყვანო.

ხარაზი საქმეს შეუდგა და პირველ დღეს ასი წყვილი ფეხსაცმელი შეკერა. მაგრამ მეორე დღეს დათვრა. ეშმაკმა გალანძლა და კარგადაც მიბეგვა.

— ჯობს ცოტა წამეხმარო, — უთხრა ხარაზმა. — და გაცდენილ დროს მალე ავინაზდაურებთო.

— არა მცალია, — შეუღრინა ეშმაკმა, — თერძი უნდა მოვძებნოო.

თერძს ყოველდღიურად ოცდახუთი ქურთუკი და ოცდახუთი შარვალი უნდა შეეკერა.

— ამდენის შეკერვა არ შემეძლიაო, — უთხრა თერძმა.

— შეძლებ, თუკი მოინდომებ, თანაშემწეები აურაცხელი გეყოლება, მაგრამ თუ ნამუშევარს კილი დაედება, ერთი წლის მერე ჯოჯოხეთში წაგიყვან. ფულს რამდენს ითხოვო.

— ოცი ათასი ფრანკი მინდაო.

— თანახმა ვარო, — მიუგო ეშმაკმა.

თერძი ტყავიდან ძვრებოდა, მაგრამ სამუშაო ისე ვერ აეწყო, როგორც უნდოდა. მაშინ თერძს გაახსენდა ეშმაკის დაპირება, თანაშემწეებს მოგცემო.

მივიდა და უთხრა, თანაშემწეები მინდაო. ლიუციფერმა თერძს ასი ეშმაკუნა გაუგზავნა. საკმარისი იყო, ეშმაკუნებს მხოლოდ ერთხელ შეეხედათ მაუდისთვის, რომ შარვლები მზად იყო.

— ახლა მჭედელთან უნდა წავიდე, — თქვა ეშმაკმა, თერძს რომ გაურიდდა. — ცხენის ნალები და ოთახის კლიტეები მჭირდებაო.

ეშრაკი მჭედელთან მივიდა. მჭედელს ვერაფერი სახელი ჰქონდა დავარდნილი და შინ უმუშევრად იჯდა. მჭედელს პიერ ყიამყრალს ეძახდნენ.

— პიერ ყიამყრალო, — უთხრა ეშმაკმა, — თუ ჩემს შეკვეთას მიიღებ, რკინას, ქვანახშირსა და რაც რამ დაგჭირდება, ყველაფერს გიშოვიო.

— ძალიან კარგი იქნება, — მიუგო მჭედელმა, — რადგან სამჭედლო გამოცარიელებული მაქვსო.

— არ იზარალებ, — უთხრა ეშმაკმა, — სამაგიეროდ, ამისათვის ყოველდღიურად ასი ნალი და ასი კლიტე უნდა დამიმზადო. ჩემი შემწეობით ხელს გაიწაფავო!

— კარგი, ოღონდ დამხმარე 60 უნდა გამომიგზავნო, რომ ქურაში ცეცხლი გამიღვივონო.

— თანახმა ვარ. გასამრჯელოს რამდენს ითხოვო?

— ორმოცდაათი ათასი ფრანკი მომეციო.

— ორმოცდაათი ათასი ფრანკი! შენ რა, დამცინიო?

— რა? თუ გებევრება, ოცდახუთიათასად მოვრიგდეთო.

პიერ ყიამყრალი მუშაობას შეუდგა და ყოველდღიურად ასრულებდა დაკვეთას.

ყველას რომ გაურიდდა, ეშმაკმა გაიფიქრა, ჩემს ხელოსნებს ჩამოვუვლი, დავხედავ, საქმეს თავს თუ ართმევენო.

პიერ მუზმუზელას წისქვილის კარში შეხვდა.

— საქმე როგორ მიდისო?

— არც ისე, მე რომ მინდა. სანამ სადღაც დადიხარ, ან ქარი არ ქრის, ან დოლაბია მოსაკოდი. მარტოს სად შემიძლია დოლაბის აწევა, ან მოკოდვაო.

— მე გიშველიო, — უთხრა ეშმაკმა.

— დოლაბს ქვემოდან ამოუდექი და მოკოდე, მე კი დავიკავებ, რომ არ ჩამოვარდესო.

ეშმაკმა საკოდელი აიღო და დოლაბს კოდვა დაუწყო. მუშაობით რომ გაერთო, პიერ მუზმუზელამ დოლაბს ხელი უშვა და დაიყვირა:

— ხელიდან მივარდება, ხელიდან მივარდებაო! — და სასწრაფოდ წისქვილი ააბრუნა.

ეშმაკმა იგრძნო, სადაცაა დოლაბი გამსრესო და ყვირილი მორთო. პიერ მუზმუზელას ემუდარებოდა, ოღონდ გამიშვი და პირობას გაძლევ, ჯოჯოხეთში არ წაგიყვანო.

ამის მერე ლიუციფერი წყლის წისქვილში პიერ ბენტერასთან გაემართა. პიერ ბენტერა უზაკველი კაცი იყო. მას საქმე კარგად ჰქონდა აწყობილი და ეშმაკმა შეაქო. შეჰპირდა, ჩემთან ჯოჯოხეთში კარგ წყლის წისქვილს გაგიმართავო.

— ბარელამ ახლა მოგეცაო, — სთხოვა პიერ ბენტერამ.

— მაშ, გინდა ჯოჯოხეთში ახლავე წაგიყვანო?

— მინდაო.

ეშმაკმა საბრალო მეწისქვილე ჯოჯოხეთში წაიყვანა. გზად ხაბაზთან გაიარა.

— იქ, ზემოთ, პური არ გვყოფნის, ხშირად ცუდი გამომცხვარიცააო.

— რაც შემიძლია, ვცდილობ, მაგრამ თანაშემწეები არა მყოფნისო.

— იქნებ შენი ფურნე გაფუჭებულიაო?

— რა ვიცი. ახლა პური ცხვება. ხვალ მოდი და ნახე, რამე შესაკეთებელი ხომ არა აქვსო.

«ჭკუაში უნდა მოვატყუო, — გაიფიქრა ხაბაზმა, — მაგრამ როგორ მოვახერხო? — ცეცხლში ვერ დავწვავ. ერთ როფ ნაკურთხ წყალს ვიშოვი და ფურნესთან დავდგამ, ვითომ ჩვეულებრივი წყაროს წყალია, მერე ძველ ოლარსაც გამოვნახავ სადმეო».

მეორე დღეს ეშმაკი მთლად გაავებული მოვიდა და ხაბაზს ყვირილი დაუწყო, პური ადრინდელზე უარესადაა გამომცხვარიო. ხაბაზმა ფურნის კარი გამოაღო და ეშმაკს უთხრა, შენ თვითონ შედი და ნახეო.

ლიუციფერი შევიდა. ხაბაზმა ფურნეში ნაკურთხი წყალი მოასხურა და კარს ქვა მიადვა, რომ ეშმაკი ვერ გამოსულიყო. საცოდავი ლიუციფერი ისე ღრიალებდა, თითქოს ტყავს აძრობენო:

— გამომიშვი, ვიწვიო!

— ხელი მომიწერე, რომ ჩამომეხსნებიო.

— ხელის მოწერა არ შემიძლია, ვერაფერს ვხედავო.

ხაბაზმა კარი გამოაღო. როცა ეშმაკი გამოვიდა, ოლარი შემოახვია ტანზე და მანამ არ მოხსნა, სანამ ქალაღზე ხელი არ მოაწერინა.

ამის მერე ლიუციფერი ხარაზთან წავიდა.

— ცუდი ხელოსანი ხარ, — უთხრა ეშმაკმა. — იქ, ზემოთ, ფეხსაცმელი არა მყოფნის, ისინიც, შენ რომ შეკერე, არაფრად ვარგაო.

— ამაზე უკეთესი რაღა გინდა! აბა, ამ ორ ტყავს შორის ჩასდექი და თვითონ ნახავ, რა მჭიდროდ ვკერავო.

ლიუციფერს აზრადაც არაფერი მოსვლია, ისე ჩადგა ორ ტყავს შორის. ხარაზმა ეშმაკი შიგ ისე მაგრამ ჩააკერა, ხელების განძრევა არ შეეძლო.

— გამიშვი, მეგობარო! — შეევედრა ეშმაკი. — არასოდეს არც ერთ ხარაზს ჯოჯოხეთში არ გავისტუმრებ! ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ მე ლიუციფერი ვარო.

— სანამ არ ჩამომეხსნები, ამ ტყავში იქნები ჩაკერებულიო.

ეშმაკი არ დაეთანხმა და ორი დღე ასე ირბინა, მაგრამ ტყავი ვერაფრით ვერ მოიცილა. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ისევ ხარაზთან მივიდა.

— მეგობარო, ეს ტყავები მომაცილეო.

— ჩამომეხსენი, თოემ მთელი სიცოცხლე მასე იქნებიო.

ლიუციფერმა ქალაღს ხელი მოაწერა და თერძთან წავიდა.

— სამუშაო როგორ მიდისო?

— რაც შემიძლია, ვცდილობო.

— მართალი ხარ, ვერ დაგემდურები. — უთხრა ეშმაკმა.

— შარვალს ხომ არ დამიკერებ, სულ დამეხაო.

თერძმა დაუკერა.

— ახლა კოსტიუმი შემიკერე, ოღონდ უნაკეროო.

— უნაკერო? ასეთი კოსტიუმის შეკერვა არ შემიძლია, მაგრამ თუ გინდა, ამ მაუდი-საგან გამოგიჭრი, ოღონდ სწორად დადექიო.

და ეშმაკს მაუდი შემოახვია.

თერძმა დიდი მაკრატელი აიღო და მაუდი თავიდან ბოლომდე გაჭრა, თან ეშმაკის კანი და ხორცი ზედ მიაყოლა. ლიუციფერმა გულშემზარავი ყვირილი მორთო, განსაკუთრებით მაშინ, თერძის ცოლ-შვილმა ნაკურთხი წყლის სხურება რომ დაუწყო.

— ოჰ, დედამიწაზე მხოლოდ ერთი პატიოსანი კაცი პიერ ბენტერა ვნახეო, — ყვიროდა ეშმაკი.

— ქალაღზე ხელი მომიწერე, რომ ჩამომეხსნებიო.

— არ მოგიწერო.

— მაშ კარგად გაწუწუეთო.

— მოვაწერ, მოვაწერო! — აღრიალდა ეშმაკი.

მერე მჭედელთან წავიდა.

— მუშაობო?

— ჰო, როგორც შემთხვევით.

— მართალი ხარ, იქ, ზევით, ნალი და კლიტე თითქმის ყველას აქვს უკვე. შენ კარგი მჭედელი ხარ და აუგად ტყუილუბრალოდ გახსენებდნენო.

— ფეხსაცმელები გაგცვეთია, თუ გინდა, ქუსლებს დაგიჭედავ და ახლებს დაგიმსგავსებო.

— კარგს იზამ. ოღონდ ფოლადის ქუსლები მინდა მქონდესო.

— კი, შეიძლებაო.

— გამომიჭედე და უხვად დაგასაჩუქრებო.

მჭედელმა სადგისივით წვეტიანი ნახევარმეტრიანი ლურსმნები გამოჭედა და ეშმაკს უთხრა:

— ახლა უნდა გაგთოკო. ხომ გინახავს, ცხენს რომ ჭედავენ, აბამენო.

მჭედელმა ეშმაკი ორი ჯაჭვით კარს მიაბა და, სანამ ეშმაკის ფეხი ხელში ეჭირა, ერთმა ამქარმა ნალები გაახურა. ნალები რომ გავარვარდა, მჭედელმა ერთი აიღო, ნაკურთხ წყალში ჩაუშვა და ეშმაკს ფეხზე დაადო. ეშმაკი მთელი ძალით აღრიალდა.

— მოითმინე, — დაუყვირა მჭედელმა, — უნდა დაგჭედო!

და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაქუჩი დაჰკრა და ლურსმანი მუხლამდე ჩააჭედა!

— გამიშვი, გამიშვი! — ყვიროდა ეშმაკი. — ყველა ადამიანი ცრუა, შენ კი ყველაზე ცრუ ყოფილხარო.

— არა, ორივე ფეხი უნდა დაგიჭედო, სანახევროდ არაფრის გაკეთება არ მიყვარსო.

მჭედელმა მეორე ფეხზეც დააჭედა ნალი. ლიუციფერი მთელი ხმით ღრიალებდა, ხოლო მჭედელი ნაკურთხ წყალს ასხურებდა და ეუბნებოდა:

— ცხენს რომ ჭედავენ, რკინას წყალს ასხამენო.

ეშმაკმა ისევ დაწერა ხელწერილი, რომ მჭედელს ჩამოეხსნებოდა და გაჯავრებულ-განაწყენებული კოჭლობით გავიდა სამჭედლოდან.

აი, მოკვდა ხაბაზი, მიადგა სამოთხის კარს და მიაკაკუნა. წმინდა პეტრემ კარი გაუღო და უთხრა:

— შენი გზით გასწი, აქ არაფერი გესაქმებაო.

«რალა ვქნა, — გაიფიქრა ხაბაზმა, — ოდესღაც ეშმაკი მოვხრაკე და ახლა შავ დღეს დამაყრისო!»

ჯოჯოხეთის კარს რომ მიადგა, ხაბაზმა მეკარეს უთხრა:

— მგონი, აქ უნდა შემოვსულიყავიო.

— რა გქვიაო?

— პიერ დიუფური მქვიაო.

შენი სახელი ჩემი ბატონისაგან მსმენია, — უთხრა მეკარემ. — ლიუციფერ, — გასძახა მან ეშმაკს, — პიერ დიუფური გვთხოვს, თქვენთან ადგილი მომეცითო.

— კინწისკვრით გააგდე. იქნებ ჰგონია, დამავიწყდა, ფურნეში რომ მწვავდა.

«როგორც იქნა, ეშმაკს თავი დავაღწიე, — გაიფიქრა ხაბაზმა, — მაგრამ სადმე თავშესაფარი ხომ მაინც უნდა გამოვნახო».

იგი სალხინებელში წავიდა და წმინდა ივს შეხვდა. ივმა უთხრა:

— ჩემო მეგობარო, რა გნებავსო?

— შენს ბრწყინვალეობას ჩემთვის ადგილი ხომ არ ექნებაო?

— რა ხელობის ხარო?

— ხაბაზი ვარო.

— საკვირველია, ადგილი რატომ ვერ გიპოვიაო.

— ვერ ვიპოვე. წმინდა პეტრემ კარი ცხვირწინ მომიხურა, ხოლო ეშმაკმა ჯოჯოხეთიდან იმიტომ გამომამძევა, ოდესღაც ფურნეში ცოტათი შევწვიო.

— შემოდი, ჩემო მეგობარო, შევეცდები, რაიმე კუთხე მოგინახო. ხაბაზებს, ჩვეულებრივ, კარგი სახელი აქვთ დაგდებულიო!

ცოტა ხნის მერე პიერ მუზმუზელა მოკვდა.

იგი სამოთხის კარს მიადგა. წმინდა პეტრემ ჰკითხა:

— აქ რა გინდაო?

— სამოთხის კარი გამიღეო.

— რა ხელობას ადექიო.

— მეწისქვილე ვიყავიო.

— ჩემო მეგობარო, ჯერ არც ერთ მეწისქვილეს სამოთხის კარის ზღურბლზე არ გადაუბიჯებია, — ყველანი ქურდები და თაღლითები არიანო.

«ახლა კი გავები, — გაიფიქრა პიერ მუზმუზელამ, — იმასთან მისვლა მომიხდება, ვინც კინალამ დოლაბით გავსრისეო».

სალხინებელს რომ ჩაუარა, ყოველი შემთხვევისათვის, კარზე მიაკაკუნა.

— შემიძლია თქვენთან შემოვიდეო? — ჰკითხა მან.

— შემთხვევით მეწისქვილე ხომ არ იყავიო?

— მეწისქვილე ვიყავიო.

— მეწისქვილეებს სალხინებელში არ შევუშვებთ, ჯოჯობეთში წადიო.

— ჯოჯობეთში! იქ წასვლა არ მინდა. მე ხომ ეშმაკი კინალამ დავფქვი. რომელიმე კუთხე გამომიძებნეო.

— არაფერი არ შემიძლიაო, — მიუგო წმინდა ივმა.

როცა მეწისქვილე ჯოჯობეთის კართან მივიდა, მეკარემ ჰკითხა:

— აქ რა გინდაო?

— შემოსვლა მინდაო.

— რა გქვიაო?

— პიერ მუზმუზელა მქვიაო.

— აჰა! მაშ, პიერ მუზმუზელა შენა ხარ? შენ ბრძანდებოდი, ჩვენს ბატონს შავი დღე რომ აყარეო?

— ჰო, მე ვიყავიო.

— მაშ გამომყევო.

პიერ მუზმუზელა უხალისოდ გაჰყვა მეკარეს. ეშმაკმა რომ დაინახა, იყვირა:

— კიდევ გინდა, თავზე წისქვილის ქვა დამიტრიალოო.

მეწისქვილემ არაფერი უპასუხა.

— ახლავე აქედან გააგდე, — უთხრა ლიუციფერმა მეკარეს. — მე მასეთი ვაჟკაცები საკმარისად მყავსო.

პიერ მუზმუზელა უსიტყვოდ შინ გაიძურწა. იგი ახლაც წისქვილშია და არხეინად ფქვავს.

სიკვდილის მერე ხარაზიც სამოთხის კარს მიადგა, მაგრამ წმინდა პეტრემ უთხრა, შენი სახელი სიაში არ მიწერიაო. სალხინებელში რომ მივიდა, წმინდა ივმაც უარით გაისტუმრა. მაშინ ხარაზი ჯოჯობეთის კარს მიადგა და ადგილი ითხოვა.

— რა გქვიაო?

— შენ ჩემი სახელი არ გეცოდინება. თქვენს ბატონს ხარაზად ვედექიო.

— მაშ, შენა ბრძანდები, ჩემი ბატონი ტყავს რომ მიაკერე? იცოდე, ამის გამო ხეირი არ დაგეყრებაო.

— ასეც ვფიქრობდიო, — მიუგო ხარაზმა.

— გამომყევო.

ხარაზი დაღვრემილ-დაძმარებული გაჰყვა. მიდიოდა და ფიქრობდა, ახლა კი გავებიო.

ეშმაკმა ხარაზი რომ დაინახა, იყვირა:

— ახლავე აქედან გააგდე! მე ლიუციფერი არ ვიყო, ჯოჯობეთში რომელიმე ხარაზი თუ შემოვუშვაო.

ხარაზი მეკარის გამოცილებას არ დალოდებია, იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

თავისმა ჯერმა რომ უწია, მჭედელიც მოკვდა. იგი მაშინვე სამოთხის კარისკენ გაემართა.

— რა გინდაო? — ჰკითხა წმინდა პეტრემ.

— სამოთხეში შესვლა მინდაო.

— მერედა, შესვლა თუ დაიმსახურეო.

— არ ვიციო.

— აქედან დაიკარგე, შენი ადგილი აქ არ არისო.

სალხინებელში წმინდა ივმა არ შეუშვა, რადგან წმინდა პეტრემ საჭირო ქაღალდები არ გაატანა.

ახლა კი ორივე ფეხით გავები, — გაიფიქრა მჭედელმა. — ადრე ეშმაკი მე დავჭედე, ახლა მისი ჯერია, ის დამჭედავსო.

მჭედელი ისეთი მოკლე ნაბიჯებით წაჩანჩალდა ჯოჯოხეთისკენ, იქ მისვლას კვირაზე მეტი მოანდომა. რომ მივიდა, კარგა ხანს იბორიალა შორიახლო, შესვლა ვერა და ვერ გადაწყვიტა.

— რა გინდაო? — ჰკითხა მეკარემ.

— ამბის გასაგებად მოვედი, შენს ბატონს მჭედელი ხომ არ სჭირდებაო?

— რა გქვიაო?

— პიერ ყიამყრალი მქვიაო.

— ჰოო! კარგა ხანია, შენი ნახვა უნდოდაო.

მეკარემ მჭედელი ეშმაკთან მიიყვანა.

— პიერ ყიამყრალი კითხულობს, მჭედელი ხომ არ გჭირდებათო. — უთხრა მეკარემ.

— ოჰო! — შესძახა ლიუციფერმა. — ნუ გეშინია, მზრუნველობას არც მე მოგაკლებ.

დღემდე შენი დაჭედილი ნალებით დავდივარ, ვერავინ ამადროო.

— თუ გამიშვებ, მე აგაძრობო.

— მერედა, აძრობა შეგიძლიაო?

— ისევე ადვილად ავამრობ, როგორც დავაჭედეო.

მჭედელმა ბრძანა, ცეცხლი გაეჩაღებინათ და ეშმაკს ნალები ააძრო. ეშმაკმაც აპატია მჭედელს ძველი დანაშაული.

როგორც ხედავთ, ხელოსნებისაგან მხოლოდ პიერ ბენტერა წაიყვანა ლიუციფერმა ჯოჯოხეთში და ისიც თავისი ყვეყნობის გამო.

## ბ უ ლ ო ნ ე ლ ი ლ ო ც მ ა ნ ი

ბულონში ერთი ყოფილი ლოცმანი ცხოვრობდა. ჰყავდა ცოლი და შვილი.

ლოცმანს პენსია ცოტა ჰქონდა. ამიტომ ნავი იყიდა და ყოველდღიურად სათევზაოდ გადიოდა ზღვაში. მისი შვიდი თუ რვა წლის ბიჭი ხშირად სთხოვდა მამას, სათევზაოდ მეც წამიყვანეო, მაგრამ ბებერ მეზღვაურს ეშინოდა, ერთადერთ შვილს რაიმე ხიფათი არ შეემთხვესო, და უარით ისტუმრებდა. ბიჭს კი ერთი სული ჰქონდა, ზღვაზე გაესეირნა, ერთხელაც ბაგირებსა და იალქნებს შორის დაიმალა და, როცა ნავი ღია ზღვაში გავიდა, სამალავიდან გამოხტა და მხიარულად შესძახა:

— აჰა, მამი, ხომ წამოგყევიო!

ნავი სათევზაო ადგილებს რომ მიუახლოვდა, ლოცმანმა ხომალდი დაინახა. ხომალდს ალამი აღემართა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პორტში შეყვანას ითხოვდა. ნავი ხომალდისკენ გაემართა, როცა მიუახლოვდა, მეზღვაურებმა მეთევზეს ჰკითხეს, ლოცმანი ხომ არა ხარო.

— ადრე ლოცმანი ვიყავი და, თუმცა სამსახურიდან გადავდექი, პორტში თქვენს შეყვანას მაინც შევძლებო.

მეზღვაურებმა მეთევზე და მისი ვაჟი ხომალდზე აიყვანეს. ხომალდი ნასის სამეფოდან მოდიოდა. ნასის ხელმწიფის ბრძანებით თავიანთ ქვეყანაში ფრანგი ბიჭი უნდა ჩაეყვანა, რომ იქ გაეზარდათ და მერე ხელმწიფის ასულზე დაექორწინებინათ.

ხელმწიფის მოციქულებს ლოცმანის ჯანმრთელი და საზრიანი ვაჟი ძალიან მოეწონათ და თქვეს:

— სწორედ ასეთი ვაჟი გვინდა. ქალაქში რაღაზე შევიდეთო. ლოცმანს კარგად ასვეს და აჭამეს, ხომალდიდან გამოისტუმრეს, — აღარ გვჭირდები და შეგიძლია, შენს ნავში დაბრუნდეთო.

ლოცმანი ნავში ჩაჯდა და შვილს დაუძახა, მაგრამ ბერიკაცს უთხრეს, შენი ვაჟი ჩვენთან დარჩებაო. მერე ხომალდზე ყველა იალქანი აუშვეს და ერთადერთი ვაჟის დაკარგვით სასოწარკვეთილი მამა მარტო დატოვეს.

ხომალდი ნასის სამეფოს დედაქალაქს მიადგა და ზარბაზნის ოცდაერთი გასროლით მიესალმა. ქალაქმაც ამდენივე გასროლით უპასუხა. ვაჟი სასახლეში მიიყვანეს. ხელმწიფეს ძალიან მოეწონა პატარა ფრანგი ბიჭი. მან ბრძანა ბიჭი ღვიძლი შვილივით აღზარდეთო. თვრამეტი წლის რომ შესრულდა, ხელმწიფემ ბიჭი მის კბილა თავის ასულზე დააქორწინა.

ფუფუნებასა და განცხრომაში მყოფი ლოცმანის ვაჟი ხშირად იგონებდა დედ-მამას და თავისთვის ამბობდა:

— ჩემი მშობლები ღარიბები არიან. ნეტა მანახა და სიბერეში ხელი გამამართვინაო. ვაჟმა თავისი სურვილი ცოლს გაანდო. ცოლმა მოუწონა განზრახვა და მოინდომა, თან გაჰყოლოდა ქმარს. ნასის სამეფოში ყველა ქალი ჩადრს ატარებს. ქმარს უფლება აქვს, ცოლის სახე მხოლოდ მას მერე დაინახოს, როცა იგი დედა გახდება.

ერთხელ სიძემ სიმამრს სთხოვა, ნება მოგვეცი, მე და ჩემი ცოლი ბულონში წავიდეთო. სანამ დათანხმდებოდა, ხელმწიფემ სიძეს დააფიცა, მგზავრობისას ცოლის სახის დანახვას ნუ ეცდებიო. თუკი შევატყობ, რომ, შენდა საუბედუროდ, ფიცი გატეხე, სასტიკად დაგსჯიო.

ხელმწიფის ასული და მისი ქმარი ხომალდში ჩასხდნენ და მალე ბულონში მივიდნენ. ხომალდი ქალაქს ზარბაზნის ოცდაათი გასროლით მიესალმა. გემბანზე მყოფმა გუშაგებმა ქალაქის ბატონ-პატრონებს მოახსენეს, რომ ნასის ხელმწიფის ასული და სიძე გასართობად საფრანგეთში ჩამოვიდნენო. სტუმრები ხომალდიდან ვერცხლის ნავში გადასხდნენ და ნაპირზე გავიდნენ. იქ მათ პრეფექტი\* (\* პრეფექტი (ლათინ.) — საფრანგეთში დეპარტამენტის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის) სათავეში მდგომი პირი.), მერი\* (\* მერი — საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში მუნიციპალიტეტის (ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობის ორგანოს) მეთაური.) და სხვა უფროსები დახვდათ. მასპინძლებმა გულგამლილად მიიღეს სტუმრები და განსასვენებლად ქალაქის საუკეთესო პალატები შესთავაზეს.

დიდებული ამალით გარშემორტყმულმა ხელმწიფის სიძემ გადაფერდილ მესერთან ბერიკაცი დაინახა. ბერიკაცს მიკონკილ-მოკონკილი მეზღვაურული ბლუზა ეცვა. ხელმწიფის სიძემ იცნო მამა. იგი წარჩინებულ მხლებლებს მოცილდა, ბერიკაცთან მივიდა და ჰკითხა, როგორა ხარო. ლოცმანს ძალიან გაუკვირდა, ფარჩა-აბრეშუმში გამოწყობილი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ვაჟბატონი ჩემისთანა ღარიბი ბერიკაცის ჯანმრთელობას როგორ კითხულობსო.

— ვერ მიცანიო? — ჰკითხა ხელმწიფის სიძემ.

— ვერა, ბატონო, ვერ გიცანიო, — მიუგო ბერიკაცმა.

— შენი ვაჟი ვარ, ოდესღაც ნასის სამეფოს ხომალდმა რომ მოგტაცა. მე იმ ქვეყნის ხელმწიფის ასული ცოლად შევირთე. დედაჩემი როგორ არისო?

— შინ არის. დაბერდა, ძალიან დარდობსო.

— იმედიანად იყავი, მამაჩემო, მოვედი, რომ სიბერეში ხელი გაგიმართოთო.



დიდებულებთან რომ დაბრუნდა, ხელმწიფის სიძემ თქვა, ბებერ ლოცმანთან ვიც-  
ხოვრებო და მამასთან სამი კვირა დარჩა.

ერთხელ დედამ უთხრა:

— შვილო, გამოტეხვით უნდა გითხრა, რომ ერთი რამ ძალიან მაკვირვებს: შენი ცო-  
ლი სახეს რატომ არავის აჩვენებსო.

— ჩვენს ქვეყანაში ასეთი წესია: ცოლი სახეს მხოლოდ მას მერე გამოაჩენს, როცა დე-  
და გახდება. წამოსვლის წინ სიმამრს ფიცი მივეცი, ამ ჩვეულებას პატივს ვცემ-  
მეთქი.

— მე შენ ადგილზე ერთხელ მაინც შევხედავდი და გავიგებდი, ცოლად ვინ შემრთეს  
— ლამაზი თუ მახინჯი. თუ იმარჯვებ, შენი სიმამრი ვერაფერს გაიგებსო.

ლოცმანის ვაჟმა დედის ნათქვამი ცოლს გადასცა.

— კარგი, — მიუგო ცოლმა, — მაგრამ მეშინია, მამამ არ გაგვიგოს. ის ხომ ჩვენი ქვეყ-  
ნის ყველა ჯადოქართან მეგობრობს. თუკი შეიტყო, ყველა პატივს აგყრის და სასტიკად  
დაგსჯისო.

ხელმწიფის ასულმა ჩადრი აიხადა, ქმარმა კი სახესთან ლამპარი მიუტანა, უკეთ შე-  
ვათვალეირებო, მოულოდნელად ლამპარს ნაპერწკალი გავარდა და ყმაწვილ ქალს  
ლოყა დაუწვა.

— ოჰ! — შესძახა ხელმწიფის ასულმა. — სწორედ ამის მეშინოდა! დავიღუპეთო!

ცოტა ხანში ხომალდმა ბულონი დატოვა და ნასში წავიდა. როგორც კი სიძე ნაპირზე  
გადავიდა, ხელმწიფემ ჰკითხა:

— ჩემი ბრძანება ხომ არ დაარღვიეო?

— არ დამირღვევიაო.

— ახლავე შევამოწმებ და ვაი შენ, თუ ფიცი გატეხეო.

ხელმწიფემ შვილს უხმო და ჰკითხა:

— ქმარმა ჩადრი ხომ არ აგხადაო.

— არა, მამი, არ აუხდიაო.

— არ იცრუო. თუ მატყუებ, გავიგებ და ორივეს დაგსჯითო.

ხელმწიფის ასულმა ჩადრი აიხადა, მამამ თავდაპირველად ვერაფერი შეამჩნია, მაგ-  
რამ სათვალე რომ გაიკეთა, დამწვარს თვალი მოჰკრა და სასტიკად განრისხდა.

მან მსახურები ჯადოქრებთან, ფერიებთან და კუდიანებთან გაგზავნა. როცა ყველა-  
ნი მოვიდნენ, უბრძანა, სიძე ისეთ მახინჯ არსებად გადააქციეთ, დედამიწის ზურგზე  
მსგავსი არავის ენახოსო.

— ცალი თვალით დაბრმავდეს, მეორით დაელმდესო, — თქვა ერთმა ჯადოქარმა.

— პირი ყურებამდე ჩაეხესო, — თქვა მეორემ.

— წინ და უკან კუზი ამოუვიდესო.

— ისეთი ცხვირი გამოეხას, აქამდის არავის რომ არ ჰქონიაო.

— თავი უკუღმა დაედგასო.

— დაკოჭლდეს: ერთი ფეხი გარეთ ამოუბრუნდეს, მეორე შიგნითო.

როგორც კი ჯადოქრები თავიანთ ჯადოსიტყვას წარმოთქვამდნენ, ხიბლი მაშინვე  
სრულდებოდა და როცა სახვრას მორჩნენ, საბრალო ჭაბუკი ისეთ უგვანო არსებად გა-  
დაიქცა, დედამიწის ზურგზე არავის რომ არ ენახა. ამით ხელმწიფის შურისძიება არ  
დამთავრებულა, მან კარისკაცებს უბრძანა, სიძე ქალაქიდან გააძევეთო.

ხეიბრად ქცეული საბრალო ლოცმანის ვაჟი ძლივძლივობით მიაბიჯებდა გზაზე.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ სახლს მიადგა. სახლის ზღურბლზე დედაბერი იჯ-  
და. იგი მოხუცი ფერია იყო. მისი დამახეხა სიძის დასჯის დროს ხელმწიფეს დავიწ-  
ყნოდა. ვაჟი მიესალმა ფერიას.

— ხელმწიფის სიძე შენა ხარო? — ჰკითხა ფერიამ.

— მე ვარო.

— კარგად გაულამაზებინართ! საბედნიეროდ, საკუჭნაოს გასაღები ისევ მე მაქვსო.

იგი საკუჭნაოში შევიდა, ჯოხი გამოიტანა და ვაჟს უთხრა:

— შენი ამბავ-ხაბარი მეზობელმა მითხრა, ამ დილით ცეცხლისთვის რომ მომაკითხა, და გადავწყვიტე, თუკი შევხვდი, ცოტა შეღავათს მაინც მივცემ-მეთქი.

დედაბერმა ჯოხი შეახო თუ არა, ვაჟმა ორივე თვალით გამოიხედა, ცხვირი და პირი სანახევროდ დაუმოკლდა, ერთი კუზი გაუქრა, თავი, უკუღმა რომ ჰქონდა გამობმული, ახლა მხოლოდ გვერდზე მოექცა და აღარც კოჭლობდა.

ფერიამ ვაჟს თავის მეგობართან ბარათი გაატანა, სადაც სთხოვდა, ხელმწიფის სიძე უწინდელზე ლამაზი გახადეო. ლოცმანის ვაჟმა სულით და გულით მადლობა გადაუხადა მოხუც ფერიას და ოდნავ გამხიარულებული წავიდა.

მეზობლის სახლში რომ შევიდა, სახლის პატრონს ბარათი მისცა და მიესალმა:

— გამარჯობა, ქალბატონო მარგო.

— აა, შენა ხარ ხელმწიფის სიძე? მაშ, მე დავასრულე იმ საქმეს, ჩემმა ნათლიამ რომ დაიწყო.

მან თავისი ჯოხი აიღო და ისურვა, ლოცმანის ვაჟი მოხდენილ, ლამაზ ჭაბუკად გადაიქცესო. თქმა და ქმნა ერთი იყო. მერე ფერიამ ვაჟს უთხრა:

— შენ, რასაკვირველია, შინ დაბრუნება გინდა, ხომ? არ ინაღვლო. აი, ეს გორგალი წინ გაგორდება და გაჩვენებს გზას, რომლითაც უნდა იარო.

აგერ კიდევ ორი შუბი. ერთით იმას მოკლავ, ვინც დატყვევებას მოგინდომებს, მეორე მხეცებისაგან დაგიფარავსო.

ფერიამ ვაჟს პური და ხორცი მისცა და მოსალოდნელი ყველა ხიფათი წინდაწინ აუწყა.

ვაჟმა ფერიას მადლობა გადაუხადა, გორგალს გაჰყვა და ტყეში შევიდა. დაახლოებით ერთი საათი იარა ვაჟმა ტყეში და უცებ გზაზე ლომი დაინახა. შორიახლოს დათვი იწვა, ხოლო მის უკან — ლეოპარდი. გორგალი მძინარე მხეცებს შორის გაგორდა. მხეცებმა გაიღვიძეს და აღრიალდნენ. ლოცმანის ვაჟმა პურის ერთი ნახევარი ლომს მიუგდო, მეორე ნახევარი — დათვს, ხოლო ლეოპარდს ხორცი გადაუგდო და მხეცებმა გაუშვეს.

კეთილმა ფერია მარგომ ვაჟს უთხრა, სადამოს ტყეში გაჩახჩახებულ კომკს დაინახავო. კომკში ღუმელი ენთება, სუფრა გაშლილი დაგხვდება, ირგვლივ კი კაცის ჭაჭანება არ იქნებაო.

გორგალი ეზოში შეგორდა და კიბის ბაქანზე შეხტა. კარი თავისთავად გაიღო. ლოცმანის ვაჟი გორგალს შეჰყვა და როცა გათბა, მაგიდას მიუჯდა. უხილავმა ხელმა სუფრა გააწყო. მერე ვაჟი ფაფუკ ქვეშაგებში ჩაწვა და დილით, გამოღვიძებულმა, გაწყობილი საუზმე დაინახა. ლაზათიანად რომ დანაყრდა და წასვლა დააპირა, უცებ რამდენიმე თეთრკაბიანმა მზეთუნახავმა გზა გადაუღობა.

— ჩემთან ცეკვა თუ გინდაო? — ჰკითხა პირველმა.

— არაო, — მიუგო ვაჟმა. გადაჭრით.

— ჩემთან იცეკვეო, — სთხოვა მეორემ.

— არაო.

— მოდი, ვიცეკვოთო, — შეეხვეწა მესამე.

— არაო, — მიუგო ვაჟმა ხმადაბლა.

ოთახიდან რომ გადიოდნენ, მესამე მზეთუნახავს კიბეზე მინის ფეხსაცმელი დაუვარდა. ლოცმანის ვაჟმა ფეხსაცმელი აიღო. მზეთუნახავი ვაჟისკენ შებრუნდა და უთხრა:

— როცა დაგჭირდეს, ფეხსაცმელს უთხარი, «მზეთუნახავო, აქ გაჩნდი-თქო», მეც მაშინვე მოვალ და დაგეხმარებიო.

ვაჟი გორგლის კვალდაკვალ გზას გაუდგა. უცებ გზაზე სამი ვეება აჩრდილი დაინახა.

— სად მიდიხარ, შე ჭიავ, ჩემი ფეხის მტვერო? — დაუყვირა საზარელი ხმით ყველაზე დიდმა აჩრდილმა.

ლოცმანის ვაჟმა ფეხსაცმელი ამოიღო და უთხრა:

— მზეთუნახავო, აქ გაჩნდიო.

— რა გაგჭირვებიაო? — გაისმა უცბად.

— ეს ურჩხულები მტვრად იქცნენ და ქარმა გაფანტოსო.

თვალის დახამხამებაში მისი სურვილი ახდა და ლოცმანის ვაჟმა გზა განაგრძო. იარა, იარა და ბულონში, თავის მშობლებთან მივიდა. ვაჟი დედას ხშირად საყვედურობდა, ცუდი რჩევა რატომ მომეცი, ამდენი ტანჯვა რომ მარგუნაო.

ლოცმანის ვაჟი პირველად ბულონში რომ ჩავიდა, მშობლებს ბევრი ფული დაუტოვა. ახლა ამ ფულით ხომალდი იყიდა, მერე კი მზეთუნახავს უხმო.

— მზეთუნახავო, მინდა ჩემს სასტიკ სიმამრზე შური ვიძიო, მასწავლე როგორ მოვიქცეო.

— ოცდაცხრა მეზღვაური წაიყვანე და გაბედულად გაუდექი გზას. დანარჩენზე მე ვიზრუნებო.

ნასის სამეფოს დედაქალაქს რომ მიადგა, ხომალდი ზარბაზნის ოცდაერთი გასროლით მიესალმა. პორტის უფროსობა ხომალდზე მოვიდა და იკითხა, რა გინდაო.

— ქალაქი უნდა ავიღოო, — მიუგო ლოცმანის ვაჟმა.

ვაჟის სიტყვები ხელმწიფეს გადასცეს. ხელმწიფემ გადაიხარხარა და თავის ოფიცრებს უთხრა:

ერთი წადით და ჰკითხეთ, როდის გირჩევნია, ხომალდი ჩაგიძიროთ-თქო.

— ხვალ ჩემს ადგილს დავიკავებო, — მიუგო მათ ლოცმანის ვაჟმა.

— შენ ვინ ხარო?

სასტიკად განრისხებულმა ხელმწიფემ ბრძანა, ხომალდი ჩაძირეთო, თან უამრავ ჯარისკაცს უხმო. მაგრამ ყოველ ჯერზე, ჯარისკაცებს ზალპი რომ უნდა მიეცათ, საშინელი ცემინება უტყდებოდათ და მიზანს ვერ ახვედრებდნენ. ლოცმანის ვაჟმა უვნებლად გაიარა ჯარის რიგებ შორის, მივიდა ხელმწიფესთან და შუბით განგმირა.

მერე თავისი ცოლი მოძებნა და დიდი ლხინი გადაიხადა. ყველა გზაჯვარედინზე ღვინით სავსე კასრები იდგა, ქუჩებში შემწვარი ტახები დარბოდნენ, ტახებს ყურები შეკმაზული სართით ჰქონდათ ამოტენილი, კუდს ქვემოთ — ხარდალი წასმული, ფერდებში — ჩანგლები ჩასობილი. ყველას შეემლო ხორცი ჩამოეჭრა და მიერთვა.

მე საწებლის გაკეთება დამავალეს, მაგრამ საკმაოდ ბევრი მოვხობხნე და გამაგდეს. გავედი გუედიკზე\* (\* გუედიკი «— ხიდი სენ-გუედიკზე, ბრეტანში») და ზღაპარიც დასრულდა.

## ქვემო ბრეტანული ზღაპრები

### ხელმწიფის ასული თავცი

მოდით, გაიმბოთ ზღაპარი,  
აბა, მოგროვდით მარდად.  
არ ურევია ტყუილი  
თითო-ოროლას გარდა.

იყო და არა იყო რა, იყო საფრანგეთის ხელმწიფე. ხელმწიფე დაბერდა, შვილი კი არ ჰყავდა და ძალიან წუხდა.

ბოლოს, ხელმწიფესა და დედოფალს იმედი რომ გადაეწურათ, ქალი შეეძინათ. ამ ამბავმა ისე გაახარა სამეფო კარი, რომ დიდი ლხინი გადაიხადეს.

მაგრამ ერთი ჯადოქარი, მახლობელ ტყეში რომ ცხოვრობდა, ზეიმზე არ მიიწვიეს. ჯადოქარმა გადაწყვიტა, შური ეძია და ხელმწიფის ასული თავგად გადაეცია. ხელმწიფის ასული მანამ უნდა ყოფილიყო თავგი, სანამ ჯადოქრის დას ვინმე არ გააცინებდა. მისი და კი არასოდეს გაცინებული არ ენახათ.

და, აი, ერთხელ ძიძამ, ბავშვს რომ აჭმევდა, ყვირილი მორთო:

— ო, ღმერთო ჩემო! ხელმწიფის ასული თავგად იქცა და ხელიდან გამისხლტაო!

— დიდი უბედურებაა, მაგრამ ალბათ ღვთის ნება ასეთია და ბედს უნდა შევურიგდეთო, — თქვა ხელმწიფემ.

გავიდა ცოტა ხანი და საფრანგეთის ხელმწიფესა და ესპანეთის ხელმწიფეს შორის ომი ატყდა. საფრანგეთის ხელმწიფე ცხენზე იჯდა და ის იყო, ლაშქრად უნდა წასულიყო, რომ თავისი ასული — თავგი დაინახა. მას თავს დასტრიალებდნენ და მზრუნველობას არ აკლებდნენ. თავგმა მასთან მიიღბინა და უთხრა:

— შენთან წამოსვლა მინდაო.

— აბა, ასეთი შესახედაობის იქ რისი მაქნისი ხარ, ჩემო საბრალო შვილო?

— ნურაფრისა გეშინია, წამიყვანე. შენი ცხენის ყურში ჩამსვი და წავიდეთო.

ხელმწიფემ თავგი ცხენს ყურში ჩაუსვა და გზას გაუდგნენ.

ფრანგები ბრძოლის ველზე რომ მივიდნენ და მტერთან საომრად ემზადებოდნენ, უცებ ისეთი საკვირველი სიმღერა გაისმა, ორივე ჯარი გაირინდა და სიმღერას ყური მიუგდო.

— რა საუცხოო სიმღერაა! — შესძახა ესპანეთის ხელმწიფის ვაჟმა, — ნეტავ ვინ მღერის? ძალიან მინდა გავიგოო.

ამ სიმღერამ ისე იმოქმედა ორივე არმიის ჯარისკაცებზე, რომ ბრძოლის ნაცვლად ერთმანეთის კოცნა მოუწდათ.

ესპანეთის ხელმწიფის ვაჟი საფრანგეთის ხელმწიფესთან მივიდა და ჰკითხა:

— მეფეო, ეს რა სიმღერაა და ვინ მღერისო?

— ჩემი ასული მღერისო, — მიუგო ხელმწიფემ.

— შენი ასული? მერედა, სად არისო?

— აქვეა, ახლოს, ჩემი ცხენის მარცხენა ყურში ზისო.

— დამცინიო?

— სულაც არა. მართაღს მოგახსენებო.

— მაშ, კარგი. თუ თანახმა ხარ და ცოლად გამატან, ჩვენ შორის ომი დამთავრებულიაო.

— როგორ, შენ თავგის შერთვა გინდაო?

— შენი ასული თავგია? არა უშავს, თუ თანახმაა, ცოლად შევირთავო.

— მამი, თანახმა ვარო, — საჩქაროდ მოისმა თავგის პასუხი.

ჰოდა, ომიც შეწყდა. გაიმართა ქორწილი და იმის ნაცვლად, რომ ჯარისკაცები ერთმანეთს კვეთებოდნენ, მთელი კვირა ქეიფობდნენ და სავსე ჭიქებით ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ.

ესპანეთის ხელმწიფეს კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა, ორივე ცოლიანი. ერთს პორტუგალიის ხელმწიფის ასული ჰყავდა ცოლად, მეორეს — თურქეთის ხელმწიფის ასული. ერთ დღეს მამამ სამივე ვაჟს უხმო და უთხრა, გადავწყვიტე გვირგვინი უფროს ძმას ჩავაბარო, მე კი გადავდგეო.

— მე მგონი, მამი, უფრო სამართლიანი იქნებოდა, გვირგვინი იმისთვის მიგეცა, ვინც ჩვენს შორის ყველაზე დიდ მამაცობას გამოიჩენს. ჩვენ სამივენი შენი შვილები ვართ და ტახტზე თანაბარი უფლება გვაქვსო.

— მაშ კარგი, — თქვა ხელმწიფემ. — ერთ დავალებას მოგცემთ. გვირგვინი მას ერგება, ვინც საუკეთესო ტილოს ნაჭერს მოიტანსო.

— ასე იყოს, — დაეთანხმა სამივე ძმა.

ძმები შინ დაბრუნდნენ, რომ ცოლებისათვის მამის სურვილი ეთქვათ.

ხელმწიფის უმცროსი ვაჟი, თავის ქმარი შინ დაბრუნდა. ცოლი სასახლის ერთ-ერთ ფანჯარაზე მზეზე თბებოდა, ქმარს ელოდებოდა და თან ისე ტკბილად მღეროდა, არასოდეს რომ არ უმღერია.

— გეყო სიმღერა, — უთხრა ქმარმა, — ჯობდა კარგი ფეიქარი ყოფილიყავიო.

— რატომ, რა მოხდაო? — ჰკითხა ცოლმა.

— მამა შეგვპირდა, გვირგვინს იმ ვაჟს მივცემ, ვინც საუკეთესო ტილოს ნაჭერს მომიტანსო.

— არაფერი გულდასაწყვეტი არ გაქვს! მამაჩემის გვირგვინი ათასჯერ უკეთესია მამაშენის გვირგვინზე. შენ ამაზე ნუ იდარდებ და ძმებს გვირგვინის მოპოვებაში ხელს ნუ შეუშლი. დაე, ერთმანეთს შეეცილონო.

— არა! რაც არ უნდა კარგი იყოს მამაშენის გვირგვინი, ესპანეთის გვირგვინზე უარს მაინც არ ვიტყვიო.

ხელმწიფესთან ტილოს წაღების დრომ რომ მოატანა, ჩვენმა ხელმწიფის ვაჟმა ცოლს უთხრა:

— ხვალ მამას ტილო უნდა მივუტანოთ, მე კი არაფერი მაქვს. რა ვქნაო?

— ასეთ უბრალო რამეზე ნუ შეწუხდები. აი ეს კოლოფი წაუღე, — მიუგო თავგმა და მჭიდროდ თავდახურული ლამაზი კოლოფი მისცა. — შენმა ძმებმა აჩვენონ ხელწიფეს თავიანთი ტილოს ნაჭრები. ამ კოლოფს რომ გააღებს, დაინახავ, ძმები როგორ გაწბილდებიანო.

— შენ გინდა დამარწმუნო, რომ ამ პატარა კოლოფში ტილოს საუცხოო ნაჭერი დევს და მამას სხვებზე მეტად მოეწონებაო?

ხელმწიფის ვაჟმა კოლოფი წაიღო და წავიდა, თუმცა ცოლის ნათქვამი ნაკლებად სჯეროდა.

მივიდა სასახლეში, შევიდა ეზოში და იქ ტილოს თოფებით დატვირთული ჯორები დაინახა. თოფები უფროს ძმებს შორეული ქვეყნებიდან ჩამოეტანათ.

აჩვენეს ხელმწიფეს ტილოები. იგი ყურადღებით ათვალიერებდა თითოეულ მათგანს და ზოგიერთს ძალიან აქებდა სილამაზის, სიწმინდისა და სირბილისათვის.

— ჩემო შვილო, შენ რაღა მომიტანეო? — ჰკითხა ხელმწიფემ უმცროს ვაჟს, როცა ჯერი მასზე მიდგა.

პასუხის ნაცვლად ვაჟმა ხელმწიფეს კოლოფი გაუწოდა და უთხრა:

— კოლოფი გააღეო.

უფროსმა ძმებმა გადაიხარხარეს. ხელმწიფემ კოლოფი გააღო და აბრეშუმით წმინდა მოელვარე ტილო გამოჩნდა. მასთან შედარებით ძმების ჩამოტანილი ნაჭრები ხამ ტილოს დაემსგავსა.

მაგრამ ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ რამდენიც არ ამოჰქონდათ კოლოფიდან, ტილოს დასასრული არ უჩანდა.

ხელმწიფის უფროსი ვაჟები აღარ იცინოდნენ.

— გვირგვინი ჩემს უმცროს ვაჟს ეკუთვნისო, — თქვა აღტაცებულმა ხელმწიფემ.

— მოიცა, მამი! — ნაღვლიანად შესძახეს უფროსმა ვაჟებმა, — ასე აჩქარება არ ვარგა. მეორე დავალება მოიფიქრე და მაშინ ვნახოთო.

— კარგი, თანახმა ვარ. — უთხრა ხელმწიფემ, — მაგრამ რა დავალება მოგცეთო?

— გვირგვინი იმას ერგოს, ვინც ულამაზეს რძალს მოგიყვანსო, — უთხრა უფროსმა ვაჟმა, რომელსაც თურქეთის იმპერატორის გასაოცარი სილამაზის ასული ჰყავდა ცოლად.

— ასე იყოს, — თქვა მოხუცმა ხელმწიფემ. — გვირგვინი იმისი იქნება, ვინც ულამაზეს ცოლს მოიყვანსო.

სამივე ძმამ თავ-თავისი გზით გასწია.

უმცროსი ძმა შინ დაღვრემილი დაბრუნდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად ძმებს მეტოქეობას ვერ გაუწევდა, რადგან მისი ცოლი უბრალო თავი იყო.

— ასე დაღვრემილი რატომ ხარ, ხელმწიფის ვაჟო? — ჰკითხა ცოლმა, უგუნებოდ რომ დაინახა ქმარი. — განა ჩემმა კოლოფმა არ გიშველაო?

— როგორ არა, მიშველაო.

— მაშ ესპანეთის გვირგვინი შენ დაგრჩაო?

— ესპანეთის გვირგვინი? ო, არა! გვირგვინი ჩემი არ არისო.

— რატომო?

— იმიტომ, რომ მამამ მეორე დავალება მოგვცაო.

— რა დავალებაა, მითხარო.

— კარგი, გეტყვი: ჩემმა უფროსმა ძმამ ცოლად თურქეთის იმპერატორის ასული რომ ჰყავს, მამაჩემს ურჩია, გვირგვინი იმას ერგოს, ულამაზეს ცოლს ვინც მოიყვანს. შენ კი, თავადაც გესმის, რომ...

— სულ ეს არის? მაშ, მშვიდად იყავი და ჩემი იმედი გქონდესო.

დადგა დღე, როცა ძმებს ხელმწიფისთვის თავისი ცოლები უნდა მიეყვანათ. თავგმა ქმარს უთხრა:

— მამასთან წამოგყვებიო.

— აბა რაღა აზრი აქვს. მამაჩემისათვის თავი კი არა, ლამაზი ქალი უნდა მიმეყვანაო.

— გეუბნები, ნურაფერზე დარდობ და მამასთან წამიყვანე-მეთქი.

— რატომ, რომ გამამსხრონო?

ხელმწიფის ვაჟი ეტლში ჩაჯდა და წავიდა, თავი კი შინ დატოვა. მაშინ თავგმა საძოვარზე მიმავალ მწყემსს უთხრა:

— მწყემსო, აი, ის წითური მამალი, დედლებში რომ მიმოდის, დამიჭირე და ტირიფის მხრალი აღვირად ამოსდე. ჩემს მამამთილ ხელმწიფესთან ქმარს უნდა გავყვეო.

მწყემსმა ბრძანება შეასრულა, თავი მამალს ზურგზე შეახტა, წინა ფეხებით მხრალის აღვირი აკრიფა და ესპანეთის ხელმწიფის სასახლეში წავიდა. გზად იმ ჯადოქრის კოშკთან მოუხდა ჩავლა, თავგად რომ გადააქცია. ამ ადგილას გზაზე გუბე იდგა და მამალს არ უნდოდა გუბეზე გადასვლა. რამდენი არ უძახა თავგმა: «ჰოპ! ჰოპ! აბა, ჰეო!» არაფერი გამოუვიდა. მამალი ერთ ნაბიჯს წინ რომ წადგამდა, ორს უკან გადადგამდა. ჯადოქრის და ფანჯარასთან იჯდა და ეს სურათი რომ დაინახა, ისე ახარხარდა, კოშკი შეაზანზარა.

ჯადოქარმა მიირბინა და გაცინებული და რომ დაინახა, თავს უთხრა:

— ჯადო აგეხსნა! თავგად მე გადაგაქციე. თავი მანამდე უნდა ყოფილიყავი, სანამ ჩემს დას არ გააცინებდი, რაკი ჩემმა დამ გაიცინა, შენ თავისუფალი ხარ. დღეიდან ნამდვილი მზეთუნახავი იქნები, შენი აღვირი ოქროს ლამაზ ეტლად გადაიქცევა, წითური მამალი კი — მშვენიერ ბედაურადო.

და, მართლაც, თვალის დახამხამებაში ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჯადოქარმა თქვა.

—ახლა მამამთილთან წადი. დარწმუნებული ვარ, შენზე ლამაზი ქალი იქ არ იქნებაო.

ხელმწიფის ასულმა უკვე ოქროს ბრჭყვიალა ეტლით განაგრძო გზა და ქმარს მალე დაეწია, რადგან ქმარი სასახლეში მისვლას არ ჩქარობდა.

— როგორ, შენ ჯერ გზაში ხარო? — ჰკითხა ქალმა.

გაკვირვებული ხელმწიფის ვაჟი კრინტს არ სძრავდა, რადგან ამ მზეთუნახავში, აბა, თავის ცოლს როგორ იცნობდა.

— ჩემს ეტლში გადმოჯექი. ეგ დანჯღრეული ოთხთვალა და ჯაგლაგი ცხენი აქ დატოვეო.

— მეფის ასულო, მართალია, შენი ეტლი ჩემს ეტლზე ლამაზია, ხოლო შენი ცხენი ჩემს ცხენს სჯობია, მაგრამ მაინც ნუ დამცინიო.

— აბა კარგად შემომხედე! საკუთარი ცოლი ვერ იცანიო?

— არა, შენ ჩემი ცოლი არა ხარ. ჩემი ცოლი საფრანგეთის ხელმწიფის ასულია და ბოროტმა ჯადოქარმა თავვად გადააქცია. მაგრამ მე მაინც მიყვარსო.

ხელმწიფის ასულმა ყველაფერი უამბო და ბოლოს, როგორც იქნა, დაარწმუნა, მე შენი ცოლი და საფრანგეთის ხელმწიფის ასული ვარო.

მერე ცოლ-ქმარმა ოქროს ეტლით განაგრძო გზა. მალე ესპანეთის ხელმწიფის სასახლეში მივიდნენ. მათ დანახვაზე ერთი აურზაური ატყდა. ხალხი ვერ მდებოდა ხელმწიფის ასულის, მისი ეტლისა და ბედაურის ცქერით. ხელმწიფის ასულმა თავისი სილამაზით სასახლეს შუქი მოჰფინა. ხელმწიფის უფროსი ვაჟების ცოლები, უდავოდ, ლამაზები იყვნენ, მაგრამ უმცროსი ვაჟის ცოლის გვერდით არაფრად ღირდნენ. ასეთი საოცარი სილამაზის ხილვით გამხიარულებულმა და გახარებულმა მოხუცმა ხელმწიფემ რძალს ხელი გაუწოდა, რომ ეტლიდან ჩამოსვლაში მიშველებოდა და უთხრა:

— შენ ულამაზესი ქალი ხარ, ვინც კი ოდესმე ჩემს თვალებს უნახავს და ყველაზე მეტად შეგფერის ჩემი უმცროსი ვაჟის გვერდით ესპანეთის ტახტზე იჯდეო.

სადამოს დიდი ლხინი გადაიხადეს. ხელმწიფემ ისურვა, უმცროსი რძალი სუფრაზე ჩემთან დაჯდესო. ხელმწიფის ასული მორთმეული ყოველი თავი საჭმლიდან თითო ლუკმას კორსაჟში იდებდა, ყოველი ჭიქა სასმელიდან თითო წვეთს კორსაჟში ისხამდა, რაც სტუმრებს ძალიან აოცებდა.

ვახშამის მერე ცეკვა დაიწყო და როცა ხელმწიფის ასული ცეკვავდა, კაბის ნაკეციებიდან მარგალიტები და ყვავილები უსასრულოდ სცვიოდა და სცვიოდა. უფროსი რძლები შურისაგან ლამის გასკდნენ. მეორე დღეს მეფის კარზე ისევ გაიმართა ნადიმი. უფროსი ძმების ცოლებმაც დაიწყო ყოველი მორთმეული თავი საჭმლიდან თითო ლუკმის კორსაჟში ჩადება, ყოველი ჭიქა სასმელიდან თითო წვეთის კორსაჟში ჩასხმა, იმ იმედით, რომ ყველაფერი მარგალიტად და ყვავილად გადაიქცევაო. მაგრამ მოტყუვდნენ! როცა ცეკვა დაიწყო, ირგვლივ მარგალიტებსა და ყვავილებს კი არ აბნევდნენ, როგორც უმცროსი რძალი, არამედ ნასუფრალს, რისგანაც ისე დაესვარათ და დაუსველდათ საზეიმო კაბები, რომ კავალრებს გული ერეოდათ და გარბოდნენ. სამაგიეროდ, სამეჯლისო დარბაზი ძაღლებით და კატებით გაივსო. ისინი რძლებს კვალდაკვალ დასდევდნენ და ერთ ალიაქოთს ტეხდნენ.

ამან მოხუცი ხელმწიფე ძალიან გააჯავრა და უფროსი ვაჟები ცოლებიანად სასახლიდან გაყარა. ტახტი კი უმცროს ვაჟს დაუთმო.

რაც აქამდე მოხდა, ყველაფერი მართალია და ჩემი თვალთ ვნახე, ხოლო რაც მერე გადახდათ, არ ვიცი და არც მინდა, ტყუილი ვთქვა. ჰოდა, ზღაპარი დავასრულოთ.

## ნიბლიას, ზამთრის, არწივისა და ხელმწიფის ვაჟის ზღაპარი.

ამბობენ, ძველად ზამთარი და ნიბლია წაკინკლავდნენო, არ ვიცი კი რატომ.

— ჩიტუნიავ, ჭკუას გასწავლიო! — დაემუქრა ზამთარი.

— აბა ვნახოთო! \_ მიუგო ნიბლიამ.

იმ ღამით ზამთარმა ტეხვრა დაატრიალა.

დილით კი ნიბლია ძველებურად მხიარულად და ყოჩაღად რომ დაინახა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— ღამე სად გაათიეო?

— სამრეცხაოში, ქალები რომ მუშაობენო, — მიუგო ნიბლიამ.

— კარგი, ამ ღამით კისერს მოგიგრებო.

რომ დაღამდა, ისე აცივდა, რომ წყალი გაიყინა.

მაგრამ ნიბლია სულ სხვაგან იყო და არა იქ, სადაც ყველაფერი ითოშებოდა. მეორე დილით ზამთარმა ნიბლია ისევ მხნე და მხიარული დაინახა და ჰკითხა:

— ღამე სად გაათიეო?

— გომურში, ხარებთანაო.

მესამე ღამეს ისეთი მძაფრი ყინვა დაიჭირა, ისეთი არნახული სუსხი, რომ ხარებს კუდი უკანალზე შეეყინათ, ხოლო ნიბლია დილით ისე ფრთხილებდა და ჟღურტულებდა, თითქოს გარეთ მაისი ყოფილიყო.

— როგორ, შენ ისევ ცოცხალი ხარ? — ჰკითხა გაკვირვებულმა ზამთარმა. — ღამე სად გაათიეო?

— სიძე-პატარძლის საწოლშიო.

— აი თურმე რა ადგილისთვის მიგიგნია! აბა ვინ იფიქრებდა, იქ იქნებოდი. არა უშავს რა, ამ ღამით ბოლოს მოგიღებო.

— აბა ვნახოთო! — მიუგო ნიბლიამ.

იმ ღამით ზამთარმა ისეთი მსუსხავი ყინვა გამოგზავნა, ისე აცივდა, ისე აცივდა, რომ დილით სიძე-პატარძალი საწოლში გაფიჩხებულები იპოვეს.

ნიბლია ხაბაზის ფურნეში კედლის ნაპრალში ჩაიძალა, სადაც ყინვა ვერ მისწვდებოდა. მაგრამ იქ თავს გადაეყარა. თავიც თბილ ადგილს ეძებდა და კარგა მაგრა წაიჩხუბნენ. რახან ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, გადაწყვიტეს, ერთი კვირის მერე ბრეს მთაზე იმ მხარის ყველა ფრთოსანსა და ოთხფეხს დიდი ომი გადაეხადათ.

ეს ამბავი ყველას შეატყობინეს და დანიშნულ დღეს მთელი კუთხის ფრინველნი დილიდან ბრეს მთისკენ დაიძრნენ. წალიკ-წალიკა მიდიოდნენ საფრინველეთის ბინადარნი — იხვები, ბატები, ინდაურები, ფარშავანგები, ქათმები და სხვა ფრთოსნები: კაჭკაჭები, ყვავები, ჩხიკვები, შაშვები; აქვე თავი მოიყარეს ცხენებმა, ვირებმა, ხარებმა, ძროხებმა, ცხვრებმა თხებმა, ძაღლებმა, კატებმა, ვირთხებმა და თავგებმა. ომი შეუპოვარი გამოდგა. ხან ერთი მხარე ჯობნიდა, ხან — მეორე. ჰაერში ბუმბული ირეოდა, მიწაზე ბლუჯა-ბლუჯად ეყარა ბეწვი. ყოველი მხრიდან ისმოდა ყვირილი, ზმუილი, ჭიხვინი, ღრუტუნი, ბღავილი, კნავილი. საზარელი სანახაობა იყო!

მაშინ, როცა ყველას ეგონა, გამარჯვება ოთხფეხთ დარჩებაო, უცებ არწივი მოფრინდა და შუაგულ ბრძოლაში გადაეშვა. ვისაც კი დაჰკრა ვადა, იქვე გააგორებდა. მალე გამარჯვების სასწორი ფრთოსნებისკენ გადაიხარა.

ხელმწიფის ვაჟი ბრძოლას სასახლის ფანჯრიდან უცქეროდა. იგი კარგად ხედავდა, როგორ უსწორდებოდა არწივი ოთხფეხთ. როცა არწივი მის ფანჯარას გაუპირდაპირდა, ვაჟმა დრო იხელთა და ხმალი ისე უმარჯვა, არწივი ფრთაში დაკოდა. არწივი ძირს დაეცა. ამის წყალობით გამარჯვება ოთხფეხთ დარჩა. ხოლო ნიბლია დევგმირივით რომ იბრძოდა, წმინდა ერგეს სამრეკლოზე შემოჯდა და ამღერდა. ეს სამრეკლო ახლაცაა ბრეს მთაზე.

დაკოდილ არწივს ფრენა აღარ შეეძლო და ხელმწიფის ვაჟს უთხრა:

— ცხრა თვე კაკაბი და კურდღელი უნდა მაჭამოო.

— თანახმა ვარო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

გავიდა ცხრა თვე და არწივი სრულებით გამოჯანსაღდა.

— ახლა დედაჩემთან გავფრინდები, — უთხრა ხელმწიფის ვაჟს. — მინდა თან გამომყვე და ჩემი კოშკი ნახოო.

— სიამოვნებითო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა, მაგრამ როგორ წამოგყვე? შენ ფრენ, მე კი ვერც ფეხით დაგეწევი და ვერც ცხენითო.

— ზურგზე შემაჯექიო.

შეაჯდა ხელმწიფის ვაჟი არწივს ზურგზე. გადაუქროლეს მთას და ბარს, ტყეს და ზღვას.

— დედი, გამარჯობა, — მიესალმა არწივი დედას, შინ რომ მიფრინდა.

— შენა ხარ, შვილო? აქამდე სად იყავი? ძალიან ვწუხდი, რომ შეგავგვიანდაო.

— ავად ვიყავი, დედი. ეს ვაჟი ქვემო ბრეტანის ხელმწიფის შვილია და შენ სანახავად მოვიდაო.



— ხელმწიფის შვილი! — შესძახა ბებერმა არწივმა. — გემრიელი კერძი იქნება. კარგად ვიქეიფებთო.

— არა, დედი, ავ საქმეს ნუ იზამ. ცხრა თვე ავად ვიყავი და მასთან ვიწექი, თავზე მევლებოდა, ჩვენთან სტუმრად მოვიწვიე და კარგად უნდა ვუმასპინძლოთო.

არწივს ულამაზესი და ჰყავდა, ხელმწიფის ვაჟს დანახვისთანავე ქალი შეუყვარდა. არწივსა და დედამისს ეს ამბავი ძალიან ეწყინათ.

გავიდა ერთი თვე, ორი, სამი. გავიდა ნახევარი წელი. ხელმწიფის ვაჟი კი შინ დაბრუნებაზე კრინტს არ სძრავდა. ბებერ არწივს ეს ამბავი არ მოსწონდა და ბოლოს და ბოლოს თავის ვაჟს უთხრა, თუ შენი მეგობარი არ წაბრძანდება, სადილად დავკლავ და რაიმე კარგ საწებელსაც გავუკეთებო.

ეს რომ მოისმინა, არწივმა ხელმწიფის ვაჟს კეგლის თამაში შესთავაზა ასეთი პირობით: თუ წააგებ, სიცოცხლეს გამოესალმები, თუ მოიგებ, ჩემს დას ცოლად გაგატანო.

— თანახმა ვარ, კეგლი სად არისო? — ჰკითხა ხელმწიფის ვაჟმა.

ისინი ბებერი მუხების განიერ ხეივანში გავიდნენ, სადაც კეგლები ეწყო.

ხელმწიფის ვაჟმა კეგლები რომ დაინახა, კინაღამ გული გაუსკდა: კეგლები თუჯისა იყო და თითოეული ხუთ ფუტს იწონიდა. არწივმა ერთი მათგანი აიღო და თამაში დაიწყო: მაღლა შეისვროდა და მერე იჭერდა, თითქოს ვაშლი ყოფილიყოს. საბრალო ვაჟმა კი თავისი კეგლი ადგილიდან ვერ დაძრა.

— წააგე, ახლა შენი სიცოცხლის ბატონ-პატრონი მე ვარო, — უთხრა არწივმა.

— როგორმე თავს დავიძვრენო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— ვნახოთ, ხვალ ერთი ხელი კიდევ ვითამაშოთო.

ხელმწიფის ვაჟი არწივის დასთან მივიდა და თვალცრემლიანმა ყველაფერი უამბო.

— პირობა მომეცი, რომ ჩემი ერთგული იქნებიო, — უთხრა არწივის დამ.

— სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— მაშ ყური მიგდე: მე ხარის ორი ბუმტი მაქვს, ამ ბუმტებს შავად შევლებავ, რომ კეგლებს დაემსგავსოს, და ხეივანში ძმის კეგლებს შორის ჩავდებ. ხვალ იქ რომ მიხვალ, შეეცადე თამაში პირველმა დაიწყო. იმ ორ ბუმტს რომ აიღებ, უთხარი, მაღლა ადით და ჩქარა ეგვიპტეში გაფრინდით, აგერ, უკვე შვიდი წელია აქა ხართ და არასოდეს რკინა არ გიგემიათ. ისინი მაშინვე ისე მაღლა აფრინდებიან, ისე მაღლა, ვეღარ დაინახავთ. ჩემს ძმას ეგონება, რომ კეგლები შენ აისროლე, ხოლო თვითონ თავის კეგლებს ისე მაღლა ვერ აისვრის და თავს დამარცხებულად ცნობსო.

და აი, ისინი ისევ გავიდნენ ხეივანში, სადაც კეგლები ეწყო. ხელმწიფის ვაჟმა თავისი ორი კეგლი, უფრო სწორად ხარის ორი ბუმტი აიღო და თამაში დაიწყო. — ისე მარჯვედ ისროდა ჰაერში, თითქოს ხელში ნახერხით გატენილი ბურთები ეჭირა. ამის შემხედვარე მისი მეტოქე გაკვირვებული იყო.

— ეს რას უნდა ნიშნავდესო? — შემფოთებული ეკითხებოდა თავის თავს არწივი.

ჯერ არწივმა აისროლა თავისი კეგლები და ძირს თხუთმეტი წუთის მერე ჩამოცვივდა.

— კარგია! — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა. — ახლა ჩემი რიგიაო.

ამის მერე ეს სიტყვები წაიჩურჩულა:

— გაფრინდით თქვენს სამშობლო ეგვიპტეში. აგერ, უკვე შვიდი წელია, აქა ხართ და არასოდეს რკინა არ გიგემიათო.

მაშინვე კეგლები ცაში ისე მაღლა ავიდა, ისე მაღლა, რომ მალე თვალს მიეფარა. დიდხანს ელოდნენ ორივენი კეგლების ჩამოცვენას, მაგრამ არა და არ ცვიოდა.

— მე მოვიგეო! — თქვა ბოლოს ხელმწიფის ვაჟმა.

— არა, ორივეს თითო მოგება გვაქვს. ხვალ სხვა რამ ვითამაშოთო, — უთხრა არწივმა.

თვალცრემლიანი არწივი შინ დაბრუნდა და თავის მწუხარება ბებერ არწივს უთხრა.

— უნდა დავკლათ და შევჭამოთ, რაღას ვზოზინობთო? — უთხრა დედამ.

— კი მაგრამ, ხომ ვერ ვაჯობე, დედი. ხვალ სხვა რამეს ვითამაშებთ, ვნახოთ, თავს როგორ დაიძვრენსო.

— მანამ წყაროს წყალი მომიტანეთ, თორემ წვეთი არ გვიდგასო.

— კარგი, დედი. ხვალ დილით მე და ხელმწიფის ვაჟი წყალზე წავალთ, მე შევთავაზებ, მოდი, შევეჯიბროთ, კასრით რომელი უფრო მეტ წყალს წაიღებს-მეთქი.

მართლაც, არწივი მაშინვე ხელმწიფის ვაჟთან წავიდა და უთხრა:

— ხვალ დილით დედაჩემს წყაროს წყალი უნდა მოვუტანოთ, ვნახოთ, ერთ ჯერზე ვინ უფრო მეტს წამოიღებსო.

— ძალიან კარგი. ოღონდ ჯერ შენ მაჩვენე, რით წამოვიღოთო.

არწივმა მაშინვე ხუთ-ხუთ ჩაფიანი ორი კასრი აჩვენა. არწივი პირამდე გალიცლიცებულ თითო ასეთ კასრს ხელის გულზე იდებდა და სულ ადვილად სწევდა, — ის ხომ თავის სურვილისდა მიხედვით ხან ადამიანად იქცეოდა და ხან არწივად.

ხელმწიფის ვაჟი უწინდელზე მეტად შემფოთდა და ისევ არწივის დასთან მივიდა.

— პირობა მომეცი, რომ ჩემი ერთგული იქნებიო, — უთხრა არწივის დამ .

— სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— მაშ ყური მიგდე: ხვალ დილით, ჩემი ძმა თავის კასრს რომ აიღებს, უთხარი, — კასრი არ გინდა, აქ დატოვე, სულაც არ გვჭირდება, ჯობს წერაქვი, ნიჩაბი და ჯინი მომცე-თქო. ძმა გკითხავს: — რად გინდაო? — შენ უპასუხე: — წყარო აქ რომ გადმოვიტანო, განა ეს უკეთესი არ იქნება? როცა მოგინდება, წყალს მაშინ აიღებ-თქო. ამას რომ გაიგონებს, ჩემი ძმა წყალზე მარტო წავა. მას და დედაჩემს მშვენიერი წყაროს წახდენა დაენანებათო.

დილა რომ გათენდა, არწივმა ხელმწიფის ვაჟს უთხრა:

— წავიდეთ წყაროზე და დედაჩემს წყალი მოვუტანოთო.

— წავიდეთო! — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— აი ჩემი კასრი, შენ კი ის კასრები აიღეო, — და არწივმა ხელმწიფის ვაჟს ორი ვეება კასრი დაანახვა.

— კასრები რად მინდა? დრო ტყუილად რატომ დავკარგოთო?

— აბა, წყალი როგორ წამოვიღოთო?

— წერაქვი, ნიჩაბი და ჯინი მომეციო.

— რად გინდაო?

— როგორ თუ რად, დოყლაპიავ! იმად, რომ წყარო აქ, სამზარეულოს კართან, გადმოვიტანო, მაშინ წყლისათვის ამ სიშორეზე სიარული არ დაგვჭირდებაო.

«ნამდვილი ძალოსანია», — გაიფიქრა არწივმა, ხმადაბლა კი თქვა:

— მოდი, აქ დარჩი, წყაროზე მარტო წავალო.

და წავიდა.

მეორე დღეს, როცა ბებერმა არწივმა ისევ დაუწყო შვილს ლაპარაკი, ხელმწიფის ვაჟის თავიდან მოშორება ადვილია, თუკი დავკლავთ, შამფურზე შევწვავთ და შევჭამთო, შვილმა უთხრა, ხელმწიფის ვაჟის სასახლეში კარგად მექცეოდნენ და არ მინდა უმადურობა გამომეჩინა, მაგრამ მაინც ხელმწიფის ვაჟს ისეთ გამოცდას მოვუწყობ, რომ თავი ველარ დააღწიოსო.

და, მართლაც, არწივმა ხელმწიფის ვაჟს განუცხადა:

— დღეს საქმე მარტო მე გავაკეთე, ხვალ კი შენი ჯერი იყოსო.

— ხვალ რა საქმე იქნებაო? — ჰკითხა ხელმწიფის ვაჟმა.

— დედაჩემს შემა არა აქვს, რომ სამზარეულოში ცეცხლი დაანთოს. ხეივანში, აგერ იქ, ბებერი მუხები უნდა მოჭრა და აქ ეზოში დააწყო, რომ ზამთრის მარაგი ჰქონდეს. ყოველივე ეს მზის ჩასვლამდე უნდა მოასწროო.

— კარგი, გავაკეთებო, — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა უზრუნველი სახით, თუმც სინამდვილეში ძალიან შემფოთდა.

ხელმწიფის ვაჟი ამჯერადაც არწივის დასთან წავიდა.

— პირობა მომეცი, რომ ჩემი ერთგული იქნებიო, — უთხრა არწივის დამ.

— სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— მაშ, ყური მიგდე: ხის ცულს რომ მოგცემენ და ტყეში წახვალ, კამზოლი გაიხადე, იქვე ფესვებამობრუნებული ბებერი მუხის კუნძი რომ გდია, იმაზე დადევ, მერე შენი ხის ცული ახლოს მდგარ ხეს შემოჰკარა და დაინახავ, რაც მოხდებაო.

ხელმწიფის ვაჟი ასეც მოიქცა: როგორც კი ირიჟრაჟა, ხის ცული მხარზე გაიღო და ტყეში წავიდა. იქ კამზოლი გაიხადა, ფესვებამობრუნებული ბებერი მუხის კუნძზე დადო, მერე თავისი ხის ცული ახლოს მდგარ ხეს შემოჰკარა. ხემ მაშინვე დაიღრჭიალა და წაიქცა.

«ძალიან კარგი — თქვა თავისთვის ხელმწიფის ვაჟმა, — თუ ასეთი უბრალო საქმეა, უცებ მოვრჩებიო».

მან მაშინვე მეორე ხეს შემოჰკარა ცული, მერე — მესამეს. — ხეები მიწაზე იფინებოდა. ასე განაგრძობდა ხელმწიფის ვაჟი მანამ, სანამ ხეივანში ყველა ხე არ წააქცია. ამის მერე ხელმწიფის ვაჟი ნელა დაბრუნდა კომკში.

— როგორ, საქმეს უკვე მორჩიო? — ჰკითხა არწივმა.

— მოვრჩიო! — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

არწივი მაშინვე ხეივნისაკენ გაიქცა. რომ დაინახა, ის მშვენიერი მუხის ხეები მიწაზე ეყარა, ატირდა და დედასთან წავიდა.

— ჩემო საბრალო დედი, დავმარცხდი. ჩემი მშვენიერი მუხები მოუჭრია. არ შემიძლია ამ ეშმას ვაჯობო. ეტყობა, რომელიღაც ჯადოქარი ეხმარებაო.

არწივი დედასთან რომ ჩიოდა, ამ დროს ხელმწიფის ვაჟი შემოვიდა და უთხრა:

— სამჯერ გაჯობე და შენი და უნდა მომცეო!

— მართალი ხარ, — უთხრა არწივმა, — წაიყვანე და მალე წადიო.

ასე წაიყვანა ხელმწიფის ვაჟმა არწივის და. მაგრამ იგი ჯერჯერობით არ თანხმდებოდა ცოლად გაყოლოდა და მასთან ერთად მამამისის სამფლობელოში წასულიყო.

— ახლა ცოტა ხნით ერთმანეთს უნდა დავშორდეთ, ჯერჯერობით ვერ დავქორწინდებით. მაგრამ, რაც უნდა მოხდეს, ჩემი ერთგული იყავი.

როცა დრო დადგება, ისევ შევხვდებით. აჰა, ჩემი ბექდისა და ცხვირსახოცის ნახევარი. გაუფრთხილდი მათ, თუკი საჭირო გახდება, ჩემს ცნობაში დაგეხმარებაო.

ხელმწიფის ვაჟი ძალიან დანაღვლიანდა. მან გამოართვა ნახევარი ბექედი და ნახევარი ცხვირსახოცი და მამისეულ კომკში მარტო დაბრუნდა. კომკში ყველას გაუხარდა დიდი ხნის დაკარგული ხელმწიფის ვაჟის დაბრუნება.

არწივის და ოქრომჭედელს დაუდგა მოახლედ. ოქრომჭედელი ხელმწიფის ქალაქში ცხოვრობდა და მეფის კარს ემსახურებოდა.

ცოტა ხანმა რომ გაიარა, ხელმწიფის ვაჟს თავისი საცოლე გადაავიწყდა და მეზობელი სამეფოდან მათ კარზე ჩამოსული ერთი ხელმწიფის ასული შეუყვარდა. მალე ქორწილიც დანიშნეს. დაიწყეს სანადიმოდ მზადება და მრავალრიცხოვანი სტუმრების მოპატიჟება. მოიწვიეს ოქრომჭედელიც, რომელსაც ნიშნობის ბექედი და სხვა სამკაულები ჰქონდა შეკვეთილი. ოქრომჭედელთან ერთად მისი ცოლიც და სილამაზით და ტანადობით განთუქმული მოახლეც კი მოიწვიეს.

მოახლემ სთხოვა თავის ბატონს, ბაჯალლო ოქროსაგან პატარა მამალი და დედალი ჩამომისხიო და ქორწილში რომ მიდიოდა, ჯიბეში ჩაიწყო. სუფრაზე ქალი სწორედ სიმე-პატარძლის პირდაპირ დასვეს. მან მაგიდაზე ბექდის ნახევარი დადო, რომლის მეორე ნახევარი ხელმწიფის შვილს ჰქონდა.

ეს რომ პატარძალმა დაინახა, ქმარს უთხრა:

— მეც ხომ ზუსტად ასეთი ბექედი მაქვსო, — თურმე ხელმწიფის ვაჟს იმ ბექდის ნახევარი საცოლისათვის უჩუქებია.

მაშინვე ორივე ნახევარი ერთმანეთს მიადვეს და ბექედი გამრთელდა.

იგივე ამბავი გამეორდა ცხვირსახოცზედაც. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ. მხოლოდ ხელმწიფის ვაჟი იჯდა მშვიდად და თითქოს ვერაფერს ხვდებოდა. მაშინ არწივის დამ მაგიდაზე ოქროს მამალ-დედალი დადგა და თავის თეფშზე ცერცვის მარცვალი დააგდო. მამალმა ცერცვი თვალის დახამხამებაში გადასანსლა.

— ო, შე ღორმუცელავ, ცერცვი ისევ აკენკეო! — უთხრა დედალმა.

— ხმა გაიკმინდე, — მიუგო მამალმა, — მეორეს შენ მოგცემო.

— ისე შენ რა გითხრა! მასე ხელმწიფის ვაჟმაც მომცა პირობა, სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, როცა ჩემს ძმა არწივთან კეგლის სათამაშოდ მიდიოდაო.

ხელმწიფის ვაჟმა ყურები ცქცია. არწივის დამ თეფშზე მეორე მარცვალი დააგდო. მამალმა ამჯერადაც აკენკა მარცვალი.

— ო, შე ღორმუცელავ, ცერცვი ისევ აკენკეო! — ისევ უთხრა დედალმა.

— ხმა გაიკმინდე, — მიუგო მამალმა, — მეორეს შენ მოგცემო.

— ისე შენ რა გითხრა! მასე ხელმწიფის ვაჟმაც მომცა პირობა, სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, როცა ჩემს ძმა არწივს წყაროზე წყლის მოსატანად მიჰყავდაო.

მექორწინეებს ძალიან უკვირდათ და ვერაფერი გაეგოთ. ამასობაში არწივის დამ მესამე ცერცვის მარცვალი დააგდო, რომელიც მამალმა წინა ორი მარცვალივით თვალის დახამხამებაში გადაყლაპა.

— ო, შე ღორმუცელავ, ცერცვი ისევ აკენკეო! — მესამედ უთხრა დედალმა.

— ხმა გაიკმინდე, ჩემო კარგო დედალო, მეორეს აუცილებლად მოგცემო.

— ისე შენ რა გითხრა. მასე ხელმწიფის ვაჟმაც მომცა პირობა, სამოთხის კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, როცა ჩემმა ძმა არწივმა ხის ცულით ბებერი მუხების მოსაჭრელად ხეივანში გაგზავნაო.

ახლა კი ხელმწიფის ვაჟისთვის ყველაფერი გასაგები გახდა. იგი ადგა, თავის სიმამრს მიუბრუნდა და ასე უთხრა:

— ძვირფასო სიმამრო, ერთი რჩევა უნდა გკითხო. ჩინებული ოქროს სკივრი მქონდა, რომელშიც უძვირფასესი საუნჯე ინახებოდა. მე ის სკივრი დავკარგე და სხვა ვიპოვე. მაგრამ ისე მოხდა, რომ პირველი სკივრი ისევ ვიპოვე და ახლა ორი მაქვს. როგორ ფიქრობ, რომელი უნდა დავიტოვო, პირველი თუ მეორეო?

— უპირატესობა ყოველთვის ძველს უნდა მიაკუთვნო, — მიუგო მოხუცმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ხელმწიფის ვაჟმა. — მაშ ყური მიგდე, შენს ასულამდე სხვა ქალი მიყვარდა და პირობა მივეცი, ცოლად შეგიერთავ-მეთქი. აი ის ქალიო!

ამ სიტყვებით იგი ოქრომჭედლის მოახლესთან მივიდა — ის ხომ არწივის და იყო! — და ყველას გასაკვირად, ხელი ჩაჰკიდა.

ძალიან დამწუხრებული მეორე პატარძალი, მისი დედ-მამა, ნათესავები და სტუმრები წავიდნენ.

მიუხედავად ამისა, ქეიფი, თამაშობა და გართობა გაგრძელდა, ხელმწიფის ვაჟისა და არწივის დის ქორწილი დიდებულად გადაიხადეს.

## მწყემსი და ხელმწიფის ქალი

იყო ერთი ხელმწიფე. ამბობდა, ჩემს დღეში ტყუილი არ მითქვამსო. მაგრამ ხშირად ესმოდა კარისკაცების ნათქვამი — ეს ტყუილია! შენ მატყუარა ხარო! და ამაზე ძალიან ბრაზდებოდა.

ბოლოს კარისკაცებს უთხრა:

— მე თქვენ მაკვირვებთ და მალონებთ. ვინმე უცხომ ყური რომ დაგიგდოთ, ჩემზე იფიქრებს, ქოსატყუილების ხელმწიფე ყოფილაო. მინდა, რომ ამას ზღვარი დაედოს. თქვენ ვერასოდეს გაიგონებთ ჩემგან მსგავს სიტყვებს და თუ როდისმე ვთქვი: ეს ტყუილია! ანდა, შენ ცრუობო! და ვინმე ამ სიტყვებზე დამიჭერს, ვინც არ უნდა იყოს, ჩემს ქალს მივათხოვებო.

ხელმწიფის ნათქვამი ერთმა ახალგაზრდა მწყემსმაც გაიგონა და თავისთვის თქვა: «ძალიან კარგი! თუკი ხელმწიფე სიტყვის კაცია, მისი ქალი მე მერგებო!».

მოხუც ხელმწიფეს უყვარდა ძველებური სიმღერები, ჯადოსნური და თავშესაქცევი ზღაპრები. ხშირად ვახშმობის მერე სამრეკლოში დიდ კერიას მიუჯდებოდა და სიამოვნებით უსმენდა მსახურების საუბარს, სიმღერებსა და ნაირ-ნაირ ამბებს. თითოეული მათგანი რიგრიგობით რაიმეს მღეროდა ან ჰყვებოდა.

— შენ, ჭაბუკო, გეტყობა, არაფერი იცი, — უთხრა ერთ საღამოს ხელმწიფემ ჩვენთვის უკვე ნაცნობ ახალგაზრდა მწყემსს.

— როგორ არ ვიცი, დიდო ხელმწიფევ, — მიუგო მწყემსმა.

— აბა რა იციო?

მწყემსმა დაიწყო:

— ერთხელ ტყეში მივდიოდი და მსუქანი კურდღელი დავინახე. იგი ჩემკენ გამობოდა და ვერაფერს ხედავდა. ხელში ფისის გუნდა მეჭირა და კურდღელს ვესროლე. ფისი შუბლში მოხვდა და ზედ მიეკრა. კურდღელი ისევ გაიქცა და მეორე კურდღელს შეეჯახა. კურდღლები ერთმანეთს შუბლით შეეწებნენ და ვერაფრით თავი ვერ გაინთავისუფლეს. ჰოდა, ორივე ძალზე იოლად დავიჭირე. დიდო ხელმწიფევ, ეს ამბავი როგორ მოგწონსო?

— რაღაც არ მჯერა, — მიუგო ხელმწიფემ, — მაგრამ შეიძლება კიდევაც მოხდა. კიდევ რას გვიამბობო?

— სანამ თქვენს კარზე მწყემსობას დავიწყებდი, მამაჩემის წისქვილში შეგირდად ვიდექი. ერთხელ ჩემს ვირს იმდენი ტვირთი ავკიდე, რომ ხერხემალი ჩაუტყდა.

— საბრალო ვირი! — შესძახა ხელმწიფემ.

მწყემსი კი განაგრძობდა:

— იქვე მახლობელ მესერთან მივედი. კაკლის ხის მესრისაგან ჯაყვით ერთი ჯოხი გამოვთალე და ვირს ხერხემლის მაგივრად ჩავუდგი. ვირი მაშინვე ზეზე წამოხტა და, ვითომ აქ არაფერიაო, თავის ტვირთიანად წისქვილისკენ გასწიაო.

— გასაკვირია, — უთხრა ხელმწიფემ. — მერე რა მოხდაო?

— მეორე დილით ძალიან გავვოცდი (ეს ამბავი დეკემბერში მოხდა), როცა გარეთ გამოშვებული ჯოხის ბოლოში შტოები, ფოთლები და კაკლებიც კი დავინახე. გამოვიყვანე ვირი თავლიდან. შტოები კი იზრდებოდა და იზრდებოდა. მალე ზეცას უწიაო.

— საინტერესო ამბავია, — წარმოსთქვა ხელმწიფემ. — მერე რა მოხდაო?

— ეს რომ დავინახე, ტოტებს მოვებლაუქე და ზევით-ზევით მანამ ვიცოცე, სანამ მთვარეს არ მივაღწიეო.

— ძალიან საინტერესო ამბავია, — თქვა ხელმწიფემ. — მერე რა მოხდაო?

— მთვარეზე რომ ავედი, დედაბრები დავინახე. დედაბრები შვრიას მკიდნენ. მათ მუშაობას კარგა ხანს ვუცქირე. დედამიწაზე ჩამოსვლა რომ დავაპირე, ჯოხი ველარ დავინახე — ვირი სადღაც გადაკარგულიყო. რა უნდა მექნა შვრიის ნამჯა დავგრიხე და ძირს დავეშვი.

— ძნელი დასაჯერებელია, — უთხრა ხელმწიფემ. — მერე რა მოხდაო?

— საუბედუროდ, თოკი მოკლე გამოდგა და როცა გათავდა, ძირს ჩამოვხტი. კლდეზე თავით დავეცი და შიგ მხრებამდე ჩავეფალიო.

— აღარ ვიცი დავიჯერო, თუ არ დავიჯერო, — უთხრა ხელმწიფემ. — მერე რა მოხდაო?

— ძალიან ბევრი ვიწვალე, რომ კლდიდან ამოვმძვრალიყავი, მაგამ თავი მომწყდა და კლდეში ჩარჩა. გავიქეცი ძალაყინის მოსატანად, რომ თავი ამომეღოო.

— აბა, ეს ამბავი როგორ დავიჯერო? — წარმოსთქვა ხელმწიფემ. — მერე, მერე რა მოხდაო?

— ძალაყინიანად უკან რომ დავბრუნდი, ვეება მგელი დავინახე. მგელი ჩემს თავს ღრღნიდა. მგელს ზურგზე ისე მაგრა ვდრუზე რკინის ჯოხი, რომ გავაბრტყელებ. მგელს უკანალიდან რაღაც ქაღალდი გამოუვარდა.

— საოცრებაა! — თქვა ხელმწიფემ. — იმ ქაღალდში რა ეწერა?

— ეწერა, რომ შენი უდიდებულესობის მამა ოდესღაც ბაბუაჩემის შეგირდი იყო წისქვილში.

— პატიოსნებას გეფიცები, შენ ცრუობ, ბილწო ქმნილება! — შეჰყვირა ხელმწიფემ და ზეზე წამოხტა.

— ვაშა, დიდო ხელმწიფე! მოვიგე! შენი ქალი მე მერგებაო! — უთხრა მწყემსმა.

— როგორ თუ შენ გერგებაო? ამით რის თქმა გინდაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიდო ხელმწიფე, აკი პირობა დადევ, თუ ოდესმე ვთქვი, შენ ცრუობ-მეთქი და ვინმე ამ სიტყვაზე დამიჭერს, ვინც არ უნდა იყოს, ჩემს ქალს მივათხოვებო.

— მართალია. ხელმწიფე თავისი სიტყვის კაცი უნდა იყოს და ნათქვამი არასოდეს შეშალოს. ჩემი ქალი შენი ცოლი იქნება. ხვალ ნიშნობა გვექნება, ერთი კვირის მერე — ქორწილი.

აი, როგორ მოხდა, რომ ერთი სიტყვის გამო მწყემსს ხელმწიფის ქალი ერგო!

### თერძი და გრიგალი

იყო ერთი თერძი. ჰყავდა ცოლი. ჩვეულებრივ, თერძების ცოლები უქნარები არიან და არც ის იყო გამონაკლისი. ქალს ჟანა ერქვა, ქმარს — კოჭლაუხა ჟანი. დილით ჟანი სამუშაოდ რომ წავიდოდა, ჟანა ისევ ქვემაგებში ჩაგორდებოდა, თერთმეტ-თორმეტ საათზე ადგებოდა, კარდაკარ იწყებდა სიარულს, ჭორიკანა ქალებს ჩამოუვლიდა და კაჭკაჭივით ჭარტალებდა. საღამოს ჟანი რომ ბრუნდებოდა, იგი მუდამ ჯარას უჯდა და ქმარს ეგონა, ცოლი სართავს არ სცილდებოდა.

ერთ დილით ჟანმა ცოლს უთხრა:

— დღეს სამუშაოდ არ გავალ, ბაზარში წავიდეთ და ნართი გავყიდოთ, ალბათ ბევრი დაგიგროვდაო.

ჟანა ძალიან შეშინდა, რა მეშველებაო. მას ხომ სამი ამოხვევა ნართიც არ ჰქონდა. იგი ერთ ჭორიკანა კარის მეზობელთან გაიქცა და თავისი გასაჭირი უამბო.

— ქმარს უთხარი, ნართი გავრეცხე, გასაშრობად სახაბაზოში წავიღე და ფურნეში შევდევი, ხაბაზმა კი არაფერი იცოდა, ფურნე დაანთო და ნართი დამიწვა-თქო.

ჟანა შინ დაბრუნდა და ქმარს ჭორიკანა მეზობლის ნასწავლი სიტყვა-სიტყვით გაუმეორა.

— ბრიყვო! — შესძახა გაბრაზებულმა ჟანმა. — ჩანს, ჭკუის ნატამალი არ გაგაჩნია. სანამ შენთან ვარ, სიღარიბეს თავს ვერ დავაღწევთ. რახან ასეთი ბრიყვი ხარ, უნდა დაგსაჯო, ეზოში სელს დათესავ. აჰა, თესლი, ჩემ დაბრუნებამდე ასალებს გახდი, დაასველებ, გააშრობ, კონებად შეკრავ და სხვენზე აზიდავო.

— კარგი ერთი, ჩემო კაცო, — უთხრა ჟანამ. — ისეთ რამეს როგორ მეუბნები, რაც დედამიწის ზურგზე არავის შეუძლია. მე ეგ როგორ უნდა გავაკეთო?

— როგორც გინდა, ისე გააკეთე, — მიუგო ჟანმა, — იცოდე, საღამოზე დავბრუნდები, ყველაფერი მზად იყოს, თორემ შავ დღეს დაგაყრიო.

ამ სიტყვებით თერძი წავიდა. შემფოთებული ჟანა ჭორიკანა მეზობელთან გაიქცა.

— რომ იცოდე, ჩემმა ქმარმა რა მოიგონა! ეტყობა, ჭკუაზე შეიშალაო.

— რაო, რა მინდაო?

— რა უნდა და, ჩვენს ეზოში სელი უნდა დავთესო, საღამომდე ასალები გავხადო, დავგლიჯო, დავასველო, გავაშრო, კონებად შეკრა და სხვენზე ავზიდო. აბა, მითხარი, გონზე რომ იყოს, ასეთ სისულელეს მეტყობაო? — და თერძის ცოლი ატირდა.

— ნუ ტირი, — უთხრა მეზობელმა ქალმა. — ვითომ ვერაფერს მოვიგონებთ, რომ შენი ქმარი გავასულელოთ? თავი უჭკვიანეს კაცად კი მოაქვს, სინამდვილეში, კაი გვარიანი ყეყეჩია. აი, რა უნდა ვქნათ: სხვენზე გასული წლიდან შემორჩენილი ცოტაოდენი სელი კიდეც მიდევს. ორი-სამი კონა წაიღე, ულო შემოხსენი, ღეროები მინდვრის კიდეებზე მიმოაბნიე, ღობეებზე და ბუჩქებზე შეყარე, ხოლო საღამოს, ჟანი რომ დაბრუნდება, უთხარი, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანე, ოღონდ როცა სელს მინდორში ვაშრობდი, გრიგალი ამოვარდა და ყველაფერი წახვეტა-თქო. ამის დასამტკიცებლად ბუჩქებსა და ხეებზე მიმოხეული ღეროები აჩვენეო.

ჟანას ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. მან მეზობელ ქალს სამი კონა მშრალი სელი გამოართვა და მინდორში მიმოფანტა, ბუჩქებსა და ხის ტოტებს შეაყარა.

საღამოს ქმარი შინ რომ დაბრუნდა, იკითხა:

— აბა, დედაკაცო, ამ დილით რაც გითხარი, თუ გააკეთეო?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მიბრძანე, მაგრამ ბედი არ გვწყალობსო!

— რა მოხდაო?

— რა მოხდა? წარმოიდგინე: სელს მინდორში, გუბურასთან ვაშრობდი, სადაც ვასველებდი კიდეც. ის იყო, უნდა ამეკრიფა, კონებად შემეკრა და სხვენზე ამეტანა, რომ უცებ გრიგალი ამოვარდა და სელი მთლიანად გახვეტაო.

— ოჰ-ჰო-ჰო! ასეთი ზღაპრები სხვებს უამბეო, — მიუგო ჟანმა.

— ზღაპარი სულაც არ არის, ჩემო კაცო, წამომყევი და თვითონ დარწმუნდები, რომ მართლაც გეუბნებიო.

ჟანამ ქმარი მაშინვე მინდორში წაიყვანა, სადაც, როგორც უთხრა, სელი ჰქონდა გაფენილი და მინდვრის კიდეებში მიმოფანტული, ბუჩქებსა და ხის ტოტებზე შემორჩენილი ღეროები აჩვენა.

თერძმა ძალაუნებურად დაუჯერა ჟანას და შესძახა:

— მაშ, ასეა ხომ! რახან გრიგალმა ასეთი ზარალი მომაყენა, მიზღავს კიდეც. ახლავე ქართა მბრძანებელთან წავალ და ვუჩივლებო!

ჟანი შინ დაბრუნდა. ნუჟრებიანი ჯოხი აიღო, ქერის რამდენიმე ლავაში გუდაში ჩაიდო და გზას გაუდგა.

იარა, იარა და ერთი გორაკის ძირს მიადგა. გორაკზე ვეება ბებერი იჯდა. ჭადარა თმას ქარი უწეწავდა, პირიდან ერთადერთი დიდი, შავი კბილი მოუჩანდა.

— ბებო, გამარჯობა, — მიესალმა თერძი.

— გაგიმარჯოს, აქ რას დაემებო? — ჰკითხა ბებერმა.

— ქართა ბინას დავემებო.

— თუ ასეა, შვილო, მოსულხარ კიდეც. ქართა ბინა აქ გახლავს. მე კი მათი დედა ვარ, ქარებთან რა საქმე გაქვსო?

— მოვედი, რომ ზარალის ასანაზღაურებლად ფული მომცენო.

— რა ზარალია, მითხარი და, თუ მართლა ზიანი მოგაყენეს, აგინაზღაურებო.

— შენმა ვაჟმა, გრიგალმა დამაქცია... — და ჟანმა ბებერს ყველაფერი უამბო. დედაბერმა უთხრა:

— შინ შედი, შვილო, და როცა ჩემი ვაჟი გრიგალი დაბრუნდება, ვაიძულებ ზარალი გიზღოსო.

ბებერი გორაკიდან ჩამოვიდა და ჟანი ხევში ჩამდგარ თავის სახლში შეიყვანა. ეს ნახევრად მიწური, ნახევრად ფაცხა ქოხი იყო და ოთხივე მხრიდან ქარი უქმუტუნებდა. ბებერი ჟანს გაუმასპინძლდა და უთხრა, — ჩემი ვაჟი რომ დაბრუნდება, შექმას დაგიპირებს, მაგრამ არ შეშინდე, შენს თავს არ დავანებებო.

ძალე საზარელი ხმაური ატყდა: ხეები ღრჭიალებდა, ქვები ადგილს სწყდებოდა, მგლები გაბმით ყმუოდნენ.

— ჩემი ვაჟი გრიგალი შინ მოიჩქარისო, — უთხრა დედაბერმა.

ჟანი ისე შეშინდა, რომ მაგიდის ქვეშ შეძვრა. გრიგალი ღრენით შემოვარდა, ჰაერი შეიყნოსა და შესძახა:

— ადამიანის სუნი მცემს, აქ კაცია დამალული, უნდა შევჭამო.

— იმედი ნუ გაქვს, ჩემო შვილო, რომ ამ მშვენიერ კაცს შეგაჭმევენებ, ჯობს იმაზე იფიქრო, როგორ აუნაზღაურო ზარალი, მისთვის რომ მიგიყენებიაო, — უთხრა დედაბერმა.

მან ჟანს ხელში ხელი ჩაკიდა და მაგიდიდან გამოიყვანა. ჟანი რომ დაინახა, გრიგალი-მა ხახა დაალო, რომ გადაესანსლა, მაგრამ დედამ კოჭზე ჩამოკიდებული ტომარა დაანახა და უთხრა:

— ჩანს, იმ ტომარაში ჯდომა მოგენატრაო.

გრიგალი მაშინვე დაშოშმინდა, ხოლო თერძმა ძალ-ღონე მოიკრიბა და უთხრა:

— გამარჯობა, ბატონო გრიგალო, შენ მე დამაქციეო.

— ჩემო მეგობარო, როგორ თუ დაგაქციეო? — ალერსიანად ჰკითხა გრიგალმა.

— ჩემმა ცოლმა მინდორში სელი გაფინა გასაშრობად და სულ გამიფანტეო.

— ტყუილია, შენი ცოლი ცრუ და ზარმაცია. მაგრამ შენ პატიოსანი, მშრომელი კაცი ხარ და გულმოდგინედაც მუშაობ. მიუხედავად შენი მონდომებისა, ასეთ ცოლთან დატაკად დარჩები. მინდა დაგაჯილდოვო, რომ ჩემი სამართლიანობისა გჯეროდეს. აი, ვირს მოგცემ. როცა ოქრო-ვერცხლი დაგჭირდება, კუდევე მიწაზე თეთრი ხელსახოცი გაუფინე და უთხარი: «ვირუკა, შენი ვალი შეასრულე-თქო», და იმდენ ოქრო-ვერცხლს ჩამოგიჩხრიალებს, რამდენიც გინდა. მაგრამ იცოდე, ვირს გაუფრთხილდი! თუკი მოგპარავენ, ძველებურად გაღარიბდები. — და გრიგალმა ქოხის კუთხეში დაბმული ვირი მისცა.

ვირი არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ყურპანტურასაგან. თერძმა საჩუქრისათვის მადლობა გადაიხადა, გრიგალს და დედამისს გამოემშვიდობა და ძვირფას ცხოველთან ერთად შინ დაბრუნდა.

კარგა მანძილი რომ გამოიარა, ჟანი ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, ვირს მართლა შეუძლია ოქრო-ვერცხლი მომცეს თუ არაო. ცხვირსახოცი ამოიღო, კუდევე მიწაზე გაფინა და თქვა:

— ვირუკა, შენი ვალი შეასრულეო!

იმავე წამს ოქროსა და ვერცხლის ფული ჩხრიალ-ჩხრიალით წამოვიდა და ცხვირსახოცი აავსო. ჟანმა ფულით ჯიბეები დაიტენა და სიხარულისაგან გაგიჟებული, სიმღერით, სიცილ-ხარხარითა და ცეკვა-ცეკვით გზა განაგრძო.

რომ დაბინდდა, გადაწყვიტა, გზის პირას მდგარ ფუნდუკში დამე გაეთია.

თავისი ვირი მსახურს ჩააბარა და უბრძანა, რაც შეიძლება კარგად მოუარე, მთავარია, არ სთხოვო, შენი ვალი შეასრულეო. როგორც ჩანს, საბრალო ჟანი გამჭრიახი კაცი არ იყო. ჯერ ლაზათიანად ივახშმა, ზედ საუკეთესო ღვინოც დააყოლა, მერე დაწვა და არხეინად დაიძინა.

მსახურს უკვირდა, ამ კაცმა რატომ მითხრა, ვირს ვალის შესრულება არ მოთხოვო. ასეთი რამ ხომ არც ერთ სტუმარს არ უთქვამს. აქ რაღაც ამბავიაო, — ფიქრობდა იგი.

ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს გადაწყვიტა, მედუქნესთან მისულიყო და ყველაფერი ეამბნა.

ფუნდუკში ყველა რომ დაწვა, მეფუნდუკე, მისი ცოლი და მსახური თავლაში წავიდნენ. მსახური ვირთან მივიდა და უთხრა:

— ვირუკა, შენი ვალი შეასრულეო!

იმავე წამს ოქროსა და ვერცხლის ფული წკრიალ-წკრიალით დაცვივდა. სამივემ გაკვირვებისაგან პირები დაალო. მერე ოქროთი ჯიბეები დაიტენეს, ხოლო ჯადოსნური გრძელყურა სხვა გრძელყურათი შეუცვალეს, ის კი თავლიდან შორს, ფარდულში გადამალეს.



მეორე დილით ჟანმა გემრიელად ისაუბრა, ანგარიში გაასწორა, ვირი მსახურს ჩამოართვა და დაარხენებულმა გზა განაგრძო. ჯიბეები ისევ დატენილი ჰქონდა ვირისგან წინადლით ბოძებული ოქრო-ვერცხლით და მისთვის ვალის შესრულებაზე ლაპარაკი აღარ დასჭირვებია.

შინ რომ დაბრუნდა, ცოლ-შვილი მშვიდი დახვდა. ჟანამ, როგორც კი ქმარს თვალი მოჰკრა, ლანძღვა დაუწყო:

— შე მტარვალო, შე უსინდისო, მადლობა ღმერთს, მობრძანდი! ცოლ-შვილი ასე მშვიერ-მწყურვალნი რომ დაყარე, სად დაეთრეოდით, — და მუშტი მოუღერა.

— გაჩუმდი, დედაკაცო, — უთხრა ჟანმა ისეთი მშვიდი იერით, თავის თავში დარწმუნებულ კაცს რომ შეეფერება. დღეიდან არც პური მოგაკლდება და არც სხვა რამე. მუდამ მდიდრები ვიქნებით და ამაში ახლავე დარწმუნდები. ეგ წინსაფარი მოიხსენი და ვირს კუდქვეშ მიწაზე გაუფინეო.

ჟანამ წინსაფარი მოიხსნა და მიწაზე გაფინა.

— ვირუკა, შენი ვალი შეასრულეო, — უთხრა ვირს თერძმა.

მაგრამ წინსაფარს არაფერი დაკარებია. ჟანს ძალიან გაუკვირდა. იფიქრა, ალბათ ვირმა ვერ გაიგონაო და ხელმეორედ უთხრა:

— ვირუკა, შენი ვალი შეასრულეო!

ამჯერად წინსაფარზე რაღაც დაეცა, მაგრამ ეს არც ოქრო იყო და არც ვერცხლი.

ამის შემხედვარე ჟანამ იფიქრა, ქმარი დამცინისო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა აღრი-ალდა და მერე ჯოხსაც წამოუსვა ხელი. საბრალო ჟანი თავპირისტეხით გაიქცა.

სად წასულიყო? არც ის იცოდა, ვირი სად მოჰპარეს. ბოლოს გადაწყვიტა — ისევ გრიგალთან მისულიყო.

გრიგალმა დამწუხრებული ჟანი რომ დაინახა, უთხრა:

— ვიცი, რატომაც მოხვედი. ვირს თვალყური ვერ მიაღვენი და პირველ ფუნდუკშივე მოგპარეს, სადაც შინ მიმავალმა ღამე გაათიე. აჰა, ეს ხელსახოცი. როგორც კი მაგიდას გადააფარებ, ანდა მიწაზე გაფენ და ეტყვი «ხელსახოცი, შენი ვალი შეასრულეო!» რა სასმელ-საჭმელიც გინდა, მოგართმევს. მაგრამ ფრთხილად, ესეც არ მოგპარონო.

— მშვიდად ბრძანდებოდე, თავს მოვიკლავ და თვალის ჩინივით გავუფრთხილდებიო, — მიუგო ჟანმა.

ჟანი გამოემშვიდობა გრიგალს და დედამისს და გზას გაუდგა. რომ შებინდდა, ღამის გასათევად ისევ იმ ფუნდუკში შევიდა.

ფუნდუკში ქორწილს იხდიდნენ. სტუმარი დიდი პატივით მიიღეს და სთხოვეს, სიძე-პატარძლის მაგიდასთან დამჯდარიყო. ჟანი სიამოვნებით დაჯდა. იქნებ იმიტომ, რომ საჭმელ-სასმელი ღარიბული მოეჩვენა, ან იქნებ იმიტომაც, რომ სტუმრებთან თავის მოწონება მოუნდა და სურდა მექორწილეებს ბრძენად და ჯადოქრად მოსჩვენებოდა. ჰოდა, ჟანმა ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, მაგიდაზე გაფინა და ამაყად უთხრა:

— ხელსახოცი, შენი ვალი შეასრულეო!

იმავე წამს სუფრა უგემრიელესი საჭმელითა და მთელი ქვეყნის საუკეთესო ღვინოებით აივსო. ასეთი ხორაგი მხოლოდ ხელმწიფეს თუ ექნებოდა.

ღვინითა და ქება-დიდებით მთვრალმა ჟანმა ახლაც ვერ შეამჩნია ხელსახოცი რომ მოჰპარეს. დილით ჟანი ისევ უღარიბესი კაცი იყო და არ იცოდა, რა ეღონა. ამჯერად ცარიელი ხელებით ცოლთან წასვლა ვეღარ გაბედა და იფიქრა, ერთადერთი გამოსავალი ქართა დედასთან მისვლააო.

და აჰა, ისევ ძველ გზას დაადგა, მაგრამ ახლა ძალიან დარცხვენილი და ნამუსში ჩავარდნილი.

გრიგალმა რომ დაინახა, უთხრა:

— ისევ გაგქურდეს, ბედშავო? ხელსახოციც მოგპარესო?

— შემიწყალე, ბატონო გრიგალო, — შეეხვეწა უბედური თერძი, — ცოლ-შვილი შიმშილით მიკვდება, შინ ხელცარიელი ვერ დავბრუნდებიო.

— თანახმა ვარ, გიშველო, რადგან კარგი კაცი ხარ, მაგრამ უკანასკნელად გეხმარები, — მიუგო გრიგალმა. მერე თერძს კომბალი მისცა და უთხრა, აი, კომბალი. ვისაც კომბალი უჭირავს, საკმარისია თქვას: «კომბალო, შენი ვალი შეასრულო!» რომ თავისი ბატონის მტრებს შავი დღე აყაროს. ვერაფერი გააჩერებს, სანამ თავისი პატრონი არ ეტყვის, «კომბალო, გეყოფაო!» ამ კომბალის დახმარებით ვირსაც დაიბრუნებ და ხელსახოცსაც.

ჟანმა მადლობა გადაუხადა და უკან დაბრუნდა. ღამის გასათევად ისევ იმ ფუნდუკში შევიდა. კიდევ რაიმე განძის მოპარვის იმედით მეფუნდუკემ იგი დიდი პატივით მიიღო. ჟანმა მეფუნდუკე, მისი ცოლი და მსახურები ვახშამზე მიიწვია. ამჯერად იგი კომბალს ხელს არ უშვებდა. ნავახშმევს კომბალს უთხრა:

— კომბალო, შენი ვალი შეასრულო!

კომბალი მაშინვე დატრიალდა ჰაერში და მეფუნდუკეს, მის ცოლსა და მსახურს გაბუგი აუტეხა. ისინი ხან სად იმალებოდნენ და ხან სად, მაგრამ კომბალი ყველგან სწვდებოდა და თავ-პირს ამტვრევდა. თერძი ხარხარებდა და გულს იოხებდა.

— შეგვიბრალე, შეგვიწყალეო! — ყვიროდნენ ისინი.

— ახია თქვენზე. კიდევ ეცდებით ვირისა და ხელსახოცის მოპარვასო?

— შეგვიბრალე, შეგვიწყალე! ყველაფერს დაგიბრუნებთ. ასე ხომ სადაცაა სული გაგვძვრებაო!

ეს სერიი ნახევარი საათი გაგრძელდა. ბოლოს ჟანმა ბრძანა:

— კომბალო, გეყოფაო!

კომბალი დაწყნარდა და ჟანი შინ ვირითა და ხელსახოცით დაბრუნდა.

თუკი თავის განძს კარგად მოუარა და არ დაკარგა, ალბათ ახლაც განცხრომით ცხოვრობს, მე კი მას მერე თერძზე არაფერი გამიგონია.

## სეფექალი მარკასი და ჩიტი დრედეინი

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა სამი ვაჟი.

უფროსი და შუათანა ვაჟები კარგები იყვნენ, ძლიერები და ჯანმრთელები, უმცროსი კი — სუსტი და უსუსური. მთელი დღე კერიასთან იჯდა და ნაცარში იქექებოდა, ასეც ერქვა \_ ლუდუენი, რაც ბრეტანულად ნაცარქექიას ნიშნავს.

მოხუცი ხელმწიფე ავად იყო. სამეფოში ექიმი არ დარჩენილა, რომ არ გაესინჯა, მაგრამ მისი სნეულების წამალი არავინ იცოდა.

სნეული ხელმწიფის გასასინჯად ერთ ექიმბაშსაც უხმეს. ექიმბაშმა თქვა, რომ ხელმწიფეს მხოლოდ ჩიტი დრედეინის ხელის შეხება განკურნავს. ჩიტი ოქროს გალიაში ზისო.

— ეს ჩიტი სად არისო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ხელმწიფის ასულ მარკასის კომპშია, შორს, წითელი ზღვის გაღმა. კომპი სამი მაღალი გალავნისა და სამი ეზოს მიღმა დგას. ეზოს შვიდფუტიანი გოლიათები და დრაკონები დარაჯობენ. დრაკონები შვიდ მილზე ცეცხლს აფრქვევენო.

— საკვირველი ჩიტის მოსაყვანად ასეთ კომპში, აბა, ვინ წავაო? — ამოიოხრა ხელმწიფემ.

— მამი, მე წავალო, — უთხრა უფროსმა ვაჟმა.

მან ოქრო-ვერცხლით ჯიბეები დაიტენა, სასახლის თავლაში საუკეთესო ბედაური აარჩია და მამას დაუბარა:

— თუ ერთ წელიწადსა და ერთ დღეში არ დავბრუნდები, იცოდე, ცოცხალი აღარ ვიქნებიო.

ხელმწიფის ვაჟმა იარა, იარა და საქსების მიწაზე\* (\* საქსების მიწა \_ ასე ეძახდნენ ძველად ბრეტანელები ინგლისს.) მივიდა, იკითხა, ის კომპი ხომ არ იცით, ჩიტი დრედეინი რომ არისო, მაგრამ პასუხად ყველა იცინოდა, უცხოელს მასხარად იგდებდა.

ხელმწიფის ვაჟი სასტუმროში გაჩერდა. სასტუმროში თავი მოეყარათ ლამაზ ქალებსა და მეინახეებს. ხელმწიფის ვაჟი მათთან დარჩა და ფულის ფლანგვას მიჰყო ხელი.

გავიდა ერთი წელი და ერთი დღე, ის კი არ ჩანდა. მაშინ მამასთან შუათანა ვაჟი მივიდა და უთხრა:

— მამი, ერთი წელი და ერთი დღე გავიდა, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა არ ჩანს. წავალ, ძმასაც მოვძებნი და ჩიტ დრედეინსაც, რადგან მხოლოდ იმ ჩიტს შეუძლია ჯანმრთელობა დაგიბრუნოსო.

შუათანა ვაჟმა ბევრი ოქრო-ვერცხლი აიღო და გზას გაუდგა. ისიც იმ სასტუმროში მივიდა, სადაც ძმა იყო და მასთან ერთად განცხრომას მიეცა.

ისევ გავიდა ერთი წელი და ერთი დღე. ხელმწიფის ვაჟები არ ჩანდნენ, მოხუცი ხელმწიფის ჯანმრთელობა კი ყოველდღიურად უარესდებოდა. მაშინ ლუდუნმა მამას უთხრა, ძმებისა და ჩიტი დრედეინის საძებნელად უნდა წავიდეთ.

— შენც წასვლა გინდა, ჩემო შვილო! — შესძახა მოხუცმა ხელმწიფემ. — არა, შინ დარჩი, რომ თვალები მაინც დამიხუჭო, თუკი შენმა ძმებმა ვერაფერი ქნეს, შენ რაღას იზამო.

მაგრამ ლუდუნმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, უნდა წავიდეთ. ბოლოს მამა დაეთანხმა. ხელმწიფემ ვაჟს ცოტაოდენი ფული მისცა — უფროს ვაჟებზე გაცილებით ნაკლები. ლუდუნი თავლაში შევიდა, აქლემი შეკაზმა და გზას გაუდგა. აქლემი საათში შვიდ მილს გადიოდა.

ვაჟი იმ ქალაქში მივიდა, სადაც მისი ძმები დროსტარებაში იყვნენ და იკითხა, იმ კომპს ხომ ვერ მიმასწავლით, სადაც ჩიტი დრედეინი რომ არისო. უთხრეს, აქაურ მცხოვრებლებს ასეთ კომპზე არაფერი გაუგონიათ, იციან მხოლოდ ორი უცხოელი ხელმწიფის ვაჟის ნათქვამი, ის ვაჟები ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდნენ სასტუმროში და განცხრომით ცხოვრობენო. ლუდუნმა მათი ნახვა მოისურვა. იგი სასტუმროში მიიყვანეს და ხელმწიფის ვაჟები აჩვენეს. ლუდუნს ძალიან გაუხარდა, ძმები ცოცხლები რომ ნახა, ძმებმა კი ფული წაართვეს და გარეთ გამოაგდეს.

საბრალო ლუდუნმა გზა განაგრძო. ძალიან ნაღვლობდა, ძმები ასე საძაგლად რომ მოექცნენ.

აქლემი სწრაფად მიქროდა და ლუდუნი ცოტა ხანში ძალიან შორს წავიდა.

ღამემ უღრან ტყეში მოუსწრო. სიბნელეში ყოველი მხრიდან მხეცების ყმული ისმოდა. ხელმწიფის ვაჟი ხეზე აძვრა და გაიხედ-გამოიხედა. შორს შუქი დაინახა. იგი ძირს ჩამოვიდა, ამ შუქისკენ წავიდა და მალე წნელისა და ჩალის უბადრუკ ქოხს მიადგა. კარის კაკუნზე წელში მოხრილი დედაბერი გამოხანხალდა. ლუდუნმა სთხოვა, შემიშვი და ღამე გამათევინეო.

— საწოლი არა მაქვს, შვილო, და ვერსად დაგაწვენო, — უთხრა დედაბერმა.

— არა უშავს, ბები, კერასთან სოხანეზე დავწვებიო.

— რა გაეწყობა, შემოდი, შვილო, კარში რომ დაგტოვო, ცოდვა ხარო.

ლუდუნმა აქლემი სვეტზე მიაბა და ქოხში შევიდა.

— რა ყარს ასე საძაგლადო, — თქვა ხელმწიფის ვაჟმა და ცხვირზე ხელი მოიჭირა.

— ჩემი საბრალო ბერიკაცი ყარს. ერთი კვირაა მოკვდა და ქოხში ასვენია. სუნიც ამიტომააო.

— კი მაგრამ, რატომ არ დამარხავო?

— ეჰ, შვილო, ფული არა მაქვს, ჩვენი მღვდელი კი უფულოდ არაფერს აკეთებსო.

— დამარხვაში რამდენს ითხოვსო?

— ერთ ეკიუს. მე კი სუც არ მაზადიაო.

— იგი რა, ბები, მე მდიდარი არა ვარ, მაგრამ ხვალ დილით მღვდელს ფულს მივცემ და შენი ქმარი დავმარხოთო.

რომ გათენდა, ხელმწიფის ვაჟი მღვდელთან წავიდა და უთხრა:

— აჰა, ეკიუ, იმ საბრალო დედაბერს ქმრის დამარხვაში რომ მოსთხოვე, და მკვდარი ახლავე დამარხეო.

მკვდარი დამარხეს, მიცვალებულს მარტო ორი კაცი მიაცილებდა სასაფლაოზე: დედაბერი და ლუდუნნი.

როგორც კი დედაბრის ქმარი დამარხეს, ლუდუნმა გზა განაგრძო. მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა საით. ტრიალ მინდორზე რომ გავიდა, დაინახა, რომ თეთრი მელა ფეხდაფეხ მისდევდა.

ეს მელა ასე ფეხდაფეხ რას მომდევსო? — გაიფიქრა ხელმწიფის ვაჟმა.

როცა მინდვრის ბოლოში გავიდა, მელა, მისდა გასაკვირად, ადამიანის ხმაზე ალაპარაკდა.

— ხელმწიფის ვაჟო, ჩიტ დრედენს დაემებო?

— ჰო, ღვთის ქმნილებაჲ. იმ ჩიტზე რამე ხომ არ გსმენიაო?

— როგორ არა. ის ჩიტი უკვე ახლოსაა. მაღლა მთაზე იმ კოშკს თუ ხედავ? ჩიტი დრედენი სწორედ იმ კოშკშია. გეტყვი, რა უნდა ქნა, რომ ჩიტი წაიყვანო. კოშკს სამი ეზო აკრავს გარს. სამივე ეზო მაღალი გალავნითაა შემოზღუდული. კოშკში რომ შეხვიდე, სამივე ეზო უნდა გაიარო. პირველი ეზო სავსეა გომბეშოებით, გველებითა და სხვა შხამიანი ქვეწარმავლებით. მეორე — ლომებითა და ვეფხვებით, ხოლო მესამე — ცეცლისმფრქვეველი ურჩხულებითა და გოლიათებით. ისინი კოშკის ჭიშკარს დარაჯობენ. თერთმეტი საათიდან შუალამემდე, სანამ საათი უკანასკნელად ჩამოკრავდეს, ყველანი ენაგადმოგდებულები მიწაზე ჭერეხებივით ყრიან და ძილქუში აწევთ. შენ შეგიძლია მათ შორის გაბედულად გაიარო, ზედ ტანზეც რომ გადაიარო, სულ ერთია, არ გაიღვიძებენ, სანამ საათი შუალამისას არ დარეკავს. კოშკში რომ შეხვალ, სამ ლამაზ დარბაზს გაივლი (ოღონდ არ გეტყვი, ამ დარბაზში რას ნახავ), ხოლო მეოთხეში იპოვი ჩიტ დრედენს, რომელიც ოქროს სამი ჯაჭვით ჭერზე ჩამოკიდებულ ოქროს გალიაში ზის. ამ დროს ჩიტსაც სძინავს. გალიასთან ახლოს კედელზე ოქროს ლურსმანზე ხმალი ჰკიდია. შენ ამ ხმალს აიღებ, ოქროს ჯაჭვებს დაწყვეტ და ჩიტს გალიიანად წამოიყვან, მაგრამ გახსოვდეს, ეს ყველაფერი შუალამემდე უნდა მოასწრო. თუ დაიგვიანებ, ჭიშკარი დაიკეტება და კოშკიდან ვერასოდეს გამოხვალ.

ლუდუნმა მადლობა გადაუხადა მელას რჩევისათვის, გული გაიმაგრა და კოშკისკენ გასწია.

ლუდუნნი კოშკში მაშინ მივიდა, თერთმეტმა საათმა რომ დარეკა. პირველი ეზოს ჭიშკარი ღია იყო. ხელმწიფის ვაჟი ეზოში შევიდა. იქ ვეება გველები და სხვა საზიზღარი ქვეწარმავლები დადოდავდნენ. ლუდუნს გულზე ზაფრა მოუვიდა, როცა მეორე ეზოში საზარელ მხეცებს შორის გაიარა. მხეცები მყრალ, სულმემხუთველ სუნს აფრქვევდნენ. ასე იყო მესამე ეზოშიც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ხელმწიფის ვაჟი ბოლოს, და ბოლოს კოშკში შევიდა.

პირველ დარბაზში ძეხორციელი არ იყო. ლუდუნმა მაგიდაზე თეთრი პურის კვერი დაინახა და შიმშილი იგრძნო. მან პურს კარგა გვარიანი ნაჭერი ჩამოსჭრა და ჭამას შეუდგა. მისდა გასაკვირად, პურს არაფერი დაკლებია. ლუდუნმა გაიფიქრა: ასეთი პური გზაში გამომადგებაო და აბგაში ჩაიღო.

მერე მეორე დარბაზში შევიდა და ღვინით სავსე დოქი დაინახა, ჭიქაც იქვე იდგა. ჩინებულა! — თქვა თავისთვის. ჯერ ერთი ჭიქა დალია, მერე მეორე, მესამე, ღვინოს არაფერი აკლდებოდა. ხელმწიფის ვაჟმა დოქიც აბგაში ჩაიღო და მესამე დარბაზშიც შევიდა. უცებ აღტაცებისაგან პირი დაადლო: წითელ საწოლზე ნათელ დღესავით მშვენიერი სეფექალი იწვა და ღრმად ეძინა. ლუდუნს ღვინო თავში აუვარდა, ფეხსაცმელები გაიხადა, სეფექალს უჩუმრად მიუახლოვდა და აკოცა. სეფექალი არც განძრეულა. ლუდუნს მელას ნათქვამი არ ავიწყდებოდა და მეოთხე დარბაზში შევიდა.

აქ, ოქროს სამი ჯაჭვით ჭერზე ჩამოკიდებულ ოქროს გალიაში ჩიტ დრედენს ეძინა, ხოლო კედელზე ხმალი ეკიდა. ხმალზე ეწერა: ჩემს პატრონს შეუძლია ათი ათასი კაცი

მოკლას, თუ პირით დამკრავს და ყველაფერს გაჭრის, თუ ყუით დამკრავსო. — ჩინებულაია! — თქვა ლუდუნმა და სამი დაკვრით ოქროს სამივე ჯაჭვი გაწყვიტა. მერე გალიას ხელი წამოავლო, ხმალიც წამოიღო და კომპიდან გამოვარდა. მან ენაგადმოგდებულ, მძინარე ურჩხულებსა და გოლიათებზე გადაირბინა და საათმა შუაღამის რეკვა რომ დაიწყო, ჭიშკარს გადააბიჯა. ჯერ ყველაფერი ჩინებულად მიდისო, თქვა თავისთვის, მერე აქლემს მოახტა, ჭიშკართან რომ ელოდა, და გრიგალივით გავარდა წინ.

ჩამოჰკრა თუ არა საათმა უკანასკნელად, სეფექალმა, მასთან ერთად გოლიათებმა, დრაკონებმა და სხვა ქვეწარმავლებმა გაიღვიძეს. მათ მაშინვე გაიგეს, რომ ჩიტი ვილაცას გაეტაცა. გოლიათები და ურჩხულები უცნობს გამოუდგნენ. ურჩხულთა ცეცხლმა აქლემს ბეწვი შეუტრუსა, ლუდუნს — თმა. მაგრამ აქლემი თეთრი მელას კვალდაკვალ მიქროდა. მელა წინ-წინ გარბოდა და გზას აჩვენებდა. მალე ოქროს კომპში მცხოვრები ჯადოქრის სამფლობელოს საზღვარს მიაღწიეს. ამის იქით მელას ძალა აღარ ჰქონდა. ლუდუნი და მისი აქლემი სამშვიდობოს იყვნენ! აქ თეთრი მელა უცებ გაქრა და ლუდუნმა მშვიდად განაგრძო გზა.

ერთი დაცემული მიწის ბოლოს ლუდუნმა გზის პირას ფუნდუკი დაინახა და შევიდა, რომ დანაყრებულყო და დაესვენა. საუკეთესო საჭმელები მოითხოვა, მაგრამ პური არ მოეწონა. მან ფუნდუკის პატრონს დაუძახა და უთხრა:

— თქვენი პური არაფრად ვარგაო.

— ჩვენს მხარეში უკეთესი პური არ არის. ხელმწიფეც ამ პურს მიირთმევსო.

— ლუდუნმა აბგიდან ოქროს კომპიდან წამოღებული პურის კვერი ამოიღო და თქვა:

— მე კი უკეთესი პური მაქვსო.

მან პური ჩამოჭრა და მეფუნდუკეს გაუწოდა.

— აბა ჭამე და მითხარი, მოგწონს თუ არაო.

ფუნდუკის პატრონმა პური შეჭამა და ისე მოეწონა, ერთი ნაჭერი კიდევ სთხოვა. ლუდუნმა მეორეც ჩამოუჭრა, თან აჩვენა, რომ პურს არ აკლდებოდა.

— ასეთი პური რომ გქონდეს, მალე გამდიდრდებოდი. ხომ მართალიაო? — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

— მართალია, მაგრამ ასეთი პური სად იშოვებაო? — ჰკითხა ფუნდუკის პატრონმა.

— არსად. ასეთი პურის კვერი ქვეყნად ერთადერთიაო.

— ხომ არ მომცემდი? ბევრ ფულს მოგართმევო.

— რამდენს მომცემო?

— ას ეკიუს მოგცემო.

— კარგი, მომეცი ასი ეკიუ და პური წაიღე, მაგრამ ერთი პირობით: თუკი მისი პატრონი — ოქროს კომპის სეფექალი როდისმე მოვა და პურს მოგთხოვს, დაუბრუნეო.

ფუნდუკის პატრონი დარწმუნებული იყო, რომ პურს არავინ მოსთხოვდა და დაეთანხმა.

ლუდუნმა გზა განაგრძო. მზის ჩასვლისას სხვა ფუნდუკში შეისვენა და ფუნდუკის პატრონს ოქროს კომპიდან წამოღებული დოქი ორას ეკიუდ მიჰყიდა.

მერე ისევ თავისი გზით გასწია. იარა, იარა და საქსების ქვეყანაში მივიდა. მაშინვე სასტუმროს მიაკითხა, სადაც ძმები ეგულებოდა, მაგრამ ცუდი ამბავი დაახვედრეს: ხელმწიფის ვაჟებს ფული შემოელიათ და ქურდობა დაიწყეს. ვაჟები დაიჭირეს. ახლა ციხეში სხედან და სასიკვდილო განაჩენს ელოდებიანო.

მაგრამ იმ დროს საქსების ხელმწიფე მეზობელ იმპერატორებთან ომობდა და ტუსაღებისთვის არ ეცალა.

ლუდუნმა გადაწყვიტა, ხელმწიფესთან მისულიყო და თავისი სამსახური შეეთავაზებინა.

მეკარეს არ უნდოდა ლუდუნი სასახლეში შეეშვა, მაგრამ ხმალი დაანახვა და შევიდა. იგი ხელმწიფეს პალატაში ესტუმრა და თავისი ხმალი აჩვენა, თან აუხსნა რა ძალაც

ჰქონდა ხმაღს. იგი ხელმწიფეს შეჰპირდა, მტრის ძლევაში გიშველი, თუ ჩემს ძმებს გაათავისუფლებო.

ხელმწიფე დაეთანხმა და უფროსი ძმები ციხიდან გამოუშვეს. ლუდუენი ხელმწიფის ჯარს სათავეში ჩაუდგა და ლაშქრად წავიდა. ჯადოსნური ხმლის ერთი შეხედვაც კი საკმარისი იყო, რომ ყველაზე მამაცი ჯარისკაცებიც კისრისტეხით გაქცეულიყვნენ. ხმლის წყალობით ლუდუენმა სრული გამარჯვება მოიპოვა.

რახან უფროს ძმებს სასახლის პატრონის დიდი ვალი დასდებოდა, ლუდუენმა თავისი ხმალიც გაყიდა იგივე პირობით — თუკი სეფექალი მოითხოვს, დაუბრუნეთო.

სამივე ძმამ წამოიყვანა ჩიტი დრედეინი თავის ოქროს გალიიანად და მშობლიური საფრანგეთისკენ გამოსწია.

ჩიტი ლუდუენს მოჰყავდა და წუთით ხელს არ უშვებდა.

ძმები შურით სკდებოდნენ და ერთმანეთში მოილაპარაკეს, ლუდუენი თავიდან მოვიშორეთო, მათ უნდოდათ მამისთვის ჩიტი თავად მიეყვანათ და დაერწმუნებინათ, ჩიტი ჩვენ მოვიტაცეთო.

გზის პირას ჰქას რომ ჩაუარეს, გვიმზე გადაწვნენ და შესძახეს:

— უჰ, რა ლამაზი ყვავილია. მოდი მალე, ლუდუენ, შეხედე, ალბათ ამის მსგავსი არაფერი გინახავსო!

ლუდუენმა გალია მიწაზე დადგა და ისიც ჰქის გვიმზე გადაწვა. ძმებმა მაშინვე ფეხებში ხელი სტაცეს და წყალში ჩააგდეს. მერე ჩიტიანად და აქლემიანად მოკურცხლეს.

შინ რომ დაბრუნდნენ, ხელმწიფე სიკვდილის პირას იყო. როცა გაიგო, უფროსმა ვაჟებმა ჩემი მხსნელი ჩიტი მოიყვანესო, ხელმწიფე სიხარულით ცას ეწია. სასახლეში ლხინი ლხინს გადაეხა.

მაგრამ ჩიტი მოწყენილი იყო, და ყოველთვის, როცა ხელმწიფესთან შეჰყავდათ, საზარელი ჰყვივით იქაურობას იკლებდა და ხელმწიფეს ხელის შეხების საშუალებას არ აძლევდა. მოხუცი ხელმწიფე ყოველდღიურად სუსტებოდა. სწორედ რომ ძალიან შესაბრალისი სანახავი იყო.

ახლა ლუდუენს დავუბრუნდეთ, და ვნახოთ, რა დაემართა მას მერე, ძმებმა ჰქაში რომ ჩააგდეს.

საბედნიეროდ, ჰქა ღრმა არ იყო. თეთრი მელა მაშინვე გამოეცხადა, რომ მიშველებოდა. მან ჰქაში თავისი კუდი ჩაუშვა, რომელიც მანამ გრძელდებოდა, სანამ წყალს არ შეეხო, მელამ ლუდუენს ჩასძახა, კუდს მოეჭიდეთ, და ხელმწიფის ვაჟი ზემოთ ამოათრია.

— ხელმწიფის ვაჟო, — უთხრა მელამ ლუდუენს. — დაბრუნდი მამაშენთან, ახლა შინ უფათერაკოდ მიხვალ. აქვე მახლობლად ერთი ბებერი მათხოვარი შეგხვდება, რაც ფული გაქვს, სულ მიეცი, ტანსაცმელი გაცვალე, ასე ჩამოძონძილი მამაშენთან მიდი და რაიმე შავი სამუშაო სთხოვე. სხვაზე ნურაფერზე ინაღვლებ, ყველაფერი კეთილად დასრულდება და ბოროტი ძმები ისე დაისჯებიან, როგორც დაიმსახურეს. გახსოვს, ლუდუენ, ერთხელ საბრალო დედაბერთან უბადრუკ ქოხში ღამე რომ გაათიე? ქოხში ქმრის ცხედარი ესვენა და დედაბერს დასამარხი ფული არ ჰქონდა, შენ მაშინ მღვდელს დასამარხი ფული მიეცი.

— როგორ არა, კარგად მახსოვსო.

— ჰოდა, მე იმ ღარიბი კაცის სული ვარ, რომლის წინაშე უკანასკნელი ვალი მოიხადე და გროშები არ დაიშურე. მე მელიის სახით გამოგეცხადე, რომ შენთვის სამაგიერო მიმეგო. ახლა კი მშვიდობით, ამ ქვეყნად ერთმანეთთან შეყრა მეტად აღარ გვიწერიაო, — და მელია გაქრა.

ლუდუენი გზას გაუდგა და მალე, როგორც თეთრმა მელამ უთხრა, ბებერ მათხოვარს შეხვდა. მან ბერიკაცს მთელი ფული მისცა და ტანსაცმელი გაუცვალა. ძონძებში გახვეულმა ლუდუენმა გზა განაგრძო. ბევრი იარა, მაგრამ მხნეობა არ დაუკარგავს. ბოლოს მამის სასახლეში მივიდა. ამ დროს ჰქიშკართან უფროსი ძმა იდგა და მისი თხოვნა რომ გაიგონა, თქვა:

— ღორების სამწყემსურში გაგზავნეთო.

ლუდუენი მეღორე გახდა. ცოტა ხანმა რომ გაიარა, მეჯინიბედ დანიშნეს. ლუდუენი ისეთი მზრუნველობით უვლიდა ცხენებს, რომ ცხენები გასუქდნენ, პეწი დაედოთ, სიფიცხე მოემატათ. ხელმწიფე ახალ მეჯინიბეს ძალიან უმადლოდა და ხშირად აქებდა კიდეც. ძმებმა ლუდუენი იცნეს და გადაწყვიტეს, რაღაც უნდა დაჯდომოდათ, თავიდან მოემორებინათ, მათ მამას ურჩიეს, ახალ მეჯინიბეს ჩიტ დრედეინის კვება დაავალეო. მას მერე, რაც სასახლეში მოიყვანეს, ჩიტი ისეთი ავი გახდა, რომ ვინც კი მიეკარებოდა, ყველას კორტნიდა. მაგრამ ლუდუენი დაინახა თუ არა, მოულოდნელად ამღერდა და სიხარულისაგან ფრთები ააფართოქუნა. ლუდუენმა იგი თითზე დაისვა და ხელმწიფის პალატისაკენ გასწია. როგორც კი ხელმწიფეს სიმღერა შემოესმა, მაშინვე უკეთ გახდა. მაგრამ სულ რომ გამოჯანსაღებულიყო, სეფექალი მარკასი უნდა ეხილა.

გაიარა ზუსტად ცხრა თვემ, რაც ლუდუენი ოქროს კოკში იყო, და სეფექალს მშვენიერი ვაჟი შეეძინა. ვაჟი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ერთ დღეს ვაჟმა დედას ჰკითხა, მამაჩემი ვინ არისო? მეც არ ვიციო, მიუგო სეფექალმა.

— მამის საძებნელად წავალ და სანამ არ ვიპოვი, არ დავბრუნდებიო. — ვაჟი წავიდა და დედაც თან გაჰყვა.

გზად იმ ფუნდუკში შეისვენეს, სადაც ლუდუენმა ჯადოსნური პურის კვერი დატოვა. სტუმრებს ეს პური მიართვეს. სეფექალი მაშინვე მიხვდა, რომ აქ იმ კაცს გაეველო, ვინც ოქროს კოკში იყო.

— ეს პური მომეცითო, — უთხრა მან ფუნდუკის პატრონს.

— თუ პური ოქროს კოკის სეფექალმა არ მოითხოვა, სხვას არაფრის გულისათვის არ მივცემო.

— ოქროს კოკის სეფექალი მე ვარ, პური ჩემია და წავიღებო.

და პური აბგაში ჩადო. ამ ხნის განმავლობაში ფუნდუკის პატრონს ბევრი ქონება დაეგროვებინა.

სეფექალმა და მისმა ვაჟმა გზა განაგრძეს და მეორე ფუნდუკში მივიდნენ, სადაც ერთხელ ლუდუენი გაჩერდა. დედა-შვილმა აქაც შეისვენა. ფუნდუკში ჯადოსნური დოქი დაინახეს და ისიც წაიღეს.

რამდენიმე ხნის მერე საქსების ქვეყანაში მივიდნენ და იმ სასტუმროს პატრონთან ჩამოხტნენ, ვისაც ლუდუენმა ჯადოსნური ხმალი დაუტოვა. მათ ხმალიც წაიღეს.

— გამაგრდი, ჩემო შვილო, — უთხრა სეფექალმა. — მალე მამაშენს ვნახავთო.

მათ გზა განაგრძეს და ბოლოს პარიზში ჩავიდნენ.

სეფექალი სასახლის წინ გაჩერდა და ბრძანა, ხელმწიფეს ჩემი მოსვლა მოახსენეთო. ხელმწიფემ ეს რომ გაიგონა, სიხარულით ცას ეწია. მიუხედავად ავადმყოფობისა, ხელმწიფე სტუმრებს გამოეგება, რომ სეფექალს ოქროს ეტლიდან ჩამოსვლაში მიშველებოდა.

— არა, — უთხრა სეფექალმა მარკასმა, — ეტლიდან მანამ არ ჩამოვალ, სანამ ის არ მოვა, ვინც ჩემი კოშკიდან ჩიტი დრედეინი მოიტაცაო.

— მე მოვიტაცეო! — უთხრა ხელმწიფეს უფროსმა ვაჟმა და ნაბიჯი წინ წადგა.

— თუ შენ იყავი, მითხარი, ჩემს კოშკს როგორ დარაჯობენო?

ხელმწიფის ვაჟმა მხოლოდ ის თქვა, კოშკს მაღალი გალავანი არტყიაო.

— შენ კოშკში არ ყოფილხარ, თავიდან მომწყდიო, — უთხრა სეფექალმა.

— მე მოვიტაცეო! — უთხრა ხელმწიფის შუათანა ვაჟმა და ეტლს მიუახლოვდა.

— თუ შენ იყავი, მითხარი, ჩემს კოშკს როგორ დარაჯობენო?

მაგრამ ხელმწიფის შუათანა ვაჟმა ძმის ნაქვამს ვერაფერი დაუმატა.

სეფექალმა ისიც გააგდო.

— შენ კოშკში არ ყოფილხარ, წადი, მომშორდი. თუ იმას არ მომიყვანო, ვინც ჩემი კოშკიდან ჩიტი დრედეინი წაიყვანა, ახლავე წავალო.

მოვიდა მეჯინიბის ტანსაცმელში გამოწყობილი ლუდუენი და სეფექალს უთხრა:

— ჩიტი დრედეინი მე წამოვიყვანეო.

— თუ შენ წამოიყვანე, მითხარი ჩემს კომპს როგორ დარაჯობენო?

— შენს კომპს გარს სამი მაღალი გალავანი და სამი ეზო აკრავს. პირველი ეზო სავსეა გველებითა და სხვა შხამიანი ქვეწარმავლებით. მეორე ვეფხვებითა და ლომებით. მესამე — საზარელი გოლიათებითა და ურჩხულებით, რომლებიც შვიდ მილზე ცეცხლს აფრქვევენო.

— აჰა, ვხედავ, რაღაც-რაღაცა იცი. მერეო? — ჰკითხა სეფექალმა.

— ეს მხეცები და ურჩხულები ეზოში დაგებულ ფილაქანზე დაეყრებიან და იძინებენ თერთმეტი საათიდან შუალამემდე. მე ამ დროთი ვისარგებლე და მათ შორის უვნებლად გავიარე. პირველ დარბაზში დავინახე ჩინებული პური, რომელსაც რამდენიც არ უნდა ჩამოაჭრა, არაფერი აკლდება, მეორე დარბაზში დავინახე დოქი, რომლიდანაც რამდენი ღვინოც არ უნდა გადმოასხა, არაფერი აკლდება, მე ორი-სამი ჭიქა დავლიე და დოქი ავიღე. მესამე დარბაზში სეფექალი დავინახე. იგი წითელ საწოლში იწვა და ღრმად ეძინაო.

— მერე რა გააკეთეო? — ჰკითხა სეფექალმა.

— ჯერ პირდაღებულმა კარგა ხანს ვუყურე, მერე ღვინო თავში ამივარდა, გავთამამდი, გვერდით მივუწეე და ვაკოცეო.

— ჰო, შენი ნათქვამი მართალს ჰგავს, აი შენი შვილი! — უთხრა სეფექალმა და ვაჟი დაანახვა. — მერე რა მოხდაო?

— მერე მეოთხე დარბაზში შევედი, სადაც ჩიტ დრედეინს ოქროს სამი ჯაჭვით ჭერზე ჩამოკიდებულ ოქროს გალიაში ეძინა. კედელზე ოქროს ლურსმანზე ხმალი ეკიდა. ხმალს ხელი ვტაცე, ჯაჭვი გავწყვიტე და თავქუმოგლეჯილი გარეთ გამოვვარდი და თან ჩიტი, ხმალი, დოქი და პური წამოვიღეო.

— მერედა, ეს ყველაფერი სადააო? — ჰკითხა სეფექალმა.

— ჩიტი აქაა. პური, დოქი და ხმალი გზა-გზა დავტოვე, სადაც ღამე გავათიეო.

— მე ისინი ვიპოვე და თან წამოვიღე. მაგრამ ჩიტი სად არის? მომიყვანეო!

ლუდუნეი წავიდა და ოქროს გალიით ჩიტი მოიყვანა.

სეფექალის დანახვაზე ჩიტმა დრედეინმა ფრთები ააფართქუნა და წკრიალა ხმით ისე ტკბილად ამღერდა, რომ ნახმევმა სასახლე აახმაურა. ყველა მხიარულობდა, არ მხიარულობდნენ მხოლოდ უფროსი ძმები.

სეფექალმა ჩიტი გალიიდან გამოიყვანა, თითზე დაისვა, ხელმწიფეს გადასცა და უბრძანა ხელი გადაუსვით.

ჩიტი, აქამდე არავის რომ არ იკარებდა და ყველას კორტნიდა, გაიტრუნა. ხელმწიფემ ჩიტს ხელი გადაუსვა თუ არა, მაშინვე გაჯანსაღდა და გაახალგაზრდავდა.

მაშინ სეფექალმა მარკასმა ყველას უამბო, რა ვერაგულად მოექცნენ ძმები ლუდუნეს და მოითხოვა ისე დაესაჯათ ისინი, როგორც იმსახურებდნენ.

მოხუცი ხელმწიფე სასტიკად განრისხდა და შესძახა:

— ღუმელი გაახურეთ და შიგ ჩაყარეთო!

ასეც გააკეთეს.

ლუდუნემა სეფექალი მარკასი ცოლად შეირთო, გადაიხადეს დიდი ქორწილი. ამბობენ, მოხუცმა ხელმწიფემ სიხარულისაგან იმდენი სვა და ჭამა, რომ კუჭი აეშალა და მოკვდაო.

მისი სიკვდილის მერე საფრანგეთში ლუდუნეი გამეფდა.

## ბარბოვერი ანუ ზღაპარი ხელმწიფის ვაჟისა, საკუთარი თავი რომ წააგო

მაშ, მოისმინეთ ერთი ზღაპარი, ცოტა ტყუილი, ბევრი მართალი.



საფრანგეთში იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, სახელად შარლი. ამ ხელმწიფის ძმა ინგლისის ხელმწიფე იყო. მასაც ერთადერთი ვაჟი ჰყავდა.

ერთხელ შარლმა მამას უთხრა:

— ბიძაჩემს, ინგლისის ხელმწიფეს, მისწერე, თავისი ვაჟი ჩვენთან სტუმრად გამოგზავნოს. მინდა გავიცნო, ბიძაშვილებს ხომ ერთმანეთი არასოდეს გვინახავსო.

საფრანგეთის ხელმწიფემ მისწერა ინგლისის ხელმწიფეს, შენი ვაჟი პარიზში სტუმრად გამოგზავნეო.

ჭაბუკები მალე შეეთვისნენ ერთმანეთს და განუყრელ მეგობრებად იქცნენ.

ერთხელ პარიზის გარეუბანში ერთად ნადირობდნენ. თან მხოლოდ ორი მსახური ახლდათ. შარლი ტახის დევნამ გაიტაცა, ტყეში ღრმად შევიდა, სხვებს მოწყდა და გზა დაეზნა.

ბინდი ჩამოწვა. ტყეში დიდი ხნის ხეტიალის მერე შარლი გზაზე გავიდა და ერთ ფუნდუკს წააწყდა.

გვიანი იყო და ხელმწიფის ვაჟს ძალიან შიოდა. იგი სუფრას მიუჯდა და, რაც კი ფუნდუკში მოიძებნებოდა, უბოდიშოდ შესანსლა. ფუნდუკში კიდეც ერთი სტუმარი იყო, შარლზე ცოტა ხნით ადრე რომ მოსულიყო და ორივენი ერთ მაგიდას უსხდნენ. ისინი საუბრობდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს თავისი ვინაობა არ დაუსახელებია.

ვახშამი რომ დაამთავრეს, უცნობმა ხელმწიფის ვაჟს ბანქოს თამაში შესთავაზა. შარლი დათანხმდა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა და უკანასკნელ სუბდე მთელი ფული წააგო, მერე ცხენიც ზედ მიაყოლა.

— მეტს აღარ ვითამაშებო, — თქვა ბოლოს.

— მოდი, ერთი ხელიც ვითამაშოთო, — შესთავაზა თანამონაწილემ.

— აღარაფერი დამრჩა და რაღაზე ვითამაშოთო?

— საკუთარ თავებზე ვითამაშოთო.

— თანახმა ვარო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა, თან გაიფიქრა: ერთხელ მაინც ხომ უნდა მოვიგოო.

ბანქო ჩამოარიგეს. საუბედუროდ, ხელმწიფის ვაჟმა ისევ წააგო.

— ერთი წლისა და ერთი დღის მერე ვალის გასასტუმრებლად კოშკში მეწვიე, — უთხრა უცნობმა. — თუ არ მოხვალ, სადაც არ უნდა იყო, მოგძებნიო.

— რა გქვია და სად ცხოვრობო!

— ბარბოვერი მქვია. ხოლო კოშკი, მე რომ ვცხოვრობ, უნდა ეძებო და აუცილებლად იპოვი, თორემ მე თვითონ მოგნახავო.

მეორე დღით ამოვიდა თუ არა მზე, ხელმწიფის ვაჟს გზა აჩვენეს და ისიც დაღვრე-მილ-დაფიქრებული შინ დაბრუნდა. რახან გროშიც აღარ ებადა, მოკლული ტახი მეფე-უნდუკს ბინის ქირად დაუტოვა. სასახლეში ძალიან შეწუხებულები იყვნენ, მაგრამ დაინახეს თუ არა, მწუხარება სიხარულად შეეცვალათ.

მაგრამ ამ დღიდან ხელმწიფის ვაჟი აღარ იყო ძველებურად მხიარული და უზრუნველი. არაფერი ახარებდა, ავადმყოფს დაემსგავსა და ზეზეულად დნებოდა. ექიმბაშებმა არ იცოდნენ რა ეწამლათ. მისი დედ-მამა და მთელი სამეფო კარი ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ, რომ ხელმწიფის ვაჟს სასიკეთო პირი არ უჩანდა.

ესე გაიარა ათმა თვემ და ბოლოს შარლმა მამას უთხრა:

— მამი, ძალიან სახიფათო მოგზაურობაში უნდა წავიდე. არ ვიცი დავბრუნდები თუ არა. ასე რომ, ერთმანეთს დავემშვიდობოთო.

მიუხედავად მამის ხვეწნა-მუდარისა და ცრემლებისა, ხელმწიფის ვაჟი წავიდა, ისე რომ არც უთქვამს სად და რატომ მიდიოდა. მან არ იცოდა, რომელ გზას დასდგომოდა და ცხენი ალაღბედზე მიუშვა. იარა, იარა და თვითონაც ვერ შეამჩნია, როგორ აღმოჩნდა ისევ იმ ტყეში, ნადირობის დროს გზა რომ აეზნა. ტყეში ღამემ მოუსწრო. მან ერთი

ღარიბული ქოხი დაინახა, რომლის ფანჯარაში სინათლე ენთო, და კარზე მიაკაკუნა. კარი თეთრწვერა მოხუცმა გაუღო.

— გამარჯობა, განდეგილო ბერიკაცო! — მიესალმა ხელმწიფის ვაჟი.

— გაგიმარჯოს, შვილო. ტყეში რას დაემებო?

— ბარბოვერის კოშკში უნდა მივიდე, მაგრამ არ ვიცი, სად არის და რომელი გზა მიმეყვანსო.

— მე ვიცი ის კოშკი სადაცაა, მაგრამ საშური არაფერია. რამდენიმე დღე ჩემთან დარჩი და, როცა დრო მოვა, გეტყვი, როგორ მიაგნო.

ხელმწიფის ვაჟი განდეგილთან რვა დღე დარჩა, მეცხრე დღეს ბერმა უთხრა:

— შვილო, სიტყვის შესრულების დრო მოვიდა და ბარბოვერთან უნდა წახვიდე.

ყურადღებით მომისმინე. რასაც გეტყვი, ზუსტად შეასრულე და განსაცდელს თავს დააღწევ. აი, ეს ბურთულა შენ წინ იგორებს, შენ მხოლოდ უკან მიჰყევი და ბოლოს, ერთი მთის ძირას მიგიყვანს. ამ მთის წვერზე ბარბოვერის კოშკი დგას. იმ ადგილამდე რომ მიგორდება, ბურთულა ჩემთან დაბრუნდება. მთის ძირი დაფარულია კვრინჩხისა და მაყვლის ისეთი ხშირი ბუჩქებით, რომ ვერ გაივლი. წაილე ეს სარისველი-მაკრატელი. ამ მაკრატლით გზას გაიკვლე. როცა მაკრატელი აღარ დაგჭირდება, მხოლოდ უთხარი: მაკრატელო, შინ დაბრუნდი-თქო, და ჩემთან დაბრუნდება. შენ მთაზე ადი. მწვერვალს რომ მიაღწევ, სურნელოვანი ყვავილებით მოფენილ ფართო მინდორს დაინახავ. მინდორის შუაგულში გუბურაა, გუბურაში კამკამა წყალია. ფსკერი ვერცხლითაა მოგებული. გუბურასთან სამი ლამაზი ოქროს სკამია. შენ დაფნის ბუჩქს ამოეფარე და სამი ლამაზი ქალწულის გამოჩენას დაელოდე. ისინი ოქროს სკამზე დასხდებიან, ტანთ გაიხდიან და წყალში შევლენ.

ქალწულებმა ფრენა იციან. უმცროს ქალწულს ზურგზე მარდად მოახტი, იგი ჰაერში აფრინდება და მამამისის, ბარბოვერის, კოშკში აგიყვანს. ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გითხარი, და შინ დაბრუნდები. თუ არ გააკეთე, შინ დაბრუნება არ გიწერიაო.

შარლმა განდეგილს მადლობა გადაუხადა, ყველა შენს დარიგებას დავიმახსოვრებო, და ბურთულას უკან გაჰყვა.

აი მთის ძირს მიადგა და ბურთულა შინ გაისტუმრა. ბურთულა განდეგილთან დაბრუნდა. მერე ხელმწიფის ვაჟმა გზა კვრინჩხსა და მაყვალს შორის სარისველი-მაკრატლით გაიკვლია და სარისველი-მაკრატელიც, ბურთულასავით ბერს დაუბრუნა.

ხელმწიფის ვაჟი მთას აჰყვა და მწვერვალზე ავიდა. იქ მშვენიერი სურნელოვანი ყვავილები და ხეები დაინახა. ნაყოფით დახუნძლული ხეები სიმძიმისაგან წელში იხნიქებოდა. მან ვერცხლით მოგებული გუბურაც და მის ნაპირზე სამი ოქროს სკამიც იპოვა.

ღარი იდგა. მოსარკულ ცაზე მზე ჩახჩახებდა. ხელმწიფის ვაჟი დაფნის ბუჩქს ამოეფარა და ლოდინი დაიწყო. მალე დაინახა, რომ ზემოდან ფრთაგანიერი სამი ვეება ჩიტი მოფრინავდა. როგორც კი ფრინველებმა მიწას ფეხი დააკარეს, ბუმბული მოსცილდათ და ჩიტები საოცარი სილამაზის სამ ქალწულად იქცა. ისინი ოქროს სკამებზე ჩამოსხდნენ, ცოტა ხანს შეისვენეს და მერე წყალში შევიდნენ. შარლი ელვასავით გამოვარდა საფარიდან, უმცროს ქალწულთან მიიბრინა და ზურგზე შემოახტა. ქალმა შეჰკვივლა, წყლიდან გამოვიდა, ბუმბულით შეიმოსა, ჰაერში აფრინდა და შარლიც აიტაცა. დანარჩენი ქალწულებიც მას მიჰყვნენ. ისინი მიფრინავდნენ ცასა და მიწას შუა გამოკიდებული მამის კოშკისკენ. ბარბოვერმა ხელმწიფის ვაჟი იცნო და უთხრა:

— აა, საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ხარ? ვალის გასასტუმრებლად მოხვედიო?

— ჰო, ვადა მოვიდა. ასე არ არისო?

— კარგი ჰქენი რომ მოხვედი, თორემ მე რომ მომეძებნე, ეს ამბავი სანანებლად გაგიხდებოდა. გამომყევო.

— მამი, ხვალამდე მოიცადეო, — უთხრა ბარბოვერს უმცროსმა ქალმა.

— კარგი, რახან თავად მოვიდა, ხვალამდე მოვიცადოთო.

ბარბოვერის უმცროს ქალს კუანტიკი ერქვა. შარლმა ქალს უთხრა, აქ რატომაც მოვიდა და კუანტიკი შეჰპირდა, დაგეხმარებო. ნავახშმევს ხელმწიფის ვაჟი თავის ოთახში რომ შევიდა, კუანტიკიც შეჰყვა და უთხრა:

— ხელმწიფის ვაჟო, მებრალები. რახან მამაჩემმა ვალის გასტუმრება ხვალისთვის გადაგიდო, მაშ, ხსნის იმედი კიდევ არის. ხვალ დილით გეტყვის, რა გამოცდაც უნდა მოგიწყოს. რაც არ უნდა დაგავალოს, სულით არ დაეცე, მე გიშველი. არ გაგიკვირდეს, თუკი მკაცრად დაგელაპარაკები, ანდა გაგარტყამ კიდევ. გახსოვდეს, ეს ყველაფერი შენს სასიკეთოდ გაკეთდებაო.

მეორე დღეს ბარბოვერმა თავის უმცროს ქალს უთხრა:

— ეი, კუანტიკ, ამ ჭაბუკს საუზმე მოუშადა, დროა, საქმეს ხელი მოჰკიდოსო.

— მე? ამისთვის, მამი, კოშკში მსახურები გვყავსო! — მიუგო ქალმა.

— არა, საუზმეს შენ მოუშადა. მე ასე მსურსო.

და კუანტიკმა საუზმე მოუშადა, თუმცა ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ამას სურვილის საწინააღმდეგოდ ვაკეთებო.

შარლმა რომ ისაუბმა, ხის ნაჯახი მისცეს და უბრძანეს, მზის ჩასვლამდე დიდი ტყე გაჩეხეო.

ხელმწიფის ვაჟმა მხარზე ნაჯახი გაიღო და ტყეში წავიდა, მაგრამ როცა დაინახა, რა დავალებაც ელოდა, ხის ძირში დაჯდა და მოთქმით ატირდა — ჩემი აღსასრული მოვიდაო.

შუადღეს ბარბოვერმა კუანტიკს უბრძანა, ხელმწიფის ვაჟს სადილი წაუღეო. კუანტიკი ტყეში წავიდა და შარლი ერთი ხის ძირას იპოვა. ვაჟი ისევ ისე იჯდა და ტიროდა.

— საქმის მოთავებას ასე ფიქრობო? — ჰკითხა ქალმა.

— რომც შევუდგე, რა აზრი აქვს. ასეთ დაცინვას ჯობდა, მაშინვე მოგეკალითო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

— მომეცი ნაჯახი, ახლავე გაჩვენებ, ხის მოჭრა როგორ უნდაო.

მან ხელმწიფის ვაჟს ხის ნაჯახი გამოართვა და იქვე მახლობლად მდგარ ხეს შემოჰკრა. ხე მეორე ხეს დაეცა, მეორე-მესამეს, მესამე-მეოთხეს და ერთ საათსაც არ გაევილო, რომ მთელი ტყე მიწაზე იყო გართხმული.

— აჰა, დღევანდელი დავალება დამთავრდა, — უთხრა კუანტიკმა. — მე მომენდე, ხელმწიფის ვაჟო, არ შეიძლება ასე უცებ სულით დაეცეო.

ქალი წავიდა.

მზე რომ ჩავიდა, შარლი კოშკში დაბრუნდა. ნაჯახი მხარზე გაეღო და სტვენა-სტვენით მიდიოდა.

ბარბოვერი ზღურბლზე ელოდა.

— რა ჰქენი, დავალება შეასრულეო? — ჰკითხა მან.

— შევასრულეო.

— ტყე მთლიანად გაჩეხეო?

— გავჩეხე. ერთი ხეც არ დამიტოვებიაო.

— გაგიჩანაგებივარ! მერედა, რა მშვენიერი ტყე იყო!

— მხოლოდ ის გავაკეთე, რაც მიბრძანეო.

— ეს რას ნიშნავსო? — უკვირდა თავისთვის ბარბოვერს.

მეორე დილით მან შარლი მაღალი მთის ძირას მიიყვანა, მისცა ხის ბარი და უბრძანა, საღამომდე მთა ძირიან-ფესვიანად ისე მოთხარე, მის ადგილზე ვაკე იყოსო.

მარტო რომ დარჩა, ხელმწიფის ვაჟი ხის ქვეშ დაჯდა, ჩიბუხი გააწყო და გააბოლა, თან მთას შეჰყურებდა და შეშფოთებული თავის თავს ეკითხებოდა, ჩემს საშველად კუანტიკი დღესაც თუ მოვაო.

შუადღეს კუანტიკმა ისევ მოუტანა სადილი.

— გგონია, მთას ასე მოთხრიო? — ჰკითხა მან.

— თავად კარგად იცი, ასი წელიც რომ ვიშრომო, მთას ვერ მოვთხრიო, — მიუგო ხელმწიფის ვაჟმა.

კუანტიკმა ხის ბარი აიღო, მთას შემოჰკრა და თქვა:

— მთავ, გაქრიო.

მთა გაქრა, ხოლო მის ადგილზე ვაკე გადაიშალა.

მზის ჩასვლისას ხელმწიფის ვაჟი სტვენა-სტვენით კოშკში დაბრუნდა.

— დავალება შეასრულეო?

— შევასრულეო.

— შეუძლებელიაო!

— კოშკის ქონგურზე ადი და შენ თვითონ შეხედეო. ბარბოვერი ქონგურზე ავიდა და მთა რომ ვერ დაინახა, გაოცდა.

ეს რას ნიშნავს?! — გაიფიქრა თავისთვის. — მაგრამ არა უშავს რა, ხვალ ისეთ დავალებას მივცემ, რომ ასე ადვილად ვერ შეასრულოსო.

შარლმა ივახშმა და თავის ოთახში ავიდა. ოთახში უჩუმრად კუანტიკიც შემოჰყვა და უთხრა:

— აქამდე თავს ადვილად ვაღწევდით დავალებებს. ხვალ გაცილებით ძნელი დავალება გვექნება. მაგრამ, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს, ყველაფერში ყური დამიგდე და დამენდეო.

დილით ბარბოვერმა შარლს უთხრა, უნდა მოძებნო და ნაპირზე გამოიტანო ჩემი პაპის ხომალდის ვეება ლუზა. ეს ლუზა ას წელზე მეტია ზღვის ფსკერზე დევსო.

ხელმწიფის ვაჟი ამ დავალებას ისე უსმენდა, რომ ძველებურად აღარ შიშობდა. იგი ზღვის ნაპირზე წავიდა, კბოდეზე ჩამოჯდა და ჩიბუხი გააბოლა.

შუადღეს ისევ მოვიდა კუანტიკი და უთხრა:

— ახლა თავი უნდა მომაჭრა და ზღვაში ჩააგდო. სილაში ორმო ამოთხარე და სხეულიდან რაც სისხლი გამომივა, მოაგროვე. ოღონდ არ დაგეძინოს. თუ დაიძინებ, არაფერი გვიშველის, ორივე დავილუპებით. აი დანა. თავი მომაჭერი, ოღონდ დამშვიდებულად იყავი და ხელი არ აგიკანკალდეო.

შარლმა დანა გამოართვა და ჯადოქრის ქალს თავი ისე მოაჭრა, რომ ხელი არ აჰკანკალეზა. თავი ზღვაში ჩააგდო, ხოლო ჭრილობებიდან გადმოღვრილი სისხლი მოაგროვა ორმოში, რომელიც სილაში ამოთხარა.

ვაჟს მოულოდნელად ძალიან მოერია ძილი და ის იყო ბურანში წავიდა, რომ კუანტიკის თავი წყლიდან ამოვიდა. მას ლუზა მოჰყვებოდა.

— კინაღამ არ დაგეძინა, საბრალო მეგობარო, — უთხრა მან. — აბა, მალე ჩემი თავი ტანს მიადგი, თავად გამოებმებაო.

შარლმა თავი აიღო და ტანს მიადგა. იმავე წამს მის წინ წინანდებური კუანტიკი იდგა.

— ახლა სწრაფად შინ წავიდეო, — უთხრა მან, — რადგან სისხლის დაკარგვამ ძალიან დამასუსტა. საბედნიეროდ, მამაჩემის აღარ უნდა გეშინოდეს, ჩვენს დავალებებს ბოლო მოეღო. ხვალ შემოგთავაზებ, ჩემს სამ ასულში რომელიმე ცოლად აირჩიეო.

უთხარი, კუანტიკი მინდა-თქო. მაშინ დები იყვირებენ: — არა, მამი, თანახმა არა ვართ! ჩვენ თავგებად გადავიქცევით, და ტომარაში ჩავსხი, ხელმწიფის ვაჟმა ხელი ჩაყოს და რომელსაც ამოიყვანს, ცოლადაც ის ჰყავდესო. — კარგი, ასე იყოსო, — იტყვის მამაჩემი. როცა ხელს ტომარაში ჩაყოფ, ორი თავი ხელში გეცემა. მაგრამ არც ერთი არ ამოიყვანო, რადგან ისინი ჩემი დები იქნებიან. მე ტომრის ძირში გავილურსები და ადვილად გამომიცნობო.

ქალ-ვაჟი კოშკში დაბრუნდა. კუანტიკი საწოლში ჩაწვა. როცა ბარბოვერმა დაინახა, რომ შარლი ამ დავალებიდანაც სუფთად გამოვიდა, უთხრა:

— ხელმწიფის ვაჟო, შენი ბადალი ქვეყნად არ არის და მინდა სიძედ გამიხდე. სამი ქალი მყავს და რომელს აირჩევო.

— კუანტიკი მინდაო, — მიუგო შარლმა დაუფიქრებლად.

— არა, ხელმწიფის ვაჟმა საცოლე ასე არ უნდა აირჩიოს! — მაშინვე იყვირეს უფროს-მა დებმა. — სამივენი თავგებად გადავიქცევით და ტომარაში ჩავსვით. ხელმწიფის ვაჟი რომელსაც ამოიყვანს, ცოლადაც ის ჰყავდესო.

— ძალიან კარგი, რომ არ გეწყინოთ, ასე გავაკეთოთო, — თქვა ბარბოვერმა.

მართლაც, სამივე ქალი ტომარაში ჩასვეს. შარლმა ტომარაში ხელი ჩაყო თუ არა, ორი თავი მაშინვე ეცა. ხელმწიფის ვაჟმა არც ერთს ხელი არ ახლო და ტომრის ძირში დაიწყო ხელის ფათური, რომ მესამე ეპოვა. მესამე გალურსული იჯდა. ხელმწიფის ვაჟმა მესამე თავი ამოიყვანა და ბარბოვერს უთხრა:

— ეს მინდაო.

თვალის დახამხამებაში თავი ულამაზეს ქალად იქცა. ეს კუანტიკი იყო.

ქალ-ვაჟს კომპში დიდი ქორწილი გადაუხადეს.

ღამით, როცა სიძე-პატარძალი საწოლ ოთახში შევიდნენ, რომ დაწოლილიყვნენ, კუანტიკმა განგებ შანდალი მათთვის გაშლილ სარეცელზე დააგდო. იმავე წამს სარეცელის ქვემოთ უფსკრულმა პირი დააღო და სარეცელი ძირს დაქანდა, ალესილი დანე-ბით მოფენილ ბორბალს დაეცა და ნამსხვრევებად იქცა. ეს ხაფანგი კუანტიკის ჯადო-ქარმა დებმა დაუგეს სიძე-პატარძალს, მაგრამ ისინი ამ ხიფათსაც გადაურჩნენ.

შარლი და მისი ცოლი ლამაზ ოქროს ეტლში ჩასხდნენ და პარიზში გაემგზავრნენ. ეტლი ჰაერში მიქროდა. იმ ტყეს რომ გადაუქროლეს, სადაც მოხუცი განდეგილი ცხოვრობდა, ისინი ძირს დაეშვნენ და მთელი დღე მასთან დაჰყვეს. განდეგილმა ახალგაზრდა ჯადოქარი მონათლა.

პარიზში რომ ჩავიდნენ, მოხუცი ხელმწიფე სიკვდილის პირას დაუხვდათ. მაგრამ სამუდამოდ გამოტირებული ვაჟი და მისი ულამაზესი ცოლი რომ დაინახა, მაშინვე გამოჯანსაღდა.

გაიმართა დიდი ზეიმები და ნადიმები, რომლებზეც ღარიბებიც არ დავიწყებიათ, ისე კი არა, ჩვენს დროში რომ ავიწყდებათ ხოლმე.

## სეფექალი ტროილი

მაშინ მოხდა ეს ამბები,  
როცა მამლებს ედგათ რქები.

იყო ერთი კეთილშობილი ვაჟი. მშობლები ადრე დაეხოცა და დედინაცვლის ანაზარა დარჩა. როგორც ხდება ხოლმე, დედინაცვალს გერი ეჯავრებოდა და ვაჟი შავ დღეში ჰყავდა. თხუთმეტი წელი რომ შეუსრულდა, ვაჟმა სახლი მიატოვა და ბედის სამებნელად წავიდა. ვაჟს ფანში ერქვა. რაც მოსახდენია, მოხდეს, უარესი რა უნდა მომივიდესო, — ფიქრობდა იგი.

და როგორც იტყვიან, ალაღბედზე წავიდა.

მიდიოდა და მიდიოდა. ღამეს ხან გლეხებთან ათევდა, ხან ცის ქვეშ იძინებდა. მაგრამ დედინაცვლის სახლიდან წასვლას არ ნანობდა.

ერთხელ, მზის ჩასვლის დროს თვალწინ მშვენიერი კომპი წამოემართა. ჭიშკარი ღია იყო და ვაჟი კომპში შევიდა. ეზოში კაცი არ ჰაჩანებდა. ვაჟმა ღია კარი დაინახა, ახლა იქ შევიდა და სამზარეულოში ამოჰყო თავი. სამზარეულოშიც არავინ იყო. მაგრამ მალე სამზარეულოში თხამ შეიხედა და ფანშს ანიშნა, გამომყევო. ვაჟი მორჩილად გაჰყვა და ერთ მშვენიერ ბაღში გავიდნენ. ბაღში თხამ ენა ამოიდგა:

— თუ აქ დარჩენა გსურს, ყველაფერი გექნება, რასაც მოინდომებ, მაგრამ სამი დღე იმ ოთახში უნდა დაჰყო, მე რომ გაჩვენებო.

— რა უცნაური კომპია. აქ თხებიც ადამიანივით ლაპარაკობენო! — გაუკვირდა ვაჟს.

— მე ყოველთვის ასეთი როდი ვიყავი, — მიუგო თხამ, — აქ ავ სულებს ვყავარ დატყვევებული. ჩემიანებიც დატყვევებულნი არიან. თუკი ყველაფერს, რასაც გეტყვი, ზუსტად შეასრულებ, ყველას დაგვიხსნი და არც შენ ინანებო.

— მითხარი, რა უნდა ვქნა, რომ გაგანთავისუფლოთ და, თუკი შევძლებ, გავაკეთებო.

— ერთ-ერთ ოთახში სამი ღამე ზედიზედ უნდა გაათიო, ამ ხნის განმავლობაში რაც არ უნდა ნახო და გაიგონო, რაც არ უნდა გიქნან, კრინტი არ უნდა დაგცდეს, კვნესა არ უნდა აღმოგხდესო.

— კარგი, შევეცდებიო.

როცა მოსალამოვდა, ფანშს მდიდრულად მორთულ ოთახში ვახშამი გაუშალეს. მაგრამ, მისდა გასაოცრად, იგი მხოლოდ ხელებს ხედავდა: ხელები სუფრას აწყობდა, ხოლო თვით ადამიანი არ ჩანდა. ფანში ლაზათიანად რომ დანაყრდა, ერთ-ერთმა ხელმა ანთებული სანთელჩადგმული შანდალი აიღო და ვაჟი თან გაიყოლია. ისინი ერთ ოთახში შევიდნენ. ოთახში საწოლი იდგა. ხელმა სანთელი მაგიდაზე დადო და მაშინვე გაქრა.

ფანში მხდალი კაცი არ იყო, მაგრამ ყოველივე ამან ძალიან განაცვიფრა.

ფანში დაწვა და მაშინვე დაიძინა. შუალამემ რომ მოატანა, ღცებ ძლიერმა ხმაურმა გააღვიძა.

— მოდი, ბურთი ვითამაშოთო, — გაისმა ხმები.

— არა, ჯობს ახალი თამაში მოვიგონოთო, — მიუგეს სხვებმა.

ფანში თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მაგრამ ვერავის ხედავდა.

— იცით რა, — თქვა ერთმა ხმამ, — თავდაპირველად ის ვაბურთაოთ, ლოგინში რომ წევსო.

— განა იქ ვინმე წევსო?

— როგორ არა, აბა, შეხედეთო.

მათ საბრალო ფანში ლოგინიდან გადმოათრიეს და ბურთივით დაუწყეს აქეთ-იქით სროლა. მობურთავენი ბევრს ეცადნენ, მაგრამ ფანშმა თავი მოიძინარა და კრინტს არ სძრავდა.

— ოჰო, ხედავთ, არ იღვიძებსო, — თქვა რომელიღაცამ.

— ცოტა მოითმინეთ, ახლავე გავაღვიძებო, — მიუგო მეორემ და ისე მძლავრად მიანარცხა ფანში კედელს, რომ შემწვარი ვაშლივით ზედ მიატყეპა. უჩინმაჩინის ქუდიანებმა ხმამაღლა გაიციინეს და წავიდნენ.

ოთახში მაშინვე თხა შემოვიდა. ეს ის თხა იყო, ფანშმა კოშკში რომ ნახა, მაგრამ ახლამას ულამაზესი ქალის თავი ედგა.

— საბრალოვ, — უთხრა მან, — როგორ გაწამესო!

ქალმა რაღაც მალამოთი დაუწყო ფანშს ზელა. ვაჟს თანდათანობით ისევ დაუბრუნდა სიცოცხლის ნიშანწყალი, ბოლოს სულ გაცოცხლდა და უწინდელზე ჯანმრთელი გახდა.

— ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა, — უთხრა ქალმა-თხამ, — მაგრამ ამ ღამით გამოცდა უფრო მძიმე იქნება. რაც არ უნდა მოგივიდეს, წინანდებურად კრინტი არ დაძრა და ჯილდოს მიიღებო.

— ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი შემეძლებაო, — მიუგო ფანშმა.

თხა წავიდა.

ფანშმა კარგად ისაუზმა და ივახშმა. მას ისევ მხოლოდ ხელები ემსახურებოდნენ, ტანი კი არ ჩანდა. ვაჟი მთელი დღე კოშკსა და ბაღში სეირნობდა, მაგრამ არავინ შეხვედრია. ნავახშმევს ისევ იმ ხელმა აიღო შანდალი და ვაჟი იმავე ოთახში წაიყვანა.

ამჯერად ფანში ლეიბის ქვეშ დაიმალა.

იქნებ აქ ვერ მომაგნონო, — ფიქრობდა.

შუალამემ რომ მოატანა, იგივე გამაყრუებელი ხმაური გაისმა.

— ადამიანის სუნი მომდისო, — თქვა ვიდაცის ხმამ.

— ადამიანის სუნი საიდან უნდა მოგდიოდეს? — მიუგო მეორემ, — თავადაც კარგად ხედავ, საწოლზე არავინაა. ითამაშე და მაგ სისულელეებს თავი დაანებეო! — და კვლავ გააჩაღეს ბანქოს თამაში. უცებ პირველმა ხმამ ისევ იყვირა:

— ძმებო, გეუბნებით, აქ ადამიანის სუნი დგას-მეთქი!

მერე ლეიბი ასწია და ფანში დაინახა.

— ხომ გეუბნებოდით! მაშ, ისევ ცოცხალი ხარ! დაგვაცა, ახლავე გაგისწორდებითო.

უჩინმაჩინებმა ვაჟი ლუკმა-ლუკმა დაგლიჯეს, მერე ხმამაღალი სიცილით წავიდნენ. წავიდნენ თუ არა, ოთახში ისევ შემოვიდა თხა, ამჯერად ის წელამდე იყო ქალად ქცეული.

— საბრალოვ, — თქვა მან, — ეს რა დღეში ხარო!

ქალმა ხორცის ნაგლეჯები ერთმანეთს მიადო და მალამოთი დაუწყო ზელა.

ნაგლეჯები თანდათანობით შეხორცდა, ტანი ძველებურად გამრთელდა.

ფანში ისევ გაცოცხლდა.

— მესამე ღამე ყველაზე საზარელი იქნება, — უთხრა ქალმა-თხამ. — მაგრამ მოთმინებით აღიჭურვე და, თუ ამ ღამესაც ისევე მამაცურად გადაიტან, როგორც წინა ორი ღამე გადაიტანე, შენს ტანჯვას ბოლო მოეღებო.

— არა მგონია, სიკვდილზე უარესი რაიმე დამემართოს, მე კი ორჯერ უკვე მოკვდიო, — მიუგო ფანშმა.

მესამე ღამეს, ნავახშმევს, ფანში ისევ იმ ოთახში შევიდა და ახლა საწოლის ქვეშ დაიმალა.

შუალამემ რომ მოატანა, უჩინმაჩინის ქუდიანები მოვიდნენ და ბანქოს თამაში გააჩაღეს.

— აქ ისევ ადამიანის სუნიო! — უცებ თქვა ვიდაცის ხმამ. — ნუთუ ის კაცი კვლავ ცოცხალიაო?

მათ საწოლი გადააქოთეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. მაშინ საწოლს ქვეშ შეიხედეს.

— აგერაა! აგერააო!

მათ ფანშს ფეხში ხელი სტაცეს და საწოლიდან გამოათრიეს. მერე ბჭობა გამართეს:

— ამჯერად ბოლო უნდა მოვუღოთ. თქვით, რა ვქნათო?

— რა ვქნათ და, შევწვათ და შევჭამოთო.

— ეგრე ვქნათ, ეგრე ვქნათო, — ერთხმად შესძახეს დანარჩენებმა.

მათ ბუხარში ცეცხლი გააჩაღეს, საბრალო ფანში გააშიშვლეს, ცეცხლზე ჩამოჰკიდეს და, კარგად რომ შეიბრაწა, დასხდნენ და შეჭამეს.

ნადიმს რომ მორჩნენ, წავიდნენ და მაშინვე ოთახში ძვირფასი ტანსაცმლით მორთული ულამაზესი სეფექალი შემოვიდა. თხის ნიშან-კვალი გამქრალიყო.

— ვაითუ რამე ნამუსრი არ დატოვესო, — თქვა მან.

ქალმა დაიწყო მაგიდაზე, იატაკზე ძებნა. ბოლოს, დიდი ხნის ძებნის მერე, თავის ქალის ნატეხი იპოვა.

— მადლობა ღმერთს, — შესძახა ქალმა, — ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არისო.

ქალმა თავის ქალის ნატეხს მალამოთი ზელა დაუწყო. იგი ზელდა და ზელდა. ნატეხი თანდათანობით დიდდებოდა, ხორცს ისხამდა. მერე თავ-თავის ადგილებზე გამოება ხელები, ფეხები. ბოლოს ტანი გამრთელდა. ვაჟი უწინდელზე სალ-სალამათი და ჯანმრთელი წამოდგა.

— როგორ მიხარია! — შესძახა სეფექალმა, — ახლა უჩინმაჩინისქუდიან გოლიათებს არც ჩემზე აქვთ ძალა და არც ჩემიანებზე. ხოლო ყველაფერი, რაც აქ არის, შენ გეკუთვნის, ფანშ, მეც შენი ვარო.

მაშინვე ყოველი კუთხიდან მოგროვდნენ ყველა წოდების და ჩამომავლობის ადამიანები. მოდიოდნენ მეფისწულები, სეფექალები, ჰერცოგები, ბარონები, მდაბიონი, ყველანი, ვინც კი ავ სულელებს ამ კოშკში ჰყავდათ დატყვევებული. ისინი გამოდიოდნენ

ყველა კუთხე-კუნჭულიდან და თავიანთ მხსნელს მადლობას სწირავდნენ, მერე თავ-  
თავიანთ სამშობლოში მიდიოდნენ.

— ახლა დროა ჩვენც წავიდეთ, — უთხრა ფანშმა სეფექალს. — მამაშენს ვესტუმრო-  
თო.

— არა, — მიუგო ქალმა, — აქ სამი დღე კიდევ უნდა დავრჩეთ. ყოველ დღით უნდა  
იზიშმილო. სმა-ჭამა მხოლოდ ნაშუადღევს შეგეძლება. თუ ამ დრომდე რამეს შეჭამ ან  
დალევ, მაშინვე დაგეძინება და ვეღარასოდეს მიხილავ. ყოველ შუადღეს შენთან მო-  
ვალ და მაშინ შეგიძლია ჭამო და სვა. ტყეში, წყაროსთან, დამელოდე და როგორც კი სა-  
ათი შუადღისას ჩამოჰკრავს, შენთან გავჩნდები. ოღონდ გახსოვდეს, ამ დრომდე არც  
ჭამა შეგიძლია და არც სმაო. — ეს უთხრა და სეფექალი გაქრა.

მეორე დღეს, სანამ შუადღე დადგებოდა, ფანში მსახურთან ერთად სეფექალს წყა-  
როსთან ელოდა. ფანშს პირში ხემსი არ გადასვლოდა და ძალიან შიოდა. ამასობაში მას  
ჩია ტანის ბებერი მიუახლოვდა. ბებერს ქლიავით სავსე კალათი ეჭირა.

— გამარჯობა, რაინდო, — მიესალმა ფანშს.

— გაგიმარჯოს, ბები.

— აჰა. ქლიავი მიირთვიო.

— გმადლობ, ქლიავი არ მიყვარსო.

— ერთი მაინც გასინჯე, არაფერი დაგიშავდება. ნახე, რა კარგიაო.

ფანშმა ქლიავი გამოართვა, მაგრამ ჩაკბიჩა თუ არა, მაშინვე დაიძინა, ამ დროს საათ-  
მა შუადღისა დარეკა. სეფექალი მოვიდა.

— უჰ, სძინავსო, — თქვა ქალმა, ფანში რომ დაინახა.

— დიახ, — მიუგო მსახურმა. ვიღაც ბებერმა ჩემს ბატონს ქლიავი მისცა და მიიტანა  
თუ არა პირთან, მაშინვე დააძინაო.

— ეჰ, რა ვქნა... როცა გაიღვიძებს, ეს თავშალი გადაეცი და უთხარი, არ დამივიწყო-  
სო.

ქალმა მსახურს თეთრი თავშალი მისცა და გაფრინდა. იმავე წამს ფანშმა გაიღვიძა  
და ძლივს შეასწრო ქალს თვალი. ქალი ანგელოზივით თეთრით იყო მოსილი.

«დამეძინა, — გაიფიქრა ვაჟმა, — ხვალ უფრო წინდახედულად მოვიქცევიო».

მომდევნო დღეს, როცა ვაჟი მსახურთან ერთად წყაროს პირას იჯდა, მასთან ისევ ის  
ბებერი მოვიდა ლეღვით სავსე კალათით ხელში.

— ლეღვი მიირთვი, მშვენიერო რაინდო, ნახე, რა კარგებიაო.

ფანშმა ამჯერადაც გამოართვა დედაბერს ლეღვი, შეჭამა და მაშინვე დაეძინა.

როგორც კი საათმა შუადღისა დარეკა, წყაროსთან სეფექალი გაჩნდა.

— უჰ, ისევ სძინავსო, — მწუხარედ თქვა მან.

— დიახ, — მიუგო მსახურმა, — ისევ მოვიდა ის ბებერი, ჩემს ბატონს ლეღვი მისცა  
და, როგორც კი შეჭამა, მაშინვე დააძინაო.

— როცა გაიღვიძებს, ეს რუხი თავშალი გადაეცი და უთხარი, არ დამივიწყოსო.

სეფექალმა ამოიოხრა და გაფრინდა.

იმავე წამს ფანშმა გაიღვიძა და ცისკენ მიმავალი სეფექალი დაინახა. ამჯერად ქალს  
რუხი კაბა ემოსა.

— ღმერთო ჩემო, ისევ დამეძინა, — თქვა ვაჟმა, — ნეტავ ასე რა მაძინებსო.

— მე მგონი, ჩემო ბატონო, იმ ბებრის მოცემული ხილის ბრალიაო.

— შეუძლებელია. ხვალ უფრო წინდახედული ვიქნები და არაფრით არ დავიძინებო.  
მსახურმა ფანშს რუხი თავშალი მისცა.

მომდევნო დღეს, როცა ისინი წყაროსთან სეფექალს ელოდნენ, მათთან ბებერი მივი-  
და. ბებერს ამჯერად ფორთოხლით სავსე კალათი ეჭირა.

— ფორთოხალი მიირთვი, მშვენიერო რაინდო, — უთხრა მან ფანშს. — ნახე რა კარ-  
გებიაო.



მსახურს უნდოდა ფანშისთვის ეთქვა, არ შეჭამო, მაგრამ ვერ გაბედა. ფანშმა ფორ-  
თოხალი გამოართვა, შეჭამა და ისევ დაიძინა.

საათმა შუადღის რომ დარეკა, სეფექალი ისევ მოვიდა. დაინახა, ფანშს სძინავსო და  
მწუხარედ შესძახა:

— უბედური, ისევ დაუძინიაო!

— სულ იმ ბებრის ბრალია, — მიუგო მსახურმა. — ისევ მოვიდა და ჩემს ბატონს  
ფორთოხალი მისცა. როგორც კი შეჭამა, მაშინვე დაეძინაო.

— როცა გაიღვიძებს, გადაეცი მესამე თავშალი და უთხარი, სამუდამოდ გამოგემ-  
შვიდობა, ველარასოდეს გნახავს-თქო.

სეფექალმა ერთი საცოდავად ამოიკვნესა და გაფრინდა.

იმავე წამს ფანშმა გაიღვიძა და თვალი მოჰკრა კაბის კალთას და ფეხის წვერს: ამჯე-  
რად სეფექალს შავი კაბა ეცვა, რამაც ფანში შეაძრწუნა. მისი დატოვებული თავშალიც  
შავი იყო.

— უჰ, ისევ დამძინებიაო! — შესძახა ფანშმა სასოწარკვეთით.

— შენდა საუბედუროდ, ჩემო საბრალო ბატონო. სანამ გაფრინდებოდა, სეფექალმა  
შენთვის მესამე თავშალი გადმომცა და მიბრძანა, მეთქვა, სამუდამოდ დავემშვიდობე,  
ველარასოდეს მიხილავსო.

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ფანშს თავზარი დაეცა. იგლეჯდა თმას და ტირილით  
მოთქვამდა:

— არა, მე ისევ ვნახავ მას, დღე და ღამე ვივლი, მანამ ვეძებ, სანამ არ ვიპოვიო!

ფანშმა საგზლად თეთრი პურის კვერი აიღო და მაშინვე გზას გაუდგა.

როცა დაბინდდა, გზისპირას მდებოდა დაჯდა, რომ ცოტა შეესვენა და დანაყრებ-  
ულიყო. სწორედ ამ დროს გვერდით დედაბერმა ჩაუარა.

— შეგერგოს, შვილოო! — უთხრა ფანშს.

— მადლობელი ვარ, ბები. ხომ არ მიირთმევ? სიამოვნებით გიწილადებო.

— ღმერთმა გაკურთხოს, შვილო. ამ მხარეში რამდენიმე ასეული წელია ვცხოვრობ  
და პური ჯერ არავის შემოუთავაზებიაო.

დედაბერი სიამოვნებით დაეწვია ღარიბულ ვახშამზე. მერე ფანშს უთხრა:

— მინდა, მადლობა გადაგიხადო და ერთი სუფრა მოგცე, რომელიც კარგ სამსახურს  
გაგიწევს. ჭამა ან სმა რომ მოგიხდება, მიწაზე ან მაგიდაზე გაშალე და იმდენი ხორაგით  
აივსება, რამდენსაც ისურვებ. აი, კიდევ საჩუქრად თეთრი ჯოხი: საკმარისია, მიწას  
დაჰკრა და ას ლიეს უკან მოიტოვებო.

— ღმერთმა გაკურთხოს, ბები, — მიუგო ფანშმა და დედაბერს ნატვრის სუფრა და  
ჯადოსნური ჯოხი გამოართვა.

დედაბერი გაქრა.

ნეტა იმ დედაბერმა მართალი მითხრაო? — გაიფიქრა ფანშმა.

მან ჯოხი მიწას დაჰკრა და ასი ლიე უკან მოიტოვა. მის წინ ლერწმითა და გვირგვინით  
გადახურული პატარა ქოხი იდგა. შორიანხლო გლეხკაცი მიწას ხნავდა. ფანშმა უთხრა:  
ტანსაცმელი გავცვალოთო. გლეხკაცი სიხარულით დაეთანხმა, რადგან ტანთ ძონძები  
ეცვა, ხოლო ფანში უფლისწულივით იყო გამოწყობილი.

ტანსაცმელი რომ გამოიცვალა, ფანშმა ქოხის კარზე მიაკაკუნა. კარი დედაბერმა გაუ-  
ღო. დედაბერს წყრთის სიგრძე კბილები მოუჩანდა.

— რა გინდაო? — ჰკითხა დედაბერმა.

— ღამე გამათევინეო.

— ცუდი ადგილი შეგიჩვევია. სამი ვაჟი მყავს და სამივეს ადამიანი სძაგს. როგორც  
კი დაბრუნდებიან, აუცილებლად შეგჭამენო.

— სადმე დამმალე, ბები, სახლის საქმეებში მოგეხმარები და შევეცდები, შენს ვაჟებს  
როგორმე შევეთვისო.

დედაბერს ერთი სკივრი ედგა სარდაფში და ფანში იმ სკივრში დამალა. მერე დედაბერმა ვაჟებისათვის სადილის კეთება დაიწყო. სამ გახვრეტილ კასრში წვნიანი მოადულა.

— არ ვიცი, მეორე თავი რა ვაჭამო, — თქვა ქალმა. — მხოლოდ სამი ცხვარი მყავს, მაგრამ არ ეყოფათ.

— მაგამაზე ნუ წუხხარო, — გაეპასუხა ფანში და სკივრიდან ამოძვრა. მერე მაგიდაზე თავისი სუფრა გაშალა და უთხრა:

— აბა, ნატვრის სუფრავ, ჩემო კარგო, სამი შემწვარი ხარი და სამი კასრი ღვინო მომართვიო.

თვალის დახამხამებაში სუფრაზე გაჩნდა შემწვარი ხარები და ღვინით სავსე კასრები.

ერთმა წუთმა გაიარა თუ არა, საკვამლე მილში რაღაც აგუგუნდა: უ-უ-უ-უ!

— ჩემი უმცროსი ვაჟი მოდის, — უთხრა დედაბერმა. — მალე სკივრში დაიმალიე.

იმავე წამს საკვამლე მილით დედაბრის უმცროსი ვაჟი ჩამოეშვა და დაიყვირა:

— ძალიან მშია, დედი, ძალიან მშიაო!

— კარგი, კერიასთან ახლოს დაჯექ, ძმებს დაელოდე და ასე ნუ ხმაურობო.

ვაჟი კერიასთან სკამზე დაჯდა, მაგრამ მაშინვე შესძახა:

— ადამიანის სუნი მცემს, დედი, სადაა, უნდა შევჭამო!

— როგორ! შენი დეიდაშვილი უნდა შეჭამო? ბიჭი ჩემ სანახავად მოვიდა და სამივეს თითო შემწვარი ხარი მოგართვით. შემწვარ ხარებს ვერა ხედავო?

მერე დედაბერმა ფანშს უბრძანა, სკივრიდან ამოსულიყო. დედაბრის უმცროსი ვაჟი და ფანში მალე დამეგობრდნენ.

ცოტა ში საკვამლე მილი ისევ აგუგუნდა. დედაბრის მეორე ვაჟი, მეორე ქარი საკვამლე მილით ჩამოეშვა და ფანში დაინახა თუ არა, შეჰყვირა:

— ამ ადამიანს ახლავე შევჭამო!

— ერთი ვნახოთ, როგორ შეჭამ! — უთხრა დედაბერმა. — შენი დეიდაშვილია, ჩემ სანახავად მოვიდა და თითოეულ თქვენგანს თითო შემწვარი ხარი მოართვა. კერიასთან დაჯექ და ჭკუით იყავი, თორემ ჯოხი არ აგცდებო.

ქარი კერიასთან ძმის პირდაპირ დაჯდა და ხმა გაკმინდა.

ერთი წუთის მერე ისევ მოისმა გამაყრუებელი ხმაური. ქოხის ირგვლივ ხეები სკდებოდნენ და ნაფოტებად ცვიოდნენ. ფანშს შეეშინდა.

— აჰა, ჩემი უფროსი ვაჟიც მოდისო, — უთხრა დედაბერმა ფანშს.

მესამე ქარიც საკვამლე მილით ჩამოეშვა და კერიაში ბული დააყენა.

— მშია, დედი, ძალიან მშიაო! — ყვიროდა იგი.

— დამშვიდდი და გაჩუმდი, ვახშამი მზად არისო.

უცებ უფროსმა ვაჟმა ფანში დაინახა და შეჰყვირა:

— ადამიანი!

ის იყო უნდა სცემოდა და შეესანსლა, მაგრამ დედაბერმა ძირფესვიანად მოგლეჯილი ნორჩი თელა აიღო და მთელი ძალ-ღონით დაუწყო ვაჟს ცემა;

— შენ რა, დეიდაშვილი გინდა შეჭამო, ჩემი დისშვილი, მშვენიერი ვაჟი? იგი ჩემ სანახავად მოვიდა და თითოეულ თქვენგანს თითო ხარი და თითო კასრი ღვინო მოუტანა. შენ ფიქრობ, ამის ნებას მოგცემო?

დედაბერი უმოწყალოდ სცემდა ქარს, ის კი ყვიროდა:

— ნელა, ნელა, დედი, ასე მაგრა ნუ მცემ, რახან ჩვენმა დეიდაშვილმა თითო ხარი და თითო კასრი ღვინო მოგვიტანა, ხელს არ ვახლებო.

მაშინ დედაბერმა შვილს თავი დაანება და ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. ვაჟები ისეთი ღორმუცელები გამოდგნენ, განსაკუთრებით უფროსი ქარი, რომ ფანშს სამჯერ დასჭირდა სუფრის ხსენება. ბოლოს, ქარები რომ დანაყრდნენ, — ეს კი არც ისე მალე

მოხდა, — ისინი კერიას შემოუსხდნენ და ძველი მეგობრებივით გააბეს საუბარი. —

ძმაო, საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ფანშს უმცროსმა ქარმა.

— სეფექალ ტროიოლს დავეძებ. ხომ არ იცი, სად ცხოვრობსო?

— არა, არ ვიცი, სახელიც კი არ გამიგონიაო.

— შენ, ძმაო, არც შენ გაგიგონიაო? — ჰკითხა ფანშმა შუათანა ქარს.

— სახელი კი გამიგონია, მაგრამ არ ვიცი სად ცხოვრობსო.

— შენ, უფროსო ძმაო, შენ ხომ არ იციო? — ჰკითხა უფროს ქარს.

— ვიცი, რადგან ახლახან იქიდან დავბრუნდი და ხვალ ისევ იქით გავფრინდებიო.

— თან წამიყვანეო.

— წაგიყვან, თუკი შეძლებ ფეხდაფეხ მდიო. აბა, ახლა კი ძილის დროა, წინ დიდი გზა გვიდევსო.

დილით ქარები თავ-თავიანთი გზით წავიდნენ.

— აბა, თუ შეგიძლია, თან გამომყევი, — უთხრა უფროსმა ქარმა ფანშს და გაფრინდა: უ-უ-უ-უ! ფრრ-ფრრ-ფრრ! ფანში უკან გამოუდგა. დაჰკრავდა მიწას თეთრ ჯოხს და ას ლიეს უკან მოიტოვებდა. როცა უფროსმა ქარმა უკან მიიხედა, ფანში ძალიან ხომ არ ჩამომრჩაო, გაუკვირდა, რომ ფეხდაფეხ მისდევდა. ისინი ზღვის ნაპირამდე მიფრინდნენ.

— მეტს ვეღარ ვივლი, თუ ზურგზე არ შემისვამო, — უთხრა ფანშმა უფროს ქარს.

— სიამოვნებით შეგისვამ, თუკი მაჭმევ, როცა მომშივდებაო.

— კეთილი, საჭმელი თავსაყრელად გექნებაო.

ფანში უფროს ქარს ზურგზე შეაჯდა და გაფრინდნენ. ყოველ წუთს ქარი საჭმელს სთხოვდა. ფანშს ჯადოსნური სუფრა ჰქონდა და არაფერს იშურებდა. ისინი მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ: უ-უ-უ-უ-უ! ფრრ-ფრრ-ფრრ! ბოლოს სეფექალ ტროიოლის კოშკი გამოჩნდა. ქარმა ფანში ეზოში ჩამოსვა. ფანშმა სეფექალის სამივე თავშალი — თეთრი, რუხი და შავი — ამოიღო, თავის ჯოხს გამოაბა და ეზოს შუაგულში მიწაში ჩაასო. მალე ფანშის ახლოს სეფექალმა გაიარა. ქალი კოშკის პატრონს ხელკავით მოჰყავდა. ქალ-ვაჟი ეკლესიაში ჯვრისსაწერად მიდიოდა. სეფექალმა ფანში დაინახა, თავშლებიც იცნო და თავის მოახლეს უთხრა:

— იმ კაცთან მიდი და ჰკითხე, ერთ თავშალში რამდენს ითხოვ-თქო.

მოახლე ფანშთან მივიდა და ჰკითხა:

— ჩემს ქალბატონს სურს გაიგოს, ერთ თავშალში რამდენს ითხოვო.

— შენს ქალბატონს გადაეცი, ამ თავშლის საყიდლად ფული არ გეყოფა-თქო.

მოახლე თავის ქალბატონთან დაბრუნდა.

— რა გითხრაო?

— მითხრა, ამ თავშლის საყიდლად ფული არ გეყოფაო.

ეს პასუხი რომ მოისმინა, სეფექალმა თავის ტკივილი მოიმიზეზა და ქორწილი მეორე დღისათვის გადადეს.

მეორე დილით ქალმა ისევ გაგზავნა მოახლე ფანშთან, წადი, გაიგე, ორ თავშალში რამდენს ითხოვსო.

— შენს ქალბატონს გადაეცი, ფული ერთი თავშლის საყიდლადაც არ გეყოფა-თქო,

— უთხრა ფანშმა.

მოახლე ქალბატონთან დაბრუნდა და პასუხი მოუტანა.

— მაშ, მიდი და უთხარი, მეახლოს და მომელაპარაკოსო.

მოახლე ფანშთან წავიდა და უთხრა:

— ჩემი ქალბატონი გთხოვს, მოხვიდე და მოელაპარაკო.

— შენს ქალბატონს გადაეცი, თუკი მოლაპარაკება გსურს, თვითონ მეწვია-თქო.

მაშინ სეფექალი თვითონ ეწვია ფანშს.

— ერთი წუთით ჩემს ოთახში წამომყევიო, — უთხრა ქალმა.

ფანში გაჰყვა. შევიდნენ თუ არა ოთახში, ერთმანეთს გადაეხვივნენ და სიხარულით ატირდნენ.

მერე სეფექალმა მოახლეს უბრძანა, კომპის პატრონთან მიდი და უთხარი, ქალბატონი ისევ ავად არის და გთხოვს, ქორწილი ხვალისთვის გადადეო.

მაგრამ თან დაუმატა, რახან ყველა სტუმარი ჩამოვიდა, საქორწილო ლხინი ახლავე გავმართოთო.

ასეც მოიქცნენ. დიდებული ლხინი გამოვიდა. ბოლოს, ყველა რომ გამხიარულდა, თავშესაქცევი ამბების თხრობა დაიწყო. სეფექალსაც სთხოვეს, რამე გვიამბეო. ქალი ადგა და თქვა:

— ოქროს ლამაზგასაღებიანი ერთი პატარა ზარდახმა მქონდა. გასაღები დამეკარგა და ახალი გავაკეთებინე. მაგრამ მერე ძველიც ვიპოვე. ახლა აღარ ვიცი რა ვქნა. გეკითხებით, რომელი გასაღები ავირჩიო ძველი თუ ახალიო?

— მე ძველს ავირჩევდიო, — მიუგო კომპის პატრონმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — უთხრა სეფექალმა. — ახლავე ძველ გასაღებს გიჩვენებთო.

იგი მაგიდიდან ადგა, მეზობელ ოთახში გავიდა, უფლისწულივით გამოწყობილ ფანშს ხელი ჩაჰკიდა და მაშინვე უკან მობრუნდა. მერე კომპის პატრონს და სტუმრებს უთხრა:

— აგერ, ისიც! მე ეს ჭაბუკი თავდაპირველად ავირჩიე და ჩემი ქმარი მხოლოდ ეს იქნებო.

მეორე დღეს ქორწილი გადაიხადეს. ისეთი ქორწილი იყო, სიზმრადაც არ მინახავს. სიმე-პატარმალნი ამ კომპში დარჩნენ, რადგან მისი პატრონი, თითქოს მიწამ პირი უყო, სადღაც გაქრა, არავინ იცოდა, სად გადაიკარგა.

### ორი კუზიანი კაცი და გნომები

იყო ორი კუზიანი კაცი, ორი ამხანაგი — ნონიკი და გაბიკი. ორივეს თერძის ხელობა ჰქონდა და ყოველ დილით სამუშაოს საძებნელად მიდიოდნენ ახლომახლო ფერმებსა და კომპებში: ერთი \_ ერთ მხარეს, მეორე \_ მეორე მხარეს.

ერთ საღამოს ნონიკი სამუშაოდან შინ მარტო ბრუნდებოდა და, ქალაქ პლუარას ახლოს პენანროკის უკაცრიელ ადგილას რომ მივიდა, რაღაც წრიპინი შემოესმა. ვილაცეები წვრილი ხმით მღეროდნენ:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის...

«ნეტა ვინ მღერისო?» — გაიფიქრა მან და მალულად მიუახლოვდა. მშვენიერი მთვარისანი ღამე იყო და ღამის მოცეკვავეები დაინახა — გნომები\* (\* გნომი (გერმ.) — დასავლეთ ევროპულ მითოლოგიაში მახინჯი ქონდრის კაცი, რომელიც იცავს მიწისქვეშა სიმდიდრეს.) იყვნენ. მათ ერთმანეთისთვის ხელეები ჩაეკიდათ, ფერხული ჩაებათ და მღეროდნენ. სიმღერას ერთი იწყებდა:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის.....

დანარჩენები ერთად აჰყვებოდნენ:

ორშაბათი დღე არის,

სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის...

და ასე უსასრულოდ მღეროდნენ. ნონიკს ხშირად სმენია ღამის მოცეკვავეების ამბავი, მაგრამ არასოდეს ენახა. იგი კლდეს ამოეფარა და დაუწყო თვალთვალი. მაგრამ გნომებმა შეამჩნიეს და წრეში შეაგდეს. გნომებმა მის ირგვლივ დაიწყეს ცეკვა-თამაში. თან მღეროდნენ:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის.....

გნომებმა კუზიანს უთხრეს:

— შენც ჩვენთან ერთად იცეკვე და იმღერეო!

ნონიკი მხდალი სულაც არ იყო. იგი ფერხულში ჩაება და მათთან ერთად დაიწყო ცეკვა-თამაში და სიმღერა:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის.....

მაგრამ რა დაინახა, ამ სიტყვების მეტს არაფერს ამბობდნენ, ჰკითხა:

— მერე რა სიტყვებია? თქვენი სიმღერა განა ასეთი მოკლეაო?

— სულ ეს არისო, — მიუგეს გნომებმა.

— როგორ თუ სულ? რატომ არ გააგრძელებთო:

ხუთშაბათი დღე არის,  
პარასკევი დღე არის...

— მართალია, — დაეთანხმნენ გნომები, — მშვენივრად გამოდისო, \_ და სიხარული-საგან ხტუნვა დაიწყეს, თან ამღერდნენ:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის...  
ხუთშაბათი დღე არის,  
პარასკევი დღე არის...

გნომები ეშმაკებივით ტრიალს მოჰყვნენ!

როცა ნონიკს ცეკვისაგან ქანცი გაუწყდა და წასვლა დააპირა, გნომებმა ბჭობა გამართეს:

— ნონიკს რა ვაჩუქოთ, ასეთი კარგი სიმღერა რომ შეგვითხზაო.

— რასაც მოისურვებს: ოქრო-ვერცხლი მივცეთ, ანდა, თუ უნდა, კუზი მოვაშოროთო.

— ოჰ, — შესძახა ნონიკმა, — თუკი ამ ტვირთს მომაშორებთ, ამდენ ხანს თან რომ დავატარებ, ოქროც თქვენი იყოს და ვერცხლიცო!

— კარგი. კუზი მოვაშოროთო!

მართლაც, ზურგი სასწაულმოქმედი მალამოთი დაუზილეს და კუზი გაუქრეს. ნონიკი შინ უტვირთოდ დაბრუნდა — წელში გამართული, ტანადი, ერთი სიტყვით ძალიან ლამაზი.

მეორე დღეს კუზიანმა თანამომემ ნონიკი რომ დაინახა, უცებ ვერც კი იცნო და ძალიან გაუკვირდა.

— როგორ! — შესძახა მან და ნონიკი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. — კუზი რა უყავიო?

— როგორც ხედავ, გაქრაო.

მაშინ ნონიკმა ყველაფერი უამბო.

— ოჰ, მეც წავალ პენანროკში და ღამის მოცეკვავეებს ვნახავ. დღესვე, ამ საღამოსვე ვეახლები!

ასეც მოიქცა.

კლდეებს რომ მიუახლოვდა, გნომები უკვე ცეკვავდნენ და მღეროდნენ. შემოძახილს ერთი იწყებდა:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის...

მერე დანარჩენებიც ჰყვებოდნენ:

ხუთშაბათი დღე არის,  
პარასკევი დღე არის...

უნდა გენახათ, როგორ ტრიალებდნენ, ხტოდნენ, ცმუკავდნენ!..

გაბიკი რომ მიუახლოვდა, გნომებმა უყვირეს:

— მოდი, ჩვენთან ერთად იცეკვეო!

გაბიკი ფერხულში ჩაება და მათსავით აცეკვდა და ამღერდა:

ორშაბათი დღე არის,  
სამშაბათი დღე არის,  
ოთხშაბათი დღე არის...  
ხუთშაბათი დღე არის  
პარასკევი დღე არის...

— მერე რა სიტყვებია? — ჰკითხა მან.

— სულ ეს არის. განა გაგრძელება იციო?

— რა თქმა უნდაო!

— მაშ, თქვი, მალე თქვიო.

გაბიკმა განაგრძო:

შაბათი დღე არის,  
კვირა დღე არის...

— არ ვარგა! რიტმი აღარაა! ამ კაცმა სიმღერა გაგვიფუჭაო, ასეთი კარგი სიმღერა! ამისათვის ჭკუა უნდა ვასწავლოთ. როგორ დავსაჯოთო? — ერთად აყვირდნენ გნომები და გაბიკის ირგვლივ ისე დაიწყეს ფუთფუთი, როგორც ჭიანჭველებმა თავის ბუდეში.

— ნონიკის კუზიც ამას უნდა ავკიდოთო! — ურჩია ერთმა.

— მართალია! ნონიკის კუზიც ამას ავკიდოთო!

თქმა და ქმნა ერთი იყო. უბედური გაბიკი დაბრუნდა შინ დარცხვენილი, მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოკეცილი. ეს ბედი ერგო გაბიკს: მთელი სიცოცხლე საკუთარ კუზთან ერთად ამხანაგის კუზიც ატარა.

## ს ი ძ ე — გ ო მ ბ ე შ ო

იყო ერთი ბერიკაცი. ბერიკაცი ადრე დაქვრივდა და სამი ქალი დარჩა. ერთხელ ერთ-ერთი ქალი ეუბნება:

— მამი, ჭიდან დოქით წყალი მომიტანე, სახლში წვეთი წყალი არ არის, მე კი სადილი უნდა მოვამზადო.

— კარგი, შვილო, — მიუგო ბერიკაცმა.

მამამ დოქი აიღო და ჭაზე წავიდა. როცა წყლის ასაღებად დაიხარა, სახეზე გომბეშო შეახტა და ისე ჩაებლაუჭა, რომ ბერიკაცმა ვერა და ვერ მოიშორა.

— სანამ ერთ-ერთ ქალს ცოლად არ გამატან, ვერ მომიცილებო, — უთხრა გომბეშომ. ბერიკაცმა დოქი ჭასთან დადგა და შინ გაიქცა.

— ო, ღმერთო ჩემო! მამი, რა დაგემართაო? — შესძახეს ქალებმა, ბერიკაცი რომ დაინახეს.

— ვაი, ჩემს თავს, საბრალო შვილებო! წყალს რომ ვიღებდი, საზიზღარი ქმნილება სახეში შემახტა. ახლა ეს ურჩხული მეუბნება, სანამ რომელიმე შენი ქალიდან ცოლობაზე არ დამთანხმდება, არ მოგეშვებო.

— ღმერთო! რას ამბობ, მამი! — უთხრა უფროსმა ქალმა. — გომბეშოს გავყვე? მისი შეხედვაც კი გულს მირევსო.

ქალი შებრუნდა და სახლიდან გავიდა. მეორე ქალიც ასე მოიქცა.

— ჩემი საბრალო მამი, რა ვქნათ? — თქვა ბოლოლა ქალმა. — თანახმა ვარ გომბეშოს ცოლად გავყვე. არ შემიძლია შენს საცოდაობას ვუყურო!

გომბეშო მაშინვე ძირს ჩახტა. ქორწილი მეორე დღისათვის დანიშნეს.

როცა პატარძალი ეკლესიაში გომბეშოსთან ერთად შევიდა, კიურე\* (კიურე — საფრანგეთში, ბელგიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში კათოლიკური ეკლესიის მღვდელი.) ძალიან გაოცდა და თქვა, ქრისტიან ქალს გომბეშოზე ჯვარს ვერაფრით ვერ დავწერო. ბოლოს დაეთანხმა, რადგან პატარძლის მამამ ყველაფერი უამბო და ბლომად ფულიც ჩაუჯიბა.

ჯვრისწერის მერე სიძემ პატარძალი კოშკში წაიყვანა. — თურმე ჩინებული კოშკი ჰქონია. როცა დაწოლის დრო მოვიდა, მან ცოლი საწოლ ოთახში წაიყვანა, იქ სიძემ გომბეშოს ტყავი გაიძრო და პატარძლის წინ ულამაზესი ჭაბუკი მეფისწული წარსდგა. სანამ ცაზე მზე ანათებდა, იგი გომბეშო იყო, როცა ღამე დადგებოდა — მეფისწულად გადაიქცეოდა.

პატარძლის დები ხშირად მიდიოდნენ მის სანახავად და ძალიან უკვირდათ, დას ასეთ მხიარულს რომ ხედავდნენ, — იგი მუდამ იცინოდა და მღეროდა.

აქ რაღაც იმალება, — ფიქრობდნენ ისინი, — თვალყური უნდა ვადევნოთ და გავიგოთ, რა ამბავიაო.

ერთ ღამეს საწოლი ოთახის კართან ჩუმად მიიპარნენ და ჭუჭრუტანაში შეიხედეს. მეტისმეტად გაოცდნენ, როცა გომბეშოს ნაცვლად მშვენიერი ჭაბუკი მეფისწული დაინახეს!

— შეხე, შეხე! რა ლამაზი მეფისწულია!.. ო, ადრე რომ მცოდნოდა... — ამბობდა ორი-ვე.

უცებ ყური მოჰკრეს, მეფისწული ცოლს რომ ეუბნებოდა:

— ხვალ უნდა წავიდე და გომბეშოს ტყავს შინ დავტოვებ, ყურადღებით იყავი, არაფერი დაემართოს. მე ხომ გომბეშოს იერით კიდევ ერთი წელი და ერთი დღე უნდა ვიარო.

«აი თურმე რა ამბავიაო.» — გაიფიქრეს კართან გალურსულმა დებმა.

მეორე დილით მეფისწული წავიდა, ხოლო მისი ცოლისდები კომკს ესტუმრნენ.

— ოჰ, რა ლამაზი ნივთები გაქვს! ეტყობა, ბედნიერად ცხოვრობ შენს გომბეშოსთან ერთადო! — ეუბნებოდნენ ისინი.

— მართალი ხართ, ძვირფასო დებო, მასთან მართლა ბედნიერად ვარო!

— სად წავიდაო?

— შორს წავიდაო.

— რა ლამაზი თმა გაქვს, გინდა დაგვარცხნოთო?

— დამვარცხნეთო.

სანამ ოქროს სავარცხლით თმას უვარცხნიდნენ, უმცროსმა დამ დაიძინა. მაშინ უფროსმა დებმა გასაღები ამოაცალეს, გომბეშოს ტყავი კარადიდან გამოიღეს, ცეცხლში ჩააგდეს და წავიდნენ. ყმაწვილმა ქალმა გაიღვიძა და ძალიან გაუკვირდა, დები რომ ვერ დაინახა. სწორედ ამ დროს ქმარიც დაბრუნდა, სიბრაზისგან სახეზე ალმური ას-დიოდა.

— უჰ, შე წყეულო! — დაიყვირა მან, ხომ აგიკრძალე, გომბეშოს ტყავი რად დამიწვი? ახლა წავალ და ვედარასოდეს მნახავო!

საბრალო ქალმა ტირილით უთხრა:

— სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან თან გამოგყვებიო.

— არა, არ გამომყვე, აქ დარჩიო, — და ვაჟი გაიქცა. ქალი გამოუდგა.

— გეუბნები, აქ დარჩი-მეთქი!

— არ დავრჩები, თან გამოგყვებიო!

ქმარი გარბოდა, ქალი ფეხდაფეხ მისდევდა. მაშინ ქმარმა ოქროს ბურთულა გადაუ-გდო. ქალმა ოქროს ბურთულა აიღო, უბეში შეინახა და ისევ გამოუდგა.

— დაბრუნდი, უკან დაბრუნდიო! — უყვიროდა ქმარი.

— უშენოდ არასგზით არ დავბრუნდებიო.

მაშინ ქმარმა მეორე ბურთულა გადაუგდო. ქალმა ეს ბურთულაც აიღო და უბეში შე-ინახა. ასევე შეინახა მესამე ბურთულაც. რახან ცოლი ქმარს ერთი ნაბიჯით არ შორდე-ბოდა, ქმარი სასტიკად განრისხდა და სახეში გაართყა. ქალს სისხლი წასკდა. სამი წვე-თი ქმარს პერანგზე დაეცა და წითლად დააჩნდა.

— ეგ სამი ლაქა მანამ გაჩნდეს, სანამ პერანგის გასარეცხად მე არ მოვალო, — მიაძახა ცოლმა.

ქალი არაფერს ყურადღებას არ აქცევდა და ქმარს ისევ მისდევდა. მალე დაბურულ ტყეში ამოჰყო თავი და ხეებს შორის ქაშანს გაჰყვა. უცებ ორი ლომი დაინახა, ბილიკის პირზე აქეთ-იქით გაწოლილიყვნენ. ქალი ძალიან შეშინდა.

«ვაი ჩემს თავს! — გაიფიქრა მან. — ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრული. ეს ლომები დამგლეჯენ! მაგრამ სხვა რა ჩარაა, რაც არი, არიო!»

ქალმა გზა განაგრძო. როცა ლომებს შორის გაიარა, გაუკვირდა, რომ ლომები ფერ-ხთით გაუწვნენ და ხელები აულოკეს. ქალმა ლომებს მიუალერსა და ფაფარზე ხელი გადაუსვა. მერე ისევ გაუდგა გზას. იარა, იარა და ბილიკზე ჩაცუცქეებული კურდღელი დაინახა. როცა გვერდით ჩაუარა, კურდღელმა უთხრა:

— ზურგზე შემაჯექი და ტყიდან გაგიყვანო.

ქალი კურდღელს ზურგზე შეაჯდა და კურდღელმა ტყიდან სწრაფად გაიყვანა.

— ახლა კი, კომკთან ახლოს ხარ. კომკში ის ცხოვრობს, ვისაც დაემებო, — უთხრა კურდღელმა გამომშვიდობებისას.

ქალმა ცოტა კიდევ იარა და ერთ დიდ მუხნარს მიადგა. იქვე, შორიახლოს, მრეცხავი ქალები გუბურაში თეთრეულს რეცხავდნენ.

ქალი მრეცხავებს მიუახლოვდა და ერთი ქალის ლაპარაკს ყური მიუგდო:



— სწორედ რომ მოჯადოებული პერანგია! აგერ, უკვე ორი წელიწადია ვცდილობ, სისხლის ეს სამი ლაქა მოვაშორო, მაგრამ არაფერი გამომდის! — ამ სიტყვების გაგონებზე ქალი მრეცხავთან მივიდა და უთხრა:

— ეგ პერანგი აქ მომეცი, მე მგონი, ლაქების ამორეცხვას შევძლებო.

მრეცხავმა პერანგი გაუწოდა. ქალმა სისხლიანი ლაქები დანერწყვა, მერე პერანგი წყალში ჩაალბო და ხელი გაუსვ-გამოუსვა. სამივე ლაქა მაშინვე გაქრა.

— დიდი მადლობა, — უთხრა მრეცხავმა ქალმა. — ჩვენი ბატონი ცოლს ირთავს და ძალიან გაუხარდება, ამ ამბავს რომ გაიგებს, ეს ხომ მისი უსაყვარლესი პერანგიაო.

— მინდოდა თქვენი ბატონის კოშკში რაიმე სამუშაო მეშოვაო.

— ამ დღეებში მწყემსი ქალი წავიდა და მის ადგილზე ჯერ არავინ მიუღიათ. წამომყევი და რაიმეს მოგიგვარებო.

ქალი ცხვრის მწყემსად დააყენეს. იგი ყოველდღიურად კოშკის ირგვლივ ატეხილ ტყეში მიერეკებოდა თავის ფარას. ხშირად ხედავდა საცოლესთან — სეფექალთან მოსეირნე თავის ქმარს. როცა მწყემსი ქალი ქმარს ხედავდა, გული ბაგაბუგს უწყებდა, მაგრამ სიტყვის თქმას ვერ ბედავდა.

მას ქმრის მიერ გადაყრილი ოქროს ბურთულები თან ჰქონდა და თავი რომ გაერთო, ხშირად ათამაშებდა. ერთხელ სეფექალმა ოქროს ბურთულა დაინახა და მოახლეს უთხრა:

— შეხე იმ ქალს, რა ლამაზი ოქროს ბურთულები აქვს! მიდი და სთხოვე, ერთი ბურთულა მომყიდე-თქო.

მოახლე მწყემსთან მივიდა და უთხრა:

— რა ლამაზი ოქროს ბურთულები გაქვს! ერთ ცალს ჩემი ქალბატონისთვის ხომ არ მომყიდო.

— არა, არ ვყიდი. მარტო რომ ვარ ხოლმე, ამ ბურთულებით თავს ვირთობო.

— ბრიყვი ნუ ხარ! შეხე, კაბა როგორ დაგფლეთია, ერთი ბურთულა ჩემს ქალბატონს მიყიდე, ბევრ ფულს მოგცემს და კარგადაც ჩაიცვამო.

— არც ოქრო მინდა და არც ვერცხლიო.

— აბა, რა გინდაო?

— ერთი ღამე თქვენს ბატონთან დამამინეთო!

— შე უსირცხვილო, ასე ლაპარაკს როგორ ბედავო!

— სხვაფრივ ჩემს ბურთულებს არავის მივცემო.

მოახლე ქალბატონთან დაბრუნდა.

— მწყემსმა რა გითხრაო?

— რა მითხრა? მისი ნათქვამის გამეორებას ვერ გავბედავო.

— მალე მითხარიო!

— იმ უსირცხვილომ მითხრა, ბურთულას მოგცემ, თუკი თქვენს ბატონთან ღამეს გამათევიებთო.

— კიდევ რა უნდა! თუმცა რა! მოხდეს, რაც მოსახდენია. ძალიან მინდა, ის ბურთულა მინდა მქონდეს. ვახშობის დროს ჩემს საქმროს ღვინოში ბანგს გავურევ და ისე დავამინებ, რომ იმ ქალს ვერც კი იხილავს. უთხარი, პირობაზე თანახმა არის-თქო, და ბურთულა გამოართვიო.

სალამოს, სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ბატონს ძილი მოერია და მაშინვე საწოლს მიაშურა. მალე მასთან მწყემსი ქალი შეუშვეს. ამაოდ ეუბნებოდა იგი თავის ქმარს საალერსო სიტყვებს, ამაოდ კოცნიდა და მთელი ძალ-ღონით ანჯღრევდა, ქმარი არა და არ იღვიძებდა.

— ვაი ჩემს თავს, — შესძახა საბრალო ქალმა და ატირდა, — მაშ, ტყუილა ვეწამე, ტყუილა ვიტანჯე? მე ხომ ცოლად მაშინ გამოგყევი, გომბეშო რომ იყავი და შენი შემოხედვა არავის უნდოდა! მთელი წელიწადი სიცივესა და ყინვაში, წვიმაში, თოვლსა და

ქარში დაგემებდი და სულით არ ვეცემოდი. ახლა კი, როცა გიპოვე, ჩემი არ გესმის და მკვდარივით გძინავს! ო, რა უბედური ვარო!

აი, ასე მოთქვამდა მწყემსი ქალი, მაგრამ მისი მოთქმა არავის ესმოდა.

მეორე დილით გაირეკა ცხვრები სამოვარზე. ძალზე დაღვრემილი იყო. შუადღემ რომ მოატანა, სეფექალი კვლავინდებურად მოახლესთან ერთად სასეირნოდ გამობრძანდა. მწყემსმა ქალმა ქალბატონი რომ დაინახა, ოქროს ორი ბურთულა ამოიღო და თამაში დაიწყო. სეფექალს მეორე ბურთულაც მოუხდა და მოახლეს უთხრა:

— მიდი და მეორე ბურთულაც იყიდეო.

მოახლე წავიდა. ივაჭრეს და ისევ გუშინდელი პირობით მორიგდნენ. მწყემს ქალს ღამე კომპის პატრონთან უნდა გაეთია.

სეფექალმა წუხანდელივით ვახშმობის დროს საქმროს ღვინოს ბანგი ისევ გაურია. კომპის პატრონი სუფრიდან წამოდგა თუ არა, მაშინვე საწოლს მიაშურა და მკვდარივით დაეძინა. მალე მასთან მწყემსი ქალი შეიყვანეს. ქალმა ისევ დაიწყო ქვითინი და გოდება. ერთმა მსახურმა შემთხვევით გაიარა საწოლ ოთახთან, ტირილს ყური მოჰკრა და შეჩერდა, რა ამბავიაო. ყველაფერი რომ მოისმინა, ძალიან გაუკვირდა და დილით, თავის ბატონს რომ ეახლა, უთხრა:

— ბატონო, შენს კომპში ბევრი რამ ისეთი ხდება, რაც არ იცი, მაგრამ უნდა კი იცოდეო.

— რა ამბავია, მალე მითხარიო!

— ეს რამდენიმე დღეა კომპში ერთი საბრალო ქალი მოვიდა, — შესახედავად უბედური და გაწამებული. ქალი შეებრაღათ და ამ ცოტა ხნის წინათ კომპიდან წასული მწყემსის ადგილზე მიიღეს. ერთხელ სეფექალი მოახლესთან ერთად ტყეში სეირნობდა და დაინახა, რომ მწყემს ქალს ოქროს ბურთულები ამოუღია და თამაშობს. მას ბურთულები მოუხდა და მოახლე გააგზავნა, რაც არ უნდა დაგიფასოს, იყიდეო. მწყემს ქალს არც ოქრო უნდოდა, არც ვერცხლი, მხოლოდ მოითხოვდა, თითოეული ბურთულის საფასურად ღამე თქვენი ბატონის საწოლ ოთახში გამათევინეთო. მან ორი ბურთულა უკვე მისცა შენს საცოლეს და ორი ღამე შენთან დაჰყო. შენ კი ვერაფერი გაიგე. გული დაგეწვება, მის მოთქმა-გოდებას ყური რომ დაუგდო! იმასაც კი ვფიქრობ, ცოტა შერეკილი ხომ არ არის-მეთქი, რადგან ძალიან უცნაურად ლაპარაკობს. მაგალითად, გეუბნება, ცოლად მაშინ გამოგყევი, გომბეშო რომ იყავი, აგერ, უკვე ორი წელია, შენს კვალს დავეძებო.

— ნუთუ მართლაო?

— დიახ, ბატონო. და თუ აქამდე არაფერი იცოდი, იმიტომ რომ, ვახშმობის დროს შენი საცოლე ღვინოში ბანგს გისხამს. შენ კი სუფრიდან ადგები თუ არა, მაშინვე ლოგინს გიშლიან და დილამდე ძილქუში გაწევსო.

— აჰა! მაშ უფრო ფხიზლად უნდა ვიყო და დაინახავ, რა ამბები დატრიალდებაო!

კომპის ყველა მსახურმა რა გაიგო, მწყემსი ღამეს ბატონთან ათევსო, საბრალო ქალი შეიძულეს და აითვალწუნეს. ხოლო მზარეულმა ქალმა ძალიან გამხმარი პურის ქერქების მიცემა დაუწყო.

მეორე დღეს მწყემსმა ისევ გაირეკა ცხვარი და სეფექალმა იმავე ფასად იყიდა მესამე ბურთულა. მწყემსს ღამე ბატონთან უნდა გაეთია.

ვახშმობის დროს ბატონი ფხიზლად იყო და გვერდით მჯდომ თანამესუფრეს რომ ელაპარაკებოდა, დაინახა საცოლემ ღვინოში ბანგი როგორ ჩაუსხა, მან ისეთი გამომეტყველება მიიღო, ვითომ ვერაფერს ვამჩნევო, მაგრამ ღვინო არ დალია, მალულად მაგიდის ქვეშ შეასხა.

მაგიდიდან რომ წამოდგა, ძილი მოიმიზეზა და საწოლ ოთახს მიაშურა. მწყემსი ქალიც მალე მოვიდა. ამჯერად ბატონს არ ეძინა და როგორც კი ქალი დაინახა, გადაეხვია, ორივენი ბედნიერებისა და სიხარულისაგან ტიროდნენ.

— ახლა შინ დაბრუნდი, ჩემო საბრალო ცოლო, — უთხრა მან ბოლოს, — ხვალ კი ნახავ, რა ამბავი დატრიალდებაო.

მეორე დღეს კოშკში დიდი ლხინი გამართეს, სადაც ქორწილის დღე უნდა დაენიშნათ. ნადიმზე იყვნენ მეფეები და დედოფლები, მეფისწულები და სეფექალები, სხვა ვაჟბატონები და ქალბატონები. ლხინი რომ მთავრდებოდა, სასიძო ადგა და მოხუც სასიძამროს უთხრა:

— სასიძამროვ, ერთი რჩევა უნდა გკითხო: ოქროს გასაღებიანი ერთი ლამაზი ზარდახშა მქონდა. გასაღები დამეკარგა და ახალი გავაკეთებინე. მაგრამ ძველი გასაღებიც ვიპოვე და ახლა ერთის ნაცვლად ორი გასაღები მაქვს. შენი აზრით ზარდახშა რომელი გასაღებით უნდა გავაღო?

— მუდამ ძველი უნდა ამჯობინო, — მიუგო სასიძამრომ.

მაშინ ბატონი გვერდით ოთახში გავიდა, მწყემსის ქალს ხელი ჩაჰკიდა და დარბაზში გამოიყვანა. ქალს უბრალოდ, მაგრამ ლამაზად ეცვა.

— აი, ეს არის ჩემი პირველი გასაღები, ანუ ჩემი პირველი ცოლი. ბოლოს და ბოლოს ვიპოვე და ამის გარდა სხვა ცოლი მე არ მინდაო! — უთხრა მან სტუმრებს.

ცოლ-ქმარი თავის ქვეყანაში დაბრუნდა და სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

აი, ასეთი ზღაპარი სიძე-გომბემოზე. ხომ მოგეწონათ?

### ცხრა ძმა — ბატონისა და მათი დის ზღაპარი

იყო დედ-მამით ობოლი ცხრა ძმა და ერთი და. და-ძმები მდიდრები იყვნენ და შუაგულ ტყეში ძველ კოშკში ცხოვრობდნენ. როცა მათი მამა, სენიორი\* (\* სენიორი — შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მსხვილი ფეოდალი, რომელსაც თავის სამფლობელოში მეფის უფლებები ჰქონდა და იქ მცხოვრები სხვა მემამულეები მის ვასალებად ითვლებოდნენ.) მოკვდა, ოჯახის გაძლოლა დამ, სახელად ლევენესმა იკისრა. და ასაკით ყველაზე უფროსი იყო. ძმები რჩევას მას ეკითხებოდნენ და უჯერებდნენ, თითქოს დედა ყოფილიყო. ძმები სანადიროდ ხშირად მეზობელ ტყეში დადიოდნენ, სადაც ბევრი ნადირი იცოდა.

ერთხელ ძმები შველს დაედევნენ და მოულოდნელად ქოხს მიადგნენ. ძმებს ეს ქოხი ადრე არ ენახათ, ძალიან მოუნდათ გაეგოთ შიგ ვინ ცხოვრობდა, წყურვილი მოიმიზეხეს და შევიდნენ. იქ ერთი ბებერი დახვდათ. ბებერს კბილები მკლავის სიგრძე ჰქონდა, ხოლო ენა წელზე ცხრაფად შემოხვეოდა.

ძმებს ძალიან შეეშინდათ და გაქცევა დააპირეს, მაგრამ ბებერმა უთხრა:

— რა გინდათ, შვილებო? ახლოს მოდით. ჩემი ნუ გეშინიათ. ძალიან მიყვარს ბავშვები, განსაკუთრებით თქვენისთანა კარგი და ჭკვიანი ბავშვები.

— გვწყურია, ბები, წყალს ხომ არ დაგვალევინებო? — უთხრა ყველაზე უფროსმა ძმამ გულვენმა.

— კარგით, შვილებო, ანკარა ცივ წყალს დაგალევინებთ, ამ დილით წყაროდან მოვიტანე. მომიახლოვდით-მეთქი, ჩემო პაწიებო.

ბებერმა წყალი ხის ჯამში დაუსხა და სანამ ძმები სვამდნენ, თავის გრძელ ხელებს თავზე უსვამდა და თითებით ოქროსფერ ხუჭუჭა თმებს უვარცხნიდა. ბავშვებმა წასვლა რომ დააპირეს, ბებერმა უთხრა:

— ახლა, შვილებო, მცირედი სამსახურისათვის გასამრჯელო უნდა მომცეთო.

— ფული თან არ გვაქვს, ბები, — მიუგეს ბავშვებმა, — მაგრამ დას გამოვართმევთ, რამდენიც საჭიროა, და ხვალ მოვართმევთო.

— ო, ფული არ მინდა, ბავშვებო, მსურს, რომ რომელიმე თქვენგანმა, თუნდაც ყველაზე უფროსმა, — დანარჩენები მეტისმეტად პატარები ხართ, — ცოლად შემირთოსო. — მერე გულვენს მიუბრუნდა და ჰკითხა: — გულვენ, ცოლად თუ შემირთავო?

საბრალო ბიჭმა არ იცოდა ამ ახირებულ კითხვაზე რა პასუხი მიეცა.

— აბა მიპასუხე! გსურს შენი საყვარელი ცოლიკო გავხდე? — ერთხელ კიდევ ჰკითხა საზარელმა ბებერმა და აკოცა.

— არ ვიცი, — მიუგო სახტად დარჩენილმა გულვენმა, — დას შევეკითხებიო!

— კარგი! ხვალ დილით პასუხისთვის კოშკში თავად მოვალ.

საბრალო ბავშვები შინ დაღვრემილები, შიშისაგან აცახცახებულები დაბრუნდნენ და დას ყველაფერი უამბეს.

— ნუთუ, დაო, ის საზარელი ბებერი ცოლად უნდა შევირთო? — ტირილით ჰკითხა გულვენმა.

— არა, ძმაო, იმ ბებერს ცოლად არ შეირთავ, — მიუგო ლევენესმა. — ვიცი, მისგან ბევრი ტანჯვა გველის, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ყველაფერს ავიტანთ და მარტო არ მიგატოვებთო.

მეორე დღეს კუდიანი დედაკაცი, პირობისამებრ, კოშკში მივიდა. მან ლევენესი და მისი ძმები ბაღში იპოვა.

— ალბათ იცი, რატომაც მოვედიო, — უთხრა ბებერმა.

— ჰო, ძმამ ყველაფერი მიაშობო, — მიუგო ქალმა.

— მერედა, თანახმა ხარ, შენი რძალი გავხდეო?

— არა, ეს შეუძლებელიაო.

— როგორ თუ შეუძლებელია? განა არ იცი, ვინა ვარ და რა ძალა მაქვსო?

— ვიცი, რომ ჩემთვის და ჩემი ძმებისთვის დიდი ვნების მოტანა შეგიძლია, მაგრამ ვერ მაიძულებ თანხმობა მოგცეო.

— კარგად დაფიქრდი და, სანამ გვიანი არაა, შენს უგუნურ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღე, თორემ ვაი შენ და შენს ძმებსო! — გააფთრებით შესძახა კუდიანმა და თვალები დაკვესა.

ცხრა ძმა შეძრწუნდა, მაგრამ ლევენესმა მშვიდად და მტკიცედ მიუგო:

— მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და რაც ვთქვი, იმას არ გადავთქვამო.

მაშინ განრისხებულმა ბებერმა ჯოხი კოშკისკენ გაიშვირა, წყევლა წაიბურტყუნა და კოშკი საზარელი გრუხუნით დაინგრა. ქვა ქვაზე არ დარჩენილა. მერე ბებერმა ჯადოსნური ჯოხი ცხრა ძმას მიუშვირა, რომლებიც ცდილობდნენ დას ამოფარებოდნენ, წყევლა წაიბურტყუნა და ცხრავე ძმა თეთრ ბატკნებად გადააქცია. ბოლოს ლევენესს უთხრა:

— ახლა შეგიძლია შენი ბატკნები ვერან ადგილას მწყემსო, ოღონდ იცოდე, არავის უთხრა ბატკნები ჩემი ძმები არიანო, თორემ შენც ეგ დღე დაგადგებაო.

ბებერი ბოროტი ხარხარით გაეცალა იქაურობას.

კოშკის გარშემო გაშენებული მშვენიერი ბაღები, მის მეზობლად ატეხილი გაუვალი ტყე თვალის დახამხამებაში ვრცელ, უსიცოცხლო, უნაყოფო ადგილად გადაიქცა.

თავის ცხრა თეთრ ბატკანთან ასე მარტოდმარტო დარჩენილი საბრალო ლევენესი მწყემსავდა მათ და წამით თვალს არ აშორებდა. იგი ამ ვერან ადგილას მათთვის წვნიან ბალახს დაემებდა, ხელით აჭმევდა, ეთამაშებოდა, მატყლს უვარცხნიდა, ელაპარაკებოდა, თითქოს ბატკნებს შეეძლოთ გაეგოთ მისი სიტყვები. ბატკნები კი თითქოს მართლაც იგებდნენ მის ნათქვამს. ერთი ბატკანი სხვებისაგან გამოირჩეოდა სიმადლით. — ეს გულვენი იყო, უფროსი ძმა.

ლევენესმა ქვის, გორიხის, ხავსის და თივისაგან კარვის მაგვარი სახიზავი ააგო, სადაც ღამით და ავდარში თავის ბატკნებიანად თავს აფარებდა. დარში კი მათთან ერთად დანავარდობდა მზეზე, უმღეროდა ან ლოცვანს უკითხავდა, ისინი კი მის ირგვლივ მოგროვდებოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ. ლევენესს საუცხოო წკრიალა ხმა ჰქონდა.

ერთხელ ერთი ჭაბუკი სენიორი ამ მხარეში ნადირობდა. უცებ უკაცრიელ ადგილას საუცხოო სიმღერა შემოესმა და გაოცდა.

ჭაბუკი შეჩერდა, მიაყურა და იმ მხარეს წავიდა, საიდანაც სიმღერის ხმა მოდიოდა. მალე ლამაზი ქალი დაინახა. ქალს თან ცხრა ბატკანი ჰყავდა. ბატკნებს, როგორც ეტყობოდა, ძალიან უყვარდათ თავისი პატრონი. ვაჟი ქალს გამოელაპარაკა და მისი სიმშვიდით, ჭკუითა და სილამაზით ისე მოიხიბლა, გადაწყვიტა, ქალიცა და ბატკნებიც კომპლში წაეყვანა. ქალმა უარი უთხრა. ახალგაზრდა სენიორს ქალზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და ყოველდღე ნადირობის საბაბით ამ ვერან ადგილს მოაკითხავდა, რომ ქალი ენახა და მასთან ესაუბრა. ბოლოს და ბოლოს სენიორმა ქალი თავის კომპლში გადაიყვანა და ცოლად შეირთო. გადაიხადეს დიდი ქორწილი.

ბატკნები კომპლთან ახლოს გაშენებულ ბაღში ჰყავდათ. ლევენესი თითქმის მთელ დღეს მათთან ატარებდა, ეთამაშებოდა, ეფერებოდა. ყვავილწნულით რთავდა, ხოლო ისინი თითქოს მადლობას უხდიდნენ ამ მზრუნველობისათვის. ლევენესის ქმარს უკვირდა ბატკნების ასეთი გონიერება და თავის თავს ხშირად ეკითხებოდა, ნეტა მართლა ჩვეულებრივი ბატკნები არიან თუ არაო.

ლევენესი დაორსულდა. ერთ-ერთი მისი მოახლე კომპლში მომუშავე მეზალის სატრფო იყო. იმ დროს ისიც ორსულად იყო, მაგრამ მისმა ქალბატონმა არაფერი იცოდა. მან არც ის იცოდა, რომ მოახლე იმ დედაბრის შვილი იყო, ლევენესის ძმები ბატკნებად რომ გადააქცია.

ერთხელ, ლევენესს მოუნდა ჭაში ჩახედვა და გვიმზე გადაწვა. მოახლემ ფეხებში ხელი სტაცა და ჭაში ჩააგდო. მერე ქალბატონის საწოლ ოთახში გაიქცა, ფანჯრის ფარდები და საწოლის მიჩიგდანი ჩამოუშვა, ქალბატონის ლოგინში ჩაწვა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, ვითომც შეუძლოდ იყო და სადაცაა იმშობიარებდა.

იმხანად სენიორი შინ არ იყო. კომპლში რომ დაბრუნდა და ბაღში ბატკნებთან ცოლი ვერ დაინახა, მაშინვე საწოლ ოთახს მიაშურა.

— ჩემო საუნჯევ, რა მოგივიდაო? — ჰკითხა მან, რადგან მწოლიარე თავისი ცოლი ეგონა.

— ძალიან ავადა ვარო, — მიუგო კუდიანის შვილმა.

სენიორმა მიჩიგდანის ახდა დააპირა, მაგრამ ქალმა უთხრა:

— გთხოვ, მიჩიგდანი არ ახადო, შუქს ვეღარ ვუძლებო.

— მარტო რატომ ხარ? მოახლე სად არისო?

— არ ვიცი. მთელი დღე თვალთ არ მინახავსო.

სენიორი მოახლის სამეზნელად გავიდა, მაგრამ ვერც კომპლში იპოვა და ვერც ბაღში. იგი ცოლთან დაბრუნდა და უთხრა:

— არ ვიცი მოახლე რა იქნა, ვერსად ვიპოვე. რამე ხომ არ გინდა. იქნებ გშიაო?

— ო, ძალიან მშიაო!

— რა მოგიტანო?

— იმ დიდი თეთრი ბატკნის ხორცი მინდა, ბაღში რომ მოვსო.

— საოცარი სურვილია! შენი ბატკნები ხომ ძალიან გიყვარდა, იმ დიდს კი ყველაზე მეტად ეფოფინებოდიო!

— მხოლოდ ეს შეამსუბუქებს ენითგამოუთქმელ ჩემს ტანჯვას! ოღონდ ფრთხილად, არ შეგეშალოს. მხოლოდ დიდი თეთრი ბატკნის ხორცი მომარჩენსო.

სენიორი ბაღში ჩავიდა, მეზალეს უბრძანა, დიდი თეთრი ბატკანი დაიჭირე, სასწრაფოდ დაკალი და შამფურზე შეწვიო.

მეზალეს და მოახლეს პირი ჰქონდა შეკრული და მეზალე მაშინვე თეთრ ცხვარს დაედევნა. მაგრამ ბატკანი საცოდავად ბლაოდა და ისე მარდად დარბოდა ჭის გარშემო, რომ მისი დაჭერა შეუძლებელი გახდა.

სენიორი ჭასთან მივიდა, რომ მეზალეს მიშველებოდა. უცებ ჭიდან ოხვრის ხმა შემოესმა, რამაც ძალიან გააკვირვა.

სენიორი გვიმს გადააწვა და ჩასძახა:

— მანდ ვინ არის? ნუთუ ჭაში ვინმეაო?

მისთვის კარგად ნაცნობმა ხმამ შესაბრალოსად მიუგო:

— შენი ცოლი ლევენესი ვარო.

სენიორმა ლევენესს სიტყვა აღარ გაამეორებინა, მაშინვე ჭაში ბადია ჩაუშვა და ცოლი ამოიყვანა. საბრალო ლევენესს ისე შეშინებოდა, რომ იქვე იმშობიარა და დღესავით პირმშვენიერი ვაჟი შეეძინა. — ბავშვი ახლავე უნდა მოვნათლოთ, — უთხრა მან ქმარს. — ქალი ნათლია ვინ იქნება, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ მინდა კაცი ნათლია ჩემი თეთრი ბატკანი იყოსო.

— როგორ! შენ გინდა, რომ ნათლია ცხვარი იყოსო?

— გიმეორებ, ასე მსურს. დამიჯერე და ნურაფერზე ინაღვლებო.

ახალგაზრდა დედისთვის გული რომ არ ეტკინა და მისი ჯანმრთელობა არ შეერყია, ლევენესის ქმარი თუმცა უხალისოდ, მაინც დაეთანხმა, ვაჟის ნათლია თეთრი დიდი ბატკანი ყოფილიყო.

წავიდნენ ეკლესიაში. ყველაზე წინ, ახალშობილის მამისა და ახალგაზრდა, მშვენიერი ქალი ნათლის გვერდით ამაყად მიაბიჯებდა თეთრი ბატკანი. მას რვა ძმა მიჰყვებოდა.

სოფლის მცხოვრებლების გასაკვირად მთელი ეს ასაბია ეკლესიაში შევიდა. სენიორმა მღვდელს ბავშვი გადასცა. მან ქალ ნათლიას შეხედა, მაგრამ მის გვერდით ვერავინ რომ ვერ დაინახა, იკითხა:

— კაცი ნათლია სადღააო?

— აგერაა, — მიუგო სენიორმა და თეთრი ბატკანი დაანახვა.

— როგორ! ნათლია ბატკანი იქნებაო?

— ჰო, ბატკანი იქნება, მაგრამ ეს ამბავი ნუ გაფიქრებს. მონათლე, ნურაფრისა გეშინიაო.

მღვდელი დამორჩილდა და ბავშვის მოსანათლად მოემზადა. ბატკანი უკანა ფეხებზე შედგა, ნათლიამის დახმარებით ბავშვი ფრთხილად აიყვანა. ბავშვი მონათლეს, — ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

როგორც კი ასაბია ეკლესიიდან გამოვიდა, თეთრი ბატკანი და მისი ძმები მშვენიერ ჭაბუკებად გადაიქცნენ. თეთრი ბატკანი ხომ უფროსი ძმა, გულვენი, იყო. მან ხალხს უამბო ერთმა კუდიანმა ბებერმა ის და მისი ძმები ბატკნებად როგორ გადააქცია იმის გამო, რომ ბებერი ცოლად არ შეირთო. ჩემს დას, ახალშობილის დედას, — ამბობდა გულვენი, — რომელმაც ბატკნებად ძმების გადაქცევა თავისი თვალთ ნახა, არ შეეძლო ეს ამბავი გაემხილა, რადგან მაშინ მასაც ძმების ბედი ელოდა. მაგრამ ახლა ჯადო ახსნილია და კუდიან ბებერს ჩვენზე ძალა აღარა აქვსო.

მერე გულვენმა თქვა, როგორ უნდოდა ბებერის ასულს, ლევენესის მოახლეს, თავისი ქალბატონი მოეკლა.

ასაბია კოშკში დაბრუნდა. სენიორმა გადაწყვიტა, ყველა დამსახურებისდა მიხედვით დაეჯილდოვებინა. მან ბრძანა, უღრან ტყეში წასულიყვნენ და კუდიანი ბებერი მოენახათ: იგი კოშკში მოიყვანეს. ის, მისი ასული და მეზაღე სასტიკად აწამეს: ოთხივეს შაყა ჰკრეს — ხელ-ფეხი და თავი მოჰკვეთეს, ხოლო მათი გვამი კოცონზე დაწვეს.

დაიწყეს გულვენმა და ლევენესმა ბედნიერად ცხოვრება. ამბობენ, თითოეულ მათგანს აურაცხელი შვილი ჰყავდაო.

## ღამის მოცეკვავეები

ჩინებულ კოშკში ერთი მდიდარი ქალი ცხოვრობდა. ამ ქალს ორი გოგო ჰყავდა, ერთი ალალი შვილი, მეორე — გერი. ალალი შვილს კატო ერქვა. იგი უგვანო, ფეთხუმი და ავი იყო. გერს კი ჟანას ეძახდნენ. ჟანა ლამაზი, ალერსიანი, კეთილი და გონიერი ქალი იყო.

მდიდარ ქალს მხოლოდ ალალი შვილი უყვარდა და ყველაფერს აძლევდა, რასაც კი მოისურვებდა: კობტა კაბას, ოქრო-ვერცხლსა და თვალ-მარგალიტს, ხოლო გერი ეჯავრებოდა, მონძებს აცმევდა და ისე ექცეოდა, როგორც მოახლეს.

კომკის მახლობლად ტყეში ძველი სამლოცველო იდგა, რომელსაც, გადმოცემით, ყოველ ღამე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი მღვდელი ეწვეოდა, მას უნდოდა წირვა გადაეხადა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან დიაკვანი არ ჰყავდა.

იმასაც ამბობდნენ, შუალამით სამლოცველოში შუქი ანთია და მოჩვენებები დადიანო.

სამლოცველოში რომ მისულიყავი, გზაჯვარედინი უნდა გაგველო, სადაც, ხალხის თქმით, ღამის მოცეკვავეები ცეკვა-თამაშს აჩალებდნენ. მზე ჩავიდოდა თუ არა, ამ ადგილებს არავინ ეკარებოდა.

ავი დედინაცვალი სულ იმის ფიქრში იყო, გერი თავიდან როგორ მოვიშორო, — ამას თუ მოახერხებდა, ქმრის ქონება კატოს დარჩებოდა და არა ჟანას.

ერთხელ, დეკემბრის საღამოს, დედინაცვალი კერიასთან იჯდა და მსახურებს ყურს უგდებდა. ისინი მღეროდნენ ძველებურ, მამაპაპისეულ სიმღერას და ჰყვებოდნენ ერთიმეორეზე კარგ ზღაპრებს. როცა საღამოს ლოცვანის კითხვის დრო მოვიდა, დედინაცვალი წამოხტა:

— აჰ, რა საწყენია, სამლოცველოში ლოცვანი დამრჩა. ჟანა, წადი, ჩქარა მომიტანეო!

— კარგი, დედი, მოგიტანო, — მიუგო საბრალო ქალმა.

მაგრამ წასვლის ძალიან ეშინოდა და ერთ მოახლეს უთხრა:

— მარგარიტა, წამომყევით.

— არა, არა, მარტო წადი, — უთხრა დედინაცვალმა. — ხომ არ გეშინია? აბა ამხელა ქალს როგორ უნდა შეგეშინდეს! გასწიო!

სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა წასულიყო. ჟანას ერთი ძალი ჰყავდა. — ფიდელი\* (\* ფიდელი — ერთგული). სადაც წავიდოდა, ყველგან თან დაჰყვებოდა. ახლაც დააპირა გადავენებოდა, მაგრამ კატომ წიხლი ჰკრა და კარი ჩაუკეტა.

ფიდელი ფანჯარაზე ახტა, მინა ჩაამსხვრია და თავის დიასახლისს გამოუდგა. ჟანამ ძალი რომ დაინახა, ცოტა გული მოეცა, ზურგზე ხელი გადაუსვა და უთხრა, ნუ ჩამომრჩებიო.

მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო. გზაჯვარედინზე რომ მივიდა, ქალმა ფართოშლაპიანი შვიდი ჯუჯა — შვიდი ქონდრისკაცი დაინახა. ქონდრისკაცებს ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდათ და ცეკვავდნენ, თან მღეროდნენ. ქალი შედგა და წასვლას ვეღარ ბედავდა. ერთ-ერთი მოცეკვავე გვერდზე გადასა, დანარჩენებმა ქალთან მიიბრინეს, ხელი ჩაჰკიდეს და ფერხულში ჩააბეს.

— იცეკვე, ჩვენთან ერთად, ლამაზო, იცეკვეო! — ყვიროდნენ ისინი.

— სიამოვნებით, ბატონებო, თუკი ჩემი ცეკვა სიხარულს მოგგვრითო, — თავაზიანად მიუგო ჟანამ.

და ისიც აცეკვდა. ცეკვა-სიმღერა გრძელდებოდა. ქონდრისკაცები ცდილობდნენ უკეთ ემღერათ და ეცეკვათ.

უცებ იმ ქონდრისკაცმა, ჟანასთვის მარჯვენა ხელი რომ ჩაეკიდა, შესძახა:

— ოჰ, რა კარგი, რა მშვენიერი ქალიაო!

— უფრო კარგი და მშვენიერი გახდესო, — მიუგო იმან, ჟანასათვის მარცხენა ხელი რომ ჰქონდა ჩაკიდებული.

— ოჰ, რა გონიერი ქალიაო! — თქვა მესამემ.

— უფრო გონიერი გახდესო! — ისურვა მეოთხემ.

— ოჰ, რა ლამაზი ქალიაო! — თქვა მეხუთემ.

— უფრო ლამაზი გახდესო! — ისურვა მეექვსემ.

— შუქურ-ვარსკვლავს ჰგავსო! — დაუმატა მეშვიდემ. იგი არ ცეკვავდა.

მერე ქონდრისკაცებმა რიგრიგობით აკოცეს ქალს და გაქრნენ. მარტო მეშვიდეს არ უკოცნია.

ჟანა სამლოცველოში მივიდა, მაგრამ იქ რაიმე საშინელი, ანდა უჩვეულო არც უნახავს და არც მოუსმენია. დედინაცვლის ლოცვანი მერხზე იდო. გერმა ლოცვანი აიღო და უკან გამობრუნდა.

ჟანა ადრეც ლამაზი იყო, მაგრამ ახლა უფრო გალამაზდა. მთელ არემარეს შუქი მოჰფინა და გზა მაისის მზესავით გაანათა.

— დედი, აი, შენი ლოცვანო, — უთხრა დედინაცვალს და ლოცვანი გაუწოდა.

დედინაცვალი გერს შეჰყურებდა. გაკვირვებისაგან დამუნჯებულიყო, პირი დაეღო, თვალები გადმოეკარკლა, მის სილამაზეს დაებრმავებინა. ბოლოს, გონი რომ მოიკრიბა, ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ასე რამ შეგცვალაო?

— არაფერიც არ მომსვლიაო, — მიუგო ჟანამ. მან არ იცოდა, რას ეკითხებოდა დედინაცვალი.

— გზაჯვარედინზე ღამის მოცეკვავეები ხომ არ შეგხვედრიაო?

— ჰო, დედი, შემხვდნენ და კიდეც ვიცეკვეო.

— მერედა, ვნება არ მოუყენებიათო?

— არა, ძალიან თავაზიანად მომექცნენო.

— მართლა? სამლოცველოში რა ნახეო?

— უჩვეულო არაფერი შემიმჩნევიაო.

— მართლა? მაშ, კარგი! დაწექიო!

დედინაცვალმა მთელი ღამე გერზე ფიქრში გაატარა.

— ალბათ ღამის მოცეკვავეებმა გაალამაზეს, — იმეორებდა თავისთვის. — ხვალ სეირნობის დროს სამლოცველოში შევივლი და ლოცვანს ისევ დავტოვებ, ხოლო საღამოს მის მოსატანად ჩემს შვილს გავგზავნი. ვნახოთ, რა გამოვაო.

მეორე დღეს თავის ასულს უთხრა, თუ ამაღამ ძველ სამლოცველოში წახვალ და ჩემს ლოცვანს წამოიღებ, ჟანასავით ლამაზი, მასზე უფრო ლამაზიც კი იქნებო.

კატოს წასვლა მაინცდამაინც არ უნდოდა — იგი მხდალი და მშიშარა იყო. მაგრამ ბოლოს იმაზე დახარბებულმა, ჟანაზე ლამაზი ვიქნებო, გადაწყვიტა წასულიყო.

საათმა თერთმეტი რომ ჩამოჰკრა, დედამ თავის ასულს უთხრა:

— შვილო, დროა წახვიდე! გასწი და ნურაფრისა შეგეშინდება — ცუდი არაფერი შეგემთხვევაო.

კატოს ძალიან ეშინოდა, მაგრამ ერთი სული ჰქონდა, ლამაზი ყოფილიყო.

— ფიდელ, წამო ჩემთან, — უთხრა მან და დის ძაღლს ძახილი დაუწყო, მაგრამ ძაღლი ჟანას აეკრა. კატომ მას წიხლი ჰკრა და უყვირა:

— კარგი, შე ბილწო! უშენოდ როგორმე იოლად წავალო! — და გზას გაუდგა.

გზაჯვარედინზე რომ მივიდა, ქონდრისკაცები დაინახა. მათ ფერხული ჩაებათ და მღეროდნენ. კატო გაჩერდა და ყურება დაუწყო. ქონდრისკაცები მიუახლოვდნენ და ჰკითხეს:

— ქალბატონო, ჩვენთან ხომ არ იცეკვებო?

— უჰ, თქვე ჩონჩორიკებო, აბა თქვენისთანა ბინძურ ქმნილებებთან ცეკვას ვიკადრებ? ფუ!

— ოჰ, რა უგვანი ქალიაო! — თქვა ერთ-ერთმა ქონდრისკაცმა.

— უფრო უგვანი გახდესო! — უთხრა მეორემ.

— ოჰ, რა უგუნური ქალიაო! — თქვა მესამემ.

— უფრო უგუნური გახდესო! — ისურვა მეოთხემ.

— ოჰ, რა ავი ქალიაო! — თქვა მეხუთემ.

— უფრო ავი გახდესო! — თქვა მეექვსემ.



— და თითოეულ სიტყვაზე პირიდან ჩონჩორიკი გადმოყაროსო! — დაუმატა მეშვიდედემ.

და ქონდრისკაცები გაქრნენ.

ჩვენი «ლამაზი» კატო სამლოცველოში აღარ წასულა, შინ დაბრუნდა.

შვილი რომ დაინახა, დედამ იყვირა:

— ღმერთო ჩემო! რა მოგვლია, ჩემო საბრალო შვილო, ლოცვანი არ მომიტანეო?

— როგორც ხედავ, არა! თუ გინდა, თავად მოიტანეო! — და გოგოს პირიდან ჩონჩორიკი გადმოსცვივდა.

— ეს რა ამბავია? ღამის მოცეკვავეები არ შეგხვედრიაო?

— როგორ არა! ის ბილწი ქმნილებები დავინახეო. — და ისევ გადმოსცვივდა ჩონჩორიკი.

კატო ყარდა, სახით შხამიან გომბეშოს დამსგავსებოდა, იფიქრებდით, სადაცაა, გასკდებო. კატო ადრეც ბრიყვი იყო, მაგრამ ახლა მთლად გამოსულელდა და ცოფიანი ძალივით გაავდა.

დედამ შვილი ოთახში დაამწყვდია, სადაც ვერავინ ნახავდა და დაიფიცა, გერს სამაგიეროს გადავუხდით.

მალე ჟანას სილამაზის და გონიერების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. მდიდარმა და დიდგვაროვანმა ხალხმა ყველა კუთხიდან დაიწყო დენა. მათ უნდოდათ ჟანა გაეცნოთ და ცოლად შეერთოთ. მაგრამ დედინაცვალმა ყველას უარით ისტუმრებდა.

ერთხელ ახალგაზრდა უფლისწული მოვიდა. ქალის სილამაზემ და კეთილმა ზნემ ისე მოხიბლა, რომ მაშინვე ცოლობა სთხოვა. მაგრამ ავმა დედინაცვალმა გადაწყვიტა, ერთი ოინი ექნა: გერი თავისი ასულით შეეცვალა. მან უფლისწულს უთხრა, შენი სიძეობა ჩემთვის დიდი პატივია და მე და ჩემი ქალი შენს წინადადებას სიხარულით ვიღებთო.

მაშინვე გამართეს ნიშნობა და ქორწილის დღე დათქვეს. უფლისწულმა საცოლეს ბეჭდები, ზურმუხტები, ოქრო-ვერცხლის სამკაულები გამოუგზავნა.

ქორწილის დღე რომ დადგა, უფლისწული დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამალით მობრძანდა.

დედინაცვალმა უფლისწულის ნაჩუქარი ძვირფასეულობით მორთო თავისი ასული, ხოლო საბრალო გერი ვეება სკივრში ჩაკეტა, რომ არავის დაენახა.

ჭაბუკი უფლისწული ოქროთი მოვარაყებულ დიდებულ ეტლში იჯდა.

ეკლესიაში წასვლა რომ დააპირეს, ავმა დედინაცვალმა თავის ასულს საბურველი შემოახვია და ეტლში გვერდით მიუჯდა. ეტლის კარი რომ მიიხურა, სამივენი სიბნელებში აღმოჩნდნენ. იმის საბაბით, პატარძალი აღელვებულიაო, დედინაცვალმა უფლისწულს აუკრძალა: სანამ ჯვრისწერა არ დამთავრდება, არამც და არამც არ დაელაპარაკო.

ეტლი დაიძრა. ძალლი ფიდელი ეტლს გამოუდგა. გარბოდა და იქაურობას ყეფით იკლებდა: «ჰამ! ჰამ! ჰამ! — ეს სხვაა, სხვაა, სხვაო!

— ძალლი ასე რატომ ყეფსო? — იკითხა უფლისწულმა.

— ბრიყვია, — მიუგო კატოს დედამ. — ამ ბილწ ქოფაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. მასაც ეტლში ჯდომა მოუნდა. მაგრამ რომ ჩავსვათ, ყველას დაგვსვრისო.

როცა კოშკის მახლობელ ტყეში შევიდნენ, ეტლზე ჩიტი შემოჯდა და ჩიტის ენით თქვა:

ვაჰ, პატარძალსა, ვისაც სასახლე  
და მეფის კოშკი ჰმართებს რჩეული,  
დედინაცვალმა დაუგო მახე,  
სკივრში ჰყავს ახლა გამომწყვდეული.

ის აფთარი კი, ვინც გაშმაგებით  
დედოფალის ტახტს ეპოტინება,  
სიძევ, ახლავე იფრინე კეტით,  
გვირგვინის დადგმის არ მისცე ნება.

— ეს ჩიტი რას მღერისო? — გაკვირვებით იკითხა უფლისწულმა.

— არაფერს, ჩემო სიძევ, — მიუგო კატოს დედამ. — ყურადღების მიქცევა არა ღისო.

— ჩანს აქ რაღაც უჩვეულო ხდება! უნდა გავიგო, რა ამბავიაო.

ჩიტი ისევ ამღერდა. მაშინ უფლისწულმა მეეტლეს უბრძანა, ცხენები გააჩერეო, და ეტლიდან ჩამოვიდა. მან კარი გააღო და პატარაძალს საბურველი ახადა. როცა დაინახა, რა ურჩხულზეც უნდა დაეწერა ჯვარი, შეძრწუნებულმა იყვირა:

— გამეცალეთ, თქვე ბილწო ხვადაგებო! გველებო და გომბეშოებო! ეტლიდან მალე გამოძვერით და თვალით არ დამენახოთო!

უფლისწულმა კატო და დედამისი შუა გზაზე დატოვა და თავის ამალიანად უკან გაქუსლა.

კოშკში რომ დაბრუნდა, უფლისწულმა ყველა ოთახი შემოირბინა.

— ჟანა, ჩემო კარგო, სადა ხარო? — ყვიროდა იგი.

— აქა ვარო! — მიუგო ჟანამ სკივრიდან.

უფლისწულმა ცულის ხელი დასტაცა, სკივრი დალეწა და ჟანა ამოიყვანა. ტანსაც-  
მლის გამოცვლა აღარც კი აცალა, თავის მოოქრულ ეტლში ჩასვა, ეკლესიაში წაიყვანა  
და ჯვარი დაიწერა. ძალღმად ფიდელმა, არასოდეს მართო რომ არ ტოვებდა თავის პატ-  
რონს, საკურთხევლამდე მიაცილა იგი.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, მაყრიონმა კატოს და დედამისს ჩაუქროლეს, ისინი ტა-  
ლახში მილოღავდნენ და სიბრაზისაგან ტიროდნენ.

გადაიხადეს დიდი ქორწილი. დაიწყო ცოლ-ქმარმა ბედნიერად ცხოვრება. შვილები  
უთვალავი ეყოლათ.

### მორგანები კუნძულ უესანზე

ძველად, ძალიან ძველად, იქნებ იმ დროს, წმინდა პავლე იბერიიდან ჩვენს  
კუნძულზე რომ მოვიდა, უესანზე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ერთი ლამაზი ქალი  
ცხოვრობდა.

ქალს მონა კერბილს ეძახდნენ. მონა ისეთი მშვენიერი იყო, რომ ვინც კი ნახავდა,  
დედამისს აღტაცებით ეუბნებოდა:

— ჟანა, ლამაზი ქალი გყავს. მორგანივით\* (\* მორგანი — კელტური ლეგენდებისა და  
თქმულებების ზღაპრული პერსონაჟი. გადმოცემით მორგანები ცხოვრობდნენ ზღვის  
ფსკერზე ბროლის კოშკში.) კარგია, ასეთი ლამაზი ქალი ჩვენს კუნძულზე არავის უნა-  
ხავს. შეიძლება იფიქრო, რომელიმე მორგანის ასულიაო.

— ასე ნუ მეუბნებით, — ეტყოდა მონას კეთილი დედა. — ღმერთმა ხომ იცის, მისი  
მამა ჩემი ქმარი ფანშ კერბილია. ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ მე დედა-  
მისი ვარო.

მონას მამა მეთევზე იყო და თითქმის მთელ დროს ზღვაზე ატარებდა. დედა ქობის  
ახლოს ნაბდის გაშლა მიწას ამუშავებდა, ავდარში კი სელს ართავდა. მონა სხვა ქალებ-  
თან ერთად ზღვის სანაპიროზე მიდიოდა და ნიჟარებს აგროვებდა, რითაც მთელ  
ოჯახს გაჰქონდა თავი.

შესაძლებელია მორგანებმა — მაშინ ისინი ბევრნი იყვნენ კუნძულზე — შეამჩნიეს  
მონა და ადამიანებივით მოიხიბლნენ მისი სილამაზით.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, მონა მეგობრებთან ერთად ზღვის პირას იჯდა. ქალწულებმა თავიანთ საქმროებზე ჩამოაგდეს სიტყვა. ყველა თავის საქმროს აქებდა — კარგი მებადურიაო, კარგად შეუძლია წყალქვეშა ქვებს შორის ნავის გაყვანაო.

— შენ კი, მონა, ტყუილად უბზუებ ცხვირს ერვონ კერდიუდელს, — უთხრა ფანშ კერბილის ქალს მარგარიტა არფურმა. იგი მშვენიერი ჭაბუკია, არ სვამს, ამხანაგებთან არასოდეს ჩხუბობს, მასზე უკეთ ვერავინ გაიყვანს ნავს სახიფათო ადგილებში.

— ერთი შენც! — მიუგო მონამ ათვალწუნებით (ამდენი ქების მერე პატივმოყვარე და ყოყოჩა გახდა). — მეთევზის ცოლი არასოდეს ვიქნები! მე მორგანივით ლამაზი ვარ და მხოლოდ უფლისწულს ანდა, რომელიმე დიდებულის მდიდარ და ძლიერ ვაჟს გავყვები, ანდა, ბოლობოლო, მორგანს მივთხოვდებიო.

მის სიტყვებს ყური მოჰკრა ბებერმა მორგანმა. ალბათ, იქვე კლდეებში, ან წყალმცენარეებში იმალებოდა. მონას ხელი სტაცა და ზღვის ფსკერისკენ გააქანა.

ქალები სოფელში გაიქცნენ, რომ მონას დედისთვის ყველაფერი ეამბნათ. ჟანა კერბილი ქოხის ზღურბლზე იჯდა და ართავდა. ქალმა ფთილა და თითისტარი იქვე დააგდო და ზღვაზე გაიქცა. დედა ეძებდა შვილს, წყალში შევარდა და იმ ადგილამდე მივიდა, სადაც მონა გაქრა. მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო. დედის ტირილსა და სასოწარკვეთილ ძახილს არავინ გამოჰასუხებია.

მონას გაქრობის ამბავი მაშინვე მოედო მთელ კუნძულს, მაგრამ განსაკუთრებულად არავის გაკვირვებია. «მონა მორგანის შვილი იყო, — ამბობდა ხალხი, — და ჩანს, მამამისმა ზღვაში წაიყვანაო».

მონა კუნძულ უესანის მორგანთა მეფემ მოიტაცა და თავის წყლისქვეშა სასახლეში მიიყვანა. სასახლე ნამდვილი სასწაული იყო. მიწაზე არსებული ვერც ერთი ულამაზე-სი სამეფო სასახლე მას ვერ შეედრებოდა.

ბებერ მორგანს ვაჟი ჰყავდა, მორგანთა შორის ულამაზესი. ვაჟს მონა შეუყვარდა და მამას მისი ცოლად შერთვის ნებართვა სთხოვა, მაგრამ მეფეს მონა თვითონ უნდოდა ცოლად და ვაჟი უარით გაისტუმრა — მიწის შვილის შერთვის ნებას არასოდეს მოგცემო.

— ჩვენს სამეფოში ბევრი ლამაზი ქალი-მორგანია; მათთვის მეფის ვაჟის ცოლობა ბედნიერება იქნება. როცა ერთ-ერთ მათგანს აირჩევ, თანხმობას მოგცემო.

ჭაბუკი მორგანი სასოწარკვეთას მიეცა. მამას უთხრა, თუ იმაზე ჯვარს ვერ დავიწერ, ვინც მიყვარს — მიწის შვილ მონაზე, არასოდეს ცოლს არ შევირთავო.

მამამ რა დაინახა, ჩემი ვაჟი მწუხარებისა და დარდისაგან ილევაო, აიძულა, სამეფო კარის ერთ-ერთი დიდებული მორგანის ლამაზი ასული დაენიშნა. დათქვეს ქორწილის დღე, მოიწვიეს მრავალი სტუმარი. სიძე-პატარძალი და მაცრიონი ეკლესიაში წავიდნენ. მართალია, ზღვის ეს ბინადარნი უნათლავნი არიან, მაგრამ თავისი რჯულცა აქვთ და თავისი ტაძრებიც. ამბობენ, მათ თავიანთი ეპისკოპოსებიც ჰყავთო. გულვინ პენდიუფი ჩვენი კუნძულის ერთ-ერთი ბებერი მეზღვაური, რომელმაც მსოფლიოს ყველა ზღვა შემოიარა, მარწმუნებდა, ისინი ბევრჯერ მინახავსო.

საბრალო მონას უბრძანეს, შინ დარჩენილიყო და საქორწილო კერძები მოემზადებინა, მაგრამ გარდა ცარიელი ქვაბებისა და კოკებისა — ზღვის ვეება ნიჟარებისა — არაფერი მისცეს. ბებერმა მორგანმა უთხრა, ეკლესიიდან რომ დავბრუნდებით, ჩინებული სუფრა უნდა დაგვახვედრო, თორემ სიკვდილი არ აგცდებაო. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა დღეში ჩავარდებოდა საბრალო ქალი! არც სიძე იყო უკეთეს დღეში!

— უჰ! საცოლის ბეჭედი შინ დამრჩაო!

— მითხარი, სად გიდევეს და ვინმეს გავგზავნიო, — უთხრა მამამ.

— არა, არა, ბეჭედი ისეთ ადგილას შევიწინახე, ჩემ გარდა ვერავინ იპოვის. გავიქცევი და სასწრაფოდ მოვბრუნდებიო.

და სასიძო მარტო წავიდა, გაყოლის ნება არავის მისცა. მან პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა, სადაც საბრალო მონა მდუღარებას აფრქვევდა.

— თავს ნუ იკლავ! — უთხრა ვაჟმა, — სადილი დროულად იქნება მზად. ჩემი იმედი გქონდესო.

იგი კერიას მიუახლოვდა და თავისთვის წაიბუტბუტა:

— კეთილო ცეცხლო, აინთეო! — კერიაში მაშინვე ცეცხლი აგუზგუზდა.

მერე ბებერი მორგანის ვაჟი რიგრიგობით ხელს ჰკიდებდა თითოეულ ქვაბს, ქოთანს, შამფურს, სინს და ამბობდა:

— ამ ქვაბში ორაგული იქნება, ამაში — ხამანწკებიანი კამბალა, შამფურზე — იხვი, აქ — შემწვარი დორადი, ამ კოკებში — ღვინო და საუკეთესო ნაყენები...

და ქვაბები, ქოთნები, სინები, კოკები მისი ხელის ერთი შეხებით სასმელ-საჭმელით ივსებოდა. მონა ხედავდა, რომ სადილი თვალის დახამხამებაში მზად იყო და გაცეცხილ-საგან გონს ვერ მოსულიყო.

ჭაბუკი მორგანი საქმეს რომ მორჩა, მაყრიონს დაედევნა. მივიდნენ ეკლესიაში. სიძე-პატარძალს ჯვარი ზღვის ეპისკოპოსმა დასწერა. ამის მერე ყველანი სასახლეში დაბრუნდნენ. ბებერმა მეფემ მაშინვე სამზარეულოს მიაშურა და მონას უთხრა:

— აჰა, დავბრუნდით კიდევ. ყველაფერი მზად გაქვს თუ არაო?

— მზად მაქვს, — მიუგო მონამ მშვიდად.

ასეთმა პასუხმა მეფე გააკვირვა. მან ყველა ქვაბსა და ქოთანს სახურავი ახადა და შიგ ჩაიხედა.

— დაგხმარებიან, მაგრამ არა უშავს, შენს ოხტში ამოვალო!

სტუმრები სუფრას შემოუსხდნენ და ლაზათიანად მოუღებინეს. მერე დაიწყო სიმღერა და ცეკვა-თამაში.

შუა ღამეს სიძე-პატარძალი ღამაზად მორთულ თავის საწოლ ოთახში წავიდა. ბებერმა მორგანმა მონას უბრძანა გააცილეო. იგი სასთუმალთან უნდა დამდგარიყო და ხელში ანთებული სანთელი სჭეროდა. როცა სანთელი დაიწვებოდა, მონას სიკვდილი ელოდა.

საბრალო მონა ბედს დაემორჩილა. ბებერი მორგანი მეზობელ ოთახში ელოდა და დროდადრო ყვიროდა:

— სანთელი დაიწვაო?

— ჯერ არ დამწვარაო, — უპასუხებდა მონა.

ასე ჰკითხა რამდენჯერმე. ბოლოს, როცა სანთელი თითქმის დაიწვა, ქმარმა თავის ცოლს უთხრა:

— ერთი წუთით მონას სანთელი გამოართვი და ხელში დაიჭირე, რომ მეორე ანთოსო.

პატარძალმა მამამთილის განზრახვისა არაფერი იცოდა და მონას სანთელი გამოართვა.

ამ დროს ბებერმა მეფემ ისევ იკითხა:

— სანთელი დაიწვაო?

— უთხარი, დაიწვა-თქო, — წასჩურჩულა ჭაბუკმა მორგანმა.

— დაიწვაო, — გაიმეორა ცოლმა.

— ბებერი მეფე მაშინვე საწოლ ოთახში შევარდა, მეკანდელებთან მიიჭრა და ხმლის ერთი დაკვრით თავი გააგდებინა, ისე რომ ქალისათვის არც კი შეუხედავს. მერე ოთახიდან გავიდა.

მზე ამოვიდა თუ არა, სიძე მამასთან მივიდა და უთხრა:

— მამი, მოვედი, რომ ცოლის შერთვის ნება მომცეო.

— ცოლის შერთვის ნება? ცოლი გუშინ არ შეირთეო?

— ჩემი ცოლი მკვდარიაო.

— როგორ თუ მკვდარია? უბედურო, ნუთუ მოკალიო?

— არა, მამი, მე კი არა, შენ მოკალიო.

— მე? მე მოკვალიო?

— ჰო, მამი. განა წუხელ ხმლის ერთი დაკვრით თავი არ გააგდებინეო?

— კი მაგრამ, ის ხომ მიწის შვილი იყო!

— არა, მამი, იგი მორგანი იყო, სწორედ ის, შენი სურვილით ჯვარი რომ დავიწერე. ახლა კი ქვრივი ვარ. თუ არ გჯერა, შეგიძლია დარწმუნდე — მკვდარი ჯერ ისევ ჩემს საწოლს ოთახშიაო.

ბებერი მორგანი საწოლს ოთახში გაიქცა და დარწმუნდა, რომ ვაჟი მართალს ეუბნებოდა. უსაზღვრო იყო მისი რისხვა.

— ცოლად ვინ გინდა შეერთო? — ჰკითხა მან ვაჟს ოდნავ რომ დამშვიდდა.

— მიწის შვილიო.

ბებერმა მეფემ არაფერი უპასუხა და ოთახიდან გავიდა. რამდენიმე დღის მერე ალბათ მიხვდა, რომ ვაჟთან მეტოქეობა უაზრობა იყო და უფლება მისცა მონა შეერთო. გადაიხადეს დიდი ქორწილი.

ჭაბუკი მორგანი ცოლს ძალიან ყურადღებით ექცეოდა და, როგორც კი შეეძლო, ანე-ბივრებდა. აჭმევდა წვრილ-წვრილ გემრიელ თევზებს. ამ თევზებს თვითონ იჭერდა, რთავდა ზღვის მარგალიტებისაგან დამზადებული ნაირ-ნაირი სამკაულებით, მისთვის ეძებდა სადაფისფერ და ოქროსფერ ლამაზ ნიჭარებს, უიშვიათეს და უმშვენიერეს ზღვის ყვავილებსა და ბალახებს.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, მონას გული მიწისკენ, დედ-მამისკენ, ზღვის პირას მდგარი ღარიბული ქოხისაკენ მიუწევდა.

ქმარს მისი გამვება არ უნდოდა: ეშინოდა, არ დაბრუნდებოდა. მონა ძალიან დარდობდა, დღე და ღამე ტიროდა. ბოლოს ჭაბუკმა მორგანმა უთხრა:

— ერთხელ მაინც გაიღიმე, ჩემო სიხარულო, და მამაშენის სახლში წაგიყვანო.

მონამ გაუღიმა და მორგანმაც, მამასავით ჯადოქარი რომ იყო, თქვა:

— ხიდი აღიმართოსო!

მაშინვე წყლიდან ბროლის ლამაზი ხიდი ამოიშრთა, რათა ცოლ-ქმარი ზღვის ფსკერიდან ხმელეთზე ამოსულიყო.

ბებერმა მორგანმა რომ დაინახა, მიხვდა, ჩემი ვაჟი ჩემსავით ჯადოქარიაო და თქვა:

— მეც თქვენთან წამოვალო.

სამივე ხიდზე ავიდა: მონა წინ მიდიოდა, მას ქმარი მიჰყვებოდა, ხოლო რამდენიმე ნაბიჯზე ბებერი მორგანი მისდევდა.

როგორც კი წინ მიმავალმა მონამ და მისმა ქმარმა ფეხი მიწაზე დაადგეს, ჭაბუკმა მორგანმა თქვა:

— ხიდო, დაეშვიო!

ხიდი ზღვაში ჩაეშვა და ბებერი მორგანი თან ჩაიყოლია.

მონას ქმარმა ვერ გაბედა, ცოლი მშობლების სახლამდე მიეცილებინა, მან მონა მართო გაუშვა და უთხრა:

— მზე რომ ჩავა, დაბრუნდი. აქ დაგელოდები. იცოდე, არც ერთმა მამაკაცმა არ გაკოცოს, ხელიც კი არ შეგახოსო.

მონა შეჰპირდა, ყველაფერს შევასრულებო, და მშობლიური სახლისკენ გაიქცა. სადილობის დრო იყო და მთელი ოჯახი მაგიდას შემოსხდომოდა.

— გამარჯობა, დედ-მამავ! გამარჯობა, და-ძმებო! — შესძახა მონამ და ქოხში შევარდა.

მონა ისეთი ლამაზი, ისეთი დიდებული იყო, ისე შვენოდა ბრწყინვალე ტანსაცმელი, რომ გაკვირვებისაგან ყველა პირდაღებული შეჰყურებდა და ვერავინ სცნობდა. მონა ასეთ შეხვედრას არ ელოდა და თვალები ცრემლით აევსო. მან ოთახში სიარული დაიწყო, ყველა ნივთს ხელს ჰკიდებდა და ამბობდა:

— აი, ეს ქვა ზღვის სანაპიროდან მოვიტანე და ცეცხლის პირას ამ ქვაზე ვჯდებოდი. აი, საწოლი, რომელზედაც მეძინა, აი, ხის ჯამი, რომლითაც საჭმელს მივირთმევდი.

აგე, კარის უკან კურდღლისცოცხა, რომლითაც სახლს ვგვიდი, აგე, კოკა, ამ კოკით წყაროს წყალი მომქონდა.

მშობლებმა მონას ნათქვამი რომ გაიგონეს, როგორც იყო, იცნეს იგი, ბედნიერებისაგან ყველანი ტიროდნენ, ეხვეოდნენ და კოცნიდნენ, უხაროდათ, რომ ისევ ერთად იყვნენ.

ტყუილად დაარიგა მორგანმა ცოლი, არამც და არამც მამაკაცს არ აკოცო: აკოცა თუ არა თავისიანებს, იმავე წამს დაავიწყდა თავისი ქმარიცა და მორგანებთან გატარებული დღეებიც. იგი დედ-მამასთან დარჩა. მალე ყოველი მხრიდან იწყეს სასიძოვებმა დენა. მათგან მოსვენება აღარ იყო, მაგრამ მონა ყველას უარით ისტუმრებდა, გათხოვება არ უნდოდა.

მონას მამას, ისევე როგორც კუნძულის დანარჩენ მკვიდრთ, ერთი ნაბდის გაშლა მიწა ჰქონდა, სადაც თესდა კარტოფილსა და ბოსტნეულს, ცოტაოდენ ქერს. ამ ჭირნახულითა და ზღვის ყოველდღიური ძღვენით — თევზებითა და მოლუსკებით მისი ოჯახი იოლად გადიოდა. სახლის წინ კალო ჰქონდათ, სადაც პურს ლეწავდნენ და ირგვლივ თივის ზვინებს დგამდნენ. ხშირად, ღამლამობით, როცა მონა დასაძინებლად წვებოდა, ქარის ღმუილსა და კბოდეებზე დამსხვრეული ტალღების ყრუ გუგუნში თითქოს ჩაესმოდა ვიღაცის ოხვრა-ჩივილი. მონა ფიქრობდა: საბრალო დამხრჩვალთა სულელები ცოცხლებს უხმობენ, რომელთაც დაივიწყეს ისინი და შენდობას ითხოვენო. იგი სულის მოსახსენებელი ლოცვის ჩურჩულს იწყებდა. მონას ებრალებოდა ის ადამიანები, ვინც ასეთ ავდარში ზღვაში იყვნენ გასული და ბოლოს მშვიდად იძინებდა.

მაგრამ ერთ ღამეს მან გარკვევით გაიგონა საცოდავად ნათქვამი, გულშიჩამწვდომი სიტყვები.

— ოჰ, მონა, ნუთუ ასე მალე დაივიწყე შენი ქმარი — მორგანი, სიკვდილისგან რომ გიხსნა და ასე უყვარხარ? აკი შეჰპირდი, დღესვე დავბრუნდებო, მას მერე რახანია გელოდები და ვიტანჯები! ოჰ, მონა, მონა, შემიბრალე და მალე დამიბრუნდიო!

მონას ერთბაშად ყველაფერი გაახსენდა, საწოლიდან წამოხტა და გარეთ გამოვარდა. კართან ჭაბუკი მორგანი დაინახა. იგი ოხრავდა და კვნესოდა. მონა ჩაეკონა თავის ქმარს... და მას მერე აღარავის უნახავს.

### სამოთხის ტაბურეტი

ამბობენ, გიშენის ერთ-ერთი მკვიდრი საიქიოს რომ გაემგზავრა, სამოთხის ჭიშკარს მიადგა და წმინდა პეტრეს სთხოვა, უფალ ღმერთთან სალაპარაკო მაქვს და შემიშვიო.

— უფალი ღმერთი ახლა შინ არ არის, — მიუგო ზეცის მეკარემ. — ცოტა მოიცადეო.

სნეულებისაგან დასუსტებული მთხოვნელი, რომელიც ავადმყოფობამ სამარის კარამდე მიიყვანა, ჭიშკართან ჩაიყუყა. უცებ ხალიჩაზე, ფეხებთან ახლოს, ოქროს გასაღები დაინახა. გასაღებების ასხმულა წმინდა პეტრეს წელზე ჰქონდა შებმული და ალბათ ეს გასაღებიც მას დაუვარდა.

კაცმა გასაღები აიღო, ირგვლივ მიმოიხედა და ერთი ვიწრო კარი დაინახა. კლიტის ჭუჭრუტანას ოქროს გასაღები კარგად მოერგო. გიშენის მკვიდრმა კარი გააღო და სეფე დარბაზში ამოჰყო თავი. ამ დარბაზში უფალი ღმერთი ასამართლებდა ხოლმე, მის ირგვლივ ვერცხლის ტაბურეტებზე ანგელოზები სხდებოდნენ.

დარბაზი ცარიელი იყო და გიშენის მკვიდრს მოუნდა, ცოტა ხნით მამაზეციერის ტახტზე დაბრძანებულიყო.

დაჯდა თუ არა ჩვენი პლანეტის თავზე გადმომდგარ ტახტზე, დედამიწა ხელისგულივით გადაეშალა.

ერთ ადგილას მდინარეზე მრეცხავი ქალები თეთრეულს რეცხავდნენ. მათ თეთრეული იქვე ბუჩქებზე გაფინეს და სასადილოდ წავიდნენ. ქურდიც ამას ელოდა,

ბუჩქებიდან გამოხტა, თეთრეული წამოკრიფა, კურდღლისცოცხას წნელით შეკრა და მოკურცხლა.

ასეთი სისაძაგლით აღშფოთებულმა უფალი ღმერთის დროებითმა მოადგილემ, ხელი დასტაცა ვერცხლის ერთ ტაბურეტს და გაქცეულ ქურდს ესროლა.

უცებ ჩვენი გიშენის მკვიდრს კართან ნაბიჯების ხმა შემოესმა. იგი საჩქაროდ ტახტიდან ჩამოვიდა, დარბაზიდან გავიდა და ისევ ხალიჩაზე დაჯდა, რათა უფალ-ღმერთსა და ანგელოზებს საშუალება ჰქონოდათ თავიანთი ადგილები დაეკავებინათ.

ზენაარმა ტაბურეტის გაქრობა მაშინვე შეამჩნია. მან წმინდა პეტრეს ჰკითხა, ტაბურეტი რა უყავიო.

— არაფერი ვიცი, — მიუგო ზეცის მეკარემ. — იმ კაცმა ხომ არ მოიპარა, ჭიშკართან რომ იცდის და შენთან საუბარი სურსო.

— დამიძახეო, — ბრძანა ღმერთმა.

— ჩემგან ხელმარცხნივ ტაბურეტი რომ იდგა, შენ წაილეო? — ჰკითხა მან გიშენის მკვიდრს.

— დიახ, უფალო. ნამდვილად წავილე, მაგრამ მე არა მაქვსო.

— რა უყავიო?

— ერთმა ქურდმა მრეცხავ ქალებს თეთრეული მოჰპარა და იმას ვდრუზეო.

უფალმა ღმერთმა გულიანად გადაიხარხარა.

— დალახვროს ეშმაკმა, რა უცებ გცოდნია სამართლის ქმნა! რაც დედამიწის ზურგზე ქურდია, ყველა რომ მომეკლა, აქამდე ქვეყანა მოისპობოდაო.

## ოქროს მუგუზალი

ბროსელანის ტყეში ერთი ფაცხა იდგა. იმ ფაცხაში სამი ობოლი ძმა ცხოვრობდა. ძმები მენახშირეები იყვნენ და დღედაღამე შრომობდნენ, რომ თავი ერჩინათ.

ერთ საღამოს, მთელი ღუმელი ნახშირი რომ გამოწვეს, ჟანმა, უფროსმა ძმამ, უმცროსებს უთხრა:

— ძმებო, სამუშაოს თითქმის მოვრჩით, ახლა მხოლოდ ცეცხლი არ უნდა ჩავაქროთ ღუმელში. მე ჟერომ შუანის ქორწილში წავალ საცეკვაოდ პემპონში.

— კარგი, წადიო, — უთხრეს ჟაკმა და ფრანსუამ.

ჟანი მაშინვე ქოხში შევიდა და მორთვა-მოკაზმვას შეუდგა.

ჩაიცვა ძველი ქურთუკი, შარვალი, მხოლოდ მუხლებსა და საჯდომზე რომ იყო დაკერებული, ახლახან ლანჩაგამოცვლილი ფეხსაცმელი, დაიხურა ფართო ფარფლებიანი ქუდი და მღერა-მღერით წავიდა.

ჟანი რომ წავიდა, შუათანა ძმამ გაიფიქრა:

«ცეცხლის დარაჯობას ორი კაცი რაღად უნდა? ჩვენი პატარა ფრანსუაც მშვენივრად გაართმევს თავს. შინ რატომ ვიჯდე და მოწყენილობამ გული შემიჭამოს, როცა ახლა ყველა ქალ-ვაჟი ჟულიენ გენელთანაა თავმოყრილი, ღვინოს სვამენ, შემწვარ წაბლს შეექვევიან და ზღაპრებს ჰყვებიანო?»

და ჟაკიც წავიდა. წასვლისას ფრანსუას დაუბარა: ღუმელს ყური უგდე, თორემ, თუ ცეცხლი ჩაქრა, მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრებაო.

ფრანსუა მეთოთხმეტე წელში იყო გადამდგარი. გამგონი, კეთილი ბიჭი იყო, რითაც უფროსი ძმები ხშირად სარგებლობდნენ ხოლმე.

იმ საღამოსაც ბიჭი დადლილობისაგან ფეხზე ვერ იდგა. მთელი დღე ხომ ძმებს ეხმარებოდა, ახლა კი ღამე არ უნდა დაეძინა და ცეცხლისთვის ყური ეგდო.

მაგრამ ბიჭს არ დაუწუწუნებია, საჩხრეკი აიღო და, ცეცხლი რომ არ ჩამქრალიყო, ნაკვერჩხლებს შეუჩიჩხინა.

ნელა გადიოდა დრო. როგორ არ ებრძოდა ფრანსუა დადლილობას, მაგრამ ძილი თანდათანობით თავს სჭრიდა. არ დამეძინოსო და ღუმელიდან ქოხამდე ბოლთის ცემა

დაიწყო, მაგრამ ვერაფერმა უშველა. ბოლოს, ღონემიხდილი ფრანსუა დაჯდა და მაშინვე ძილქუში დააწვა.

ესიზმრა: ვითომც ხელმწიფეა, ვეება თეთრონზე ზის და ნახირს მწყემსავს. ისეთი მდიდარია, ყოველდღიურად თეთრ პურსა და ღორის ქონს მიირთმევს. ამ წუთში ვინმეს მძინარე ფრანსუა რომ დაენახა, მის სახეზე ამ საოცარი სიზმრით გამოწვეულ ნეტარებას ამოიკითხავდა.

მაგრამ, ღმერთო დიდებულო! რა იმედის გაცრუება, რა მწუხარება ელოდა, როცა გაიღვიძა! მინდორში მოჯირითე უფლისწული აღარ იყო, ისევ საბრალო მენახშირედ ქცეულიყო, ხოლო ღუმელში ცეცხლი ჩაჰქრობოდა. ფრანსუამ იცოდა, რომ ამის გამო ძმები აუცილებლად სცემდნენ.

რა ეღონა? რა გზას დასდგომოდა? მაშინ ასანთის ხსენებაც არ იყო და ყოველ დილით დედაკაცები ხის ქოშების ბრახუნით კარდაკარ დადიოდნენ ნაკვერჩხლის საშოვნელად.

საბრალო ფრანსუა სასოწარკვეთილებისაგან თმებს იგლეჯდა და საშველად ყველა წმინდანს უხმობდა.

უცებ მაღლა აიხედა და შორს, ხეებს ზემოთ, ცეცხლის ენები დალანდა.

— ოჰო! — შესძახა მან. — ჩანს, ვიღაც მენახშირეებს დიდი კოცონი დაუნთიათ, რომ ღამის ნამმა არ ჩააქროს, ახლავე წავალ და ერთ-ორ მუგუზალს ვთხოვო.

ფრანსუა ცეცხლის მიმართულებით გაიქცა, მალე მიუახლოვდა კიდეც და რას ხედავს: ალი ნაირფერად ღალანებს — ცისფრად, თეთრად, ყვითლად, წითლად. ამ ამბავმა ძალიან გააოცა.

ცეცხლი ისეთი კაშკაშა იყო, რომ ფრანსუას კარგად შეეძლო მოეთვალა იერებინა იმ ტყის კუთხე, სადაც თავი ამოჰყო.

ბიჭი ადგილზე გაშეშდა, ცივმა ოფლმა დაასხა: ის ხომ ორიოდ ნაბიჯზე იყო ტრესლენის კორდიდან, ბარანტონის წყაროსთან, სადაც ფერიები ბინადრობდნენ!

პემპონის სამრეკლოზე ღამის თორმეტმა საათმა დარეკა.

უცებ ფრანსუას ხალხის ნათქვამი გაახსენდა: იქ ღამით ტყის სულელები იყრიან თავს, ცეკვავენ და თამაშობენ. ყველა მოკვდავს, ვისაც მათი დანახვა მოესურვება, თავის ჯოჯოხეთურ ფერხულში ჩააბამენ და მანამ აცეკვებენ, სანამ არაქათგაწყვეტილები უსულოდ არ დაეცემიანო.

წინ წავიდე თუ უკან დავბრუნდე? ნეტა გაქცევას თუ მოვასწრებო? — ფიქრობდა ფრანსუა, მაგრამ ამასობაში ტყიდან რამდენიმე ფერია გამოვიდა. ფერიები ფრანსუას შემოეხვივნენ, ხელი ჩაჰკიდეს და თან გაიტაცეს. ცოცხალმკვდარი ფრანსუა ძალაუნებურად გაჰყვა. იგი კორდის შუაგულში ვეება კოცონთან აღმოჩნდა, სადაც მუხების ღმერთი ფეხებს ითბობდა.

დაინახა თუ არა ფრანსუა, ტყის ღმერთმა საზარელი ხმით დაიყვირა:

— მოკვდავო, აქ რა გინდაო?

ფრანსუამ ტირილით უამბო თავისი გაჭირვება, უთხრა, შევცდი და მეშინია ძმებმა არ მცემონო.

ტყის ღმერთმა მოუსმინა, მიხვდა, რომ საბრალო ბიჭი არ ტყუოდა და მოლბა. მან კოცონისაკენ მიუთითა და თითქმის ალერსით უთხრა:

— აბა, ჰაბუკო, ნაკვერჩხალი ნიჩბით აიღე და კეთილად მოიხმარე, აქ კი მეტად აღარ მოხვიდეო.

პატარა მენახშირე ხელმეორედ თქმას აღარ დალოდებია: კოცონში ნიჩაბი ჩაყო, მუგუზალს გამოჰკრა და გამოაგორა. ამ მუგუზალის შუქზე ბიჭმა შინისაკენ მიმავალი გზა ადვილად გაიგნო. მიირბინა ღუმელთან და მუგუზალი შეაგდო. მაშინვე ცეცხლი ჯადოსნურად აგიზგიზდა.

ძმები შინ რომ დაბრუნდნენ, ნახშირი გამომწვარი დახვდათ, ის ამბები კი, რაც მათ იქ არყოფნაში დატრიალდა, გაუგებარი დარჩათ.



## II

დილით ფრანსუას, ჩვეულებისამებრ, ღუმელი უნდა გაეწმინდა.

ადგა თუ არა, ნიჩბით ნაცრის გამოხვეტას შეუდგა, თან წუხანდელი ღამის ამბებზე ფიქრობდა. უცებ მოულოდნელობისაგან შეკრთა: ნაცარში გუშინდელი მუგუზალი დაინახა, რომელიც წინანდებურად რაღაც ჯადოსნურად ლაპლაპებდა.

გონს რომ მოეგო, მუგუზალი გადააბრუნ-გადმოაბრუნა, დარწმუნდა, ცეცხლი არ უკიდიაო, და წინსაფრის კალთით გაწმინდა. ბოლოს, როგორც იყო, მიხვდა: მის წინ ოქროს ზოდი იდო და ეს ოქრო მას ეკუთვნოდა!

ძმები ნახშირის გასაყიდად წავიდნენ, ხოლო ფრანსუა მთელი დღე თავის ნაპოვნ ოქროზე ფიქრობდა. ბავშვობიდანვე ბედის ანაზარად მიტოვებულს, ადვილად ეუფლებოდა ავი ზრახვები. «ასეთი ოქროს ზოდი დიდი ფული ღირს, — ამბობდა იგი თავისთვის. — ეს სიმდიდრეა, ხოლო მდიდარი ადამიანები ბედნიერები არიან და მხიარულად ცხოვრობენ. ოქრო ჩემია, მარტო მე მომცეს. ჟანსა და ჟაკს მასთან რა ხელი აქვთო».

სინდისი ამ ფიქრებს წინ აღუდგებოდა და ეუბნებოდა: «შენ სულ პატარა დაობლდი, ძმებმა კი გარდაცვლილი დედ-მამის მაგივრობა გაგიწიესო».

მაგრამ ბოროტი ხმა იმარჯვებდა და უჩურჩულებდა:

«მას მერე დღე და ღამეს ასწორებდი და ერთი-ორად ანაზღაურე შენზე გაწეული შრომა. კარგა ხანია, ძმებთან ბარიბარში ხარ. ასე რომ, ნურაფერი გაწუხებს და ოქრო შენთვის დაიტოვეო».

ამ ფიქრებით დამშვიდებულმა ფრანსუამ წიფლის ქვეშ ორმო ამოთხარა და თავისი განძი შიგ ჩაფლა.

იმ დღიდან მოსვენება დაეკარგა. უშფოთველ, სასიხარულო სიზმრებს სამუდამოდ გამოეთხოვა. მისი ცხოვრება სრულიად გამოიცვალა. გაუნელებელი საზრუნავი გაუჩნდა. ძმებს, ნაცნობებს, ყველას გაურბოდა. მარტოდმარტო დაეხეტებოდა ტყეში და სულ იმაზე ფიქრობდა, ამ ადგილებს როდის გამოვრდებოდა, პარიზში წავიდოდა, თავის ოქროს ფულზე გადაახურდავებდა, მერე უკან დაბრუნდებოდა და ოლქში ყველა მიწას შეისყიდოდა. რომ ნაცნობებს შურისგან გულები დახეთქოდათ. ბიჭს პატივმოყვარეობის ეშმაკი დაეუფლა.

მაგრამ მიუხედავად ოქროს მუგუზლისა, ფრანსუა ღარიბი იყო და პარიზში წასვლას ვერ ახერხებდა. კარგა ხანმა გაიარა, სანამ გზის ფულს კაპიკ-კაპიკ მოაგროვებდა.

ფრანსუა მთელი დღე შრომობდა, ძმებს შველოდა, მაგრამ ლაპარაკს გადაეჩვია, წამლად ერთი სიტყვაც კი არ დასცდებოდა. სულ მომავალ ბედნიერებაზე ფიქრობდა, თავის დანაზოგს ითვლიდა, გრძელყელიან წინდაში რომ ინახავდა, და თავის განძს საათობით დაჰყურებდა.

ფრანსუა იმდენის გადანახვას იგი ახერხებდა, რამდენიც სურდა და სხვა მენახშირეებს დაუდგა დღიურ მუშად. ისინი კი კარგად უხდიდნენ.

## III

და, აჰა, დადგა დიდი ხნის ნანატრი დღე.

ფრანსუა არავის არ გამომშვიდობებია, ისე გაიხურა სახლის კარი და გაეცალა მშობლიურ ადგილებს. მიდიოდა და ზურგით მიჰქონდა ჩვრებში გახვეული და თოკით შეკრული თავისი ოქრო.

ვინც კი ამ სუსტ, ფერმკრთალ, გამხდარ, გარეგნულად დაბეჩავებულ და საცოდავ ჭაბუკს შეხედავდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი დიდი ქონების პატრონი იყო.

იგი პარიზში მიდიოდა. სანამ ბრეტანში იყო, სოფელ-სოფელ მარტოოდენ ჩამოცვენილი ვაშლითა და წაბლით ირჩენდა თავს, ხოლო ბრეტანს რომ გასცდა, ვენახში მოპარული ყურძნითა და მწიფე მავკლით საზრდოობდა. გლეხები ამ გასაცოდავებულ

ჭაბუკს რომ უყურებდნენ, ებრალებოდათ და აჭმევდნენ. ისიც სარგებლობდა თავისი გარეგნობით მოტყუებული გლეხების სტუმართმოყვარეობით.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ საღამოს, შორს, დიდი ქალაქის სახურავები დაინახა. მალე, სიარულით არაქათგამოლეულმა პარიზის გარეუბანში შეაბიჯა და ღამის გასათევის ძეგნა დაიწყო.

მეორე დილით ფრანსუამ თავისი ოქროს მუგუზალი ნატეხებად აქცია და გასაყიდად ოქრომჭედელთან წაიღო. დიდძალ ფულს მოუყარა თავი.

ერთ დუქანში მან მენახშირის სამოსი გაიხადა და ქალაქურად ჩაიცვა. ახალი ტანსაცმელი და ფერმკრთალი სახე დიდგვაროვან ვაჟბატონს ამგვანებდა.

ფრანსუა სასტუმროში დაბინავდა და მალე ყველა სიკეთე იგემა, რასაც კი სთავაზობს ადამიანებს პარიზი.

თავისი გონიერების, სილამაზის და მოხდენილობის, აგრეთვე ხელგაშლილობის წყალობით მალე დიდკაცებს დაუახლოვდა და ღირსეულად თავის დაჭერაც ისწავლა. ახალმა მეგობრებმა გაუადვილეს მაღალ საზოგადოებაში მისასვლელი გზა. მის წინაშე ყველა კარი გაიღო, და მარკიზი\* (\* მარკიზი (ფრანგ.) — დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში თავადაზნაურთა ტიტული, გრაფზე მაღალი და ჰერცოგზე დაბალი, ამ ტიტულის მქონე პირი. თავდაპირველად (ადრეულ შუა საუკუნეებში) იხმარებოდა სასაზღვრო ოლქის (მარკის) მეთაურად დანიშნული გრაფის აღსანიშნავად, რომელსაც შეუზღუდავი უფლებები ჰქონდა.) დე კომპე — ეს სახელი ერქვა ახლა ფრანსუას — მალე ნამდვილი დიდებული გახდა, რომელსაც ეპირფერებოდნენ და ანებივრებდნენ, რომლისაც შურდათ.

მაგრამ ეს პატივი და დიდება, რისკენაც ადრე თავდავიწყებით მიილტვოდა, მალე მობეზრდა. იგი ბრეტანელი იყო და სამშობლოზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა.

როცა პურობა-დარბაზობა გაიმართებოდა და ლხინი გახურდებოდა, მენახშირე ფრანსუა ბროსელანის ტყის მაღალ ხეებსა და აყვავილებული წიწიბურას სურნელით გაჟღენთილ მინდვრებზე ფიქრობდა და ხშირად თავის თავს ეკითხებოდა: «მე ხომ ჩემს სამშობლოშიც შემეძლო ამაზე უკეთ მემხიარულა და მეგობრებთან მექეიფნაო».

#### IV

და აი, ერთ მშვენიერ დილით, როგორც იცოდა, არავის არ გამომშვიდობებია, ისე წავიდა მეჯლისიდან, იყიდა ცხენი და იარაღი, — იმ დროს ხომ გზები საშიში იყო, — და ბრეტანში გაემგზავრა.

მგზავრობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ჩავიდა თუ არა სამშობლოში, პლელანის მახლობლად შესანიშნავი კომპი იყიდა.

კომპში ყველა კუთხის აზნაურები მიიწვია და შეუდგა განცხრომით ცხოვრებას.

კომპის ეზოები მემებარი ძაღლებით იყო სავსე: ტყეში ბუკის ხმა გაისმოდა. კომპის პალატებში მუდამ მუსიკას უკრავდნენ.

წვეულება, მეჯლისი, ნადირობა ერთიმეორეს სცვლიდა. მთელი ქონება ნიავ-ქარს მიჰქონდა. მარტო ღარიბებისათვის არ იცხელებდა თავს არავინ.

ასეთ თავაშვებულ ცხოვრებას აყოლილ მარკიზ დე კომპეს ხელში შემოადნა ოქრო და გადაწყვიტა, უთავბოლოდ განიავებული ფული ბანქოთი დაებრუნებინა. ამან საბოლოოდ მოუღო ბოლო: რაც კიდევ ჰქონდა შემორჩენილი, ისიც დაკარგა.

ერთ-ერთი ნადიმის ბოლოს ფრანსუამ ერთ ღამეში უკანასკნელ გროზამდე ყველაფერი წააგო და ისეთივე მათხოვარი გახდა, როგორც სიჭაბუკეში იყო.

გაცხარებულ თამაშში რომ იყო, ფრანსუასთან მხლებლებმა მოირბინეს და უთხრეს, თავლებში ცეცხლმა იფეთქა და ვერაფრით ვერ ჩავგიქრიაო, მაგრამ ფრანსუა ისე იყო თამაშით გართული, ისე უნდოდა მალე მოეგო ფული და კვლავ განცხრომას მისცემოდა, რომ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

რამდენიმე საათში ყველა ნაგებობა გადაიბუგა, ვერაფერი გადაარჩინეს.

ხანძარმა ყველაფერი რომ შთანთქა, სტუმრები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, ფრანსუა არავის არ მიუპატიჟნია — თანამეინახეები ახლა გაურბოდნენ მას. უბედური მარკიზი მარტოდმარტო დარჩა ფერფლსა და ნანგრევებში.

მთელი დღე ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. იდგა და თავის უბედურებაზე ფიქრობდა: ბოლოს შიმშილმა აიძულა თავშესაფარი ეძებნა. მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ძმები ჰყავდა და ძველი ქოხისაკენ გაემართა.

ჟანი და ჟაკი ღუმელში ცეცხლს ანთებდნენ და მღეროდნენ.

აქამდე რამდენიმეჯერ უნახავთ მარკიზი, ცხენზე ამხედრებულს მეძებარ ძაღლებიანად რომ ჩაუვლია და ცოტათი უმცროსი ძმისთვის მიუმგვანებიათ, მაგრამ აბა რას იფიქრებდნენ, რომ სინამდვილეში ის იყო. მაგრამ როცა ქოხში შევიდა, დარწმუნდნენ, რომ ვაჟბატონივით გამოწყობილი ეს კაცი, ფრანსუა იყო.

— ძმაო, ჩანს ძალიან მდიდარი ხარ, — უთხრეს მათ, კომპი გაქვს, ცხენებიც, ძაღლებიც, რომელთა შენახვა ალბათ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ყველა გლეხის გამოკვება ჩვენთან ტყეში, მეგობრებიც ბევრი გყავსო!

— არა, მე მდიდარი აღარა ვარ, — მიუგო ფრანსუამ. — ჩემი კომპი დაიწვა, ცხენები და ძაღლები გაყიდულია, ფული განიავებული, მეგობრებმა მიმატოვეს. არაფერი მახადია და შიმშილით და სიცივით ვკვდებიო.

— თუ ასეა, საჭმელი ჭამე და ცეცხლთან გათბი, — უთხრეს მენახშირეებმა და ღუმელი და ბურახიანი ქოთანნი დაანახვეს, შიგ შავი პური რომ იყო ჩამხალი. — აქ ღარიბისთვის ადგილი ყოველთვის მოინახებაო.

ფრანსუა დანაყრდა და ცეცხლს მიეფიცხა, ძმები კი მუშაობას განაგრძობდნენ.

მკვახე უარი რომ ეთქვათ, ფრანსუა უფრო ნაკლებად იგრძნობდა თავს დამცირებულად ვიდრე ახლა, ასე მეგობრულად რომ მიიღეს. იგი იტანჯებოდა, როცა ხედავდა, რომ ძმები მასზე ბედნიერები იყვნენ და დარჩენა არ უნდოდა. ამას გარდა, მუშაობას გადაჩვეულიყო და მშვენივრად იცოდა, თუ ძმებთან ერთად არ იმუშავებდა, მათთან დარჩენა არ შეიძლებოდა.

— ეჰ, რაც მოსახდენია, მოხდეს! უკანასკნელად ვცდი ბედს! — თქვა თავისთვის. — წავალ ტრესელენის კორდზე, ტყის სულებს ვეწვევიო.

ფრანსუა დაბნელებას დაელოდა და ქოხიდან გავიდა.

## V

შუალამემ რომ მოაწია, შიმშისაგან აკანკალებული, უბედური მარკიზი კორდისკენ გაემშურა.

საშინელი ავდარი იყო, ჭექა-ქუხილი არემარეს აყრუებდა, ცაზე ელვა იკლავებოდა. ფრანსუამ ყველაზე მაღალი ხის კენწეროების თავზე ისევ ის ნაირფერად მოგიზიზე ალი დაინახა.

ბუები თვალბედიტად კიოდნენ, ღამურები და თხაწოვიები ლანდებივით დაცოცავდნენ ბუჩქებში. ზაფხული იდგა — ის დრო, როცა ბაყაყები და გომბემოები, კუტკალიები და ჭრიჭინები მთელი ღამე ყიყინებენ და ჭრიჭინებენ, მაგრამ ახლა, ამ ღამით სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. მხოლოდ ქარი ღმუოდა ტყეში, ოხრავდა რბილწიწვიანა, თრთოდა გვიმრა, ირხეოდა მანანა, — ბუნება კვნესოდა და დრტვინავდა.

მარკიზმა გამბედაობა მოიკრიბა და გზა განაგრძო.

უცებ უღრანიდან ხორხოც-ხარხარი და სიმღერა მოისმა. მალე უბედურ ფრანსუას ფერიები შემოეხვივნენ, კორდისკენ გაიტაცეს და გაშმაგებულ ფერხულში ჩააბეს.

მუხების ღმერთმა როგორც კი დაინახა ფრანსუა, მაშინვე იცნო და საზარელი ხმით დაიყვირა:

— მოკვდავო, რატომ მოხვედიო?

ფრანსუამ ისევ ის ამბავი უამბო, ღუმელში ცეცხლი ჩამიქრაო, მაგრამ ბერიკაცმა გააწყვეტინა:

— მსმენია, მსმენია, რაღაც არა მჯერა! თუმცა, — დაუმატა სიცილით, — ახლავე დავინახავთ, მართალს ამბობ თუ არა. ცეცხლში ნიჩაბი ჩაყავი და შეეცადე მუგუზალი ამოიღო.

ფერმკრთალი, თვალეზამდვრეული, უბედური ფრანსუა კოცონთან მივიდა, ნიჩაბი ცეცხლში ჩაჰყო და ამოწია, მაგრამ ვერ ამოიღო, თითქოს უჩინარი ძალა ძირს ეწევაო.

მარკიზმა ძალ-ღონე დაძაბა, მაგრამ ნიჩაბს ძვრა ვერ უყო, ვერც ხელები გაუშვა, თითქოს ხელები ნიჩაბს მიეზარდა. აჰა, ალმა ჯერ ნიჩაბს დაუწყო ლოკვა, მერე საბრალო ფრანსუას ხელებს მისწვდა, ბოლოს ტანზე შემოეხვია. საშინელი ტანჯვა-წამებით და ყვირილით ამოხდა საბრალოს სული.

ირიჟრაჟა თუ არა, ცეკვა შეწყდა, ფერიები გაუჩინარდნენ, ცეცხლი ჩაქრა და კორდზე საბრალო ფრანსუას დანახშირებული სხეული დარჩა.

გავიდა ხანი და დამწვარი ტანი ქერქით დაიფარა, ზედ ყლორტები ამოიზარდა. ახლა ამ ადგილას ერთი დაგვალული ხე დგას, რომლის შტოები მიწას ეხებიან. მას მენახშირის ხეს ეძახიან.

## პუატუს ზღაპარი

### მოხერხებული მენახირის ზღაპარი

ერთ ხელმწიფეს ერთი მუნჯი ასული ჰყავდა. ქალი უკვე ოცზე მეტი წლის იყო და ჯერ სიტყვაც არ წარმოეთქვა.

ხელმწიფეს პირობა ჰქონდა დადებული, ვინც ჩემს ასულს აალაპარაკებს, ცოლად გავატანო. დიდებულები ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ხელმწიფის კარზე და ცდილობდნენ ხელმწიფის ასული აელაპარაკებინათ, მაგრამ ყველა ცდა ამაო იყო.

ერთხელ ერთი ქალბატონი ტყეში სეირნობდა და მენახირეს შეხვდა. ქალბატონი მისალმა ვაჟს:

— გამარჯობა, ბიჭო!

მერე ჰკითხა:

— ახალი ამბავი თუ გაიგეო?

— ეჰ, ქალბატონო, აბა, აქ რა ამბავი უნდა გავიგო? მთელი დღე ტყეში ნახირს ვმწყემსავ, ვერავის ვხედავ, არაფერი მესმისო!

— მაშ, ახალი ამბავი არ გაგიგია? ნუთუ არ იცი, რომ ხელმწიფის ასულს თავის სიცოცხლეში სიტყვა არ უთქვამსო!

— როგორ არა, ქალბატონო, ეს ამბავი ბევრჯერ მსმენიაო.

— თუ გსმენია, უნდა წახვიდე და ხელმწიფის ქალი ნახო, იქნებ აალაპარაკო.

— რას ბრძანებ, ქალბატონო, სად შემიძლია! მე კი არა, ჩემზე მცოდნე ვაჟბატონებმაც ვერაფერი გააწყესო.

— სულ ერთია! უნდა წახვიდეო.

— ოჰ, ქალბატონო! ნახირს ვერ მივატოვებო!

— დამშვიდებული იყავი. შეგიძლია წახვიდე. შენი ნახირი კი ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის, ერთი ძროხაც არ დაიკარგება. აჰა, ეს თუთიყუში და კომბალი. რასაც კი კომბალი მიეკარება, შენგან თავს ვერ დაიხსნისო.

ჰოდა, ჩვენმა ვაჟკაცმა ბოლოს გაბედა წასვლა. თავის კომბლიანად და თუთიყუშიანად გზას გაუდგა. იარა, იარა, ბევრი მთა და ბარი გადაიარა. შემოაღამდა. აჰა, სულ დაბნელდა. ბოლოს ერთ სასტუმროს მიადგა, თავისთვის და თუთიყუშისთვის ოთახი ითხოვა. მისცეს.

თუთიყუმში ისეთი ლამაზი იყო, ისე ართობდა მსახურის ცოლს, რომ ქალმა გადაწყვიტა თუთიყუმს დაპატრონებოდა. «ლამე ალბათ ბიჭს ღრმად სძინავსო», — გაიფიქრა ქალმა და თუთიყუმის წასაყვანად ბიჭის ოთახში შეიპარა. მაგრამ როგორც კი თუთიყუმს ხელი შეახო:

— ჰე, კომბალო, დაჰკა მალე, ვინც ხელს გახლებს, გააქვავე!

მსახურის ცოლი თუთიყუმს მიეკრა. მოკლედ, გაება, თუთიყუმისკენ ხელგაწვდილი დარჩა.

დილით მსახური ადგა, ცოლი მოიკითხა, ეძახა, ეძახა, — არავინ გაეპასუხა. ქალი არსად იყო! არავინ იცოდა, სად დაიკარგა. გადაწყვიტა, მენახირის ოთახშიც შეეხედა და თუთიყუმზე მიკრული ცოლი კი დაინახა.

— ო, შე უნამუსო, ამ ვაჟბატონთან რას აკეთებ, აქ რა გინდა, რად მოხვედიო?

მსახურის ცოლი ხომ სულ ტიტველი იყო: ისე ჩქარობდა თუთიყუმის მოპარვას, ჩაც-მა ვერ მოესწრო.

მსახურმა ცოლს ცემა დაუპირა.

— ჰე, კომბალო, დაჰკა მალე, ვინც ხელს გახლებს, გააქვავე!

ჰოდა, ორივე გაება, — მსახური ხელით ცოლის უკანალს მიეკრა.

ამასობაში სასტუმროს პატრონიც ადგა. არც მსახური იყო, არც მისი ცოლი. ეძახა, ეძახა, არავინ გაეპასუხა! გადაწყვიტა, მენახირის ოთახში შესულიყო. და ცოლ-ქმარი ბიჭის სასთუმალთან ნახა.

— აქ რას შვრებით, თქვე ოინბაზებო? რამდენი ხანია დაგეძებთ! ამ კაცის ოთახში რას აკეთებთო?

და მსახურს პანდური ამოჰკრა.

— ჰე, კომბალო, დაჰკა მალე, ვინც ხელს გახლებს, გააქვავე!

ჰოდა, სასტუმროს პატრონიც გაება, — ფეხით მსახურის უკანალს მიეკრა. ბოლოს სასტუმროს პატრონის ცოლიც ადგა, ეძახა ქმარს, ყველგან დაძებნა, მაგრამ ვერსად იპოვა. ბოლოს მანაც გადაწყვიტა მენახირის ოთახში შესულიყო. შევიდა და რას ხედავს: ყველა ბიჭის თუთიყუმს არ მიჰკვრია?

— აქ რას შვრებით, რას ოინბაზობთ? რა ხანია დაგეძებთო, — და ქალმა ქმარი ხელით გამოსწია.

— ჰე, კომბალო, დაჰკა მალე, ვინც ხელს გახლებს, გააქვავე!

ჰოდა, სასტუმროს პატრონის ცოლიც გაება, — ქმარს მიეკრა.

გვიანდებოდა. ბიჭი ადგა და გზას დაადგა, რომ ხელმწიფესთან დროულად ჩასულიყო. გზად ერთ პატარა სახლს ჩაუარა. სახლში ორი ქალი ცხოვრობდა. ერთს ცოცხი ეჭირა და ეზოს გვიდა, მეორეს ყველი ამოჰყავდა.

ქალმა, ეზოს რომ გვიდა, ცოცხიანად მოირბინა და შესძახა:

— აი სეირი, თუ გინდა! ეს რა ამბავია? ვინ ოინბაზები არიან, ასე ტიტლიკანები რომ დარბიან. ეს როგორ შეიძლებაო? — და ცოცხი მოუქნია, მაგრამ ცოცხიანად გაება. დაიწყო საშველად ძახილი! აჰა, მისი ამხანაგიც გამოიქცა. ისე გამორბოდა, ყველის დადებაც ვერ მოესწრო. ქალი სახელოში ჩააფრინდა ამხანაგს.

— ჰე, კომბალო, დაჰკა მალე, ვინც ხელს გახლებს, გააქვავე!

ქალი თავის ყველიანად ამხანაგს მიეკრა, ხოლო მენახირემ მთელი ამ ამალით განაგრძო გზა.

მივიდა ხელმწიფის სასახლეში. მეკარეს ჰკითხა, უუბარი ხელმწიფის ასული აქ ცხოვრობსო? უთხრეს, აქ ცხოვრობს და როგორადაც არ ეცადნენ, ვერ აალაპარაკესო.

მენახირემ ითხოვა, შემიშვითო. შესვლა ვერც კი მოასწრო, რომ ხელმწიფის ასული ფანჯარაში გამოჩნდა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სასაცილოა. ამაზე სასეირო არაფერი მინახავსო! — ქალი ისე ალაპარაკდა, თითქოს მთელი სიცოცხლე ლაპარაკის მეტი არაფერი ეკეთებინოს! ყვე-

ლა გარეთ გამოეფინა – დიდებულებიცა და კარისკაცებიც, ხელმწიფის კარს ხალხი მოაწყდა, გაოცებულნი იყვნენ.

— აბა, დიდებულო ხელმწიფე, გახსოვს შენი დაპირება, ასულს იმას მივათხოვებ, ვინც აალაპარაკებსო!

ამ სიტყვებზე დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს:

— ო, დიდებულო ხელმწიფე, ნუთუ შენი ასული ვიღაც ოხერ მენახირეს უნდა მიათხოვო.

ხელმწიფემ, სანამ თავის ასულს მენახირეს შერთავდა, სასიძოს სხვა დავალების შესრულება მოსთხოვა. უბრძანა, ჩემს სამეფო პარკში ასი ბოცვერი მომწყემსე, მაგრამ ისე, რომ არც ერთი არ გაგექცესო.

ბიჭი საგონებელში ჩავარდა. ხელმწიფეს გამოეთხოვა და ცოტა გაიარ-გამოიარა. გზაში ისევ ის ქალბატონი შეხვდა.

— აბა, ყმაწვილო, მგონი, ხელმწიფის ასული აგილაპარაკებია. თუ ასეა, ცოლად გაგატანენო.

— დიახ, ქალბატონო! მაგრამ ხელმწიფე ახლა სხვა რამეს მთხოვს: ასი ბოცვერი ჰყავს და მეუბნება, ხელმწიფის პარკში მომწყემსეო.

— ეს არც ისე ძნელია, ჩემო ბიჭო! აჰა, სასტვენი გამომართვი, თუ ბოცვრები გაგეფანტებიან, საკმარისია, დაუსტვინო და ყველა მოგროვდება. ნუ წუხხარო.

სხვა რა უნდოდა! მენახირე ხელმწიფესთან დაბრუნდა და უთხრა:

— ბოცვრები გამოუშვიო.

ბოცვრები მაშინვე მიმოიფანტნენ. აღმა-დაღმა დაიწყეს ხტომა. მენახირემ ისინი პარკში შერევა.

დიდებულებმა კი ერთმანეთში თათბირი გამართეს:

— ერთი ბოცვერი მაინც უნდა გამოვართვათ, რომ საღამოს დააკლდესო.

მაშინ ერთმა რაინდმა, ყველაზე მეტად რომ ეპოტინებოდა ხელმწიფის ასულის ხელს, თქვა:

— მე თვითონ მივალ და ერთ ბოცვერს ვიყიდო.

მართლაც, წავიდა, ბიჭი მოძებნა და უთხრა:

— ბიჭო, რა ლამაზი ბოცვრები გყავს, ერთი მომყიდეო!

— რას ამბობ, ბატონო! ბოცვრებს არ ვყიდო.

— რატომ არ ყიდო?

— ყიდვით არ მოგყიდი, მაგრამ, თუ ასე ძალიან გინდა, შეგიძლია, დაიმსახურო.

— როგორ დავიმსახურო?

— ბატონო, თუ თანახმა იქნები, უკანალზე სადგისს სამჯერ გიჩხვლეტ და ერთ ბოცვერს მოგცემო.

— ოჰ, ბიჭო, შენ ამას არ იზამ, ხომ მართლა არ იზამო?

— თუ არ გინდა, ბატონო, შენი ნებაა, ბოცვერს ვერ მიიღებო.

სხვა რა გზა ჰქონდა რაინდს, დაეთანხმა. მენახირემ პირველად ნახევრამდე შეასო სადგისი. რაინდი აყვირდა:

— ოჰ-ოჰ-ოჰ!

მეორედ უფრო ღრმად უჩხვლიტა.

— ოჰ-ოჰ-ოჰ! შე არამზადავ! მტკივაო!

მესამედ მენახირემ ტარამდე უმარჯვა სადგისი. რაინდმა შეჰყვირა და მიწაზე გაიშხლართა.

— უჰ, შე არამზადავ, ვკვდებიო!

ცოტა ხნის მერე ტკივილი დაუყუჩდა.

— აბა, ჩემო კარგო, ბოცვერი მომეცი, ხომ პატიოსნად დავიმსახურეო!

მენახირემ ბოცვერი დაიჭირა და მისცა. რაინდმა ბოცვერი ილღიაში ამოიჩარა.

რაინდი სახეგაბრწყინებელი მიდიოდა, თუმცა მისი შოვნა დიდ ფასად დაუჯდა.

— ცხადია, ამ საღამოს მენახირეს ერთი ბოცვერი დააკლდებაო, — ეუბნებოდა თავის თავს.

მაგრამ კარგა გვარიანი გზა რომ გაიარა, გაისმა სტვენა, ბოცვერი ხელიდან გაუსხლტა და თავის ჯოგს მიაშურა.

რაინდი სასახლეში თავგზააბნეული დაბრუნდა.

— ბოცვერი აქეთკენ მომყავდა, მაგრამ ხელიდან გამისხლტა და გამექცაო, — იმეორებდა წამდაუწყმ.

— ღმერთო ჩემო! გაგექცა? მეტი რა ჩარაა, მე თვითონ წავალო, — თქვა ხელმწიფის ასულმა და სამი ტილოს წინსაფარი გაიკეთა. — აქედან ვერ გამექცევაო, — და მენახირის მოსაძებნად პარკს მიაშურა. ბიჭს თვალი რომ მოჰკრა, მიაძახა:

— ბიჭო, გამარჯობაო!

— გაგიმარჯოს, ხელმწიფის ასულოო!

— ეს რა ლამაზი ბოცვრები გყოლიაო!

— სალაპარაკოდ არ ღირს, ხელმწიფის ასულოო!

— ერთს ხომ არ მომყიდო?

— არა, ხელმწიფის ასულო, არ ვყიდი, მაგრამ შეგიძლია, დაიმსახუროო!

— როგორ დავიმსახუროო?

— თუ თანახმა იქნები აქ, ამ პარკში სამჯერ გაკოცებ და ერთ ბოცვერს მოგართმევო.

— ოი, შე არამზადავ, შენ გინდა მაკოცოო?

— შენი ნებაა, ხელმწიფის ასულო! თუ არ გსურს, ბოცვერს ვერ მიიღებო.

ხელმწიფის ასულმა ნება დართო სამჯერ ეკოცნა მენახირეს, რომ ერთი ბოცვერი მაინც წაეყვანა.

მენახირემ ბოცვერი დაიჭირა და ხელმწიფის ასულს გაუწოდა. მანაც ბოცვერი წინსაფარში ჩაისვა და ხელი მაგრად მოუჭირა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ბოცვერი კარგად ჰყავდა ჩაბლუჯული და ხელს უფრო და უფრო უჭერდა!

კარგა მანძილი რომ გაიარა, სტვენა გაისმა. ბოცვერმა წინსაფარი გახია და თავის ჯოგს დაუბრუნდა.

ჩვენი ხელმწიფის ასულიც რაინდით გააბრეყვეს. ისიც თავგზააბნეული დაბრუნდა და სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— მერე რა მაგრად მეჭირა! შეხედეთ, წინსაფარი გამიხიაო!

ხელმწიფემ ეს რომ დაინახა, შესძახა:

— ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა! ბოცვერი ვერ დაგიჭერიათ?! ვერ დაგიჭერიათ ბოცვერი! ცხენზე შევჯდები და მე თვითონ წავალ. ისე დავაკრავ უნაგირზე, რომ გაქცევის სურვილი დაეკარგოსო.

და ხელმწიფემ ცხენი პარკისკენ გააჭენა. როცა მენახირეს გაუსწორდა, უთხრა:

— გამარჯობა, ბიჭო, შენი!

— გაგიმარჯოს, დიდებულო ხელმწიფევ!

— ლამაზი ბოცვრები გყავს, ძალზე ლამაზები! ერთს ხომ არ მომყიდო?

— არა, დიდებულო ხელმწიფევ, ბოცვრებს არ ვყიდი, მაგრამ შეიძლება, დაიმსახუროო.

— როგორ დავიმსახუროო?

— დიდებულო ხელმწიფევ, თუკი ინებებ და შენს ცხენს კუდქვეშ სამჯერ აკოცებ, ერთ ბოცვერს მიიღებო.

— ოჰ, შე არამზადავ! გინდა ჩემს ცხენს კუდქვეშ სამჯერ ვაკოცო? ოჰ, შე არამზადავო!

— შენი ნებაა, დიდებულო ხელმწიფევ! ბოცვერს ვერ მიიღებო!

ხელმწიფემ გადაწყვიტა, თავისი ცხენისთვის კუდქვეშ სამჯერ ეკოცნა. მაშინ მენახირემ ბოცვერი დაიჭირა და ხელმწიფეს გაუწოდა, ხელმწიფემ ისე მიაკრა უნაგირს, ისე გათოკა და გაკოჭა, ისე გაბაწრა, რომ კინაღამ წელები დააყრევინა. მერე ცხენს მოახტა და თქვა:

— ვერსად გამექცევაო!

კარგა გვარიანი მანძილი რომ გაიარა, მენახირემ სასტვენს ერთი ლაზათიანად ჩაჰბერა! ბოცვერმა თასმები დაწყვიტა, თავი გაინთავისუფლა და თავის კურდღლებთან დაბრუნდა.

— ოჰ, მეც გამექცა! ყველა თასმა დაწყვიტა, ხელიდან გამისხლტა და მოკურცხლა. სულ ერთია, ამ საღამოს ის ბოცვერი მაინც დააკლდება, წელი ათრეული ჰქონდაო.

აჰა, მოსალამოვდა კიდეც და მენახირემ ბოცვრები მორეკა. როგორც კი ხელმწიფეს ეახლა, კარისკაცები ბოცვრების დათვლას შეუდგნენ, უყურებენ, ყველანი საღ-საღამათნი არიან თუ არაო. ბოცვრები კი თავს ჩინებულად გრძნობენ, არც ერთი არ აკლია, ვერაფერს იტყვი!

კარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ოჰ, დიდებულო ხელმწიფევ, ნუთუ შენს ასულს ოხერ მენახირეს მიათხოვებ? ეს არ მოხდება! შენ ამას არ იზამ. სანამ შერთავ, მოსთხოვე, სამი ტომარა სიმართლით გაავსე-თქო.

მენახირე ამ ბრძანებამ ძალიან ჩააფიქრა. რა ელონა? მან ისევ გაიარა-გამოიარა და თავის ქალბატონს შეხვდა.

— აბა, საქმეები როგორაა, ბიჭო? ალბათ ყველა ბოცვერი შინ მირეკე, არა?

— დიახ, ქალბატონო!

— მაშ, ხელმწიფე თავის ასულს ცოლად გატანსო?

— არა, ქალბატონო! მიბრძანა, ჯერ სამი ტომარა სიმართლით ამივსეო.

— მერე რა, ჩემო ბიჭო, ადვილი საქმეა! ამისი გაკეთება შენ შეგიძლია. ოღონდ სამი ტომარა სთხოვე და სიმართლე სამივესთვის გეყოფაო.

მაშინ მენახირე მეფეს და შინაკაცებს წარუდგა.

— აბა რა გადაწყვიტე? სიმართლით ტომრების ავსებას თუ კისრულობო?

— კკისრულობ, ხელმწიფევ, სამი ტომარა მიბოძეო!

გამოართვა სამი ჩვეულებრივი ტომარა. ორი გვერდით მოიღო, მესამე პირმოხსნილი ხელში დაიკავა.

— აი, შეხედეთ: აქ ერთი ვაჭბატონი დგას. ის ჩემთან, პარკში მოვიდა, რომ ერთი ბოცვერი ეყიდა. ვუპასუხე, ბოცვრებს არ ვყიდი, მაგრამ შეგიძლია, დაიმსახურო-მეთქი. ბოცვერის საფასურად უკანალზე სადგისი სამჯერ მაჩხვლეტინა. აბა, ჩაძვერი ტომარაში. აჰა, ეს ერთი ტომარა აივსოო.

— აი, შეხედეთ: აქ ხელმწიფის ასული დგას. ისიც ჩემთან, პარკში მოვიდა, რომ ერთი ბოცვერი ეყიდა. ვუპასუხე, ბოცვრებს არ ვყიდი, მაგრამ შეგიძლია დაიმსახურო-მეთქი. ბოცვერის საფასურად პარკში სამჯერ მაკოცნინა. აბა, ჩაძვერი ტომარაში. აჰა, ეს მეორე ტომარაც აივსო!

მენახირემ დიდებულ ხელმწიფეს გადახედა.

— აგერ, დიდებული ხელმწიფევ აქაა. ჩემთან, პარკში მოვიდა, რომ ერთი ბოცვერი ეყიდა. მე ვუპასუხე, ბოცვრებს არ ვყიდი, მაგრამ შეგიძლია, დაიმსახურო-მეთქი; ბოცვერის საფასურად სამჯერ აკოცა...

— ოჰ, გაჩუმდი! ჩემს ასულს ცოლად გატან, გაჩუმდი, გაჩუმდი-მეთქი! გესმის, ცოლად გატან!

და მენახირემ ხელმწიფის ასული ცოლად შეირთო.

## ო ვ ე რ ნ უ ლ ი ზ ღ ა პ რ ე ბ ი

### ს ა ი დ ა ნ მ ო ვ ი დ ნ ე ნ რ წ ყ ი ლ ე ბ ი



ერთხელ უფალი ღმერთი და წმინდა პეტრე ლუარას ნაპირზე შემალერსა და ვორეის შუა სეირნობდნენ და ლაპარაკობდნენ ჭეშმარიტების გზაზე ადამიანების დაყენება რა მნელიაო.

იმ ადგილას, მდინარე რომ უხვევს, წმინდა პეტრემ უფალ ღმერთს უცებ კონკვებში გახვეული ქალი დაანახვა. ქალი სილაში იწვა და მზეზე თბებოდა. ქალი ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ძალიან მოწყენილი ჩანდა. უფალ ღმერთს არაფერი გამოეპარება და მაშინვე მიხვდა, რომ ამ ქალს უსაქმურობა კლავდა.

მაშინ ღმერთმა თავისი უზომო გულკეთილობის გამოისობით ჯიბიდან ერთი მუჭა რწყილი ამოიყვანა და ქალს შეაყარა.

— უქმად მყოფი ქალი ყველა მანკიერების დედაა. აჰა, სამუშაო!

მას მერე ქალებს რწყილები ესევა და ისინიც მათ ხილვაში კლავენ დროს.

## ღ ა ზ ლ ი ს გ ო რ გ ა ლ ი

სოფელ მესის მკვიდრი დეიდა მიეტა ისეთი ძუნწი იყო, ისეთი ძუნწი, რომ ხელიდან ცეცხლი არ გაუვარდებოდა.

ერთხელ, ხელში სართავი ეჭირა და ობესპის მინდორში ძროხებს მიდენიდა. გზაზე ღაზლის დიდი გორგალი იპოვა. გორგალი რაღაც ნადირს ჰგავდა. დეიდა მიეტა მარდად დაიხარა და გორგალი აიღო. დეიდა მიეტა ძალიან ჩქარობდა და მრთველი ქალი, ვინც გორგალი დაკარგა, არც კი მოგონებია. დეიდა მიეტას ნაპოვნი უკვე თავისი წინსაფრის ჯიბეში ეგულეობდა, თითქოს ამისთვის საგანგებოდ რომ ჰქონდა დაკერებული, მაგრამ გორგალი მოულოდნელად ძირს გადმოუხტა და გაგორდა.

მიგორავს და მიგორავს გორგალი და დეიდა მიეტა მის დაჭერას ვერა და ვერ ახერხებს. გორგალი ხელში რომ ეგდო, მან სართავი გზის პირას მოისროლა. ახლა ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდა და ხარბად წაეპოტინა გორგალს, მაგრამ იგი კვლავ ხელიდან გაუსხლტა და გზა განაგრძო.

დეიდა მიეტას სულ გადაავიწყდა გზის პირას დაგდებული თავისი სართავი, თავისი ორი ლამაზი ძროხა, ჩვეულების მიხედვით მშვიდად რომ მიაშურეს საძოვარს. დეიდა მიეტა გიჟივით მისდევდა გორგალს, მაგრამ გორგალი მოციმციმე შუქივით წინ-წინ მიხტოდა და ქალს ახლოს არ იკარებდა. დეიდა მიეტამ ქოშინით გაირბინა სოფლის მინდორი და ისე აათავა შატელ-გვიზონის გორაკი, არც შეუმჩნევია. იფიქრებდით, ამ იდუმალ გორგალს ალბათ ქვეყნის დასასრულამდე სდევსო. ბოლოს, როგორც იქნა, გორგალიდან გამოშლილ ნართის წვერს ხელი სტაცა.

დეიდა მიეტა თითებზე ნართის დახვევას შეუდგა და ასე ნელ-ნელა ვეება მორგვი დაჯორჯლა, იმ პირველ გორგალს კი არაფერი აკლდებოდა. გორგალი ისევ მიგორავდა და მიგორავდა და თან ბებერ მიეტას იტყუებდა.

იტეა კმაყოფილია: ორივე ხელით ვეება გორგალი უჭირავს და მკერდზე იკრავს. ქმარს ქურთუკს და შარვალს დაუბეჭავს, თავისთვის კაბას მოიქსოვს, დანარჩენს გაყიდის... ეს რა ბედი ეწია! დეიდა მიეტა დაღლას არ გრძნობს.

გორგალი კი ისე გაიზარდა, ისე რომ მეტის დახვევა შეუძლებელი გახდა. დეიდა მიეტა ძალიან შეწუხებულია, მაგრამ სხვა გზა არ არის, — ნართი უნდა გაწყვიტოს. ნართს წყვეტს და ისე ოხრავს, ლამის გული ამოატანოს.

უცებ სასურველი გორგალი, მთელი დღე ასე რომ სდია, ერთი შეხტა და თვალს მიეფარა! იმავე წამს სიმწრით დაჯორჯილი მორგვიც ხელიდან გაუსხლტა, თუმცა ბევრი ეცადა, არ გაქცეოდა.

დედაბერი ისევ გამოუდგა გორგალს! ისევ ხელი სტაცა ნართის ბოლოს! ასე ოცჯერ დაახვია დეიდა მიეტამ გორგალი და ოცჯერვე გაექცა.

დეიდა მიეტა იმ დღეს სად არ ნახეს — მონ-რედონში, შასტრეში, ურსიერში. თმაგა-წეწილი, აქომინებული, გატანჯული მისდევდა გორგალს და გაცხარებით ახვევდა ნართს.

მისმა ქმარმა ორივე ძროხა ობესპის მინდორში იპოვა, ხოლო სართავი — გზის პირას. ამ დღიდან მოყოლებული ბებერი მიეტა ვერა და ვერ ჩერდება, ტყე-ტყე და მინდორ-მინდორ დარბის.

თუ გზაზე იპოვით იმ ღაზლის გორგალს, პატარა ნადირს რომ ჰგავს, — აიღეთ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პატრონს დაუბრუნოთ.

## ლიმუზენური ზღაპრები

### ნადირთა ყველიერი

ერთხელ, ძველად, ყველიერის წინა საღამოს, ხალხი შეიკრიბა და სახვალის საჭმელ-სასმელზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— ნასუქი ვერძი გვყავს და დავკლავთო, — ტრაბახობდნენ ერთნი.

— ჩვენ კი ჩვენს ღერღეტს ჩავახრამუნებთო, — ამბობდნენ მეორენი.

— მამალი გვყავს და იმას მივირთმევთო, — თქვა ვიღაცამ.

— ჩვენ რაღა ვქნათ, რომ არაფერი გვაბადია? რა და, ჩვენს ხვად კატას შევბრაწავთო. ისეთი მსუქანია, ქონში ცურავსო.

კატა იქვე იწვა და ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თავს იმძინარებდა.

«ვერ მოგართვით! ავდგები და გავიქცევიო!» — გაიფიქრა კატამ, იშვირა ფეხი და ღერღეტთან გავარდა.

— რას აკეთებ, ხომ არ გძინავსო? — ჰკითხა მან ღერღეტს.

— მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ, — მიუგო ღერღეტმა. — მძინავს, არც მძინავს. ვარ ჩემს დედალ ბატებთანო.

— ის რომ იცოდე, რაც მე ვიცი, რა დაგაძინებდა: ყველიერზე შექმას გიპირებენო.

— რას ამბობ! რახან ასეა, გავიქცევი. ერთი წუთით დამელოდე, საბოს\* (\* საბო — ხისძირიანი ფეხსაცმელი.) ჩავიცვამ და წავიდეთო.

ჩაიცვა და მაშინვე მამალთან გაემართნენ.

— რას აკეთებ, ხომ არ გძინავსო? — ჰკითხეს მამალს.

— მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ, — მიუგო მამალმა. — მძინავს, არც მძინავს. ვარ ჩემს დედლებთანო.

— თუ ცოცხალი გინდა იყო, აქედან მოცოცხე, ყველიერზე შექმას გიპირებენო, — უთხრეს კატამ და ღერღეტმა.

— ოჰო, რახან ასეა, გავიქცევი. დამელოდეთ, ახლავე ჩავიცვამ და წავიდეთო.

ახლა ვერძს შეუარეს.

— ვერძო, რას აკეთებ, ხომ არ გძინავსო? — ჰკითხეს.

— მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ, — მიუგო ვერძმა. — მძინავს, არც მძინავს. ვარ ჩემს შიშაქეებთანო.

— თუ ცოცხალი გინდა იყო, ჩვენთან წამოდი, — უთხრეს ვერძს. — დარჩები და ყველიერზე შეგჭამენო.

— რახან ასეა, წავიდეთ! ჩექმებს ჩავიცვამ და გამოგყვებითო.

ოთხივე გაუდგა გზას. მიდიან, ისვენებენ, ისევ მიდიან.

მალე შიმშილისაგან კუჭი აეწვათ: საჭმელი ვერაფერი ნახეს. გზაზე თხრილის პირას ცოტაოდენი ბალახი ხარობდა და ვერძი, მამალი და ღერღეტი ცოტას მოხობნიდნენ ხოლმე, რომ გული მოებრუნებინათ, საბრალო კატას კი კბილის გასაკრავი არაფერი ჰქონდა.

— ყური გვიგდე, ხეებზე ცოცვა კარგად იცი. მუხაზე ადი და გაიხედ-გამოიხედე, სადმე შუქი არ ჩანსო, — უთხრეს კატას დანარჩენებმა.

კატა აძვრა ხეზე და მეგობრებს ჩამოსძახა:

— შუქს ვხედავ, მაგრამ ძალიან შორსააო!

გაემართნენ შუქის მიმართულებით. იარეს, იარეს და ერთ სახლს მიადგნენ. გაჩახჩახებული სახლიდან სიმღერის, სიცილის, ჯოჯოხეთური ხმაურისა და ღრიანცელის ხმა გამოდიოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ სახლში ყველიერის დღესასწაულს იხდიდნენ.

კატამ კარში თავი შეჰყო და ოთახში შეიხედა. ლომი, მგელი, მელა და დათვი ტაფაზე ხორცს წვავდნენ.

— ეჰ, ბედი არ გვწყალობს. ლომი, მგელი, მელა და დათვი ყველიერის დღესასწაულს იხდიანო, — თქვა კატამ.

დიდი მხეცები მხიარულ გუნებაზე იყვნენ: ერთმანეთს თავშესაქცევ ამბებს უყვებოდნენ და უსასრულოდ ტრაბახობდნენ.

— დედამიწის ზურგზე ყველაზე ძლიერმა ოთხმა მხეცმა მოვიყარეთ აქ თავი, თქვა დათვმა.

— ეშმაკიც რომ გვეწვიოს, შევახრამუნებთო! — კვერი დაუკრა ლომმა.

კატამ თანამგზავრებს უთხრა:

— შიგ რომ შევიდეთ, ყველას შეგვჭამენ. მოდი, შევაშინოთ. თქვენ დაიმაღეთ, მე სახურავზე ავალ, იქიდან საკვამლე მილში ჩავძვრები და, რაც შემეძლება, ხმაურს ავტეხავ, იქნებ შეშინდნენ და გაიქცნენ. მაშინ კი კარგად მოვილხენტ, თორემ შიმშილისაგან სული გვძვრებაო.

კატა კრამიტებზე აფოფხდა და საკვამლე მილში ჩაძვრა, თან ფხაკა-ფხუკით იქაურობას იკლებდა და კერა ჭვარტლით აავსო.

— ჩუმად, ვილაც მოდისო, — შესძახა დათვმა.

დედამიწის ზურგზე ოთხი ყველაზე ძლიერი მხეცი გვარიანად შეშინდა.

— ალბათ ადამიანები არიან, შავ დღეს დაგვაყრიანო! — თქვა ლომმა.

— შე ბრიყვო, აკი ბრძანე, ეშმაკიც რომ მოვიდეს, შევახრამუნოთო.

— აჰა, მოდის კიდევ, გავიქცეთო! — იყვირა მგელმა.

კარი გააღეს და მოძურწეს.

ამასობაში კატამ ხორცის ნაჭერი გადასანსლა, სულს მოვითქვამო, თან დანარჩენებს უხმო:

— ყველამ მოძურწა, აქეთ მოდიოთ.

კატის მეგობრები ოთახში შეცვივდნენ. ლომს, მგელს, მელას და დათვს ხორაგეულით აევსოთ სუფრა, მაგრამ ქეიფი არ დასცალდათ. სალაათას ჭამას რომ შეუდგნენ, სწორედ მაშინ წამოყარეს ფეხზე.

თითოეული იმას შეექცა, რაც უყვარდა. ღერღეტი კერიასთან მოკალათდა და სალაათის ჭამა დაიწყო, კატა ხორცს მიეძალა, ვერძმა თივა მონახა, მამალი პურის კენკვას შეუდგა.

ბოლოს, რომ დანაყრდნენ, კატამ მეგობრებს უთხრა:

— მართალია, მხეცები გაიქცნენ, მაგრამ მალე მობრუნდებიან, რომ გაიგონ, ვინ შევაშინაო, და ქეიფს არ გვაცლიან. უნდა დავიძალოთ. არ ივარგებს, აქ რომ მოგვისწრონო.

თქმა და ქმნა ერთი იყო: კატა ნაცარში გაეხვია, ღერღეტი კერიასთან დაიძალა, ვერძი შეშის ყუთში ჩაძვრა, ხოლო მამალი ქანდარაზე აფრინდა.

უცებ ოთხ პატარა მხეცს ოთხი დიდი მხეცის ხმაურობა შემოესმა. ისინი სახლს მოუახლოვდნენ, ერთმანეთს უბიძგებდნენ და ლაპარაკობდნენ:

— პირველად შენ შედი, პირველად შენ შედიო!

მაგრამ შემოსვლას ვერავინ ბედავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მგელი წინ წამოაგდეს.

— შენ ხომ გაბედული ხარ, კერიასთან მიდი და ცეცხლი გააჩაღე. ვნახოთ ვინ შეგვაშინაო.

მგელი მოკლე ნაბიჯებით შევიდა. შიშით კანკალებდა. კატამ მოახლოებული მგელი რომ დაინახა, ხახა დაალო და კლანჭები მოიმარჯვა. მგელი მიუახლოვდა თუ არა, დრუნჩში ეცა და თავისი ბასრი ბრჭყალებით დაკაწრა. მგელი თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა სახლიდან.

— ო, თქვე არამზადებო! — შეჰყვირა მგელმა. — თქვენი წყალობაა, ასე რომ გამამშვენიერეს. იცით ვინ შეგვაშინა? — მატყლის მჩეჩავმა. ოთახში დამხვდა და საჩეჩელი ორჯერ ჩამომკრა სახეზე, ჯერ მარჯვნივ, მერე — მარცხნივ.

მაშინ მხეცებმა დათვს უთხრეს:

— შენ ხომ კომბლის ტრიალში ტოლი არა გყავს, აბა, რიღას უნდა გემინოდეს. გასწი! შეშის ყუთიდან ერთი ღერი აიღე. ოთახის ყველა კუთხე-კუნჭული მოათვალიერე და ვისაც კი მოიხელთებ, ჭკუა ასწავლეო.

დათვი წავიდა, სახლში შესული დათვი რომ დაინახა, ვერძი დაეტაკა, იატაკზე დაანარცხა და ნეკნები ჩამატვრია.

გონს რომ მოეგო, დათვმა წელი აითრია, გარეთ გავარდა და თავს უშველა.

— ავაზაკებო, თქვენი წყალობაა, ასე რომ დამჩეჩქვეს! — უთხრა დანარჩენ მხეცებს. შეშაში ტყისმჭრელი დამალულა, ისე მდრუზა და მდრუზა ჯოხი, ნეკნები ჩამამტვრია. მხეცებმა ახლა მელას უთხრეს:

— შენ ხომ მარჯვე ხარ. ჩუმად შეიპარე და კერიასთან დოქით ღვინო რომ დგას, ის გამოიტანე. დავლევთ და ცოტას გულს გავვიმაგრებთო.

მელა ჩუმად მიიპარა სახლთან.

როგორც კი სახლს მიუახლოვდა, ღერღეტმა სისინი დაიწყო.

— ქს-ქს-ქს...

მელა თავქუდმოგლეჯილი გამოვარდა გარეთ.

— ოჰ, მეგობრებო! — შესძახა მან. — მადლობა ღმერთს, რომ დავბრუნდი! კიდევ ბედი, რომ ასეთი მარჯვე ვარ. სახლში მონადირეა და რა მეშველებოდა, ძაღლები რომ მოესისიანებინაო.

მაშინ სამივე მხეცი ლომს ეცა:

— შენ, ეი, უქნარავ, აბა რისი მაქნისი ხარ! წადი, კარი მაინც დაკეტეო!

ლომი უხალისოდ მიუახლოვდა კარს. ქანდარაზე შემომჯდარმა მამალმა ლომს თავზე დაასკინტლა.

— ოჰ, ეშმაკის კერძებო! — შესძახა მან. — თქვენი წყალობაა, ასე რომ გამისწორდნენ, თავიდან ფეხებამდე გამთხუპნეს. ეტყობა სახლში ექიმია. თავზე სალბუნი გადამასხა. ნახეთ, რა სუნნი ამდისო!

ასეთი საკადრისი პასუხი რომ მიიღეს, დიდი მხეცები თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ. ასე შეაშინა ოთხმა პატარა მხეცმა ოთხი დიდი მხეცი.

### ზღაპარი მგლისა, ქონის ნაჭერი რომ იპოვა

ერთხელ ერთი მგელი სასეირნოდ წავიდა. გზაში ქონის ნაჭერი იპოვა. მგელი მშვიდრი არ იყო, ქონი დაყნოსა, თათით გადააბრუნ-გადმოაბრუნა და უთხრა:

— შეგჭამდი, მაგრამ ძალიან მლაშე ხარო.

მგელმა ქონი იქვე მიატოვა და გზა განაგრძო. რომ მოშივდა, უკან მობრუნდა, მაგრამ არაფერი დახვდა.

«ბრიყვი ვარ, — გაიფიქრა მგელმა, — ნეტა დროულად მეფიქრა და ის ქონის ნაჭერი შემეჭამაო».

ცოტა ხანმა რომ გაიარა, გოჭებიან დედა ღორს შემოხვდა და უთხრა:

— ყური მიგდე, ძალიან მშია და ერთ გოჭს შევჭამო.

— ბატონი ბრძანდები, შეჭამე, — მიუგო დედა ღორმა, — მაგრამ ჩემი შვილები მოუ-  
ნათლავები არიან და შეჭმა არ შეიძლება. წამო გუბურაზე და მოსანათლავი წყალი ავი-  
ლოთო.

გუბურაზე რომ მივიდნენ, დედა ღორმა მგელს უთხრა:

— რომელიმე გოჭი დაიჭირეო!

მგელმა გოჭი რომ დაიჭირა, დედა ღორმა მგელს უთხრა:

— ახლა თათით წყალი ამოხაპეო.

როგორც კი მგელი დაიხარა, რომ წყალი ამოეხაპა, დედა ღორმა, რაც ძალი და ღონე  
ჰქონდა, დინგი ჰკრა და გუბურაში ჩააგდო. სანამ მგელი წყალში ფართხალებდა, დედა  
ღორი თავის გოჭებიანად გაიქცა.

საბრალო მგელს ისევ ის ქონის ნაჭერი გაახსენდა: «ბრიყვი ვარ, ის ქონის ნაჭერი მა-  
შინვე უნდა შემეჭამაო».

მგელმა გზა განაგრძო და მინდორში ცხვრები დაინახა. მივიდა ცხვრებთან და  
უთხრა:

— ეი, ცხვრებო! ძალიან მშია და გინდათ არ გინდათ, ერთ-ერთი უნდა შეგჭამოთო.

— კარგი, შეგიძლია ერთი ჩვენგანი შეჭამო, მაგრამ ჯერ მწუხრის ლოცვა უნდა  
ვთქვათო.

ცხვრები ერთად შეჯგუფდნენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ბღავილი მორთეს.  
«ჩვენი ცხვრები რატომ შეჯგუფულანო?» — გაიფიქრეს მწყემსებმა. მივიდნენ და მგელი  
დაინახეს. ადგნენ და კეტით იფრინეს.

მგელი ახლა ხბორებდარეულ ნახირს მიადგა:

— ყური მიგდეთ, ძალიან მშია და ერთი ხბო მაინც უნდა შევჭამო!

— ძალიან კარგი, ჩვენო საბრალოვ, — მიუგეს ძროხებმა. — იყოს ნება შენი, მიირ-  
თვი, მაგრამ ჯერ უნდა ვიცეკვოთო. — ძროხებმა თვალის დახამხამებაში წრე შეკრეს  
და ხბორები შუაში ჩაიყენეს.

— აბა, ახლა მობრძანდი და ხბო წაიყვანეო, — უთხრეს მგელს.

მოიწადინებდა თუ არა მგელი მიახლოებას, ძროხები უტევედნენ და გაფატვრით ემ-  
უქრებოდნენ. მგელი ისევ მშიერი დარჩა.

«ეჰ, რა უბედური ვარ! — ფიქრობდა თავისთვის. — ნეტა ის ქონის ნაჭერი მაშინვე  
შემეჭამა! მშიერს სული გამძვრებაო».

იარა, იარა. ერთ მინდორში კვიციანი ფაშატი ბალახს ძოვდა. მგელმა ფაშატს უთხრა:

— ძალიან მშია და შენს კვიცს შევჭამო!

— კარგი, მაგრამ დაჭედილი რომ არ არის? დაუჭედავს ვერ შევაჭმევო.

ფაშატმა მგელს სთხოვა, კვიცს ფეხი დაუჭირე, რომ ადვილად დავჭედოო. კვიცმა  
მგელს წიხლი ჰკრა და ყბა ჩაუმტვრია.

გამწარებული საბრალო მგელი ერთ მუხის ქვეშ მიეგდო. მუხაზე კაცი იჯდა და ბე-  
ლავდა. მგელი ხმამაღლა მოსთქვამდა და ბედს უჩიოდა:

— რა უბედური ვარ! ქონის ნაჭერი ვიპოვე და — ჭამას ვერ მივხვდი. გოჭებიან დედა  
ღორს გადავეყარე და ჩემი სიბრიყვით ერთიც ვერ შევჭამე. ცხვრებს შევხვდი, მითხრეს,  
ჯერ მწუხრის ლოცვა უნდა ვთქვათო, დავაცადე და ისევ პირში ჩალაგამოვლებული  
დავრჩი. ძროხებს შევეჩრეხე და — სანამ ხბოს მოგცემთ, უნდა ვიცეკვოთო, ფაშატს თავზე  
წავადექი და — კვიცის დაჭედვა მოუნდა, კვიცმა კი ყბები ჩამამტვრია. ბარემ მეხი და-  
მეცეს და გამათავოსო.

ამასობაში კაცს, ხეზე რომ იჯდა და მგლის ნათქვამს ყურს უგდებდა, ხელიდან  
ცული გაუვარდა. ცული მგელს თავზე დაეცა და სული გააფრთხოვინა.

დიდი ხნის წინათ ერთი ბებერი მამალი გვყავდა. თავისი დედლები მინდორ-ველსა და ტყე-ღრეში დაჰყავდა. ერთხელ, ნემოში რომ იქექებოდნენ, მამალმა ოქრო-ვერცხლის ფულით გატენილი დიდი ტილოს ქისა იპოვა. მამალმა ქისა შინ გააქცია. სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მიდიოდა და მთელი ხმით სიმღერას გაჰკვიოდა.

იმ სოფელში ერთი ბატონი ცხოვრობდა, ბატონს დ'არგლანი ერქვა.

— მამალო, ქისა მაჩვენეო, — უთხრა დ'არგლანმა.

დ'არგლანმა ქისა ხელთ იგდო თუ არა, შინ წაიღო, დაბრუნება არც კი უფიქრია.

მაშინ მამალმა უთხრა:

გევედრები, დ'არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

ბატონმა დ'არგლანმა არაფერი მისცა.

მამალმა თავისი სათხოვარი ხმამაღლა გაუმეორა.

მაშინ ბატონი დ'არგლანი გაბრაზდა და მამალს დაემუქრა:

— დამაცა, გაგისწორდები! ღამე ჩემს ჯორებთან ჩაგამწყვდევ თავლაში და ჭკუას გასწავლიანო.

მამალს შეეშინდა და მოკურცხლა. გზაში მგელი შემოეყარა.

— ნათლიავ, გამარჯობაო, — უთხრა მამალმა.

— გაგიმარჯოს, ნათლიავ, საით მიდიხარო? — ჰკითხა მგელმა.

— ერთ ადგილას მივდივარ. თუ გინდა, წამომყევი და კარგად გაჭმევო.

— ჭამისთვის მუდამ მზად ვარო, — მიუგო მგელმა.

— რახან თანახმა ხარ, ტომარაში ჩაძვერიო, — უთხრა მამალმა.

მამალმა გზა განაგრძო. ახლა მელა შემოხვდა.

— ნათლიავ, გამარჯობაო, — უთხრა მამალმა.

— გაგიმაჯოს, ნათლიავ, სად მიდიხარო? — ჰკითხა მელამ.

— ერთ ადგილას მივდივარ. თუ გინდა, წამომყევი და კარგად გაჭმევო.

— ჭამისთვის მუდამ მზად ვარო, — მიუგო მელამ.

— რახან თანახმა ხარ, ტომარაში ჩაძვერი, — უთხრა მამალმა.

მამალმა გზა განაგრძო. გზაში ფუტკრები და კრაზანები შემოხვდა.

— თუ გინდათ კარგი საკბილო გიშოვოთ, ტომარაში ჩაძვერითო.

ფუტკრებმა და კრაზანებმა მეტი აღარ ახვეწინეს. მამალმა ყველანი ტომარაში ჩასვა.

ისევ განაგრძო მამალმა გზა. ბოლოს ნაკადულს მიადგა.

— მამალო, სად მიდიხარო? — ჰკითხა ნაკადულმა.

— ერთ ადგილას მივდივარ, ბატონმა დ'არგლანმა ფული წამართვა. წამომყევი და მიშველეო.

ნაკადული დაეთანხმა. მამალმა ნაკადულიც ტომარაში ჩასვა.

მამალი უკან მობრუნდა, ბატონ დ'არგლანს მიუკაკუნა და შესძახა:

გევედრები, დ'არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

— დამაცა, ჭკუა თუ არ გასწავლოო! — დაუყვირა ბატონმა დ'არგლანმა.

საღამოს მსახურებს უბრძანა, მამალი დაიჭირეთ და ჯორებთან თავლაში დაამწყვდიეთო. «დილამდე გაუსწორდებიანო», — ფიქრობდა თავისთვის.

და აჰა, მამალი ჯორებთან დაამწყვდიეს. ჯორები ავობდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ. საბრალო მამალი გვარიანად შეშინდა, მაგრამ ფრთხილად კი იყო. ბოლოს, ჯორები მამალს რომ ეცნენ, მამალმა მგელს უთხრა:

— ტომრიდან ამოძვერი და ჯორები დაგლიჯე. ჭამე, რამდენიც გენებოსო.

მგელი ტომრიდან ამოხტა, ჯორებს დაერია და მუსრი გაავლო. თვალის დახამხამე-  
ბაში ყელგამოდარული ყველა ჯორი მიწაზე ეგდო.

მეორე დღეს დილაადრიან ბატონი დ'არგლანი საწოლიდან წამოხტა და თავლაში  
გაიქცა. უნდოდა გაეგო, მამალი მკვდარია თუ არაო. როგორც კი კარი შეაღო, წინან-  
დებურად მედიდური მამალი ეზოში გამოფრინდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰ-  
ყვილა:

გევედრები, დ'არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

«ეს რა ამბავია, — გაიფიქრა ბატონმა დ'არგლანმა, — ჯორებმა მამალს ბოლო ვერ  
მოუღესო?»

დ'არგლანი თავლაში შევიდა და რას ხედავს: ყველა მისი ჯორი უსულოდ გდია  
ზღავეზე.

— ვაი ჩემს თავს, — შესძახა მან. — იმ ბოროტ მამალს ეს რა უქნია! საბატეში ჩავამ-  
წყვდევინებ, იქნებ ბატებმა მაინც ისე ჯეჯგონ, რომ სული გააგდებინონო.

საღამოს მსახურებს უბრძანა, მამალი საბატეში დაამწყვდიეთო. როგორც კი მამალი  
საბატეში შეაგდეს, ბატები სისინით ეცნენ.

— ეი, მეღავ, ტომრიდან ამოძვერი! — შესძახა მამალმა, — ყველა მოგუდე. მიირთვი,  
რამდენიც გენებოსო!

მელას ბევრი არ უხვეწინებია. მთელი ღამე ბატებს გუდავდა და მათი ხორციტ  
პირს იტკბარუნებდა.

ბატონ დ'არგლანს ერთი სული ჰქონდა როდის გათენდებოდა, რომ გაეგო, მამალი  
ცოცხალია თუ არაო. როგორც კი საბატეს კარი გააღო, მამალი ეზოში გამოფრინდა და  
დაიყვილა:

გევედრები, დ'არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

— ჯანდაბას ამ მამლის თავი! — თქვა შეშინებულმა ბატონმა დ'არგლანმა. — ნუთუ  
ბატებსაც ჯორების ბედი ეწიათო!

იგი საბატეში შევიდა და რას ხედავს, ყველა ბატი გაგუდულია, იქაურობა სისხლი-  
თაა მორწყული, ირგვლივ ბუმბული ყრია.

«ეს მამალი ნამდვილად ეშმაკია! — გაიფიქრა ბატონმა დ'არგლანმა. — მაგრამ არა  
უშავს, როგორმე გავუსწორდები, ამაში ეჭვი არ მეპარებაო».

— ამაღამ ჩემს გოგოებთან გაგზავნი. ისინი მაინც მოგერევიან და ბოლოს მოგიღე-  
ბენო.

ხოლო მამალმა საპასუხოდ შესძახა:

გევედრები, დ'არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

როცა დაღამდა, ბატონმა დ'არგლანმა თავის სამ შვილს უთხრა:

— შვილებო, ეს მამალი ამაღამ თქვენთან დაიძინებს. შეეცადეთ მოახრჩოთო.

მამალი მიხვდა, რომ ქალებს მისი მოკვლა უნდოდათ და შესძახა:

— ფუტკრებო, კრაზანებო, ეს ქალები, რაც შეიძლება, მწარედ დაკბინეთო!

როგორც კი ირიჟრაჟა, ბატონმა დ'არგლანმა მოირბინა, რომ გაეგო, მამალი სიცოც-  
ხლეს გამოესალმა თუ არაო. მამალმა კი თავზე გადაუფრინა და შესძახა:

გევედრები, დ' არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

ბატონმა დ' არგლანმა თავის შვილებს გადახედა — არც ერთს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. ისე დასიებულიყვნენ, რომ ვერ იცნობდით.

«რა ვიღონო? — გაიფიქრა ბატონმა დ' არგლანმა. — ბოლოს და ბოლოს სული უნდა გავაფრთხოვინო ამ მამალს თუ არა. აი, რას ვიზამ! ვუბრძანებ, ღუმელი დაანთონ და შიგ შეაგდონ. ალბათ ასე მაინც მოვუღებ ბოლოს. ეტყობა, სხვა გზით ვერას დავაკლებო».

ღუმელი დაანთეს და როცა გავარვარდა, მამალს დაედევნენ, დაიჭირეს, ფრთებით წაათრიეს და ღუმელში შეუძახეს, მაშინ მამალმა ნაკადულს უთხრა:

— ტომრიდან ამოძვერიო.

ნაკადული თვალის დახამხამებაში ღუმელს გადაევლო და ცეცხლი ჩააქრო. როცა ბატონი დ' არგლანი ამბის გასაგებად მოვიდა და ღუმელის კარი გამოაღო, მამალი გამოფრიდა და იყივლა:

გევედრები, დ' არგლან, გულით,  
დამიბრუნო ჩემი ფული!

მაშინ ბატონმა დ' არგლანმა ქისა აიღო, კრამიტთან სახურავზე შეაგდო და შესძახა:  
— აი შენი ქისა! დამაქციე და დამლუპეო!

ჩვენმა მამალმა ქისა აიღო და თავის დედლებთან შინ წავიდა. მიდიოდა და სიხარულისაგან მიწას ფეხს არ აკარებდა. დედლებმა თავიანთი მამალი რომ დაინახეს, ერთხმად აკაკანდნენ.

## გ ა ს კ ო ნ უ რ ი ზ დ ა პ რ ე ბ ი

### მ ე ლ ა დ ა მ ა მ ა ლ ი

ერთხელ ერთ სოფელში ხალხმა ყვირილი ატეხა:

— შეხეთ, შეხეთ, მელას ჟანა ლარტინგის მამალი მიჰყავსო.

— მელავ, — უთხრა მამალმა, — შენაც გასძახე, რა თქვენი საქმეა, თქვე ოხრებო-თქო.

მელამ სათქმელად პირი დააღო თუ არა, მამალმა დრო იხელთა, მელას დაუსხლტა და ისევ პატრონთან გაფრინდა.

— ეჰ, — ჩაილაპარაკა სირცხვილნაჭამმა მელამ, — ამ შერცხვენას, კუდის მოჭრა მერჩინაო.

ესა თქვა თუ არა, ერთმა გლეხმა ნაჯახი დაჰკრა და კუდი წააცალა.

— ფუი! — აქ ხუმრობა არა სცოდნიათო! — შესძახა გამწარებულმა მელამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა.

### ა რ წ ი ვ ი დ ა მ ე ლ ა

არწივი ჰაერში დაფრინავდა, მელა ქვემოდან შეჰყურებდა და ენა გამოუყო.

არწივს, აბა, რა გამოეპარება, შურდულივით დააცხრა მელას, ღრუბლებს ზემოთ აიყვანა და ძირს ჩამოაგდო.

მელა თავქვე მოდიოდა და ყვიროდა:

— თივა დამიგეთ! თივა დამიგეთო!

## მ ა მ ი ს , დ ე დ ი ს ა დ ა მ ა თ ი ქ ა ლ ი ს ზ დ ა პ ა რ ი



იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, ჰყავდა ცოლი და ერთი გოგო.

ერთხელ კაცმა ცოლსა და შვილს უთხრა:

— ვენახში წავიდეთ, ყურძენი ვჭამოთო.

მივიდნენ ვენახში. კაცი ყურძენს პირში მუჭა-მუჭა იყრიდა და ისე ყლაპავდა. ცოლი და შვილი კი მარცვალ-მარცვალ ჭამდნენ.

კაცი გამოძლა და იყვირა:

— აბა, მორჩით, დროა, შინ წავიდეთო!

— ჯერ რა დროსია, ყურძენი კიდევ გვინდაო.

— აბა, მორჩით, დროა, შინ წავიდეთო! — გაუმეორა კაცმა,

— ჯერ რა დროსია, ყურძენი კიდევ გვინდაო.

მაშინ კაცი მარტო წავიდა და ძაღლს უბრძანა:

— ძაღლო, წადი და ჩემი ცოლ-შვილი დაკვინეო.

— არა, არ მინდა შენი ცოლ-შვილის დაკვინაო.

მაშინ კაცმა ჯოხი აიღო, რომ ძაღლი ეცემა.

ჯოხმა უთხრა:

— არ მინდა ძაღლის ცემაო.

მაშინ კაცმა ჯოხი ცეცხლში ჩააგდო.

მაგრამ ცეცხლმა უთხრა:

— არ მიდა ჯოხის დაწვაო.

მაშინ კაცმა წყალს უთხრა:

— წყალო, ცეცხლი ჩააქრეო.

მაგრამ წყალმა უთხრა:

— არ მინდა ცეცხლის ჩაქრობაო.

მაშინ კაცმა ხარებს უთხრა:

— ხარებო, წყალი დალიეთო,

მაგრამ ხარებმა უთხრეს:

— არ გვინდა წყლის დალევაო.

მაშინ კაცმა უღელი აიღო, რომ ხარები უღელში შეება.

მაგრამ უღელმა უთხრა:

— არ მინდა, ხარებს კისერზე დავედგაო.

მაშინ კაცმა თაგვს უთხრა:

— თაგვო, უღელი დახარო.

მაგრამ თაგვმა უთხრა:

— არ მინდა, უღელი დავხრაო.

მაშინ კაცმა კატას უთხრა:

— კატავ, თაგვი შეჭამეო.

კატას მოუწადა თაგვის შეჭმა.

თაგვს მოუწადა უღლის დახრა.

უღელს მოუწადა ხარების შებმა.

ხარებს მოუწადათ წყლის დალევა.

წყალს მოუწადა ცეცხლის ჩაქრობა,

ცეცხლს მოუწადა ჯოხის დაწვა.

ჯოხს მოუწადა ძაღლის ცემა.

ძაღლს მოუწადა კაცის ცოლ-შვილის კვინა.

ხოლო კაცის ცოლ-შვილს — საჩქაროდ შინ დაბრუნება.

მგელი, ლოკოკინა და კრაზანა

ერთხელ ერთი მგელი ტყეში მიდიოდა და ლოკოკინას ფეხი დაადგა.

იმ დროს ცხოველებს ადამიანისებრ შიშით ლაპარაკი. ჰოდა, ლოკოკინამ მგელს უთხრა:

— რა ავი ხარ, მგელო! სუსტებს რატომ ქელავ? ვითომ სატრაბახო რა გაქვს? თუ მოვინდომებ, სირბილში გაჯობებ, მოდი, დავნადლევედეთ; შენ და შენი თანამომძმე მგლები ჭიჭინაზეც რომ გასკდეთ, ვერ დამეწევითო.

— შენ ვერ დაგეწევით, შე საპყაროო?

— დიახ, ვერ დამეწევით, მგელო. ხვალ, მზე რომ ამოვა, შენი თანამომძმეებით მოდი და ვნახოთ, მდინარე გარონას ნაპირამდე ჩვენ შორის პირველი ვინ მიირბენსო.

— კარგი, მოვალთო.

მგელმა გზა განაგრძო. ოციოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ კრაზანების ბუდეს დაადგა ფეხი.

— რა ავი ხარ, მგელო! სუსტებს რატომ ქელავ? ჩვენ, კრაზანები, პატარები ვართ, მაგრამ შენი არ გვეშინია. მოდი, დავნადლევედეთ, რომ შენა და შენს თანამომძმეებს წყალში ამოგახრჩობთო.

— თქვენ ამოგახრჩობთ, თქვე არარაობავ, თქვენა?

— ჰო, ჩვენ, მგელო, ხვალ, მზე რომ ამოვა, შენი თანამომძმეებით მოდი და ვნახოთ, ბევრი დრო დაგვჭირდება თუ არა, ყველა ერთად გარონაში ჩაგახრჩობთო.

— კარგი, მოვალთო.

მგელი მაშინვე თავისი თანამომძმეების გასაფრთხილებლად წავიდა, ხოლო ლოკოკინამ კრაზანებს უთხრა:

— მეგობრებო, კრაზანების მთელ საგვარეულოს შეატყობინეთ, ჩემს დაძახილზე ლოკოკინებიც აუცილებლად მოგროვდებიან, ჩაიმაღეთ ტირიფის ფოთლებში, გარონას ნაპირზე რომ ხარობს. ჩვენ მგლებს მოგირეკავთ, თქვენ დრო შეურჩიეთ, თავს დაუსხით და მანამ დაკბინეთ, სანამ ყველანი მდინარეში არ ჩაცვივდებიანო.

— კარგი, ლოკოკინავ, ყველაფერს გავაკეთებთო.

კრაზანები გაფრინდნენ, რომ დანაპირები შეესრულებინათ.

ლოკოკინამ კი თავისი მეგობრები გარონას ნაპირამდე გზის გასწვრივ ხუთ-ხუთ ნაბიჯზე ჩამწკრივა.

მეორე დილით, მზე ამოვიდა თუ არა, მგლები და ლოკოკინა იმ ადგილზე იდგნენ, საიდანაც სირბილი უნდა დაეწყოთ.

— ლოკოკინავ, აქ ხარო?

— აქ ვარ, მგლებო, დავიწყითო.

მგლები თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ. გარბოდნენ და ყვიროდნენ:

— ლოკოკინავ, სადა ხარო?

— აქ ვარ, მგლებო, — უპასუხებდა გზაზე გამწკრივებული ხან ერთი ლოკოკინა, ხან მეორე.

როცა მგლებმა გარონას ნაპირამდე მიირბინეს, კრაზანები ტირიფის ფოთლებიდან გუნდად გამოფრინდნენ, მგლებს შემოეხვივნენ და მწარედ დაუწყეს კბენა.

— უფრო მაგრა! უფრო მაგრაო! — ყვიროდნენ ისინი.

საბრალო მგლები მდინარეში ჩაცვივდნენ, წყლიდან დრუნჩებილა მოუჩანდათ.

— ცხვირებზეც ვუკბინოთ, ცხვირებზეც ვუკბინოთო, — შესძახეს კრაზანებმა და ნესტრები მახვილივით დაატრიალეს.

ყველა მგელი დაიხრჩო, ხოლო მეტისმეტად კმაყოფილი ლოკოკინები და კრაზანები ტყეში დაბრუნდნენ.

## მშვენიერი ქანეთონი

იყო საფრანგეთის ხელმწიფე და ხელმწიფის ცოლი. ჰყავდათ ვაჟი — მზესავით ლამაზი. ყოველ დილით, ირიჟრაჟებდა თუ არა, მზეჭაბუკი სანადიროდ მიდიოდა. თან ასი მგემავი და შვიდასი ძალლი მიჰყვებოდა. უკან მუდამ მზის ჩასვლამდე ბრუნდებოდა.

მაგრამ ერთ საღამოს ხელმწიფის ვაჟის ბედაური მარტო დაბრუნდა, მისი ბატონი მსახურებს ასცდა და ტყეში გზა აებნა. უკუნი ღამე იყო, მგლები ყმუოდნენ.

საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ვეება მუხაზე აძვრა, კენწეროზე მოექცა და ოთხივ მხარეს გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

მაშინ საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ვეება მუხიდან ჩამოვიდა, ხმალი ქარქაშიდან ამოიღო, მიწაზე დაწვა და ასე, გაშიშვლებული ხმლით დაიძინა. როცა გაელვიძა, მზე ამოდიოდა და ჩიტუნები ჭიკჭიკებდნენ.

საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი მთელი დღე ტყეში დაეხეტებოდა. სვამდა ნაკადულის წყალს, ჭამდა მცენარეებსა და ტყის ნაყოფს. მერე ისევ უკუნი ღამე ჩამოწვა, აყმუვლდნენ მგლები.

საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ისევ აძვრა ვეება მუხაზე, მოექცა კენწეროზე და ოთხივ მხარეს გაიხედ-გამოიხედა. ბოლოს, ჩრდილოეთ მხარეს, შორს, პატარა შუქი შენიშნა.

ვაჟი მუხიდან ჩამოვიდა და ძალიან დიდხანს მიდიოდა ჩრდილოეთისკენ. ერთი საათით ადრე, სანამ შუალამე დადგებოდა, მან შუაგულ ტყეში ჩაკარგული კოშკის კარზე მიაკაკუნა.

— კაკ-კუკ!

კარი მზესავით ლამაზმა ქალმა გაუღო.

— ლამაზო ქალო, გამარჯობა! მე საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ვარ. სამი დღე და ღამე მშიერ-მწყურვალი ტყეში დავეხეტები. ამდენი სიარულით ფეხები დამაწყდა. მაჭამე და ღამის გასათევი მომეცით.

— საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟო, შემოდი, მალე ჭამე და გაიქეცი. ეს კოშკი ჩემი კაციჭამია მშობლებისა... ორივენი ადამიანის ხორცს დახარბებული არიან. ახლა ისინი ტყეში სეირნობენ, მაგრამ, როგორც კი შუალამე დადგება, დაბრუნდებიან. არ მინდა, ცოცხლად შეგჭამონ. საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟო, შემოდი, მალე ჭამე და გაიქეციო.

— ლამაზო ქალო, ფეხები აღარ მემორჩილებო.

— მაშ, რა ვქნათ. საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟო. შემოდი, მალე ჭამე და გოვზაში დაიძალეო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. როგორც კი შუალამე დადგა, კაციჭამია ცოლ-ქმარი დაბრუნდა. გოლიათები იყვნენ, კოშკივით ძალღები და ნახშირივით შავები. კაციჭამიები ხომ მოუნათლავები არიან.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ! მონათლული ადამიანის სუნი გვცემსო.

— არა, მამი! არა-მეთქი, დედი! აქ მონათლულ ადამიანს რა უნდა. ეძებეთ და დარწმუნდებით, რომ არ გატყუებთო.

კაციჭამია ცოლ-ქმარმა ყველაფერი გადააქოთა, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ! მონათლული ადამიანის სუნი გვცემს. დავიძინოთ. ხვალ უკეთ მოვძებნით. თუ მოგვატყუე, ცოცხლად შეგჭამთო.

კაციჭამია ცოლ-ქმარი დაწვა, ხოლო მშვენიერი ჟანეტონი დაწოლას არ ჩქარობდა, ერთი მუჭა ნაცრით და ერთი ჭიქა საკუთარი სისხლით საოცარი უნარის ღვეხელი გამოაცხო, — შეეძლო დილამდე ჟანეტონის მაგივრად ელაპარაკნა.

ღვეხელი რომ გააკეთა, მშვენიერმა ჟანეტონმა კაციჭამია დედ-მამის ჯოხი და შვიდმილიანი ფეხსაცმელები აიღო. მერე გოვზი ნელ-ნელა ასწია:

— საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟო, ჩქარა გავიქცეთ, თორემ უბედურება გველოდებაო.

მაგრამ კაციჭამია ცოლ-ქმარი მშვენიერ ჟანეტონს არ ენდობოდა და მხოლოდ იმძინარებდნენ თავს.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა უპასუხა:

— მივდივარ, მივდივარ, ოღონდ ჯერ ჩაჩს მოვიხდითო.

კაციჭამია ცოლ-ქმარს წამით ჩაეძინა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა უპასუხა:

— მივდივარ, მივდივარ, ოღონდ ჯერ ზედა კაბას გავიხდითო.

კაციჭამია ცოლ-ქმარს წამით ჩაეძინა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა უპასუხა:

— მივდივარ, მივდივარ, ოღონდ ჯერ ქვედა კაბას გავიხდითო.

კაციჭამია ცოლ-ქმარს წამით ჩაეძინა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა უპასუხა:

— მივდივარ, მივდივარ, ოღონდ ჯერ თმას დავივარცხნიო.

კაციჭამია ცოლ-ქმარს წამით ჩაეძინა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა უპასუხა:

— მივდივარ, მივდივარ, ოღონდ ჯერ ფეხსაცმელებს გავიხდითო.

კაციჭამია ცოლ-ქმარს წამით ჩაეძინა.

— ო-ჰო-ჰო! მშვენიერო ჟანეტონ, წადი, დაიძინეო.

მაგრამ უკვე ირიჟრაჟა. ნაცრისა და სისხლისაგან გაკეთებულმა ღვეზელმა თავისი ჯადოსნური ძალა დაკარგა და მშვენიერი ჟანეტონის ნაცვლად პასუხის გაცემა არ შეეძლო.

მაშინ კაციჭამია ცოლი ზეზე წამოიჭრა.

— ო-ჰო-ჰო! დასწყევლოს ეშმაკმა, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! მშვენიერ ჟანეტონსა და მონათლულ ადამიანს ჯოხი და შვიდმილიანი ფეხსაცმელები წაუღიათ და წასულან. მალე, კაცო, გაიქეცი და დაეწიე. ერთ საათში უნდა დაიჭირო, ცოცხლად შევჭამოთო.

კაციჭამია ქმარმა აიღო მეორე ჯოხი, ასმილიანი ფეხსაცმელები და გაქცეულებს ქარივით გამოუდგა. მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი კინალამ გაეგბნენ.

— ო-ჰო-ჰო! — ყვიროდა კაციჭამია — დამაცათ, ყაჩაღებო! დამაცათ, ძალღიშვილებო!

მაგრამ მშვენიერ ჟანეტონს შეეძლო ყოველგვარი ხიფათისაგან თავი დაეხსნა. თავისი ჯადოსნობის ძალით ისა და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი წამში ჩიტუნებად გადაიქცნენ. ჩიტუნები გზის პირას ბუჩქებში აჭიკჭიკდნენ.

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!

კაციჭამია შედგა და ჩიტუნებს ჰკითხა:

— ო-ჰო-ჰო!

ჰე, ჩიტუნებო, მითხარით მალე,

ქალ-ვაჟისთვის არ მოგიკრავთ თვალი?

— ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!

ჩიტუნებისაგან კაციჭამიამ სხვა ვერაფერი გაიგო და კოშკში დაბრუნდა. ამასობაში კი მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ქარივით მიქროდნენ.

— ო-ჰო-ჰო! აბა რა ამბავია, კაცო, მშვენიერი ჟანეტონი და მონათლული ადამიანი თუ დაიჭირო? — ჰკითხა კაციჭამია ცოლმა.

— ო-ჰო-ჰო! მარტო ორი ჩიტი ვნახე, გზის პირას ბურქებში ჭიკჭიკებდნენ, გამოკითხვა დავუწყე, პასუხად კი მხოლოდ «ჭიკ-ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ-ჭიკ!» მითხრეს, მათგან სხვა ვერაფერი გავიგეო.

— ო-ჰო-ჰო! ბრიყვო, ეს ხომ ისინი იყვნენ! მალე, კაცო, გაიქეცი და დაეწიე. ერთ საათში უნდა დაიჭირო, ცოცხლად შევჭამოთო.

კაციჭამია ქმარი ქარივით გაფრინდა. მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი კინალამ გაეზნენ.

— ო-ჰო-ჰო! — უყვიროდა კაციჭამია. — დამაცათ, ყაჩაღებო, დამაცათ, ძაღლიშვილებო!

მაგრამ მშვენიერ ჟანეტონს შეეძლო ყოველგვარი საფრთხისაგან თავი დაეხსნა, თავისი ჯადოსნობის ძალით ისა და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი წამში დედალ-მამალ იხვად გადაიქცნენ, დედალ-მამალ იხვი გზის პირას თხრილში ჭყუმპალაობდა და ყიყინებდა:

— ყი-ყი-ყი!

კაციჭამია შედგა და მათ ჰკითხა:

— ო-ჰო-ჰო!

აბა, იხვებო, მითხარით მალე:

ქალ-ვაჟისთვის არ მოგიკრავთ თვალი?

— ყი-ყი-ყი!

მათგან კაციჭამიამ სხვა ვერაფერი გაიგო და კოშკში აბრუნდა. ამასობაში კი მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ქარივით მიქროდნენ.

— ო-ჰო-ჰო! აბა, რა ამბავია, მშვენიერი ჟანეტონი და მონათლული ადამიანი თუ დაიჭირეო? — ჰკითხა კაციჭამია ცოლმა.

— ო-ჰო-ჰო! მარტო დედალ-მამალ იხვი ვნახე. გზის პირას თხრილში ჭყუმპალაობდნენ და ყიყინებდნენ. გამოკითხვა დავუწყე. პასუხად კი მხოლოდ «ყი-ყი-ყი» მითხრეს. მათგან სხვა ვერაფერი გავიგეო.

— ო-ჰო-ჰო! ბრიყვო, ეს ხომ ისინი იყვნენ. მალე, კაცო, გაიქეცი და დაეწიე, ერთ საათში უნდა დაიჭირო. ცოცხლად შევჭამოთო.

კაციჭამია ქმარი ქარივით გაფრინდა. მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი კინალამ გაეზნენ.

— ო-ჰო-ჰო! — ყვიროდა კაციჭამია. — დამაცათ, ყაჩაღებო, დამაცათ, ძაღლიშვილებო!

მაგრამ მშვენიერ ჟანეტონს შეეძლო ყოველგვარი საფრთხისაგან თავი დაეხსნა. თავისი ჯადოქრობის ძალით ისა და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი წამში მზესავით მშვენიერ მწყემს ქალად, მწყემს ბერნადეტად და ცხვრებად გადაიქცნენ. მწყემსი ცხვრებს გზის პირას ამოვებდა.

— ბე, ბე, ბე!

კაციჭამია შედგა და მწყემსსა და ცხვრებს ჰკითხა:

— ო-ჰო-ჰო!

ჰე, მწყემსო ქალო, ბერნადეტაო!

თქვენც, თეთრო ცხვრებო, მითხარით მალე.

ქალ-ვაჟისთვის არ მოგიკრავთ თვალი?

— ბე, ბე, ბე!

მათგან კაციჭამიამ სხვა ვერაფერი გაიგო და კოშკში დაბრუნდა. ამასობაში კი მშვენიერი ჟანეტონი და საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი ქარივით მიქროდნენ.

— ო-ჰო-ჰო! აბა, რა ამბავია, კაცო, მშვენიერი ჟანეტონი და მონათლული ადამიანი თუ დაიჭირეო? — ჰკითხა ცოლმა.

— ო-ჰო-ჰო! მარტო მზესავით მშვენიერი მწყემსი ქალი, მწყემსი ბერნადეტა და ცხვრები ვნახე, მწყემსი ცხვრებს გზის პირას ამოვებდა. გამოკითხვა დავუწყე, პასუხად კი მხოლოდ «ბე-ბე-ბე!» მითხრეს. მათგან სხვა ვერაფერი გავიგეო.

— ო-ჰო-ჰო! ბრიყვო, ეს ხომ ისინი იყვნენ. მალე, კაცო, გაიქეცი და დაეწიე. ერთ სა-  
ათში უნდა დაიჭირო. ცოცხლად შევჭამოთო.

კაციჭამია ქმარი ქარივით გაფრინდა, მაგრამ ამჯერად მშვენიერი ჟანეტონი და საფ-  
რანგეთის ხელმწიფის ვაჟი იმდენად დაწინაურდნენ, რომ იგი ველარ დაეწიოდა.

ერთი კვირის მერე საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი და მშვენიერი ჟანეტონი ლუვრში,  
საფრანგეთის ხელმწიფის კარზე მივიდნენ.

— გამარჯობათ, ძვირფასო მშობლებო!

— გაგიმარჯოს, ჩემო კარგო შვილო, უკვე გამოგიტირეთო!

— ძვირფასო მშობლებო, მე ადამიანის ხორცს დახარბებულ კაციჭამია ცოლ-ქმარს  
ჩავუვარდი ხელში, ეს ლამაზი ქალი მშვენიერი ჟანეტონი რომ არ ყოფილიყო, დავილ-  
უპებოდი. ძვირფასო მშობლებო, ეს ქალი ისე მიყვარს, ენა ვერ იტყვის. ნება მომეცით  
ცოლად შევირთო, თორემ შორს გადავიკარგები და არასოდეს დავბრუნდებო.

— ძვირფასო შვილო, შორს ნუ გადაიკარგები, მშვენიერი ჟანეტონი ცოლად შეირ-  
თეო.

როგორც თქვეს, ისე გააკეთეს. საფრანგეთის ხელმწიფის ვაჟი და მშვენიერი ჟანეტო-  
ნი ცხოვრობდნენ დიდხანს ბედნიერად და საამურად.

### ოქროს დრაგუნი

ძველად ციხე-კოშკ ლამოტში ცხოვრობდნენ გრაფი და გრაფინია, ძალიან მდიდრე-  
ბი და ძალიან გულუბნები. ამ კეთილ ცოლ-ქმარს ჰყავდა ერთი ვაჟი, მზესავით ლამა-  
ზი, ოქროსავით საიმედო, სამსონივით\* (\* სამსონი — ძველებრავლი მითოლოგიის  
გმირი, რომელსაც მიაწერდნენ ზებუნებრივ ფიზიკურ ძალას. ბიბლიური გადმოცემით  
სამსონმა შიშველი ხელებით მოკლა ლომი, ჩაიდინა ბევრი სხვა გმირობა. დაიღუპა თა-  
ვისი სატრფოს, დალილას, ლალატით.) ძლიერი და გამბედავი. ერთხელ ჰაბუკმა გრაფ-  
მა დედ-მამა გადაკოცნა და თავის ფრთიან რაშს მოახტა.

— მშვიდობით, დედ-მამავ. დღეს ოცი წელი შემისრულდა. ომში მივდივარ, რომ  
საფრანგეთის მეფეს ვემსახურო.

— მშვიდობით, ჩემო შვილო. ღმერთი და წმინდა მარიამი იყოს შენი მფარველიო!  
ფრთიანი რაში ქარივით გაფრინდა და ღრუბლებს აეკრა.

სამი წელი ემსახურა გრაფი საფრანგეთის მეფეს. იგი ოქროს დრაგუნთა პოლკს მე-  
თაურობდა. როცა მეომრები დაზავდნენ, ოქროს დრაგუნი ლუვრში მეფის საძებნელად  
წავიდა.

— გამარჯობა, საფრანგეთის მეფევ.

— გაგიმარჯოს, ოქროს დრაგუნი. რას იტყვიო?

— საფრანგეთის მეფევ, მშვიდობა დამყარდა. მინდა დედ-მამასთან დავბრუნდე ცი-  
ხე-კოშკ ლამოტში. თუ ისევ დაგჭირდი, მიხმე და მაშინვე შენთან გავჩნდებო.

— ოქროს დრაგუნი, წადი შენს ციხე-კოშკში, ლამოტში. დაბრუნდი მშობლებთან და  
ჩემგან მოკითხვა გადაეციო.

— გმადლობ, საფრანგეთის მეფევ. ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანეო.

ოქროს დრაგუნი ლუვრიდან გამოვიდა და თავის მძლავრ რაშს მოახტა. რაში  
ღრუბლებში გაუჩინარდა.

შუა ღამემ რომ მოატანა, მხედარმა მთვარის შუქზე შორს ციხე-კოშკი ლამოტი დაი-  
ნახა.

ოქროს დრაგუნმა აღვირი მოსწია და ფრთიანმა რაშმა არწივივით დაიწყო ტრიალი  
მდინარე ლოზზე გადებულ ხიდზე, ლეკტერსა და ლამოტის ციხე-კოშკს შუა რომ მდე-  
ბარეობს.

— როგორ გაუხარდება ჩემს კეთილ დედ-მამას, რომ გავადვიდებო!

ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო, რომ ქვემოდან კვნესა შემოესმა:

— ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

გზის პირას თეთრკაბიანი ყმაწვილი ქალი იჯდა და ცხარე ცრემლებით ტიროდა.

— ლამაზო ქალო, აქ, ამ გზის პირას რას აკეთებ, ანდა ცხარე ცრემლით რატომ ტირო?

— ოქროს დრაგუნო, ტყუილად როდი ვტირი ცხარე ცრემლით. ღამის სულზე ძალათი მათხოვებდნენ, ამიტომ მამის კომპიდან გამოვიქეცი. მაგრამ მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე ძალაუფლება დედამიწაზე ღამის სულის ხელშია. გათენებამდე მომნახავს და წამიყვანსო.

ოქროს დრაგუნი ცხენიდან ჩამოხტა.

— ლამაზო, ასე ნუ ტირი. სამი წელი საფრანგეთის მეფეს ვემსახურე ომში და ჩემზე ძლიერ და გამბედავ კაცს არასოდეს შევხვედრივარ, ახლავე მამაჩემის ციხე-კომპში წაგიყვან. იქ ხელს ვერავინ გახლებს. ლამაზო, პირობას გაძლევ, ღამის სულის ცოლობას აგაცილო. აქ დამელოდე და ნურაფრის გეშინია. რაშს მდინარე ლოზის წყალს დავალევი და მოვბრუნდებიო.

— დაგელოდებიო.

ოქროს დრაგუნი მდინარეზე ჩავიდა და თავის ფრთიან რაშს წყალი დააღვინა. როცა უკან მობრუნდა, ქალი იქ აღარ დაუხვდა.

— ღვთისმშობელო! ღამის სულმა მზეთუნახავი მომტაცა, ღვთისმშობელო, ნეტა სად წაიყვანაო?

მაშინ ძლიერი ფრთიანი რაში ალაპარაკდა:

— ოქროს დრაგუნო, გიყვარვარო?

— ჰო, მიყვარხარ, ჩემო კეთილო რაშო. ბევრჯერ მემსახურე და ომში ბევრი განსაცდელისაგანაც მიხსენიო.

— თუკი გიყვარვარ, ამ მუხის ქვეშ დაწექი და დაიძინე, მე კი გიდარაჯებ, მანამ იძინე, სანამ არ გაგაღვიძებ. მაშინ გაიგებ შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიანო.

ოქროს დრაგუნი მუხის ქვეშ დაწვა და დაიძინა. რაში თავზე გუშაგივით დაადგა... მუხის ტოტებში ბუები და ჭოტები ისხდნენ, და ერთმანეთში საუბრობდნენ:

— უჰუ! უჰუ! შ-შ, შ-შ, შ-შ!

რაშს ამ ფრინველების ენა ესმოდა, ხოლო ამ ფრინველებმა, რაც კი ღამე ხდებოდა, ყველაფერი იცოდნენ. რაში მიწაზე დაწვა და თავი მოიმძინარა, სმენა კი გაამახვილა.

მუხის კენწეროზე ბუები და ჭოტები ჭარტალებდნენ;

— უჰუ! უჰუ! შ-შ, შ-შ, შ-შ! ღამის სულმა დაიჭირა თავისი საცოლე. უჰუ! უჰუ! შ-შ, შ-შ, შ-შ! ღამის სულმა თავისი საცოლე დაამწყვდია სახლში, მგლის წყაროს მახლობლად, რამერის ტყეში. უჰუ! უჰუ! შ-შ, შ-შ, შ-შ!

ფრთიანმა რაშმა თავისი პატრონი გააღვიძა.

— გეყო ძილი, მალე ზურგზე შემაჯექი. შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიან, კარგად ვიციო.

მძლავრმა ცხენმა ფრთები დაიქნია და ერთ წამში რამერის ტყეში გაჩნდა, მგლის წყაროს მახლობლად მდებარე სახლში.

ოქროს დრაგუნმა ხმალი იშიშვლა და ყოველგვარი შიშისა და მერყეობის გარეშე კარზე დააკაკუნა.

— კაკ-კუკ!

არავინ გამოეპასუხა.

მაშინ ოქროს დრაგუნმა კარს მძლავრად ჰკრა წიხლი და კარი შეღეწა.

— გამარჯობა, ღამის სულო. საცოლე ახლავე მომეციო.

— ოქროს დრაგუნო, საცოლეს არ მოგცემ. თუ გინდა, შევერკინოთო.

ღამის სულმა ხმალს ხელი სტაცა და გაიმართა ომი. დიდხანს იომეს. ბოლოს ოქროს დრაგუნმა მოწინააღმდეგე მიწას გააკრა.

— ოქროს დრაგუნო; შენ ჩემზე ძლიერი ხარ, მაგრამ მოკვლით მაინც ვერ მომკლავ. მე საშინელი სამსჯავროს დღემდე უნდა ვიცოცხლო, მერე მოვკვდე და მკვდრეთით ველარ აღვსდგე. ყური მიგდე. ქალი რაშზე შემოისვი და წაიყვანე. რიჟრაჟამდე ძალა ჩემს ხელშია და ორივეს გაწამებთ. თუნდაც ერთი სიტყვა რომ წამოგცდეს, ანდა შენს მზეთუნახავს მოხედო, წავიყვან და ველარასოდეს იხილავო!

— ასე იცოსო.

ოქროს დრაგუნმა მზეთუნახავი რაშზე შემოისვა და მძლავრმა რაშმა ისარივით გადაურბინა დედამიწას. ღამის სული საბრალო ქალს ზურგს უკან მიუჯდა და საშინელი კბენა და ნჯღრევა დაუწყო.

— ოქროს დრაგუნო, ვვარდები, ვვარდებიო!

— ნუ გეშინია, ღამაზო. ჩემი ხმლის აშურმას ორივე ხელით ჩაეჭიდეთ.

— ოქროს დრაგუნო, ვვარდები, ვვარდებიო!

ოქროს დრაგუნი შემობრუნდა.

— ღვთისმშობელო! ღამის სულმა ჩემი მზეთუნახავი წაიყვანა. ღვთისმშობელო, ნეტა, სად არისო?

მაშინ ფრთიანი რაში ალაპარაკდა:

— ოქროს დრაგუნო, გიყვარვარო?

— ჰო, მიყვარხარ, ჩემო ძლიერო რაშო, ბევრჯერ მემსახურე და ომში ბევრი განსაცდელისაგან მიხსენიო.

— თუკი გიყვარვარ, შენი თავი დაიფიცე, რომ არასოდეს სხვა ცხენში არ გამცვლი. დაიფიცე, არასოდეს არც ოქროზე და არც ვერცხლზე არ გამყიდო.

— ჩემო ფრთიანო ცხენო, ჩემს თავს გეფიცებიო.

— ოქროს დრაგუნო, ახლა, როცა შემომფიცე, ძირს ჩადი. ამ მუხის ქვეშ დაწეკი და დაიძინე, მე კი გიდარაჯებ. მანამ იძინე, სანამ არ გაგაღვიძებ. მაშინ გაიგებ შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიანო.

ოქროს დრაგუნი მუხის ქვეშ დაწვა და დაიძინა, ხოლო მძლავრი რაში გუშაგად დაუდგა. მუხის ტოტებში ბუები და ჭოტები ისხდნენ და, რახან ჯერ არ გათენებულიყო, ერთმანეთში საუბრობდნენ.

— უჰუ! უჰუ! შ-შ, შ-შ, შ-შ!

რაშს ამ ფრინველების ენა ესმოდა, ხოლო ამ ფრინველებმა, რაც კი ღამე ხდებდა, ყველაფერი იციან. რაში მიწაზე დაწვა და თავი მოიმძინარა, სმენა კი გაამახვილა.

მუხის კენწეროზე კი ბუები და ჭოტები ისხდნენ და ჭარტალებდნენ, რახან ჯერ არ გათენებულიყო.

— უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! შ-შ! ღამის სულმა ისევ წაიყვანა თავისი საცოლე. უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! შ-შ! ღამის სულმა თავისი საცოლე ჩაკეტა ოქრო-ვერცხლის კომპში; თვალ-უწვდენელი ზღვის შუაგულში ამოზიდულ ფრიალო კბოდებზე. უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! შ-შ! მაშინ რაშმა თავისი პატრონი გააღვიძა.

— გეყო ძილი, მალე ზურგზე შემაჯექი. შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიან, კარგად ვიციო.

მეორე დღეს, როგორც კი შუაღამემ მოატანა და საათმა ჩამორეკა, ოქროს დრაგუნი ოქრო-ვერცხლის კომპის ჭიშკართან იდგა, შუა ზღვაში ამოზიდულ ფრიალო კბოდებზე.

ოქროს დრაგუნმა ხმალი იმიშვლა და ყოველგვარი შიშისა და მერყეობის გარეშე ჭიშკარზე დააკაკუნა:

— კაკ-კუკ!

არვინ გამოეპასუხა.

მაშინ ოქროს დრაგუნმა ჭიშკარს მძლავრად ჰკრა წიხლი და შელექა.

— გამარჯობა, ღამის სულო. საცოლე ახლავე მომეციო.

— ოქროს დრაგუნო, შენი საცოლის ნახვას ვერ ეღირსები! მოდი, ერთმანეთს მკლავის ძალა გავუსინჯოთო!



ღამის სულმა ხმალი იშიშვლა და გაიმათა ომი. დიდხანს იომეს. ბოლოს ოქროს დრაგუნმა მოწინააღმდეგე მიწას გააკრა.

— ოქროს დრაგუნო, შენ ჩემზე ძლიერი ხარ, მაგრამ მოკვლით მაინც ვერ მომკლავ. მე მხოლოდ საშინელი სამსჯავროს დღეს მოვკვდები და მკვდრეთით აღდგომა არ მიწერია. ყური მიგდე. ქალი რაშზე შემოისვი და წაიყვანე. რიჟრაჟამდე ძალა ჩემს ხელშია და ორივეს გაწამებთ, თუნდაც ერთი სიტყვა რომ წამოგცდეს, ანდა შენს მზეთუნახავს მოხედო, წამოვიყვან და ველარასოდეს იხილავო!

— ასე იყოსო.

ოქროს დრაგუნმა მზეთუნახავი რაშზე შემოისვა და მძლავრი რაში ღრუბლებში გაუჩინარდა. ღამის სული საბრალო ქალს ზურგს უკან მიუჯდა და საშინელი კბენა და ნჯღრევა დაუწყო. მაგრამ ქალს ერთი არ დაუკვნესია.

ღამის სული მიხვდა, დროს ტყუილად ვკარგავო და ხმალი იშიშვლა, რომ ოქროს დრაგუნისათვის ზურგზე დაეკრა.

— ოქროს დრაგუნო, ოქროს დრაგუნო, უფრთხილდიო!

ოქროს დრაგუნი შემობრუნდა.

— ღვთისმშობელო! ღამის სულმა ჩემი მზეთუნახავი ისევ წაიყვანა! ღვთისმშობელო, ნეტა სად არისო?

მაშინ ფრთიანი რაში ალაპარაკდა.

— ოქროს დრაგუნო, გიყვარვარო?

— მიყვარხარ, ჩემო ფრთიანო ცხენო. ბევრჯერ მემსახურე და ომში ბევრი განსაცდელისაგან მიხსენი, ხომ შემოგფიცე, სხვა ცხენში არასოდეს გაგცვლი, ოქრო-ვერცხლზე არასოდეს გაგყიდი-მეთქი.

— მაშ, ამ მუხის ქვეშ დაწევი და დაიძინე, მე კი გიდარაჯებ, მანამ იძინე, სანამ არ გაგაღვიძებ. მაშინ გაიგებ, შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიანო.

ოქროს დრაგუნი მუხის ქვეშ დაწვა და დაიძინა, ხოლო მძლავრი რაში გუშაგად დაუდგა. მუხის ტოტებში ბუები და ჭოტები ისხდნენ და ერთმანეთში ჭარტალებდნენ:

— უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! შ-შ!

რაშს ამ ფრინველების ენა ესმოდა, ხოლო ამ ფრინველებმა, რაც კი ღამე ხდებდა, ყველაფერი იციან. რაში მიწაზე დაწვა და თავი მოიძინარა, ხოლო სმენა გაამახვილა.

მუხის კენწეროზე კი ბუები და ჭოტები ისხნენ და ჭარტალებდნენ, რახან ჯერ არ გათენებულაიყო.

— უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! შ-შ! ღამის სულმა ისევ წაიყვანა თავისი საცოლე. უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ! ღამის სულს თავისი საცოლე დატყვევებული ჰყავს შორს, ძალიან შორს, იმ ვარსკვლავის, ყველაზე შორეულ კიდეში სამი ქალწულის თანავარსკვლავედის\* (\* სამი ქალწულის თანავარსკვლავედი — ასე ეძახიან გასკონელები ორიონის თანავარსკვლავედს.) შუაგულში რომაა, ღამის სულს იგი დატყვევებული ჰყავს რკინისა და ლითონის ციხე-კოშკში. უჰუ! უჰუ! შ-შ! შ-შ!

მაშინ რაშმა თავისი პატრონი გააღვიძა.

— გეყო ძილი, მალე ზურგზე შემაჯექი. შენი მზეთუნახავი და ღამის სული სად არიან, კარგად ვიციო.

როგორც კი მზე ამოიწვერა, ოქროს დრაგუნი ფუნდუკში ჩამოხტა ბორდოში.

ცხენი ალაპარაკდა:

— ოქროს დრაგუნო, გიყვარვარო?

— მიყვარხარ, ჩემო ფრთიანო ცხენო, ბევრჯერ მემსახურე და ომში ბევრი განსაცდელისაგან მიხსენი. ხომ შემოგფიცე, სხვა ცხენში არასოდეს გაგცვლი და ოქრო-ვერცხლზე არასოდეს გაგყიდი-მეთქი.

— შემომფიცე, რომ სიკვდილამდე არც ქატო და არც შვრია არ მომაკლდებაო.

— ჩემო ძლიერო ცხენო, ჩემს თავს გეფიცებიო.

— კარგი. ახლა მეჯინიბეებს უბრძანე, მომიტანონ შვიდი ტომარა შვრია და იმდენი წყალი მომიშაადონ, რამდენიც დამჭირდება. ერთ საათში შორეულ გზას დავადგებით. სანამ კუჭს ამოვივსებ, ქალაქში გავარდი, მეწადეს ერთი გირვანქა ფისი გამოართვი, ოქრომჭედელს — ოქროს ნემსი და იმწამსვე ჩემკენ გამოიქეცი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. და აჰა, ერთ საათში ფრთიანი რაში ისარივით აფრინდა ღრუბლებში.

შუალამემ რომ ჩამოჰკრა, ოქროს დრაგუნი იმ ვარსკვლავის ყველაზე შორეულ კიდეზე იყო, სამი ქალწულის თანავარსკვლავედში რომ არის. იგი რკინისა და ფოლადის ციხე-კოშკის ჭიშკართან იდგა.

მაშინ მან ხმალი იშიშვლა და ყოველგვარი შიშისა და მერყეობის გარეშე კარზე დააკაკუნა.

— კაკ-კუკ!

არავინ გამოეპასუხა.

ოქროს დრაგუნმა კარს მძლავრად ჰკრა წიხლი და შელეწა.

— გამარჯობა, ღამის სულო, საცოლე დამიბრუნეო.

— ოქროს დრაგუნო, საცოლეს არ მოგცემ, შევერკინოთო!

ორივემ ხმალს სტაცა ხელი, გაიმართა ომი. დიდხანს იომეს, ბოლოს ოქროს დრაგუნმა მოწინააღმდეგე მიწას გააკრა.

— ოქროს დრაგუნო, შენ ჩემზე ძლიერი ხარ, მაგრამ მოკვლით მაინც ვერ მომკლავ, მე მხოლოდ საშინელ სამსჯავროს დღეს მოვკვდები და მკვდრეთით ველარ აღვსდგები. ყური მიგდე, ქალი რაშზე შემოისვი და წაიყვანე. რიჟრაჟამდე ძალა ჩემს ხელშია და ორივეს გაწამებთ. თუნდაც ერთი სიტყვა რომ წამოგცდეს, ანდა შენს მზეთუნახავს მოხედო, წავიყვან და ვერასოდეს იხილავო!

— ასე იყოსო!

მაშინ ფრთიანი რაში ალაპარაკდა:

— ოქროს დრაგუნო, ქალს ერთი გირვანქა ფისი და ოქროს ნემსი გადაეციო.

— გადავეციო.

— კარგი. მზეთუნახავო, აიღე ფისი და ოქროს დრაგუნს ყურები კარგად ამოუგლისეო.

— ამოვუგლისეო.

— ძალიან კარგი. ახლა კი, მზეთუნახავო, ერთი ღერი ძუა ამომავლიჯე, ნემსში გაუყარე და ოქროს დრაგუნს პირი ამოუკერეო.

— ამოვუკერეო.

— ძალიან კარგი. აბა, გავწიოთ, ღამის სული ახლაც მობრძანდესო!

ოქროს დრაგუნმა მზეთუნახავი რაშზე შემოისვა და მძლავრმა რაშმა ისარივით გადაუფრინა ღრუბლებს. ღამის სული საბრალო ქალს ზურგს უკან მიუჯდა და საშინელი კბენა და ნჯღრევა დაუწყო. მაგრამ ქალი არ ყვიროდა. ღამის სული მიხვდა, დროს ტყუილად ვკარგავო, და ხმალი იშიშვლა, ოქროს დრაგუნისათვის ზურგზე უნდა დაეკრა, მაგრამ ქალს არც ახლა ამოუღია ხმა.

ღამის სული მიხვდა, დროს ტყუილად ვკარგავო, და საშველად ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკს უხმო.

— ოქროს დრაგუნო, ოქროს დრაგუნო, უფრთხილდიო! — იყვირა ქალმა.

მაგრამ რამდენიც არ უნდა ეყვირა ქალს, ოქროს დრაგუნს არაფერი ესმოდა: ყურები ფისით ჰქონდა ამოგლესილი, პირი ძუით ამოკერილი. მზის ამოსვლამდე ებრძოდა იგი ღამის სულს და ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკს ისე, რომ უკან არ მოუხედავს. როგორც კი ირიჟრაჟა, ავი სულები გაქრნენ, ნისლივით გაიფანტნენ, ხოლო მძლავრი რაში ლამოტის ციხე-კოშკის ჭიშკართან შედგა. ქალმა თავის მიჯნურს მაშინვე ყურებიდან ფისი ამოაცალა და ძუა გადაუჭრა. ოქროს დრაგუნმა მას ხელი ჩაჰკიდა და მშობლებს მიუყვანა.

— გამარჯობა, ჩემო დედ-მამა. ეს ქალი ჩემი საცოლეს და თუ მის შერთვაზე უარს მეტყვი, წმინდა მიწაზე წავალ და ბერად აღვიკვეცები, ველარასოდეს ველარ მიხილავ-  
თო.

— ჩვენო შვილო, არ გვინდა ბერად აღვიკვეცო და წმინდა მიწაზე წახვიდე. შეირთე ეს  
ასული და ბედნიერად იცხოვრეთო.

იმავე დილით ქალ-ვაჟს ჯვარი დასწერეს და დიდხანს ცხოვრობდნენ ბედნიერად.

ოქროს დრაგუნს რაშისადმი მიცემული ფიცი არ დავიწყნია: არც სხვა ცხენზე გაუ-  
ცვლია და არც ოქრო-ვერცხლზე გაუყიდა. ქატო, თივა და შვრია რაშს სიკვდილამდე  
თავსაყარი ჰქონდა.

### ოთხი ავდრის ღამე

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, კუპრივით შავი. მისი ახნოვანების ქვა აღარ დაგორავ-  
და დედამიწაზე. რაც უფრო ბერდებოდა, მით უფრო ახალგაზრდად და ლამაზად მი-  
აჩნდა თავი. ამ დედაკაცს ერთადერთი მოსამსახურე ჰყავდა, სახელად ბურტუმე. ისი-  
ნი შუა ტყეში ვეება კოშკში ცხოვრობდნენ, სადაც მხოლოდ ღამურები და ბუები ბინად-  
რობდნენ. დედაკაცს ჯურღმულში ესპანური ოქროს ფულით სავსე შვიდი კასრი ედგა  
და ყოველ დილით თავის განძს ამზეურებდა.

ერთ დილით, როცა ქვრივი დედაკაცი თავის ოქროს, ჩვეულებრივ, მდელოზე ალა-  
გებდა, შავ ცხენზე ამხედრებულმა მშვენიერმა რაინდმა ჩამოიარა.

— გამარჯობა, ქალბატონო! რას აკეთებო?

— ჩემს ქონებას ვამზეურებო.

— ქალბატონო, ქონება მშვენიერია, მაგრამ მისი პატრონი უფრო მშვენიერია, ხომ არ  
წამომყვებიო?

— მშვენიერო რაინდო, შენი გზით გასწი და ჩემ წასაყვანად ოთხი ავდრის ღამეს მო-  
დიო.

ერთი წლის მერე შუაღამეს მშვენიერმა რაინდმა კოშკის კარზე მიაკაკუნა.

— ეი, ქალბატონო, გაიღვიძე! დროა ქორწილი გადავიხადოთო.

— მშვენიერო რაინდო, დღეს როგორი ამინდიაო?

— ქალბატონო, კოკისპირულად წვიმსო.

— მშვენიერო რაინდო, შენი გზით გასწი, ჩემი გათხოვების დრო ჯერ არ დამდგა-  
რაო.

ერთი წლის მერე შუაღამეს მშვენიერმა რაინდმა ისევ მიაკაკუნა კოშკის კარზე.

— ეი, ქალბატონო გაიღვიძე! დროა ქორწილი გადავიხადოთო.

— მშვენიერო რაინდო, დღეს როგორი ამინდიაო?

— ქალბატონო, კოკისპირულად წვიმს, ქარი მხეცივით ღმუისო.

— მშვენიერო რაინდო, შენი გზით გასწი. ჩემი გათხოვების დრო ჯერ არ დამდგა-  
რაო.

ერთი წლის მერე შუაღამეს მშვენიერმა რაინდმა ისევ მიაკაკუნა კოშკის კარზე.

— ეი, ქალბატონო, გაიღვიძე! დროა ქორწილი გადავიხადოთო!

— მშვენიერო რაინდო, დღეს როგორი ამინდიაო?

— ქალბატონო, კოკისპირულად წვიმს, ქარი მხეცივით ღმუის, ქარიშხალი ხეებს  
ძირფესვიანად თხრისო.

— მშვენიერო რაინდო, შენი გზით გასწი. ჩემი გათხოვების დრო ჯერ არ დამდგა-  
რაო.

ერთი წლის მერე შუაღამეს მშვენიერმა რაინდმა ისევ მიაკაკუნა კოშკის კარზე.

— ეი, ქალბატონო, გაიღვიძე! დროა ქორწილი გადავიხადოთო.

— მშვენიერო რაინდო, დღეს როგორი ამინდიაო?

— ქალბატონო, კოკისპირულად წვიმს, ქარი მხეცივით ღმუის, ქარიშხალი ხეებს ძირფესვიანად თხრის და მუშტისხელა სეტყვა მოდისო.

— მშვენიერო რაინდო, ეს ოთხი ავდრის ღამეა. მალე, მალე, ჩვენი ქორწილის დრო დადგა! ეი, ბურტუმე, იჩქარე! შენი თეთრი ფაშატიც გამოიყვანე და შეკაზმეო.

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი ბედაური კარგად შეკაზმე.

ერთი საათის მერე საქორწინო სამოსში მორთული დედაკაცი, ბურტუმე და მშვენიერი რაინდი ტყეში მიქროდნენ. კოკისპირულად წვიმდა, ქარი მხეცივით ღმუოდა, ქარიშხალი ძირფესვიანად თხრიდა ხეებს და მუშტისხელა სეტყვა მოდიოდა.

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

— ბატონი ბრძანდები!

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

\_ ბურტუმე, რა მშვენიერი დარიაო!  
— დიახ, ქალბატონო!

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

\_ ბურტუმე, ტყეში სინათლეს თუ ხედავო?  
— დიახ, ქალბატონო, მგლები მოგვდევენ. უკუნ ღამეში მათი თვალები ანათებენო.

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

— არა, ბურტუმე! მშვენიერმა რაინდმა ბრძანა, ჩემ პატივსაცემად გზა გაენათები-ნათ. რა მდიდარია ჩემი რაინდი! როგორ ვუყვარვარო!

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

\_ ბურტუმე, ტყეში ყმული თუ გესმისო?  
— დიახ, ქალბატონო, მგლები ყმუიან შიმშილისაგან. ჩვენ გვემუქრებიანო.

— ეი, ბურტუმე, შეკაზმე, შეკაზმე,  
ჩემი სახედარი კარგად შეკაზმე!

\_ არა, ბურტუმე, მშვენიერმა რაინდმა ჩემთვის ზეიმი გამართა. რა მდიდარია ჩემი რაინდი! როგორ ვუყვარვარო!

უცებ მგლები დედაკაცს და მის სახედარს ეცნენ. ბურტუმემ ხმალზე ხელი გაივლო, მაგრამ მშვენიერმა რაინდმა შეაჩერა.

— ბურტუმე, დაე, მგლები დანაყრდნენ, არ ინანებო!

როცა მგლები გაძღნენ და წავიდ-წამოვიდნენ, მშვენიერმა რაინდმა იკითხა:

— ბურტუმე, ცხენიდან ჩამოდი და ნახე, დედაბრისა და მისი სახედრისაგან რამე დარჩაო?

— მშვენიერო რაინდო, დედაბრისგან ოქროს ფეხი დარჩა, ხოლო სახედრისაგან ალ-მასის ლურსმნიანი ოქროს ოთხი ნალიო.

— ბურტუმე, აილე ისინი, ყველაფერი შენი იყოსო და გავსწიოთო.

ორივენი დედაკაცის კომპში დაბრუნდნენ და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

## ლურჯწვერა კაცი

იყო ერთი კაცი, ექვსი ფუტის სიმაღლისა, ლურჯი წვერი წელამდე სცემდა. კაცს ლურჯწვერას ეძახდნენ. დიდი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ მოწყალებას არავისთვის გა-იმეტებდა. საყდარში ფეხს არ შეადგამდა. ამბობდნენ, ლურჯწვერა კაცს შვიდი ცოლი ჰყავდაო, მაგრამ რა იქნენ, არავინ იცოდა.

ბოლოს ლურჯწვერა კაცის ამბავმა საფრანგეთის მეფის ყურამდე მიაღწია. მეფემ მა-შინვე ურიცხვი ჯარისკაცი გაგზავნა და უბრძანა, ის კაცი დაიჭირეთ და აქ მომგვარე-თო. ჯარისკაცებს წითელმანტიანი მთავარი მოსამართლე გაჰყვა, რომ ლურჯწვერა კა-ცი დაეკითხა. შვიდი წელი ეძებეს ლურჯწვერა კაცი კლდე-ღრეში, მაგრამ კვალს ვერ-სად მიაგნეს.

ჯარისკაცები და მთავარი მოსამართლე მეფესთან დაბრუნდნენ და მაშინ ლურჯწვე-რა კაცი ისევ გამოჩნდა. იგი უწინდელზე მეტად გამძვინვარდა. უფრო სასტიკი გახდა. ვერავინ ბედავდა მის კომპს შვიდ მილზე მიახლოებოდა.

ერთ დილით ლურჯწვერა კაცი ვეება შავრაზე იჯდა და მინდორ-მინდორ მიდიოდა. უკან თავისი ძაღლები — დოგები — მისდევდნენ. ძაღლები ხარებივით დიდები და ძლიერები იყვნენ. მოულოდნელად ლურჯწვერა კაცს ერთმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა ჩაუარა.

ლურჯწვერა კაცმა ქალს ხმაამოუღებლივ ქამარში ხელი ჩაავლო, მაღლა ასწია, ცხენ-ზე შემოსვა და კომპში წაიყვანა.

— ჩემი ცოლი უნდა გახდე. ამ კომპიდან ვეღარ გახვალო.

ქალი ძალაუნებურად ლურჯწვერა კაცის ცოლი გახდა. მას მერე ქალი კომპში იყო დამწყვდეული, იტანჯებოდა და ცრემლებს ღვრიდა. ყოველ დილით, რიჟრაჟზე, ლურჯწვერა კაცი ცხენზე შეჯდებოდა, ხარებივით დიდ და ღონიერ სამ ძაღლს გაიყო-ლებდა და წავიდოდა. შინ მხოლოდ ვახშმობის დროს ბრუნდებოდა. ცოლი მთელი დღეობით ფანჯარას არ შორდებოდა. იგი შორს, თავის მშობლიურ მინდვრებს გასცქე-როდა და დარდობდა.

ზოგჯერ მასთან ანგელოზივით უწყინარი მწყემსი ქალი მოვიდოდა და დაჯდებო-და, მწყემსი ისეთი ლამაზი იყო, რომ მისი ცქერა გულს ახარებდა.

— ქალბატონო, — ეუბნებოდა იგი, — მე ვიცი, რაზე ფიქრობ, მსახურებსა და მოახ-ლეებს არ ენდობი, და ამაში მართალი ბრძანდები, მაგრამ მე იმათ არა ვგავარ, არ გილა-ლატებ, ქალბატონო, შენი მწუხარება გამანდეო.

ქალბატონი დუმდა. მაგრამ ბოლოს ალაპარაკდა:

— მწყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, თუ გამცემ, მამაუფალი და ღვთისმშო-ბელი დაგსჯიან. ყური მიგდე, გაამბობ ჩემს მწუხარებას. მწყემსო ქალო, დღე და ღამე ჩემს საბრალო დედ-მამაზე ვფიქრობ, ჩემს ორ ძმაზე ვფიქრობ, რომლებიც, აგერ, უკვე შვიდი წელია საფრანგეთის მეფეს უცხო ქვეყანაში უდგანან მსახურად. წყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, თუკი გამცემ, მამაუფალი და ღვთისმშობელი დაგსჯიანო.

— ქალბატონო, არა, არ გაგცემ. ყური მიგდე. მე, მოლაპარაკე ჩხიკვი მყავს, რასაც ვეტყვი, ყველაფერს შეასრულებს. თუ გინდა, შენს ძმებთან გაფრინდება, შვიდი წელი

საფრანგეთის მეფეს უცხო მხარეში რომ უდგანან მსახურებად, და ყველაფერს უამბობსო.

— გმადლობ, მწყემსო ქალო. მარჯვე დროს დაველოდოთო.

ამ დღიდან ლურჯწვერა კაცის ყმაწვილი ცოლი და მშვენიერი მწყემსი ქალი ძალიან დამეგობრდნენ, მაგრამ არასოდეს ლაპარაკობდნენ იმის შიშით, მსახურებმა არ გაგვცენო.

ერთხელ ლურჯწვერა კაცმა ცოლს უთხრა:

— ხვალ დილით, ალიონზე, შორს მივდივარ სამოგზაუროდ. აი, შვიდი გასაღები. ექვსი დიდი გასაღები კოშკის ექვს დიდ კარსა და კარადას ალებს. შეგიძლია, ეს კარები და კარადები გააღო. მეშვიდე, პატარა გასაღები, აი, იმ საკუჭნაოს ალებს, მაგრამ იქ შესვლას გიკრძალავ. თუ არ გამიგონებ, გავიგებ და შავ დღეს დაგაყრიო.

მეორე დღეს, ირიჟრაჟა თუ არა, ლურჯწვერა კაცი თავის შავრას მოახტა და გაქუსლა, უკან ხარივით დიდი და ღონიერი სამი დოგი მისდევდა.

მთელი სამი თვე ლურჯწვერა კაცის ცოლი ქმრის ბრძანებას ასრულებდა.

იგი კარებს და კარადებს მხოლოდ ექვსი დიდი გასაღებით ალებდა, მაგრამ დღეში ასჯერ მაინც გაიფიქრებდა: «ნეტა იმ საკუჭნაოში რა არისო?»

ქალმა ითმინა, ითმინა და ვერ მოითმინა.

— რაც მოსახდენია, მოხდეს! — თქვა ერთ მშვენიერ დღეს. — ვნახავ, საკუჭნაოში რა არის! ლურჯწვერა კაცი ვერაფერს გაიგებსო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. მან მშვენიერ მწყემს ქალს უხმო, პატარა გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

დედაო ღვთისავ! რკინის რვა კავი დაინახა! შვიდზე შვიდი მკვდარი ქალი ეკიდა!

ლურჯწვერა კაცის ცოლი ცდილობდა კარი დაეკეტა, მაგრამ გასაღები იატაკზე დაუვარდა, მწყემსმა ქალმა გასაღები აიღო, მაგრამ ვაი, უბედურებავ! პატარა გასაღები სისხლით მოითხვარა.

კარი დაკეტეს თუ არა, მშვენიერი მწყემსი ქალი და მისი ქალბატონი გასაღების გარეცხვას შეუდგნენ. მზის ჩასვლამდე რეცხავდნენ გასაღებს: ხან ძმრით წმენდნენ, ხან — შვიტითა და მარილით, ხან — ცხელი წყლით, მაგრამ გასაღებს ლაქა არ შორდებოდა. პირიქით, უფრო წითლდებოდა და იზრდებოდა.

ბოლოს გასაღები კაცის ხმით ალაპარაკდა:

— მწმინდეთ, ქალებო, მწმინდეთ, რამდენიც გენებოთ. ლაქას ვერ მომაცლით. შვიდ დღეში კი ლურჯწვერა კაცი დაბრუნდებაო.

მამინ მშვენიერმა მწყემსმა ქალმა თავის ქალბატონს უთხრა:

— ქალბატონო, ჩემი მოლაპარაკე ჩხიკვის გაგზავნის დრო დადგაო, — და ჩხიკვს უხმო: — დოი! დოი! დოი!

მახილზე ჩხიკვი შემოფრინდა ფანჯრიდან:

— დოი, დოი! დოი! მშვენიერო მწყემსო ქალო, რა გნებავსო?

— ჩხიკვო, გაფრინდი უცხო მხარეში, გაფრინდი იქ, სადაც საფრანგეთის მეფის ჯარები დგანან. იქ ჩემი ქალბატონის ორ ძმას ნახავ და უთხარი: მალე, მალე, ლურჯწვერა კაცის კოშკში დატყვევებული თქვენი დის დასახსნელად გაქუსლეთ-თქო.

მოლაპარაკე ჩიტი ქარივით გაფრინდა უკუნ ღამეში, ხოლო მზე ამოიწვერა თუ არა, დავალება შესრულებული ჰქონდა.

შვიდი დღე რომ გავიდა, ლურჯწვერა კაცი დაბრუნდა კოშკში თავის შავრა ცხენითა და ხარებივით დიდი და ძლიერი სამი ძაღლით.

— ქალო, შვიდივე გასაღები მომეციო!

საბრალო ქალმა ოთახებისა და კარადების ექვსი დიდი გასაღები მოუტანა.

— არამზადავ! აქ ყველა გასაღები არ არის! პატარა სად არის, მომიტანეო!

აცახცახებულმა უბედურმა ქალმა სისხლით მოთხვრილი პატარა გასაღებიც გაუწოდა.

— სადაგელო, საკუჭნაოში შეგიხედავს! მამ, ერთ საათში მერვე კავზე იქანავებო.  
ლურჯწვერა კაცი კომკის ეზოში ჩავიდა, რათა თავისი გრძელი დანა ქვაზე აელესა.  
დანას ლესავდა, თან ამბობდა:

— აილესე, დანავ, აილესე. ჩემს ცოლს ყელი უნდა გამოსჭრაო!

ლურჯწვერა კაცის ცოლსა და მშვენიერ მწყემს ქალს ეს სიტყვები ესმოდათ და ში-  
შით კანკალებდნენ.

— მწყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, კომკის წვერზე მალე ადიო!

მწყემსმა ქალმა ბრძანება შეასრულა. ლურჯწვერა კაცი კი ისევ ლესავდა თავის  
გრძელ დანას და ამბობდა:

— აილესე, დანავ, აილესე. ჩემს ცოლს ყელი უნდა გამოსჭრაო.

— მწყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, მაგ მაღალი კომკიდან რას ხედავო?

— ქალბატონო, ამ მაღალი კომკიდან ვხედავ კამკაშა მზეს, ზღვას, ვხედავ მთასა და  
ბარსო.

ქალბატონმა კიბეზე შვიდი საფეხური აიარა.

ეზოში კი ლურჯწვერა კაცი ისევ ლესავდა დანას.

— აილესე, დანავ, აილესე. ჩემს ცოლს ყელი უნდა გამოსჭრაო!

— მწყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, მაგ მაღალი კომკიდან რას ხედავო?

— ქალბატონო ამ მაღალი კომკიდან შორს, ცხენზე ამხედრებულ შენს ორ ძმას ვხე-  
დავ. ცხენებს მოაჭენებენო.

მაშინ ქალბატონი კიდევ შვიდი საფეხურით მაღლა ავიდა.

ეზოში კი ლურჯწვერა კაცი ისევ ლესავდა თავის დანას:

— აილესე, დანავ, აილესე. ჩემს ცოლს ყელი უნდა გამოსჭრაო.

— მწყემსო ქალო, მშვენიერო მწყემსო ქალო, მაგ მაღალი კომკიდან ახლა რაღას ხე-  
დავო?

— ქალბატონო, შენი ძმები აქედან ერთ მილზე არიან. თავს უშველეო.

ეზოში ლურჯწვერა კაცმა დანის ლესვა დაამთავრა.

— ძირს ჩამოდი, არამზადავ, ჩამოდი, თორემ მე ამოვალო!

მაგრამ ლურჯწვერა კაცის ცოლი კიდევ შვიდი საფეხურით მაღლა ავიდა.

— ჩემო მეგობარო, ლოცვისთვის დრო მომეცი! მწყემსო ქალო, მაგ მაღალ კომკიდან  
რასა ხედავო?

— ქალბატონო, შენი ძმები სულ ახლოს არიან, სულ ახლოს. თავს უშველე, თუ შე-  
გიძლიაო.

მაშინ ლურჯწვერა კაცის ცოლი კომკის წვერზე ავიდა. მისი ძმები კომკის ჭიშკართან  
ცხენებიდან ჩამოხტნენ.

ეზოში კი ლურჯწვერა კაცი ყვიროდა:

— ძირს ჩამოდი, არამზადავ, ჩამოდი, თორემ მე ამოვალო!

ლურჯწვერა კაცი კომკზე ავიდა, თან ალესილ დანას იქნევდა.

— გაბედულად, ძმებო! მიშველეთო!

ლურჯწვერა კაცმა ცოლს ხელი უშვა და თავის ხარებივით დიდსა და ღონიერ ძაღ-  
ლებს დაუსტვინა.

ორივე ძმა ხმალამოწვდილი დარბოდა კომკის ეზოში.

მთელი საათი იბრძოდნენ ადამიანები და ცხოველები. ბოლოს ლურჯწვერა კაცი მი-  
წაზე მკვდარი დაენარცხა. დაეცნენ მისი ძაღლებიც — ხარებივით დიდები და ღონიერ-  
რები.

— დაო, ეს ავი კაცი და მისი ძაღლები საშიშნი აღარ არიან, აქედან წავიდეთო.

უფროსმა ძმამ ცხენზე და შემოისვა, უმცროსმა — მშვენიერი მწყემსი ქალი. მზის  
ჩასვლისას მშობლების კომკში მივიდნენ.

— გამარჯობა, მამი, გამარჯობა, დედი. თქვენ მკვდარი გეგონეთ და დამტიროდით. მართლაც მოვკვდებოდი იმ ლურჯწვერა კაცის კოშკში, ეს მშვენიერი მწყემსი ქალი მეგობრად რომ არ გამომჩენოდაო.

დედ-მამა სიხარულით ცას ეწია. შემოეხვივნენ თავიანთ ასულს და კოცნა დაუწყეს. ვახშობის დროს უმცროსმა ძმამ თქვა:

— ყური დამიგდე, მამი, ყური დამიგდე, დედი, ეს მშვენიერი მწყემსი ქალი შემიყვარდა. თუ მისი შერთვის ნებას არ დამრთავთ, ხვალვე ომში წავალ და ველარასოდეს მნახავთო.

— შვილო, ისე მოიქეცი, როგორც გენებოს, შენს მშვენიერ მწყემს ქალს მზითვად ლურჯწვერა კაცის კოშკი ექნებაო.

### ნ ა ნ ა დ ი რ ე ვ ი ს   გ ა ყ ო ფ ა

ერთხელ არწივმა ქორს და კაჭკაჭს უთხრა:

— მოდი, ერთად ვინადიროთო.

არწივი, ქორი და კაჭკაჭი სანადიროდ წავიდნენ. შვის ჩასვლამდე ოცდაათი სხვადასხვა ფრინველი მოკლეს.

— ახლა, ნანადირევი გაყვით, — თქვა არწივმა. — კაჭკაჭო, ყველაფერი სამ ტოლ ნაწილად გაყავიო.

— არა, არწივო, სად შემიძლია! შენ თვითონ გაყავი, ან ქორმა გაყოსო.

— სიამოვნებით გაყვოფო, — თქვა ქორმა.

მან ნანადირევი სამ ტოლ ნაწილად ისე გაყო, რომ სულ ერთი იყო, რომელს აირჩევდი.

— ქორო, ჩემი წილი რომელიაო? — ჰკითხა არწივმა.

— რომელიც გინდა, აიღეო.

— შე ბრევო ქორო, გასწავლი, გაყოფა როგორ უნდაო! \_ და ნისკარტის ერთი დაკვრით ქორს სული გააფრთხოვინა, მერე კაჭკაჭს მიუბრუნდა:

— ახლა, კაჭკაჭო, ნანადირევი ორად გაყვით. აბა, თანაბრად გაყავიო.

— არა, არწივო, ისევ სამად გაყვით. ერთი ნაწილი მაგ ნისკარტისათვის გეკუთვნის, ორი კი — მაგ ბრჭყალებისათვისო.

— კაჭკაჭო, შენზე კარგი გაყოფა არავის სცოდნია. მაგ გარჯისათვის ეს პატარა, მჭლე და გამომხმარი წიწკანა აიღეო.

### რ ო გ ო რ   გ ა დ ა ყ ლ ა პ ა   ვ ი რ მ ა   მ თ ვ ა რ ე

მონტასტრუკის ეკლესიის ჩრდილოეთით დიდი გუბურაა. აქ მწყემსები ნახირს არწყულენ და ქალები სარეცხს რეცხავენ.

ერთ საღამოს, დაახლოებით, ექვს საათზე, — ეს ამბავი კი მკვდარ თვეს\* (\* მკვდრის თვე — ასე ეძახიან გასკონელები დეკემბერს.) ხდებოდა, — მთვარე ამოვიდა და გუბურის წყალზე ისე აირეკლა, როგორც დიდ სარკეში. ამ დროს გუბურას ერთი კაცი მიუახლოვდა, რომ თავის ვირისათვის წყალი დაეღვეინებინა. სანამ ვირი სვამდა, ქარმა დაქროლა და ცაზე ღრუბლები შეჰყარა. უცებ უკუნი ღამე ჩამოწვა.

დამფრთხალმა ვირის პატრონმა ყვირილი მორთო:

— ღმერთო შემიწყალე! ღმერთო შემიწყალე! ჩემი ვირი წყალს სვამდა და მთვარე გადაყლაპაო!

მის ყვირილზე მონტასტრუკის ყველა მცხოვრებმა მოირბინა.

— რა გაყვირებსო?

— ჩემმა ვირმა მთვარე გადაყლაპა! ჩემმა ვირმა მთვარე გადაყლაპაო!

მონტასტრუკელებმა კაცს ახედეს, მერე გუბურას დახედეს და აღრიალდნენ:



— ამ კაცის ვირმა მთვარე გადაყლაპა! ამ კაცის ვირმა მთვარე გადაყლაპაო!  
მაშინვე ეკლესიის წინ ადგილობრივი ხელმძღვანელობა შეიკრიბა სათათბიროდ.  
— მოიყვანეთ ვირი, მთვარე რომ გადაყლაპაო!

მოიყვანეს ვირი.

— ვირო, მთვარე შენ გადაყლაპეო?  
ვირმა კუდი აპრიხა და დაიყოფინა.

— აი, თვითონვე აღიარებ, მთვარე გადაყლაპეო! ახლა რა გვეშველება, დამე როგორ ვიაროთ? სიბნელეში ხომ არაფერი ჩანსო.

ვირმა ისევ აიპრიხა კუდი და ისევ დაიყოფინა.

— ჰოო! აი რა უზრდელად იქცევი სასამართლოზე! მაშ კარგი! სიკვდილით გსჯით. ჩამოგახრჩობთო.

ათ წუთში ვირი ხეზე ჩამოჰკიდეს.

მაგრამ უცებ ერთ-ერთ მოსამართლეს გაახსენდა:

— მეგობრებო, ჩვენ ჩვენს რწმუნებულებას გადავედით. ჩვენ უფლება გვაქვს სიკვდილის განაჩენი გამოვიტანოთ, მაგრამ სიკვდილით დასჯის ნება არა გვაქვს. ამის უფლებით მხოლოდ მთავარი მოსამართლეა აღჭურვილი ლეკტურში. მის ადგილას რომ ვიყო, იმ ამბით, რაც ახლა აქ მოხდა, უკმაყოფილო დავრჩებოდი. იცით რა: გული რომ მოვუღებოთ, ერთი ურემი სხვადასხვა შინაური ფრინველი მივართვით. მკვდარი ვირიც გავუგზავნით. მთავარი მოსამართლე კარგ დასტაქარს გამოუძახებს, რომ ვირს ფაშვიდან მთვარე ამოუღოს. ამას გარდა, ლეკტურში ბევრი მაღალი კიბე ექნებათ. თუ ასეთ კიბეს ლეკტურის ტაძრის სამრეკლოზე დადგამენ, ვფიქრობ, რომ რომელიმე მარჯვე და გაბედული ზეინკალი რაიმე ხერხს გამოძებნის და მთვარეს თავის ადგილზე მიაჭედებსო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. მთავარი მოსამართლის ძღვენით — ქათმებით, ინდაურებით, ბატებით, იხვებით — დატვირთული თორმეტი მონტასტრუკელი ჭაბუკი მაშინვე გზას დაადგა. სხვა თორმეტი ჭაბუკს მხრებზე მუხის ჭოკი და ფეხებით ჩამოკიდებული მკვდარი ვირი მიჰქონდა.

სანამ ფლერანსს გადაივლიდნენ, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ ფლერანსს რომ გასცდნენ, რამიერის ტყის მგლებმა მკვდარი ვირის სუნი იკრეს, ხროვებად მოცივდნენ და ცოფიანებივით დაიწყეს ღრენა. შეშინებულმა მონტასტრუკელებმა ფრინველებიცა და ვირიც მიატოვეს და თავქუდმოგლეჯილები უკან გაიქცნენ. მგლებმა სუყველაფერი თვალის დახამხამებაში შეახრამუნეს.

მეორე საღამოს მთვარე ამოვიდა და ცაზე, ჩვეულებისამებრ, ქათქათა დაიწყო.

მონტასტრუკელმა მოსამართლეებმა შვებით ამოისუნთქეს.

— რამიერის მგლებმა დიდი სამსახური გაგვიწიეს, — ამბობდნენ ისინი. — ვირი შეჭამეს და მთავარი მოსამართლე ლეკტურში ვედარ გაიგებს, რომ ვირი ჩვენ ჩამოგახრჩვეთ. ხოლო ვირისაგან გადაყლაპული მთვარე მგლებზე ეშმაკი გამოდგა: მგლებს გაუსხლტა და ცაზე თავისით დაბრუნდაო.

## კაცუნები

კლდისა და მიწის დარანებში კაცუნების ტომები ცხოვრობენ. ამ კაცუნებს კარლიკებს ანუ გნომებს ეძახიან.

გნომები ერთ ფუტზე მეტი სიმაღლისა არ იზრდებიან. მათ გრძელი თმა-წვერი აქვთ. ხაოიანი ჩაჩები ახურავთ, წითელი კოსტუმები და ვერცხლისფერი ფეხსაცმელები აცვიათ. ხმლებითა და შუბებით არიან შეიარაღებულნი. ეს კაცუნები ქრისტიანები არ არიან. ისინი ქვეყნის აღსასრულამდე იცოცხლებენ, ხოლო, როცა დაიხოცებიან, საშინელი სამსჯავროს დღეს მკვდრეთით ვედარ აღსდგებიან.

გნომები ბოროტები არ არიან, პირიქით, ადამიანებს სამსახურსაც კი უწევენ ხოლმე. მაგრამ თუ გინდათ ნახოთ, სიბრაზისაგან როგორ აუჭრელდებათ სახე, საკმარისია, ბატონით დაისისინოთ. გნომებს ბატები არ უყვართ, იმიტომ რომ, როგორც კი ბატები თვალს მოჰკრავენ გნომს, რაც ძალი და ღონე აქვთ, სისინს დაუწყებენ. თუ გინდათ, გნომები სკვინჩასავით მხიარულნი ნახოთ, უთხარით: დღეს ფული გექნებათ-თქო.

ძველ დროში გნომები ზოგჯერ ეჩვენებოდნენ ხოლმე ადამიანებს. ახლა მათზე რაღაც არაფერი ისმის. შეიძლება ჩვენი ქვეყნიდან გადაიკარგნენ. ან იქნებ ბოროტი ადამიანებისა და ბატების შიშით დღისით აღარც გამოდიან.

გნომები ჩვენსავით ჭამენ და სვამენ. ახლა იმას გიამბობთ, სარჩოს როგორ შოულობენ.

მიწა წელიწადის ყოველ თვეს რაღაც ახალს გვაძლევს: ივნისში — თივას, ივლისში — პურს, სექტემბერში — ყურძენსა და სიმინდს. გვაძლევს სხვადასხვა ნაყოფს, რომელთაგან თითოეული თავის დროზე მწიფდება, აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს. ეს ყოველივე ჩვენთვის, ქრისტიანებისათვისაა. მიწის ეს ნობათი მაშინ შეგვიძლია დავინახოთ, ან ხელი ვახლოთ, როცა მოგვინდება.

მაგრამ არის სხვა მოსავალიც, სხვა ნაყოფიც და სხვა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელიც. მიწის ამ ნობათს ქრისტიანები ვერც თვალთ ხედავენ და ვერც ხელით ეხებიან: მიწა მათ კაცუნებისთვის ქმნის მხოლოდ, ერთ, ახალწლის წინა საღამოს, მზის ჩასვლიდან შუალამემდე. ხოლო სანამ მზე ამოვა, მთელი ეს სარჩო აღებული და დაბინავებული უნდა იქნას მიწის ქვეშ.

ამის გამო გნომებს შვიდი საათი თავაუღებლად უწევთ მუშაობა. გარდა ამისა, მათ ზუსტად ერთი საათი რჩებათ იმისათვის, რომ გამოიტანონ და დღის სინათლეზე გაანიაგონ თავიანთი ოქრო — ლუიდორებისა და ესპანური ოქროს ფულების გროვები, რომელთაც კლდის დარანებში ინახავენ. თუკი ამ ყვითელ ოქროს დღის სინათლეზე არ გაიტანენ, იგი წითლდება და ფუჭდება. ასეთ ოქროს გნომებისათვის ფასი არა აქვს და გარეთ ყრიან.

მე მართლ იმას გიამბობთ, რაც ვიცი. ეს ისევე მართალია, როგორც ის ჭეშმარიტება, რომ ერთ დროს ყველანი დავიხოცებით. მე ადვილად შემეძლია დაგიმტკიცოთ, რომ მართალს გეუბნებით. აბა, ყური დამიგდეთ:

ძველად სენტ-ავიში ერთი ფეიქარი ცხოვრობდა. ფეიქარს დიდი ოჯახი აწვა კისერზე, მაგრამ უქონელი იყო, როგორ ხეში მატლი. მისი ნამდვილი სახელი კლიუზე გახლდათ, მაგრამ მას მერე, რაც გამდიდრდა, ხალხმა შურისაგან მეტსახელად ნეზვის ოქრო შეარქვა. ბაბუაჩემი (ღმერთმა განუსვენოს) ხშირად მიაგმობდა, როგორ გამდიდრდა ეს ფეიქარი და ახლა თქვენც მოისმინეთ მისი ამბავი.

კლიუზე კურდღლებზე ნადირობდა და ამაში ტოლი არ ჰყავდა. წელიწადის ყველა დროში შეეძლო დაეჭირა ისინი მახეთი, ანდა ენადირა მათზე ქრცვინით, ან კიდევ ყველაზე ბნელ ღამეშიც კი მოეკლა თოფით.

თავისი სიცოცხლის მანძილზე ათასზე მეტი კურდღელი ჰყავდა მოკლული. მის ცოლსა და ქალიშვილს კურდღლები ბაზარში მიჰქონდათ გასაყიდად ლეკტურსა და ასტაფორში.

ბატონები და მდიდარი ქალაქელები, რომელთაც უყვარდათ კურდღლებზე ნადირობა, ბრაზობდნენ კლიუზეზე. ისინი კლიუზეს თაღლითს, ბრაკონიერს ეძახდნენ და ჟანდარმერიასთან ასმენდნენ. მაგრამ კლიუზე სიცილით კვდებოდა. ლეკტურელი მოსამართლეები მისი წყალობით ხშირად მიირთმევდნენ კურდღლის რაგუს, რაც მეტისმეტად იაფი უჯდებოდათ. რა თქმა უნდა, ამ ვაჭბატონებს ხელს არ აძლევდათ ისეთი თავაზიანი კაცის გასამართლება, როგორც კლიუზე იყო.

ერთხელ, ზამთარში, ახალი წლის წინა საღამოს, კლიუზემ, ჩვეულებისამებ, თავის ოჯახთან ივახშა. ჭამას რომ მორჩა, ცოლს უთხრა:

— დედაკაცო! ხვალ საახალწლო საჩუქრების დღეა. მინდა ლექტურში უფროსობას რამდენიმე კურდღელი მივართვა. ბავშვები დააწვინე და შენც დაწევი, მე კი სანადიროდ წავალ.

კლიუზემ თავისი თოფი და ტომარა აიღო და სახლიდან გამოვიდა. გარეთ ყინავდა, უმთვარო ცაზე ვარსვლავები ციმციმებდნენ.

ჩვენი ფეიქარი ჟერის კლდეებში ჩასაფრდა თუ არა, ფეხებთან ყვირილი შემოესმა:

— ეი, თქვე ზარმაცებო, იჩქარეთ! ზუსტად შუაღამეს ყველაფერი მზად უნდა იყოსო!

— ვიცით, ვიცით, მბრძანებელო! ჩვენ ხომ ახალი წლის მხოლოდ ეს წინა ღამე გვაქვსო!

კლიუზე მიხვდა, რომ გნომები სამუშაოდ ემზადებოდნენ და თავის საფარში ჩაიმალა. უნდოდა გაეგო, რა მოხდებოდა:

გამოქვაბულის შესასვლელთან მათრახმომარჯვებული ყველაზე უფროსი გნომი გამოჩნდა. მან ცას ახედა და შესძახა:

— შუა ღამეა! ცოცხლად, ზარმაცებო! იჩქარეთ! მზის ამოსვლამდე მთელი წლის სარჩო მიწის ქვეშ უნდა ჩავზიდოთო.

— ჩავზიდავთ, მბრძანებელო! ჩვენ ხომ წელიწადში მხოლოდ ერთი ღამე გვაქვსო.

უფროსი გნომის მათრახის ტკაცუნზე გამოქვაბულიდან უამრავი კაცუნა გამოვარდა. გამოვარდნენ ცელებით, ნამგლებით, ჯაჭვებით, ბალის დანებით და კალათებით — ყურძნის საკრეფად, კომბლებით, ერთი სიტყვით, ყველაფრით, რაც საჭიროა ჭირნახულის ასაღებად და ნახირის მოსარეკად.

როცა კაცუნები გაიქცნენ, მათმა მბრძანებელმა ფეიქარს ასძახა:

— კლიუზე, გინდა ექვსი ლივრი\* (\* ლივრი — ძველებური ფრანგული ვერცხლის ფულის ერთეული, რომელსაც სხვადასხვა ღირებულება ჰქონდა შუა საუკუნეების საფრანგეთში. მისი მოჭრა შეწყდა 1720 წელს.) გააკეთო?

— როგორ არ მინდაო!

— მაშინ ჩემს ხალხს მიეშველეო!

ერთ საათში ზოგიერთი გნომი უკან მობრუნდა.

ისინი მოაგორებდნენ თივით, ყურძნით, სიმინდით, ნაირ-ნაირი ხილით და ტვირთულ ნახევარი გოგრისოდენა ურიკებს. სხვები მოერეკებოდნენ ძაღლისოდენა ხარებსა და ძროხებს, სინდიოფალასტოლა ცხვრის ფარებს.

კლიუზე თავაუღებლად მუშაობდა, ეხმარებოდა გნომებს, ახლა ყოველი მხრიდან რომ გამოვარდნენ და ჭიანჭველებივით ირეოდნენ მის გარშემო. გნომების მბრძანებელი წამდაუწუმ მათრახს ატკაცუნებდა და ყვიროდა:

— ცოცხლად, ზარმაცებო! იჩქარეთ! მზის ამოსვლამდე მთელი წლის სარჩო მიწის დარანებში უნდა იყოს ჩავზიდული.

— ვჩქარობთ, ბატონო. ვიცით, რომ მხოლოდ ერთი, ახალი წლის წინა ღამე გვაქვს წელიწადში.

სანამ მზე ამოვიდოდა, გნომების მთელი სარჩო-დოვლათი მიწის ქვეშ იყო ჩატანილი.

მაშინ გნომების მბრძანებელმა ფეიქარს უთხრა:

— კლიუზე, აი შენი ექვსი ლივრი. შენ ეს ფული პატოსნად იშოვნე. გინდა, კიდევ ერთი ეკიუც გააკეთო?

— როგორ არ მინდაო!

— მაშინ, ჩემს ხალხს მიეშველეო.

მძიმე ტომრების ქვეშ მოკაკული კაცუნები უკვე გამოდიოდნენ გამოქვაბულიდან. ტომრები სავსე იყო ყვითელი ოქროთი — ლუიდორებითა და ესპანური ოქროს ფულეებით. გნომების მბრძანებელი მათრახს ატკაცუნებდა და ყვიროდა:

— ცოცხლად, ზარმაცებო! იჩქარეთ! ზუსტად ერთი საათი გვაქვს ყვითელი ოქროს გასანიაველად. თუკი ამ ოქროს წელიწადში ერთხელ დღის სინათლეზე არ გავიტანთ, გაწითლდება, გაფუჭდება და უნდა გადავყაროთ.

— აკი ვმუშაობთ, ბატონო, ძალ-ღონის დაუზოგავად ვმუშაობთ.

კლიუზე თავაულებლად მუშაობდა, ტომრებიდან ჰყრიდა ოქროს, უქცევდა, რომ ყველა ოქრო განიავებულიყო და დღის სინათლე მოხვედროდა.

როგორც კი ერთი საათი გავიდა, გნომებმა ოქროთი სავსე ტომრები ზურგზე მოიგდეს და გამოქვაბულში გაუჩინარდნენ.

ხოლო მათმა მბრძანებელმა მათრახი გაატკაცუნა და თქვა:

— აბა, კლიუზე, მიიღე შენი ეკიუ. იგი პატიოსნად იშოვე! ჩემი ხალხი კი არაფრად ვარგა! მათი დოყლაპიობის გამო ათ ფუთ ყვითელ ოქროს ერთ წელზე მეტია დღის სინათლე არ უნახავს. ბნელში დიდი ხნის დებით გაწითლდა და გაფუჭდა. ეი, თქვე უსაქმურებო! გადაყარეთ ეს საზიზღრობა, რომ ჩვენი მიწის დარანებში არ დავინახო.

გნომები დაემორჩილნენ. გამოქვაბულიდან ათი ფუთი წითელი ოქრო გამოყარეს და თავის მბრძანებელთან ერთად გაუჩინარდნენ.

კლიუზემ ერთი ლუიდორი და ერთი ესპანური ოქროს ფული აიღო, დანარჩენი მიწაში ჩამარხა და შინ გასწია.

— აბა, კაცო, დღეს კარგად ინადირეო? — ჰკითხა ცოლმა.

— კარგად ვინადირეო.

— მაჩვენე, რა მოიტანეო.

— ახლა ვერ გაჩვენებ, საქმეზე უნდა წავიდეო.

— კლიუზეს არც კი უჭამია, ისე წავიდა ქალაქ აჟენში და საოქრომჭედლოში შევიდა.

— გამარჯობა, ოსტატო! აბა ამ წითელ ოქროს დახედე! აი ლუიდორი და ესპანური ოქროს ფული. მათ ყვითელი ოქროს ფასი ადევთო?

— კი, ჩემო მეგობარო. თუ გინდა, ეკიუზე გაგიცვლიო.

კლიუზემ ფული დათვალა თუ არა, უჭმელ-უსმელი ისევ სენტ-ავიში დაბრუნდა. შინ რომ მოვიდა, ისე შიოდა, ძლივსდა ამოილულლულა:

— მალე, დედაკაცო, მალე წვნიანი მაჭამე. პურიც მომიტანე და ღვინოც! შიმშილისა და წყურვილისაგან სული მძვრებაო.

ივანშმა თუ არა, ფეიქარი დაწვა და თხუთმეტი საათი იძინა. მეორე საღამოს არავისთვის არაფერი რომ არ უთქვამს, ისე წავიდა ჟერის კლდეებში და იქიდან სამი ფუთი ოქრო წამოიღო. ღამით კიდევ ორჯერ იყო ჟერის კლდეში და დანარჩენი ოქროც წამოზიდა. გადმოზიდვას რომ მორჩა, ცოლს უხმო:

— შეხე, განა მართალი არ ვიყავი, როცა გითხარი, ახალი წლის წინა ღამეს კარგად ვინადირე-მეთქი. ახლა ჩვენ მდიდრები ვართ. აქედან წავიდეთ და მდიდრულად ვიცხოვროთო!

თქმა და ქმნა ერთი იყო. კლიუზემ და მისმა ოჯახმა სენტ-ავი მიატოვეს და შორს, — შორს მუასაკის იქით, კვერსის მიწაზე დასახლდნენ. იმ ათი ფუთი ოქროთი კლიუზემ იყიდა დიდი ტყე, ოთხდოლაბიანი წყლის წისქვილი, ოცი აგარაკი და ჩინებული ციხე-კოშკი, სადაც დიდხანს ცხოვრობდა ბედნიერად თავის ცოლ-შვილთან ერთად. იგი კეთილი კაცი გახლდათ, მუდამ მზად იყო ხელი გაემართა მეზობლებისათვის და ღარიბებს დახმარებოდა. მაგრამ ხალხს მაინც შურდა მისი, ამიტომაც მეტსახელად ნეხვის ოქრო შეარქვეს.

## ხელმწიფე-ყორანი

იყო ერთი კაცი. კაცი ბალახივით მწვანე იყო და შუბლზე მხოლოდ ერთი თვალი ჰქონდა. ეს მწვანე კაცი ძველ სახლში ცხოვრობდა, რამიერის ტყის პირას. კაცს სამი გო-

გო ჰყავდა: უფროსი დღესავით ლამაზი იყო, მეორე — მასზე ლამაზი, ხოლო უმცროსი ორივეზე ლამაზი. უმცროსი ათი წლისა იყო.

ერთ ზამთრის საღამოს მწვანე კაცი ღია ფანჯარასთან იჯდა. ღამდებოდა და მდინარიდან ნისლი მოიწევდა. უცებ ჰაერში მძლავრი ფრთების ფრაშფრაში გაისმა და ფანჯრის რაფაზე ხარისტოლა ნახშირივით შავი ფრინველი დაჯდა.

— ყვა! ყვა! ყვა! მე ყორნების ხელმწიფე ვარო.

— ყორნების ხელმწიფე, ჩემგან რა გინდაო?

— ყვა! ყვა! ყვა! მწვანე კაცო, ერთ-ერთი შენი შვილი ცოლად მინდაო.

— აქ დამიცადეო.

და მწვანე კაცი თავის შვილებთან წავიდა.

— ყური მიგდეთ, შვილებო, ყორნების ხელმწიფე მოფრინდა, ერთ-ერთი თქვენგანი ცოლად უნდაო.

— მამი, მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ესპანეთის ხელმწიფის ვაჟმა დამნიშნა, — უთხრა უფროსმა ქალმა. — იგი ლეკტუში წმინდა მარტინის დღეს ჩამოვიდა ბაზრობაზე ჯორების საყიდლად. გუშინ ჩემმა საქმრომ ერთი მლოცველის პირით შემომითვალა, მალე ჩამოვალ და ჩემს სამეფოში წაგიყვანო. როგორც ხედავ, მამი, ყორნების ხელმწიფის ცოლი ვერ გავხდებიო.

— მამი, მე კი, აგერ უკვე ერთი წელია, ზღვის კუნძულთა ხელმწიფის ვაჟმა დამნიშნა, — უთხრა შუათანა ქალმა. — გუშინ ჩემმა მიჯნურმა ერთი ბორდოელი მეზღვაურის პირით შემომითვალა, მალე ჩამოვალ და ჩემთან წაგიყვანო. როგორც ხედავ, მამი, ყორნების ხელმწიფის ცოლი ვერ გავხდებიო.

მამინ მწვანე კაცმა თავის უმცროს ქალს შეხედა, მაგრამ იგი ისეთი ნორჩი იყო, რომ შეეცოდა და გაიფიქრა:

უზიარებელი მკვდარივით უკუნითი უკუნისამდე წყეულიმც ვიყო, თუკი ამ ბავშვს ყორნების ხელმწიფეს ცოლად გავატანო.

მწვანე კაცს თავისი უმცროსი ქალისათვის არაფერი უკითხავს ისე დაბრუნდა ყორნების ხელმწიფესთან. ყორნების ხელმწიფე ისევ ფანჯრის რაფაზე იჯდა.

— ყორნების ხელმწიფე, არც ერთ ჩემს შვილს არ უნდისხარო.

ყორნების ხელმწიფე საშინლად განრისხდა. მან ნისკარტის მძლავრი დაკვრით შუბლიდან ერთადერთი თვალი ამოუგდო მწვანე კაცს და ნისლში გაუჩინარდა.

მწვანე კაცი ისე აღრიალდა, თითქოს სულში ეშმაკი ჩაუსახლდაო. ყვირილზე სამივე ქალმა მოირბინა.

— მამი, რა დაგემართა, თვალი ვინ ამოგიგდოო?

— ყორნების ხელმწიფემ, შენმა ასულებმა ცოლობაზე უარი როგორ თქვესო.

— მამი, შენთან დავა არ შემშვენის, — უთხრა უმცროსმა ქალმა, — მაგრამ ყორნების ხელმწიფის ცოლობაზე მე უარი არ მითქვამსო.

— კარგი. საწოლთან მიმიყვანე და სანამ არ დაგიძახებთ, ოთახში არავინ შემოვიდესო.

უმცროსმა ქალმა მამის ბრძანება შეასრულა.

მეორე საღამოს მწვანე კაცმა უმცროს ქალს დაუძახა და უთხრა:

— იმ ოთახში წამიყვანე, სადაც ყორნების ხელმწიფემ თვალი ამომიგდო. ფანჯარა გააღე და მარტო დამტოვეო.

უმცროსმა ქალმა ისე გააკეთა, როგორც მამამ უბრძანა. მწვანე კაცი ფანჯარასთან დაჯდა. ღამდებოდა. მდინარიდან ნისლი წამოიშალა. უცებ ჰაერში მძლავრი ფრთების ფრაშფრაში გაისმა და ფანჯრის რაფაზე ხარისტოლა ნახშირივით შავი ფრინველი დაჯდა.

— ყვა! ყვა! ყვა! მე ყორნების ხელმწიფე ვარო.

— ყორნების ხელმწიფე, რა გინდაო?

— ყვა! ყვა! ყვა! მწვანე კაცო, ერთ-ერთი შენი შვილი ცოლად მინდაო.

— ჩემი უმცროსი ქალი წაიყვანეო.

მაშინ ყორნების ხელმწიფემ მწვანე კაცს თავისი თვალი დაუბრუნა და დაიყრანტალა:

— ყვა! ყვა! ყვა! ჩემს საცოლეს გადაეცი, თეთრი კაბა ჩაიცვას, საქორწინო გვირგვინი დაიდგას და ხვალ გარიჟრაჟზე მზად იყოსო.

როგორც კი ინათა, ღამით მოფრენილმა ყორნების გუნდმა ცა დაფარა. მწვანე კაცის სახლის წინ საკურთხეველი დადგეს, რომ საქორწილო წეს-ჩვეულებანი შეესრულებინათ. საკურთხეველთან თოვლივით ქათქათა საბურველში გახვეული ყორნების ხელმწიფე იდგა. როცა ყველაფერი მზად იყო და საქორწინო სანთლები აანთეს, საიდანდაც მორთულ-მოკაზმული მღვდელი და მისი მსახური გაჩნდნენ, რომ ჯვრისწერის წეს-ჩვეულება შეესრულებინათ. ჯვრისწერის მერე მღვდელი და მისი მსახური ისე გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ. ყორნების ხელმწიფე კი ისევ თოვლივით თეთრ საბურველში იმალებოდა.

— ყვა! ყვა! ყვა! ჩემი ცოლი მამასთან წაიყვანეთო.

პატარძალი მამისეულ სახლში წაიყვანეს. მაშინ ყორნების ხელმწიფე თოვლივით თეთრი საბურველიდან გამოვიდა.

— ყვა! ყვა! ყვა! მწვანე კაცო, შვილი შუადღემდე შენთან დარჩეს, ხოლო შუადღეს ჩემი ბრძანებით ყორნები ჩემს სამეფოში წამოიყვანენო, — და ყვავმ ჩრდლოეთ მხარეს გაფრინდა.

შუადღეს ყორნის ცოლი მამისეული სახლის ზღურბლზე იდგა.

— მშვიდობით, მამი! მშვიდობით, დებო! ჩემს სამშობლოს და ჩვენს სახლს ვტოვებ. უცხო მხარეში წამიყვანენ და აღარასოდეს დავბრუნდებიო!

ყორნებმა თავიანთი დედოფალი ფრთებზე შეისვეს და წაიყვანეს სიცივისა და ყინულის სამეფოში, სადაც არც ხე ხარობს და არც ბალახი. მზის ჩასვლამდე სამი ათასი მილი გაიარეს. დედოფალი ციხე-კოშკის მთავარ ჭიშკართან ჩამოსვეს.

— გმადლობთ, ყორნებო. ამ ერთგულ სამსახურს არ დაგივიწყებთ. ახლა ივანშმეთ და დაწექით. დროა დაისვენოთო.

ყორნები გაფრინდნენ, ხოლო დედოფალი ციხე-კოშკში შევიდა. კოშკი ლეკტურის წმინდა ჟერვის ეკლესიაზე შვიდჯერ დიდი იყო. ყველგან სანთლები ენთო, ბუხრებში ისეთი ცეცხლი გუზგუზებდა, აგურის გამოსაწვავ ღუმელებში რომ ანთია ხოლმე, მაგრამ არსად კაცის ჭაჭანება არ იყო.

დედოფალი დიდხანს დაეხეტებოდა ციხე-კოშკში და ბოლოს ერთ დიდ დარბაზში შევიდა, სადაც ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელით სავსე სუფრა იდგა. სუფრაზე დანა-ჩანგალი მხოლოდ ერთი კაცისთვის იყო გაწყობილი. დედოფალი დაჯდა, მაგრამ არც ჭამა უნდოდა და არც სმა— შინაურებზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა და მამისეულ სახლზე დარდობდა.

ერთმა საათმა რომ გაიარა, დედოფალი ქვეშაგებში ჩაწვა, ოქრონაქსოვი მიჩიგდანი ჩამოაფარა, მაგრამ სინათლე არ ჩაუქრია და დაიწყო ლოდინი.

როგორც კი შუაღამე დადგა და საათმა დარეკა, მძლავრი ფრთების ფრაშფრაში გაისმა. ყორნების ხელმწიფე ღამის გასათევად შინ მოფრინდა. იგი იმ ოთახის კართან გაჩერდა, სადაც დედოფალი იწვა.

— ყვა! ყვა! ყვა! ცოლო, შუქი ჩააქრეო.

დედოფალმა შუქი ჩააქრო და ხელმწიფე ოთახში შემოვიდა.

— ყვა! ყვა! ყვა! ყური მიგდე და ყველაფერი დაიმახსოვრე, რადგან, უქმად აქ არ ვლავარაკობთ. ოდესღაც ადამიანების ხელმწიფე ვიყავი; ახლა ყორნების ხელმწიფე ვარ: ბოროტმა ჯადოქარმა მე და ჩემი ხალხი ფრინველებად გადაგვაქცია. მაგრამ ნაწინასწარმეტყველებია, რომ ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღება. შენ შეგიძლია ამაში დაგვეხმარო. იმედი მაქვს, რომ შენს ვალს მოიხდი. ყოველ ღამით, ისევე როგორც დღეს, მოვფრინდები და შენს გვერდით დავწევები. მაგრამ შენ ჯერ ათი წლისა ხარ, ნამდვილი ცოლი

მხოლოდ შვიდი წლის მერე გახდები. მანამ ნურასოდეს შეეცდები დამინახო. თუ არ გამიგონებ, საკუთარ თავსაც, მეც და ჩემს ხალხსაც ხიფათში გაგვახვევო.

— ხელმწიფევ, შენს ნება-სურვილს შევასრულებო.

დედოფალს სიბნელეში შემოესმა, როგორ მოიხსნა ყორნების ხელმწიფემ თავისი ფრთები. მერე საწოლთან მივიდა და დაწვა. დედოფალი შიშმა აიტანა. მან ხელი ქმრისკენ გაიშვირა და შიშველი ხმლის სიცივე იგრძნო. ქმარს ხმალი თავისა და ცოლის შუა ჩადო.

მეორე დილით, სანამ ირიჟრაჟებდა, ყორნების ხელმწიფე ადგა, საწოლიდან შიშველი ხმალი აიღო, ისევ ბუმბულით და ფრთებით შეიმოსა და სადღაც გაფრინდა.

აქედან მოყოლებული, ყოველ დილა-საღამოს ასე ხდებოდა. დედოფალს თუმცა ეში-ნოდა ყორანი-ქმრისა, მაგრამ შეუყვარდა, რადგან ხედავდა, რომ იგი ძლიერი და გაბედული იყო.

მაგრამ საბრალოს ასეთი ცხოვრება მოსწყინდა. მას ხომ ხმის გამცემი არავინ ჰყავდა და ეს აღონებდა. ცოტათი გული რომ გადაეყოლებინა, ხშირად საგზალით სავსე კალათას აიღებდა და დილაადრიან ციხე-კოშკიდან გამოდიოდა. დაღამებამდე თოვლსა და ყინულში დაეხეტებოდა. არასოდეს არავინ შეხვედრია.

ერთ დილით, სეირნობისას, დედოფალი ციხე-კოშკიდან შორს წავიდა და უთოვლო მაღალი მთა დაინახა.

დედოფალი იმ მთისკენ გაემურა და შვიდი საათი იარა. ბოლოს ნაკადულის პირას ღარიბულ ქოხს მიაღწა.

ნაკადულში დედაბერი სარეცხს რეცხავდა. მრეცხავს სახე ზღმარტლივით ჰქონდა დანაოჭებული. მისი ხნოვანების ქვა აღარ დაგორავდა დედამიწაზე.

მრეცხავი დედაბერი ნახშირით შავ სარეცხს წურავდა და მღეროდა:

ჩემო ფერიავ, შენი სარეცხი  
აღარ თავდება, რაც დარჩენილა.  
ჩვენი ნანატრი ცოლი-ქალწული  
ჯერაც აქეთ არ გამოჩენილა.

— გამარჯობა, დედი, სარეცხის რეცხვაში გიშველი, სარეცხი ნახშირით შავიაო, — უთხრა დედოფალმა.

— მადლობელი ვარ, შვილო, — მიუგო დედაბერმა.

დედოფალმა თეთრეული წყალში ამოავლო თუ არა, იგი თოვლივით ქათქათა გახდა. მაშინ დედაბერი ამღერდა:

ფერიავ, რეცხვა უკვე დამთავრდა,  
ცოლი-ქალწული, აჰა, მობრძანდა!

მერე დედოფალს უთხრა:

— კარგა ხანია, გელოდები. ახლა ჩემს ტანჯვა-წამებას ბოლო მოელო და ამას შენ გიმადლი. შენი ტანჯვა კი, ჩემო საბრალოვ, ჯერ არ თავდება! ქმარმა კეთილი რჩევა მოგცა, მაგრამ რჩევა ფუჭია. რაც გიწერია, ის არ აგცდება. ახლა შინ წადი და სანამ ძალიან არ გაგიჭირდება, აქ არ მოხვიდეო.

დედოფალი ციხე-კოშკში დაბრუნდა. ცხოვრება ისევ ძველებურად მიდიოდა. ასე გავიდა დიდი დრო და მაშინ, შვიდი წლის შესრულებას ერთი დღე რომ აკლდა იმ დროიდან, როცა მამისეული სახლის წინ, რამიერის ტყის პირას, ყორნების ხელმწიფეზე ჯვარი დაიწერა, დედოფალმა გაიფიქრა:

ქმრის დანიშნული ვადა მთავრდება. ერთი დღე იქით იქნება თუ აქეთ, არაფერი მნიშვნელობა აქვს. ამ ღამით გავიგებ ჩემი ქმარი რანაირიაო.

როცა დადამდა, დედოფალმა საწოლ ოთახში სანთელი აანთო და ისე ოსტატურად დამალა, რომ ირგვლივ კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა. დაწვა და ლოდინი დაიწყო. როგორც კი შუალამე დადგა და საათმა დარეკა, ჰაერში ფრთების ფრაშფრაში გაისმა. ყორნების ხელმწიფე ღამის გასათევად შინ ბრუნდებოდა. დედოფალს ესმოდა, როგორ მოიხსნა მან ფრთები, მერე გაშიშვლებული ხმალი თავისა და ცოლს შუა ჩადო და დაიძინა.

მაშინ დედოფალი წამოდგა, დამალული სანთელი აიღო და მის შუქზე მძინარეს დახედა. მის წინ ყორანი კი არა, დღესავით ლამაზი ჭაბუკი იწვა.

— ღმერთო, რა კარგი ქმარი მყოლიაო!

ქალი ანთებული სანთელით საწოლთან ძალიან ახლოს მივიდა, რომ ქმარი უკვე დაენახა. უცებ გამდნარი ცვილის წვეთი მძინარეს დაეცა. ყორნების ხელმწიფეს გაელვიდა.

— დიდ ხიფათში ჩაიგდე შენი თავი, მეც და ჩემი ხალხიც. ხვალ ჩვენს ტანჯვას ბოლო უნდა მოვებოდა. მე ნამდვილი ქმარი გავხდებოდი, ისეთი ახლა რომ მხედავ... ამჯერად კი ერთმანეთს უნდა დავშორდეთ! ბოროტი ჯადოქარი ჩემს ბედს რომ განაგებს, ისე მომექცევა, როგორც მოესურვება. მაგრამ რაც მოხდა, იმას რაღა ეშველება, ტირილი არას გვარგებს. სიავეს, შენ რომ მოგვაყენე, შეგინდობ, წადი ამ ციხე-კოშკიდან, მალე აქ ისეთი ამბავი დატრიალდება, რაც შენ არ უნდა ნახო. გასწი და, სადაც არ უნდა წახვიდე, ღმერთი იყოს შენი შემწეო.

დედოფალი ტირილით წამოვიდა. ავსულმა, ხელმწიფის ბედს რომ განაგებდა, ჭაბუკი ორმოცფუთიანი რკინის ჯაჭვით შებორკა, ღრუბლები გადაატარა და მაღალ ფრიალო კლდეზე წაიყვანა. ეს ფრიალო კლდე ზღვაში იყო ამოშვერილი. აქ ბოროტმა ჯადოქარმა ჯაჭვის ბოლო კლდეში ჩაასო და ტყვიით და გოგირდით ისე ოსტატურად მიარჩილა, რომ ამის გაკეთება საუკეთესო ზეინკალსაც კი გაუჭირდებოდა. მერე დაუსტვინა და მაშინვე ხარისოდენა ორმა მგელმა მოირბინა. ერთი ნახშირივით შავი იყო, მეორე თოვლივით თეთრი. თეთრი მგელი ხელმწიფეს დღე დარაჯობდა, ღამე ეძინა. ხოლო შავი მგელი ხელმწიფეს ღამე დარაჯობდა, დღე ეძინა.

— მგლებო, ყორნების ხელმწიფეს ფხიზლად უდარაჯეთო!

ავსული წავიდა და ზღვაში ამოშვერილი მაღალი კბოდეს წვერზე მიჯაჭვული ყორნების ხელმწიფე მგლებთან მარტო დატოვა.

ამასობაში კი სასახლიდან წამოსული დედოფალი მიდიოდა და მიდიოდა, თან ისე გულამოსკვნით ტიროდა, თითქოს უნდოდა, ტირილით თვალები დაეთხარა. ასე ცრემლების ფრქვევით მიადგა იგი უთოვლო მთის მწვერვალს, სადაც ნაკადულის პირას მრეცხავი დედაბრის ღარიბული ქოხი იდგა.

— საბრალოვ, — უთხრა დედაბერმა, — როგორც გიწინასწარმეტყველე, უბედურება გეწვია. რაც გიწერია, ის არ აგცდება. შენ ოდესღაც სიკეთე მიყავი, და ახლა მეც კეთილად გადაგიხდი. ეს წყვილი რკინის ფეხსაცმელი ჩაიცვი და ქმრის სამეხნელად გასწი. იგი ჯადოქარს შუა ზღვაში ამოშვერილ მაღალ კბოდეზე ჰყავს მიბმული. აჰა, აბგა. ამ აბგაში პურია და, რამდენიც არ უნდა ჭამო, არასოდეს გამოგელევა. აგერ, ამოღ-რუტნული გოგრა. ამ გოგრაში ღვინოა და, რამდენიც არ უნდა სვა, მუდამ სავსე იქნება. აჰა, ოქროს დანა. დანა თავის დასაცავად და ცისფერი ბალახის მოსაჭრელად გამოგადგება. ეს ის ბალახია, დღე და ღამე რომ მღერის და ამსხვრევს რკინას. როცა შენი რკინის ფეხსაცმელები გატყდება, ყორნების ხელმწიფის განთავისუფლების ჟამი დადგებაო.

— მაღლობელი ვარ, დედი! — და დედოფალმა გზა განაგრძო.

სამი დღის მერე მივიდა ქვეყანაში, სადაც არც ღამეა და არც მთვარე, სადაც მუდამ მზე ანათებს. აქ მან მთელი წელი იხეტიალა. სმა-ჭამა რომ მოუნდებოდა, აბგაში გამოუღეველად ჰქონდა პური. გოგრაში — ღვინო. ძილი თავს რომ წაართმევდა, მიწაზე დაწვებოდა და თვლემდა. წლის ბოლოს იპოვა წვეროდან ძირამდე ცისფერი, აყვავებული სელივით ცისფერი ბალახი.



დედოფალმა მაშინვე ოქროს დანა ამოიღო.

— დედოფალო, ნუ მომჭრი ოქროს დანით, — შეევედრა ცისფერი ბალახი \_ მე ცისფერი ბალახი ვარ, მაგრამ ის არა, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევსო.

დედოფალმა ოქროს დანა შეინახა და გზა განაგრძო.

სამი დღის მერე მივიდა ქვეყანაში, სადაც მზე არ ანათებს, მუდამ მთვარე კაშკაშებს. აქ მან მთელი წელი იხეტიალა. სმა-ჭამა რომ მოუნდებოდა, აბგაში გამოუღვევლად ჰქონდა პური, გოგრაში — ღვინო. ძილი თავს რომ წაართმევდა, მიწაზე დაწვებოდა და თვლიდა. წლის ბოლოს იპოვა წვეროდან ძირამდე ცისფერი, აყვავებული სელივით ცისფერი ბალახი.

ცისფერი ბალახი მღეროდა:

— მე ცისფერი ბალახი ვარ და დღე და ღამე ვმღერი. მე ცისფერი ბალახი ვარ და დღე და ღამე ვმღერიო.

დედოფალმა მაშინვე ოქროს დანა ამოიღო.

— დედოფალო, ნუ მომჭრი ოქროს დანით, — შეევედრა ცისფერი ბალახი. \_ მეც ცისფერი ბალახი ვარ და დღე და ღამე ვმღერი, მაგრამ ის არა, რკინას რომ ამსხვრევსო.

და დედოფალმა ისევ შეინახა ოქროს დანა და გზა განაგრძო.

სამი დღის მერე მივიდა ქვეყანაში, სადაც არც მზე ანათებს და არც მთვარე და მუდამ ლუსკუმი ღამეა. აქ მან მთელი წელი იხეტიალა, სმა-ჭამა რომ მოუნდებოდა, აბგაში გამოუღვევლად ჰქონდა პური, გოგრაში — ღვინო. ძილი თავს რომ წაართმევდა, მიწაზე დაწვებოდა და თვლიდა. წლის ბოლოს ღამის წვდიადში სიმღერა მოესმა:

— მე ცისფერი ბალახი ვარ, ის ბალახი, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევსო.

დედოფალმა თვალის დახამხამებაში ოქროს დანა ამოიღო და ღამის სიბნელეში იქითკენ გაემართა, საიდანაც სიმღერის ხმა მოდიოდა. უცებ მისი რკინის ფეხსაცმელები გატყდა: — მან ცისფერ ბალახს ფეხი დაადგა, იმ ბალახს, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევს.

დედოფალმა ოქროს დანით ბალახი მოჭრა, ის კი ისევ მღეროდა:

— მე ცისფერი ბალახი ვარ, ის ბალახი, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევსო.

დედოფალმა დანა შეინახა.

მან ღამის წყვდიადში გზა განაგრძო, მიდიოდა ფეხშიშველა ეკლიან კვრინჩხებში, მიდიოდა დიდხანს. ბოლოს ღამე დამთავრდა და მზე ამოვიდა.

დედოფალი თვალუწვდენელი ზღვის ნაპირზე აღმოჩნდა. იქვე, ახლოს ტალღებზე ნავი ქანაობდა.

დედოფალი ნავში ჩაჯდა და ღია ზღვაში გავიდა. შვიდი დღე და შვიდი ღამე ცისა და წყლის მეტი არაფერი უნახავს. მერვე დღეს კუნძულს მიადგა და მაღალ კბოდეზე მიჯაჭვული ყორნების ხელმწიფე დაინახა.

დედოფალი რომ დაინახა, ხახადაფჩენილი ვეება თეთრი მგელი ეცა, მაგრამ დედოფალმა უმაღლეს ოქროს დანა და ცისფერი ბალახი ამოიღო. ცისფერი ბალახი ისევ ამღერდა:

— მე ცისფერი ბალახი ვარ, ის ბალახი, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევს. მე ცისფერი ბალახი ვარ, ის ბალახი, დღე და ღამე რომ მღერის და რკინას ამსხვრევსო.

ამ სიმღერის გაგონებაზე თეთრ მგელს მკვდარივით დაეძინა.

მაშინ დედოფალმა ოქროს დანით განგმირა თეთრი მგელი. მერე მომღერალი ბალახი ორმოცფუთიანი რკინის ჯაჭვს შეახო, რითაც ყორნების ხელმწიფე იყო შებორკილი. ჯაჭვი დაიმსხვრა.

იმავე წამს ბალახი დაჭკნა და სიმღერა შეწყვიტა, ხოლო კვისარივით თავადერილი და ამაყი ყორნების ხელმწიფე წამოდგა.

— ყვა! ყვა! ყვა! ცოლო, მადლობელი ვარო!

მერე ოთხივ მხარეს გასძახა:

— ყვა! ყვა! ყვაო!

და ოთხივ მხრიდან ყორნების გუნდები დაიძრნენ. ისინი ხელმწიფესთან მოფრინდებოდნენ და მაშინვე ადამიანის სახეს ღებულობდნენ. ყველა რომ მოგროვდა, ხელმწიფემ უთხრა:

— ჩემო ერთგულო ხალხო, ჩვენი ტანჯვა დამთავრდა. გაიხედეთ იქით, შორს. ჩემი გულითადი მეგობარი ხელმწიფე მოდის ჩემთან შვიდი ათასი ხომალდით. ერთ თვეში მშობლიურ ქვეყანაში ვიქნებითო.

ამოკორტნილი გული

ერთ საღამოს კარნავალზე გამიჯნურებულმა რაინდმა თავის სატრფოს ჰკითხა:

— მშვენიერო, როდის შემიყვარებო?

— მაშინ შეგიყვარებ, როცა ოქროს ყვავილს მომიტან, მზის ამოსვლისას რომ მღერისო.

— მშვიდობით, მშვენიერო! წმინდა ფილიპეს დღეს რომ მოსაღმოვდება, შენი სახლის ზღურბლზე მელოდეო.

წმინდა ფილიპეს დღეს რომ მოსაღმოვდა, ლამაზი ქალი გამიჯნურებულ რაინდს თავისი სახლის ზღურბლზე ელოდა.

— გამარჯობა, მშვენიერო! აჰა, ოქროს ყვავილი მოგიტანე, მზის ამოსვლისას რომ მღერის. მითხარი, ხომ გიყვარვარო.

— რაინდო, მიყვარხარ, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ფერმკრთალი ხარო.

— რა გასაკვირია. ასე შავი მგელი დარაჯობდა ოქროს ყვავილს. მზის ამოსვლისას რომ მღერის. მგლები ისე მძიმბენდნენ, ნახევარი სისხლი დავკარგე. მშვენიერო, მითხარი, ნიშნობა როდის გვექნებაო?

— რაინდო, ნიშნობა მაშინ გვექნება, როცა მოლაპარაკე ცისფერ ჩიტს მომიყვან, ადამიანივით განსჯა რომ შეუძლიაო.

— მშვიდობით, მშვენიერო! წმინდა როხის დღეს რომ მოსაღმოვდება, შენი სახლის ზღურბლზე მელოდეო.

წმინდა როხის დღეს ლამაზი ქალი რაინდს თავისი სახლის ზღურბლზე ელოდა.

— გამარჯობა, მშვენიერო აჰა, მოლაპარაკე ცისფერი ჩიტი, ქრისტიანივით განსჯა რომ შეუძლია, მითხარი, ჯვრისწერა როდის გვექნებაო?

— რაინდო, ჯვრისწერა მაშინ გვექნება, როცა არწივთა მეფეს იპოვი და დატყვევებულს რკინის გალიით მომიყვან. ღმერთო ჩემო, რა მოწყენილი ხარო?

— მოწყენილი ვარ და საბაზივ მაქვს. მოლაპარაკე ცისფერმა ჩიტმა, ადამიანივით განსჯა რომ შეუძლია, მითხრა, შენს სატრფოს არ უყვარხარო.

— ცისფერო ჩიტო, ტყუილი გითქვამს! ახლავე ვუბრძანებ, გაგბდღვნან და ცოცხლად შეგწვანო.

— მშვიდობით, მშვენიერო! წმინდა ლუკას დღეს რომ მოსაღმოვდება, შენი სახლის ზღურბლზე მელოდეო.

წმინდა ლუკას დღეს რომ მოსაღმოვდა, ლამაზი ქალი რაინდს თავისი სახლის ზღურბლზე ელოდა.

— დედი, დედი, ჩემი რაინდი არა ჩანსო!

— მაგიდასთან დაელოდე, ჩემო შვილო, შენი მიჯნური ვახშმობის ჟამს მოვაო.

ნავახშმევს ლამაზი ქალი ისევ ზღურბლზე შედგა.

— დედი, დედი, ჩემი რაინდი არ ჩანსო!

— დაწექი და დაიძინე, ჩემო შვილო, შენი მიჯნური ხვალ დილით მოვაო.

ლამაზი ქალი ქვეშაგებში ჩაწვა, მაგრამ შუა ღამით ჩუმად ადგა და გარეთ გამოვიდა, რომ თავის რაინდს დალოდებოდა.

— გამარჯობა, მშვენიერო! არწივთა მეფე ჩემზე ძლიერია. რკინის გალიით იქნებ სხვა ვინმემ მოგიყვანოსო.

— რაინდო, მკერდზე ეგ წითელი ნახვრეტი რა არისო?

— მშვენიერო, აქ გული მქონდა. გული არწივთა მეფემ ამომკორტნა. აღარასოდეს ცოლ-ქმარი აღარ ვიქნებითო.

რაინდი ღამის სიბნელეში გაუჩინარდა, ხოლო ლამაზი ქალი, მეორე დღეს კარმე-ლიტთა მონასტერში აღიკვეცა და მონაზონთა შავი სამოსი სიკვდილამდე არ გაუხდია.

## დასჯილი დედოფალი

იყო ერთი მეფე, ოქროსავით საიმედო და სამსონივით გაბედული და ძლიერი. ყოველ დილით, წირვა რომ გამოვიდოდა, გულუხვად მოიღებდა ხოლმე მოწყალებას.

ღარიბებისა და მდიდრებისათვის თანაბარი სამართალი გამოჰქონდა.

საუბედუროდ, დედოფალი ქმარს არ ჰგავდა. დედამიწის ზურგზე არავის უნახავს და არც არავინ ნახავს მისთანა ძუნწ და ბოროტ ქალს. მეფეს და დედოფალს ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ. სანამ ოცდაერთი წელი არ შეუსრულდა, მამა მზრუნველობით ადევენებდა თვალს მის აღზრდას. როგორც კი უფლისწულის ოდნავ დანაშაულს გაიგებდა, მეფე თავისთან მოიხმობდა ვაჟს.

— ყური მიგდე, შვილო, — ეტყოდა იგი, — როცა მოკვდები, ჩემს მაგივრად იმეფებ. მაშინ ველარავინ გასწავლის, ამიტომ სანამ ცოცხალი ვარ, უნდა გასწავლო, ეს ჩემი ვალიაო.

მეფე ჯოხს აიღებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შვილს სცემდა. მერე ციხეში აგზავნიდა, სადაც მეფის შვილს იატაკზე ეძინა. ხმელა შავ პურსა და წყალზე იყო. აი, ამიტომ მალე ისეთი კეთილგონიერი და თავმდაბალი ჭაბუკი გახდა, რომ ყველა ლაპარაკობდა:

— ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავს. მეფე რომ მოკვდება, არის კაცი, ვისაც შეუძლია ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა და სამართლიანობა დაიცვასო.

ერთ საღამოს, ნავახშმევს, მეფემ ვაჟს უთხრა:

— ჩემო შვილო, მიყვარხარ იმიტომ, რომ სამართლიანი, თავმდაბალი და სულით ძლიერი ხარ. ხვალ ოცდაერთი წლის შესრულდები. მე უკვე მოხუცებული ვარ და მალე ტახტს დაგიტოვებ. წაიყვანე ყველა ჩემი ცხენი, ყველა ძაღლი, წაიღე იმდენი ფული, რამდენიც გსურს, იარე სანადიროდ, საეკლესიო დღესასწაულებზე, იმხიარულე. მაგრამ ნახევარ წელიწადში ცოლიანი მინდა გნახო. აირჩიე კარგი ქალი, რომელიც მოგეწონება. მანამ არ დავმშვიდდები, სანამ შენს ცოლს სასახლის დიასახლისად არ ვიხილავო.

— მადლობელი ვარ, მამი, ღმერთმა გაკურთხოსო!

დედოფალი უხმოდ უსმენდა. თავისთვის კი გაიფიქრა: «აჰა, მამ, ნახევარ წელიწადში სასახლის დიასახლისი აღარ ვიქნები? ვნახოთო!»

ნავახშმევს შვილი გვერდით გაიხმო:

— აი რა გითხრა, შვილო. სანადიროდ იარე, საეკლესიო ზეიმებს დაესწარი და იმხიარულე. მაგრამ ცოლის შერთვა ადრეა, ჯერ ნორჩი ხარ. ისე, სატრფო გაიჩინე, ჩვენთან ლამაზი ქალების მეტი რა არისო.

შვილმა თავი ჩაქინდრა და არაფერი უპასუხა.

მეორე დილით რიჟრაჟზე სანადიროდ წავიდა, უკან კი ღამით დაბრუნდა. აქედან მოყოლებული ყოველ დღეს ასე აკეთებდა. მეფე უკმაყოფილო იყო და ხშირად ეუბნებოდა:

— ჩემო შვილო, ყოველ საღამოს კურდღლებითა და კაკბებით დატვირთული მოდი-  
ხარ, მაგრამ ცოცხალ ნანადირევს — კარგ, ლამაზ რძალს როდის მომიყვანო?

— დამაცა, მამი, რა გეჩქარებაო.

ბოლოს მეფეს მოთმინება დაეკარგა.

«საცოლის ამორჩევა არ გინდა, ხომ? — გაიფიქრა მან. — მაშ კარგი, მე თვითონ ამო-  
გირჩევო».

ერთ კვირაში სასახლეს სტუმრები ეწვივნენ — მეზობელი ქვეყნის მეფე და მისი ას-  
ული. მეფის ასული დღესავით მშვენიერი იყო და წმინდანით სუფთა. მან ბევრი სიმ-  
ღერა იცოდა და სირენასავით მღეროდა.

მეფის ვაჟმა ნადირობას თავი მიანება. იგი დილიდან საღამომდე მზეთუნახავს  
უჯდა.

— იმღერე, მზეთუნახავო, კიდევ იმღერეო!

და ქალწული ისე ტკბილად, ისე ნაზად მღეროდა, რომ მისი შემყურე მეფის ვაჟი  
გულში ამბობდა:

«მხოლოდ ეს, ეს იქნება ჩემი ცოლი! თუ არადა, ღმერთმა იცის, რას ვიზამო!»

ბოლოს სტუმრები შინ წავიდნენ. ჭაბუკი ძალიან დანაღვლიანდა, სამაგიეროდ, ბე-  
ბერი მეფე იყო მხიარულ გუნებაზე.

— როგორც იქნა, წავიდნენ, — თქვა მეფემ ვახშმობის დროს. — ბედნიერი გზა ჰქო-  
ნიათ, მაგრამ დიდხანს ნულა მოვლენო.

მეფის ვაჟს მკვდრის ფერი დაედო.

— მამი, გთხოვ, ასე ნუ ლაპარაკობ! ვერც კი გეტყვი, როგორ შემიყვარდა მეფის ას-  
ული. თუ მისი თხოვნის უფლებას არ მომცემ, არ ვიცი, რას ვიზამო!

— სულელო ბიჭო! შენ მეფის ასულზე უკვე დანიშნული ხარ. ნუთუ ვერ მიხვდი?  
ხვალ საღამოს ყველანი შენი საცოლის ციხე-კოშკში წავალთ. ერთ კვირაში მინდა დია-  
სახლისად ვიხილოო.

— მადლობელი ვარ, მამი. ღმერთმა გაკურთხოსო!

დედოფალი უხმოდ უსმენდა. ნავახშმევს ოთახიდან გავიდა და მაშინვე შემობ-  
რუნდა. მამა და შვილი ერთმანეთს ჭიქებს უჭახუნებდნენ. ორივე ძალიან მხიარული  
იყო.

— ჩემო კარგო, შენი სატრფოს სადღეგრძელო შევსვათო.

— მეფევ, ჩემს სადღეგრძელოს რატომ არ შესვამო?

— შენი სადღეგრძელო იყოს, ჩემო ცოლო!

— შენი სადღეგრძელო იყოს, დედაჩემო!

— მადლობელი ვარ. კიდევ დავლიოთო!

სამივემ გამოცალა ჭიქები. ხუთი წუთი არ გასულა, რომ მეფეს ბალახით მწვანე  
ფერი დაედო.

— მამი, რა მოგდისო?

მეფე იატაკზე გაიშხლართა და სული განუტევა.

მეორე დღეს მეფე დაასაფლავეს. მეფის ვაჟმა ბევრი ოქრო-ვერცხლი დაურიგა მათ-  
ხოვრებსა და მღვდლებს. სასაფლაოდან რომ დაბრუნდნენ, მსახურებს უთხრა:

— ლოგინი საბრალო მამაჩემის პალატაში დამიგეთო.

— მეფევ, შენი ბრძანება შესრულებული იქნებაო.

ახალგაზრდა მეფე განსვენებული მამის საწოლ ოთახში ჩაიკეტა. მან მუხლებზე და-  
იჩოქა და დიდხანს ილოცა. მერე ჩაცმულ-დახურული საწოლზე გაიშხლართა და დაი-  
ძინა. შუა ღამეს საათის რეკვამ გააღვიძა. მას მკვდარი მამის აჩრდილი დაჰყურებდა.

აჩრდილმა შვილს ხელი ჩაავლო და სიბნელეში კოშკის მეორე ბოლოში გაიყვანა. აქ  
მან სამალავი აჩვენა და თითოთ ნახევრადცარიელი შუშა დაანახვა:

— დედაშენმა მომწამლა. შენ მეფე ხარ, შური იძიეო.

მიცვალეულმა კომპის სამალავი დაკეტა და წავიდა. ჭაბუკ მეფეს შიშისაგან ოფლმა დაასხა, მაგრამ იგი გაბედული და სულით ძლიერი კაცი იყო. ჭაბუკი მეფე ჩავიდა თავ-  
ლაში, თავისი რჩეული ცხენი შეკაზმა და ღამის წყვდიადში ჭენება-ჭენებით გაქრა.

როგორც კი ირიჟრაჟა, თავისი საუკეთესო მეგობრის კარზე მიაკაკუნა.

— თავს უბედურება დამატყდა. უნდა გადავიკარგო. ხვალ ჩემს საცოლესთან მიდი მამამისის კომპში და უთხარი, შენს საქმროს თავს უბედურება დაატყდა და გადაიკარ-  
გა-თქო. იგი ცოლად ვერ შევირთავს, მაგრამ არც არასოდეს დაგივიწყებს და არც არა-  
ვის ითხოვს-თქო. წადი მონასტერში, მონაზვნად აღიკვეცე და შენი მიჯნურისათვის მანამ ილოცე, სანამ პირში სული გიდგას-თქო!

— მეფევ, შენს ნება-სურვილს შევასრულებო.

მეფემ ღამის წყვდიადში ცხენი გააჭენა.

მეორე დღეს ერთ ქალაქში ჩავიდა. ეს ქალაქი ტულუზაზე შვიდჯერ დიდი იყო. აქ მან თავისი დაშნა, მდიდრული სამოსი და ცხენი გაყიდა, ფული ღარიბებს დაურიგა, ხელში ჯოხი დაიკავა, ზურგზე გუდა მოიკიდა და ასე მათხოვრად ქვეულმა განაგრძო გზა. იარა, იარა და ერთ მაღალ მთას მიადგა. მთა ისეთი მაღალი იყო, რომ მის წვერს მხოლოდ არწივები თუ მისწვდებოდნენ. მეფემ ამ მთაზე ქოხი ააგო. როცა მოსწყურდე-  
ბოდა, მთის წყაროს წყალს სვამდა, როცა მოშივდებოდა, მცენარეებსა და ტყის ნაყოფს ჭამდა.

ერთ საღამოს მეფე ქოხში დიდხანს ლოცულობდა და ლოცვაში ჩაეძინა. შუა ღამეს გაიღვიძა, მას მკვდარი მამის აჩრდილი დაჰყურებდა:

— დედაშენმა მომწამლა. შენ მეფე ხარ, შური იძიეო.

მიცვალეული გაქრა. ჭაბუკ მეფეს შიშისაგან ოფლმა დაასხა, მაგრამ იგი გაბედული და სულით ძლიერი იყო და, აჰა, შუაღამეს გაუდგა გზას. გარიჟრაჟზე მთის ძირას იყო. მთელი წელი მიდიოდა საბრალო მეფე, გზას არავის ეკითხებოდა და ბოლოს თავის სა-  
მეფოში მივიდა. საღამოს მალულად თავისი საუკეთესო მეგობრის კარზე მიაკაკუნა.

— გამარჯობა, ვერ მიცანიო?

— ჩვენი მეფე ხარო.

— ჰო, მეფე ვარ. მითხარი, ჩემი სატრფო როგორააო?

— შენი სატრფო მონასტერში მოკვდაო.

— მითხარი, დედაჩემი რასა იქმსო?

— დედაშენი წინანდებურად კომპშია და ჩვენდა ჭირად მეფობსო.

— რაც მინდოდა გავიგე. ახლა რომელიმე ოთახში შემიყვანე და დამაძინე, ძალიან დავიღალე. ხვალ კი გათენებამდე გამაღვიძეო.

— მეფევ, შენს ბრძანებას შევასრულებო.

მეფე დაწვა და დაიძინა.

შუაღამეს გაეღვიძა. მკვდარი მამის აჩრდილი დაჰყურებდა.

— დედაშენმა მომწამლა. შენ მეფე ხარ, შური იძიეო.

— მამი, შენს ნება-სურვილს შევასრულებო.

მიცვალეული გაქრა. ჭაბუკ მეფეს შიშისაგან ოფლმა დაასხა, მაგრამ იგი გაბედული და სულით ძლიერი კაცი იყო.

ალიონზე ოთახში მისი მეგობარი შევიდა.

— ყური მიგდე! ამ საღამოს ჩემს ქვეყანას სამუდამოდ მივატოვებ. აი, ბრძანება, რომ-  
ლითაც მეფედ შენ გნიშნავ. ახლა მომიტანე დაშნა, მეფისთვის შესაფერისი სამოსი და კარგი ცხენი შემიკაზმეო.

მეფემ ცხენი გააჭენა. მზის ჩასვლისას თავისი კომპის ჭიმკარზე მიაკაკუნა.

— გამარჯობა, დედი, ჩემო კარგო დედი!

— გამარჯობა, შვილო. სად იყავი? პასუხს რატომ არ მამღევ? მინდა ვიცოდე სად იყავიო.

— დედი, კარგო დედი. ვახშმოზის დროს გეტყვი, მაშინ გეტყვი, სუფრასთან მარტო რომ დავრჩებით. ძალიან მშაიაო.

დედა-შვილი სუფრას მიუჯდა. მარტო რომ დარჩნენ, მეფემ უთხრა:

— დედი, კარგო დედი. გინდა იცოდე, სად ვიყავი? ჩემი სამეფო შემოვიარე. ჩემი სატრფო ცოლად შევირთე. ხვალ აქ იქნებაო.

დედოფალი უსმენდა, კრინტს არ სძრავდა. მერე ადგა, კარში გავიდა და იმავე წუთს შემობრუნდა.

— შენი ცოლი ხვალ მოვა? ძალიან კარგი, მისი სადღეგრძელო დავლიოთო.

მეფემ დაშნა იშიშვლა და მაგიდაზე დადო.

— დედი, ჩემო საბრალო დედი. შენ ჩემი მოწამვლა გინდოდა, მე ამას გაპატიებ, მაგრამ მამაჩემს არ სურს გაპატიოს თავისი მოწამვლა. სამჯერ მოვიდა ჩემთან იმ ქვეყნიდან და მითხრა — დედაშენმა მომწამლა, შენ მეფე ხარ, შური იძიეო. გუმინ მამაჩემს ვუპასუხე — მამი, შენს სურვილს შევასრულებ-მეთქი. დედი, ჩემო საბრალო დედი, ღმერთს შეევედრე, შეგიწყალოს. შეხედე ამ დაშნას, კარგად შეხედე. იმდენ დროს გაძლევ, რამდენიც ლოცვისთვისაა საჭირო, ხოლო მერე თავს მოგჭრი, თუკი ჩემთვის დასხმულ ამ საწამლავს არ დალევ. დალიე, ბოლომდე დალიე, დედი, ჩემო საბრალო დედი!

დედოფალმა ჭიქა გამოცალა და ხუთ წუთში ბალახივით გამწვანდა.

— დედი, ჩემო საბრალო დედი, შემინდეო.

— არა, არ შეგინდობო.

დედოფალი იატაკზე გაიშხლართა და სული განუტევა.

მაშინ მეფემ მუხლებზე დაიჩოქა და ილოცა. მერე თავლაში ჩუმად ჩავიდა, თავის ცხენს მოახტა და ღამის წყვილიაღში გააჭენა. მას მერე არასოდეს არავის უნახავს.

### სამი მონადირე

იყო და არა იყო რა, იყო სამი მონადირე.

ორი შიშველი იყო, ერთი — ჩაუცმელი.

სამი თოფი ჰქონდათ.

ორი თოფი გაუტენელი იყო, ერთი არ იყო გატენილი.

მონადირეები ალიონზე ქალაქიდან გავიდნენ და წავიდნენ შორს, შორს და კიდევ შორს.

ტყესთან სამი კურდღელი მოკლეს, ორი ხელიდან გაუშვეს; ერთი გაექცათ. კურდღელი ჩაუცმელ მონადირეს ჩაუდეს ჯიბეში.

— ღმერთო! — შესძახეს მონადირეებმა. — ეს გაქცეული კურდღელი როგორ მოვხარშოთო.

და სამივე მონადირე გზას გაუდგა.

იარეს შორს, შორს და კიდევ შორს.

მიადგნენ უკედლო, უკარო, უფანჯრო, უსახურავო, უყველაფრო სახლს.

სამმა მონადირემ სამჯერ მაგრა დააკაკუნა კარზე.

— კაკ! კაკ! კაკ!

სახლის პატრონი შინ არ იყო და მონადირეებს გასძახა:

— ვინ ხართ და რა გინდათო?

— გვიშველე, ქვაბი გვათხოვე, გაქცეული კურდღელი უნდა მოვხარშოთო.

— უჰ, ღმერთო, სამი ქვაბი მაქვს. ორი უძიროა, ერთს ძირი არა აქვსო.

### მოხერხებული კიურე

ხალხი ერთმანეთს ყველაფერში არასოდეს დაეთანხმება და ვერც შენ აამებ ყველას.

ერთ სოფელში კიურე ცხოვრობდა. ისეთი მოხერხებული და მარჯვე იყო, რომ ვერც სიტყვას მოუგებდა ვინმე და ვერც მახეში გააბამდა. ერთ კვირა დილით სენაკში თავისი მრევლის მნათეები ეწვივნენ.

— გამარჯობა, მამაო.

— გაგიმარჯოთ, ჩემო თანამომძენო, ახალს რას მეტყვიითო?

— მამაო, გვალვა ჭირნახულს გვინადგურებს. მოვედით, რომ გთხოვოთ, იქნებ გაისარჯო და წვიმა მოგვივლინო.

— ამაზე ადვილი არაფერია, შვილებო, ისეთი შელოცვა ვიცი, როგორც კი შეულოცავ, წვიმა წამოვა. მაგრამ ყველა თანახმა უნდა იყოს და ერთად მთხოვოს. დღეს ქადაგებას რომ მოვრჩები, ხალხს მოველაპარაკებო.

— მამაო, მადლობელი ვართო!

— მუდამ მოხარული ვიქნები, გიშველოთო!

მნათეები ეკლესიაში დაბრუნდნენ, ხოლო კიურემ წირვა დაიწყო. ქადაგების დრომ რომ მოატანა, კათედრაზე ავიდა და თქვა:

— შვილებო, ახლახან ჩემთან, სენაკში ჩემი მრევლის მნათეები მეწვივნენ და შემომჩივლეს, გვალვა ჭირნახულს გვინადგურებსო. მეხვეწნენ, წვიმა გამოსთხოვეო. მე ერთი შელოცვა ვიცი. როგორც კი შევულოცავ, მაშინვე წვიმა მოვა, ოღონდ ყველას სურვილი უნდა იყოს. დღეს წვიმა რომ მოვიდეს, გინდათო?

— არა, მამაო, — შესძახეს ვაჟებმა. — დღეს მწუხრის ლოცვის მერე გასეირნებას ვაპირებთო.

— მაშ, ხვალ იყოსო.

— არა, მამაო, — წამოიძახა სამმა-ოთხმა ქალმა. — სარეცხი გვაქვს გაფენილი. სანამ არ გაშრება, წვიმა არ გვინდაო.

— სამშაბათს თუ გინდათო?

— არა, მამაო, — უთხრეს ქალიშვილებმა, — სამშაბათს ბაზრობაზე მივდივართო.

— მაშინ, ოთხშაბათი ავირჩიოთო.

— არა, მამაო, — აყვირდნენ მთიბავები, — ოთხშაბათს სამყურა უნდა გავთიბოთო.

— ხუთშაბათი იყოსო.

— არა, მამაო, — იყვირეს ბიჭებმა. — ხუთშაბათს სკოლაში გაკვეთილები არ გვექნება და ვითამაშებთო.

— იქნებ შევულოცო, წვიმა პარასკევს მოვიდესო?

— არა, მამაო, — უთხრა მეკრამიტემ. — კრამიტი მზეზე შრება და შაბათამდე ღუმელში ვერ გამოვწვავო.

— მაშ, შაბათს თუ გინდათო?

— არა, მამაო, — შეეპასუხა მერი. — შაბათს სოფლები უნდა შემოვიარო.

— ჩემო თანამომძენო, აკი გითხარით, ჩემი შელოცვა მხოლოდ მაშინ გაჭრის, როცა წვიმას ყველა მოინდომებს-მეთქი. მანამ, სანამ ერთმანეთში არ მოილაპარაკებთ, ეს საქმე უფალ ღმერთს მივანდოთო.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

**წინასიტყვაობა.**

**ლოტარინგიული ზღაპრები**

ფიროზეტი.

გონიერი ჯარისკაცი.

ჟანი და პიერი.

ხელმწიფის ვაჟი და ცხენი ბაიარი

ორი ბებერი ჯარისკაცი.

სიმართლის მთქმელი ჩიტი.  
ინგლისის ხელმწიფე და მისი ნათლული.  
თეთრი მგელი.  
თხები და მგელი.  
მგელი და მელა.

### **ბურგუნდიული ზღაპარი**

პატარა ანეტა.  
პიკარდიული ზღაპრები.  
კატის, მამლისა და ნამგლის ზღაპარი.  
კურტიონ-კურტიეტი.  
ემმაკის კოშკი.  
ძია ბედშავასა და ძაღლ უპოვარას ზღაპარი.  
გლეხი ტოლომე და ემმაკი.

### **ნორმანდიული ზღაპარი**

ჩიტბატონა.

### **ზემოზრეტანული ზღაპრები**

ცერცვი.  
ვადუაიე.  
შაშვი და მელა.  
დანგობერის ასული.  
როგორ გააბრიყვეს ემმაკი.  
ბულონელი ლოცმანი.

### **ქვემოზრეტანული ზღაპრები**

ხელმწიფის ასული — თავვი.  
ნიბლიას, ზამთრის, არწივისა და ხელმწიფის ვაჟის ზღაპარი.  
მწყემსი და ხელმწიფის ქალი.  
თერძი და გრიგალი.  
სეფექალი მარკასი და ჩიტი დრედეინი.  
ბარბოვერი ანუ ზღაპარი ხელმწიფის ვაჟისა, საკუთარი თავი რომ წააგო.  
სეფექალი ტროიოლი.  
ორი კუზიანი კაცი და გნომები.  
სიძე-გომბეშო.

ცხრა ძმა-ბატკნისა და მათი დის ზღაპარი.

ღამის მოცეკვავეები.

მორგანები კუნძულ უესანზე.

სამოთხის ტაბურეტი.

ოქროს მუგუზალი.

პუატუს ზღაპარი.

მოხერხებული მენახირის ზღაპარი.

### **ოვერნული ზღაპრები**

საიდან მოვიდნენ რწყილები.

შალის გორგალი.

### **ლიმუზენური ზღაპრები**

ნადირთა ყველიერი.

ზღაპარი მგლისა, ქონის ნაჭერი რომ იპოვა.

მამლის ზღაპარი.

### **გასკონური ზღაპრები**

მელა და მამალი.

არწივი და მელა.



მამის, დედისა და მათი ქალის ზღაპარი.  
მგელი, ლოკოკინა და კრაზანა.  
მშვენიერი ჟანეტონი.  
ოქროს დრაგუნი.  
ოთხი ავდრის ღამე.  
ლურჯწვერა კაცი.  
ნანადირევის გაყოფა.  
როგორ გადაყლაპა ვირმა მთვარე.  
კაცუნები.  
ხელმწიფე-ყორანი.  
ამოკორტნილი გული.  
დასჯილი დედოფალი.  
სამი მონადირე.  
მოხერხებული კიურე.